

ნაქარაღი ბრძოლა

# პირველი

№29 (475) 16/17/18-22/17/18-2009  
25 თებერვალი

საკურორტო  
თავგადასვენებები  
ანუ ნადირობა  
დაიწყო...



და ავტოკატასტროფები.  
როგორ გავს უპირა  
საქართველო

„ჩემს პირად  
ცხოვრებას  
უხეუად  
შეახანე“



„ერთად გავრ დროს  
აბარებდნენ...“

ნაჩილი ციხიდან



„რომ შეგეძლოს,  
ვიტყუდი: დალა,  
მე დავბრუნდი!“

ვინ აბკინა გული  
იჩინა ონაუვილს


სად გაქრა გიორგი სააკაშის გიგანტური ხმალი





# "მის თინეიჯერი"

## გაფხულის სეზონი



**ბარისბილი კომპანია „ნაგოდანი“**

მის: ლესელიძის 53  
ტელ: 72 01 10

კონკურსი მის თინეიჯერი უკვე დაიწყო!

იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს, SMS ველში აკრიფეთ სასურველი კონკურსანტის კოდი და გააგზავნეთ ნომერზე: 8888.

„მის თინეიჯერის“ გაფხულის სეზონის გამარჯვებულს გადაეცემა:

**ორკაციანი ტურისტული საგზური ეგვიპტეში, შარმელში, 5 პარსკვლავიან სასტუმროში**

### + 20 ნომინაცია

პრიზების სამკაული საიუველიერო მაღაზია „დელოუსისგან“ კონტრაქტი სამოდილო სააგენტოსთან და სამახსოვრო საჩუქრები კონკურსის სპონსორებისგან

პროექტის პარტნიორები არიან ფოტოსტუდია „ალიადა“, სალონი „ნიცა დე ლუქა“ და ჟურნალი „პოპონდი“.

პროექტის საინფორმაციო მხარდაჭერა: გაზეთი „ვერის პალიტრა“, ჟურნალები „ზა“ და „რეიტინგი“, რადიო „პალიტრა“ FM 103.9, ინტერნეტ საიტი [www.ambebi.ge](http://www.ambebi.ge)

კონკურსანტთა ფოტოები და რეიტინგი იბეჭდება ჟურნალ „ოსტარში“ და განთავსებულია ინტერნეტპორტალზე:

[WWW.AMBEBI.GE](http://WWW.AMBEBI.GE)

კონკურსანტების სილაბაზე ზრუნავს სალონი „ნიცა დე ლუქა“ და სტილისტი ლუდა.

**დასმარა შენს რჩეულს გახლავარაფხულის სეზონს დაგვარჯვებულ!**



113 შიორა კოკია, 18 წელი

114 ნათია კახიანი, 18 წელი

115 შიორა კახიანი, 18 წელი

116 ლეა ლოია, 18 წელი



**უკრაინაში**

**ზე დათბობაზე უფრო მთავარია**

საქართველოში უკრაინის მთავრობის განცხადებით, უკრაინის მთავრობის განცხადებით, უკრაინის მთავრობის განცხადებით...



**მედიის**

საქართველოში უკრაინის მთავრობის განცხადებით, უკრაინის მთავრობის განცხადებით, უკრაინის მთავრობის განცხადებით...

მედიის ქალი

**მსგენილები**



„მედიის“ დიდი გზა ვახვალს — შიდა ომის ზმინის მამის მამისადგ



მედიის

**ლეიტორისტებისა და სააკაშვილის ქიმი ქაქის არქით**

„მე და პაატა ჯიბლაძემ მიხეილ სააკაშვილი ჭაჭის არქით ისე გამოვთვრეთ, ქალბატონი სანდრა რომ არ ჩარეულიყო და დასაძინებლად არ წაყვებნა, საქმე ცუდად იქნებოდა...“



**გათვთვების ზღვრულთან მისული მუნა პაპანაქა**



„ეს შეხვედრა ვაშინგტონში მოეწყო და მქონდა პატივი, მეც დავეწვრებოდი და ჯონ მაქკეინი პირადად გამეცნო.“

**მინიატიურები**  
ჩაქმიანი სამოვარი, „ნახვარი“ სერიალები და საგაზთომ „ნოუ-პაუ“ 5

**აღმონი**  
საპროტესტომ აქმიზაზე გატარებული 3 თვა და მოვაჭრების თვალთ დანახული რეალთა 6

**შეფუზი**  
თავისუფლებები ჩაქირული ზღვა და უსაქომ პატიმრები 7

**აქტუალური ინტერვიუ**  
„ლევანზე ხელი ვინ უნდა აღმართოს?!“ 9

**ქვეყანა**  
საქორტომ ზონა მამაში გურისტაგისთვის 11

**პოლიტიკა**  
„უნდა გავიზაროთ ის ხედა, რომელსაგ ოგაბა მთელ მსოფლიოს სთავაზოგს“ 13

**დაიჯუსტი** 14

**პერსონა**  
გომი თოგაქა გიუნესსაქმიანოგას უსქონთში იწყავს 15

**ერულიტი**  
„არ ვარ მუნდ, ვიღაცის კონტროლი ავიტანო...“ 18

**ტანდემი**  
ამერიკაში გარეშისორებული ხათუნა იოსელიანი და გათხოვების ზღვრულთან მისული მუნა პაპანაქა 20

**ოგანსი**  
ღარგვენს გაღარჩენილი ზურა ხანიქა და ხათუნა ქორღინის პროტესტი 22

**თვა**  
რას ფიქროგან გელაქურნაღისტაგზე მათი მოვავალი კოლგებე 25

**ნარგაგვა**  
გამარგვაგული ნორი მოგღარალი და გზა უქრინიღან ესანეთაგდა 27

**სახეული**  
მქურნალი ქალმანები, მუნაზე აგაგული ტაქარი და უფლის სახეული ოღინაქაში 28

**ანტიღარგუნაგნი** 30


**ღიმილი**  
მსანიოგებით დანეგებული რეშისორის ქარინრა... 30

**ფსიქოპროგრები**  
ღეიგორისტებისა და სააკაშვილის ქიმი ქაქის არქით და შაგვარაგვილის გომო გათხოვრად ღარჩენილი ქალბატონი 32

მევი კოგე ხელდახელ პირში ეცვა: — ვაპ! მამ ბოლოსაკენ ტკბილდები?! კენწეროში გატკბილდებისო, გამიგონია და ძირისაკენ გატკბილდება შენზედ გავიგე!

— ნეგა, შენ რაღა გალაპარაკებს! არც მწარე ხარ და არც ტკბილი. შენ საცა გინდა გიკბიროს კაცმა, ნახშირი და ნაცარი შარჩება გემოზე! — მოიგერია მწარემ.

*ერთი ვინზე ვაქოთანიძეი*





■ მოზიკა	34
■ ჯანმრთელობა	
✓ ღააველება და ფიზოთერაპია	36
✓ საინტერესო სიახლეები	37
■ ჟურნალი ჟურნალი	
✓ მსოფრთვე	39
✓ გზავენელები	55
■ სახელოსნო	
პატარა მოღველების ასრვებველი ომნება	71
■ უთოროების არეივიღან	
ქაქუხასა და „შაფიხულების“ ფხარველ თამაზაშვილთა გრავაღია	72
■ რომანი	
ვაქა გიგაშვილი. ერთი ვინება ყაფლანიშვილი (გაგრქაღება)	74
■ ბაიბ-აუბი	78
■ საკითხავი ქაღვიგისთვის	
✓ თუქი შარინი მამაქაქი	
თქვეთვის ქვირფასია	80
✓ სახეიღური საშუაღები ქანის ქვეგისთვის	81
■ საიწვერელო რომანი	
სვაბა ქვარახელია. ნითელი ფხსასხველი (გაგრქაღება)	82
■ შთამოქაღელო	
ქაღინ მონიწვერეღა, მგგრამ უწვერღღეღო პოქბი და სარისქო საშვერბი სეპართველქს თაქისუფღებაღა	86
■ ვარსქვეღები	
ურველო ვარსქვეღური ქორინეღები	88
■ სვეღრი	
ორგზის ღვენილი მრავალშვილიანი ოქანის ბქივილი	90
■ თინეიწვერელო აონეღები	
ყვეღაღა სასურველი სასიქო-საბებრქლოღები	92
■ ნემღვილი აგბავი	
პოღინგმგზვერბი ანუ რომორ გაღაქბა გზა ბრავქორმა პრობანის ნიშნაღ	92
■ გელღი	
შხხვეღრბი სბალითთან ფრავენეღები ვღღიღირ ქარპოვის ნიგნიღან „გენერალისიშვილი“ (გაგრქაღება)	96
■ ბაქარი	
რბქო მინენვენ ვებრე და ავეღ მოსიქულაღს მოსიქულთა თავებაღ	98
■ ასაარეღი	
„ვილიონერი“ ქართველის „ფრანე“ ავქომოღილით და ქინოქარინის დასაწყისი	100
■ რეპორბავი	
გამონიღს ნანხი სქოგია ანუ ღაშქრღბა ღამოღხის ნაქრქაღვი	101
■ ავქო	103
■ სქანეორღი	104
■ ასტროლოგია	105

**გარეკანეღა: ირბა ღვიარტაღიანის ქოღავი**

საქოგაღოქვბრბ-პოღიტიქოქური შურნაღი „გზა“  
გამოღის კვირავი მრთხელ, სუთვაბათოქიტი  
გაქვით „კვირის პაღიტირის“ ღამაქგბა  
ფურნაღი ხელმღღვენეღობს თაქისუფაღი პრესის პრინციპებით.  
რეღაქეღის აზრი შესაღღო არ ეთიწვეღღეს მასაღის აუქტორის აზრს.  
მთავარი რეღაქტორი: ზურბ აბაშიქე  
მთ. რეღაქტორის მოღღვიღები: ღალი ფაღია, ღიქა ქვეღია  
მენეჯერი: მთე კვიღაქე  
**მისამართი: თბიღისი, იოსებიღის ქ. №49**  
**ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com**  
**რეღაღამი „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.**

**ნეოქები – ქაღის  
სიღამეღის მბერი**



უნღა მიმართოთ სხვაღასხვა სამ-  
ქურნაღო საშუაღებაღს, ფიზიოთერაპი-  
ულ პროცეღღერებს, ნიღბებს. გარღა  
ამისა, უნღა ერიღოთ მოქლე ღროში  
გახღობას, ასევე ზეღმეღაღ გასუქებაღს,  
გაღაღღას, უღიღობას; შეღღებისღაღ-  
ვარაღ აარიღოთ თავე სტრესულ  
მღგომარეობას.

81

**ქაღინ მონიწვერეღა,  
მგგრამ უწვერღღეღო პოქბი**

„მამა ქაღინ მონიწვერეღა,  
მგგრამ არა – ყურაღღებიანი.  
ზოგჯერ ისიქ კი არ იცოღა, რო-  
მელ ქლასში ვსწავღობდი. უნი-  
ვერსიტიგეტი რომ ღავემთავერე ღა  
ასპირანტურაში ჩაბარება მოე-  
ინღომე, გაუქვირღა...“



86

**ორგზის ღვენილი მრავალშვილიანი  
ოქანის ბქივილი**



„ჩემს სახღში აფხაგები ცხოვ-  
რობენ. საერთოღ, აფხაგებს  
ქოღორის ხეობა ქაღინ უყვართ  
ღა იქ დასასვენებღაღ სშირად  
ჩაღინ. როგორც ვიცი, შარშან  
გაფხულს, ქოღორში დასასვენებ-  
ღაღ პუგინიქ ჩასულა“.

90

– გამარჯობა, ნანა, –  
თავეღჯერიღაღ შეხეღა მა-  
მაქაქი. მის ხმაში ცივემა  
ნოგებმა გაიქღერა, თუმცა  
ნანას ამისთვის ყურაღღე-  
ბა არ მიუქცეღია.

– შენი ნახეა მინღა, იქნებ  
გამონახო ღრო ღა ღაქს-  
ღეთ საღმე, – გაიღიმა  
ქაღმა ღა ჩაწიქწიქეღუ-  
ღი თეთრი კბიღები გა-  
მოაჩინა, – გავისხენოთ  
ქეღღი, ღამაში ღრო.

– ახღა ცოგათი ღაქავეღული ვარ, ნანა.  
ქაღმა ირიბაღ გახეღა ნიას.



**ნითაღი  
ფხსასხაღი**

82





# ვისი არსებნაა უფრო გრძელი?

**შესავლის ნაცვლად** დიდად „პროდუქტიული“ კვირამ გაიარა იმ ხუთშაბათიდან ამ ხუთშაბათამდე! როგორც „სერიოზული“, ასევე „არასერიოზული“ თვალსაზრისით — ანუ, როგორც პოლიტიკურად, ასევე „საპროვოკატოროდ“.

შინაური მთავარი კარგი ამბით დავიწყეთ: ჩვენმა მიზა-უფროსმა სასახლის მშენებლობა დაამთავრა და „ნოვოსელიაზე“ ბავშვები დაპატიჟა! აი, ბავშვებო, ბოლო ორი ათასი წელიწადია, ასეთი რამე ჩვენს ქვეყანაში არ აშენებულაო (ვითომ მანამდე ყოველ ხუთწლეულში შენდებოდა)! ხომ მაგარიაო! ხომ მოგწონთო! ბავშვები: დიიიას!!! (გააფრთხილეს, ყველაფერზე დაეთანხმეთ, თორემ ინერგიულებსო, თანაც, მართლა მოეწონათ და მართლა მაგარი ია).

ბოლოს ეზოში გამოიყვანა ბავშვები, სასახლის ფსაღზე გაკეთებული წარწერა — „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“ — დაანახვა და ჰკითხა: აბა, თუ გახსოვთ, „ვეფხისტყაოსნის“ რომელი თავიდან არის ეს აფორიზმიო? მაგრამ ბავშვებს არდადეგები ჰქონდათ და არ ახსოვდათ. — არა უშავს, მთავარია, რომ იცით, რომელი ნაწარმოებიდან არისო! — სულაც არ გაბრაზებულა, ამკარად კარგ ხასიათზე იყო! მერე ადგა და ანკარაში გაფრინდა — „ნაბუკოს“ ამბავში. რაც შეეხება რუსთაველის აფორიზმს და იმას, რომ „კეთილი — გრძელია“, ხოლო „ბოროტი — მოკლე“, ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ სძლევს კი ყოველთვის „გრძელი და კეთილი“ „მოკლეა და ბოროტი“?! ანდა, ვთქვათ, ორი-ორზე რომ „დასცნონ“ — აქეთ ორი „გრძელი და კეთილი“, იქით — ორი „მოკლე და ბოროტი“! გასაგებია, ხომ? ანუ: მიხეილ სააკაშვილი — ბარაქ ობამა და ვლადიმერ პუტინი — დემიტრი მედვედევი!!! დაველოდოთ ორი-სამი თვე და, მგონი, გამოჩნდება, ვისი „არსებაა გრძელი“!

ახლა იმ „მოკლეს“ რაც შეეხება (მედევედეს ვგულისხმობ): დღეიდან მის დანახვაზე ან ხსენებაზე, დეიდაჩემი მანანა გამახსენდება, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს ეს ძალიან ეწყინება! თუ რატომ გამიჩნდა ასეთი უცნაური ასოციაცია, ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

ჰოდა, ეს მანანა თუ მედევედევი, ჩავიდა „დიდი რვიანის“ სამიტზე, მინისტრისაგან დანგრეულ იტალიურ ქალაქ აკვილაში და ისე განიცადა ნანახი, რომ დარდის გასაქარვებლად, ღორივით დათვრა! ღორივით რა, ელცინივით... ბრუნევივით... ხრუშჩოვივით... მოკლედ, დათვრა ისე, როგორც მაგათი წესი და რიგია. სამაგიეროდ, „პანმელიაზე გამოვიდა“, როგორც ჩვენი წესი და რიგია! აბა, ჩემო მამაკაცო და ჯანმრთელო მკითხველო, წარმოიდგინე: კარგად, მამაპაპურად რომ იქეიფებ და გამოთვრები „ნავაროჩენი“ რესტორანში, ცოტას ვიღაცას აგინებ, ცოტას ჭურჭელს დაღუნავ, მერე მამაკაცები თან ძალით და თან ხვეწნით რომ ნაიყვანენ სახლში და დილას, თავგასიებული, „საპანმელიო დირკას“ რომ ეძებ... თანაც ისეთს, ვინმე გუმინდელი რომ არ გადაგეყაროს და არ შეგარცხვინოს... და სადმე, გლდანის ბოლოში ან „მეტროსტროში“ რომ მიდინხარ სახინკლეში (ვითომ იმიტომ, მაგარ ხაშს აკეთებენო!) — ზუსტი ანალოგია არ მოხდა? — დათვრა იტალიაში, სარკოზისა და ბერლუსკონის მოჰყავდათ „პოდრუჩკით“, დილას კი, თავგასიებული (ამ შემთხვევაში, „ნაბახუსეს“

ვგულისხმობ, თორემ სულ ეგეთი არ არის?!), „პანმელიაზე გამოსასვლელად“, ცხინვალში (ანუ, იტალიის პონტში — „მეტროსტროი“) წავიდა ლუდის დასალევად! ისე, მაგარი პატივი სცეს — გადმოვიდა თუ არა მანქანიდან, ეგრევე ხის დიდი ჯამით ატაკეს ახალმოხარული ლუდი და ზედაც, კოსტა გოგოს მიწოდებული ხაბიზგინი! ისე ესიამოვნა, რომ კოკოითს ხელი მანამ არ ჩამოართვა, სანამ კარგად არ გაინმინდა ქათქათა ხელსახოცით. არადა, მიშამ სულ „დაუბანელი“ უძახა — ასეა: ზოგს ვირი მოსწონს და ზოგს — ვირის პატრონის ცოლი თუ — „როგორც არის“...

**P.S.** ჰო, მედევედეს და დეიდაჩემ მანანას რაც შეეხება: ახალგაზრდობისას, სოფელში, ბიძაჩემის ბიბლიოთეკაში ქვეცისას, 20-იან წლებში გამოცემული ერთი პატარა ნიგნაკი მომხვდა ხელში, ასე ერქვა: „ასოციაციების ლაბირინთები“ — დიდად საინტერესო ნიგნაკი იყო, უნდა მოვძებნო ერთი; იქ ასეთი რამ ეწერა: ასოციაციურად, რალაც ლოგიკის მიხედვით, ისეთი ნივთები, პროცენტები ან მოვლენები შეიძლება დაუკავშირდნენ ერთმანეთს ადამიანის გონებაში, რომ თუ „შუალედურ რგოლებს“ ამოაცილი, ვერაფრით დააკავშირებ ერთმანეთთან. იქ მოყვანილ მაგალითებს აღარ გავიხსენებ, მედევედესა და დეიდაჩემზე კი მოგახსენებთ: მკითხველს, რომელიც 30 წელს გადასცდა (განსაკუთრებით, თბილისელებს), აუცილებლად ემასსოფრება თბილისის თოჯინების თეატრის სპექტაკლი „მანანა“ (მგონი, ახლაც აქვთ რეპერტუარში, მაგრამ მაშინ აბონემენტი და წელიწადში სამი სპექტაკლი აუცილებელი იყო). იქ იხვის ჭუქს მგელი თუ მელა ჭამდა და ბავშვებს უნდა გვეყვირა: „მანანა! მანანა! მანანა!“ (იხვის ჭუქი და მელა თუ მგელი — თოჯინები იყვნენ, მანანა — „ნამდვილი“) და მანანა მოდიოდა საშველად. მასწავლებელი კი გამჭოლი მზერით ზეერავდა ჩვენს რიგებს, — ხომ ყველა ყვიროსო! ზუსტად ეს „მანანა, მანანა“ გამახსენდა, მედევედესთვის ცხინვალში რომ აძახებინეს ხალხს: „სპასიბო! სპასიბო! სპასიბო!“ — და „მასწავლებელიც“, ჩემი მასწავლებლის თვალებით იყურებოდა (ვერ იცნობდა თითოეულ მოყვირალს თუ რა?! ეგეც ჩინეთის პრეზიდენტი არ იყოს). ა, ბატონო, ესეც ასოციაცია: აწი მედევედესის ხსენებისას ის „სპასიბო! სპასიბო!“ წარმომიდგება თვალწინ (იმ ნიგნაკში ეწერა — წინააღმდეგობას აზრი არ აქვს, ქვეცნობიერს ვერ უბრძანებო), მერე — „მანანა! მანანა!“; მანანას ხსენებაზე კი ყოველთვის დეიდაჩემი მახსენდება, როგორც ჩემი „უახლოესი მანანა“ — ესეც ჯაჭვი; და თუ „შუალედურ რგოლებს“ ამოვყრიოთ, დარჩება: მედევედევი — დეიდაჩემი მანანა.

**P.P.S.** სულ-სულ ძველი ანეკდოტია, ასოციაციების „შექმნები“ რომ იყო მოდაში: მისოს ეკითხებიან: — მისო, ასოციაცია იცი, რა არის? — ასო ვიცი და „ცია“ და „ცია“ რაც იქნება, ვხვდები.

ჰოდა, დრო გვიჩვენებს, ვისი „არსებაა“ უფრო გრძელი, ვისი „ციაცია“ აჯობებს და ვისი „ნაბუკო“ უფრო ღრმად გაივლის.

**პროვოკატორი**



# ნაქერალას ტრაგედია

## და ავტოკატასტროფები, რომლებსაც შიშველი საქართველო

ნაქერალას უღელტეხილზე მომხდარი კატასტროფის დროს დაძმა გიორგი და მერი გოგლიძეები სასწაულებრივად გადარჩნენ. სამგზავრო ავტობუსი, რომელსაც შაორის ტბასთან განლაგებულ პატრიოტთა ბანაკში მოზარდები მიჰყავდა, 40 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა. ავტობუსში მყოფი ოცდასული მოზარდიდან ორი — დავით პირველი და ნათია ჩხეიძე ადგილზევე დაიღუპნენ, ხატია კავთიაშვილი კი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. მას ქუთაისის, ინტერვენციული მედიცინის ცენტრში ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა, მაგრამ სხვა მრავალი ტრავმის გამო, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.



### ხათუნა ბახტურიძე ლალი კაკასკირი

ოპერაცია ქუთაისში კიდევ ორ მოზარდს გაუკეთდა და მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ქუთაისის საავადმყოფოდან ოცი მოზარდი თბილისში, ლუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს. თორმეტი მათგანი ამჟამად ჰოსპიტალიზებულია, ცხრა კი უვნებლადაა გადარჩენილი. სანამ საავადმყოფოდან განერდნენ, მათ მოსაზრებლად, ფოტორეპორტიორთან ერთად იქ მივიდით. დაცვის თანამშრომელმა უმალ გაგვაფრთხილა: ბავშვები შოკში არიან, ბევრი მათგანი აგრესიულია და ნახვას არ გირჩევთ. ამ დროს, ყური მოკვარი ერთ-ერთი მშობლის ლაპარაკს, რომელიც ამბობდა, რომ მისი შვილები, ღვთის წყალობით, სასწაულებრივად გადარჩნენ. აღმოჩნდა, ქალბატონი — დაძმა გოგლიძეების დედა იყო. მალე რენტგენის კაბინეტიდან მისი შვილებიც გამოვიდნენ, რომლებიც, ბუნებრივია, დამნუხრებულები იყვნენ, მაგრამ აგრესიულობა არ გამოუჩენიათ და გასაუბრებაზეც დამთანხმდნენ.

— გიორგი, მერი, როგორ ხართ?

**გიორგი:**

— სიმართლე რომ გითხრათ, ჯერ კიდევ გოგნებული ვარ...

**მერი:**

— თვალწინ ისევ დაპრესილი ავტობუსი, ფეხმოტეხილი გოგონა და გარდაცვლილი ბიჭი მიდგას. საშინელი სურათი იყო. არ ვიცი, ამ ყველაფერს ოდესმე თუ დავივიწყებ.

— რამის გახსენება თუ შეგიძლიათ?

**გიორგი:**

— ფეხზე ვიდექი, ხელი სახელურზე მეკიდა. ვიგრძენი, რომ ავტობუსი რალაცაზე შესტა. მერე ყველაფერი აყირავდა... ჰაერში ალბათ

სუთჯერ მაინც ამობრუნდა. მე სახელურისთვის ხელი არ გამიშვია; რომ დავვარდით, ისევ იმ რკინას ვიყავი ჩაბლაჭებული.

**მერი:**

— მე სკამზე ვიჯექი. ვიგრძენი, რომ ავტობუსი სადღაც ვარდებოდა... გაოგნებისგან, არ გავნძრეულვარ; როგორც ვიჯექი ავტობუსის დაცემამდე, იმ პოზაშივე დავრჩი. ერთადერთი ის გავიფიქრე, — რაიმე რომ მომივიდეს, სახე მაინც გადამირჩეს-მეთქი! — და ხელები ავიფარე. ვგრძნობდი, როგორ ვტრიალებდით ჰაერში... ავტობუსი რომ დავარდა, მიმოვიხედე და საშინელება დავინახე: ჩემ გარშემო დამტვრეულები, დასახიჩრებულები და მიცვალებულები ეყარნენ. გაოგნდი. მერე ყვირილმა გამომაფხიზლა, ვილაც გაიძახოდა — დროზე გადმოდით, ავტობუსი არ აფეთქდესო!

— თქვენ გვერდით ვინც იჯდა, ის გადარჩა?

— ის ჩემი მეგობარია; გადარჩა, მაგრამ ცუდად არის... ახლა ფეხზე ოპერაციას უკეთებენ.

— თქვენ სრულიად უვნებელი ხართ?

— დაუფიქრობები მაქვს, მაგრამ ექიმმა მითხრა, — არაფერია, გაგივლისო.

**გიორგი:**

— ცოტა ზურგი მტკივა. ჰაერში რომ ვტრიალებდით, რამდენჯერმე რალაცას მივხეთქეთ და ვცდილობდი, ზურგით დავცემულიყავი.

— ე.ი. გონება არც ერთი წამით არ დაგიკარგავთ...

**გიორგი:**

— გოგნა ერთი წამითაც არ დამიკარგავს. გულში ათასი რამე გავიფიქრე. ჩემდა უნებურად, ლოცვა წავიკითხე და ვიგრძენი, რომ ძალა მომემატა... მერე, ავტობუსი მიწაზე რომ დავარდა, უცებ გადმოვხტით;

ვცდილობდით, ერთმანეთს დავხმარებოდით. მაშველების მოსვლამდე, დაშავებულები თავადვე გადმოგვყავდა დაჭეჭილი ავტობუსიდან.

**მერი:**

— გონება არც მე დამიკარგავს, უბრალოდ, გაოგნებული ვიყავი.

— მაშველები მალე მოვიდნენ?

**გიორგი:**

— სხვათა შორის, კი, ძალიან მალე მოვიდნენ.

— როგორ ფიქრობთ — ავარიის მიზეზი გადამეტებული სიჩქარე ხომ არ იყო?

**გიორგი:**

— არა, ჩქარა არ დადიოდა. არ ვიცი, რა მოხდა. ალბათ იმ გზებზე არ იყო ნასიარულები და გამოცდილება არ ჰქონდა. როგორც გავიგე, დაუჭერიათ და თორმეტ თუ თხუთმეტწლიანი პატიმრობა ემუქრება.

საუბედუროდ, ბოლო წლებში არაერთი შემთხვევა მომხდარა, როცა შემზარავი ავტოკატასტროფის შედეგად, ერთდროულად რამდენიმე ადამიანი, მათ შორის — ახალგაზრდები დაეკარგეთ. ერთ-ერთი ასეთი ტრაგედია შარშანწინ, შემოდგომის მიწურულს მოხდა. ნაქერალას ტრაგედია ამ ის სტუდენტი მედიკოსები გაგვახსენა, რომლებიც მაშინ ასევე დაიღუპნენ: 30 ნოემბერს გორიდან თბილისში მომავალი „ფორდის“ მიკროავტობუსი, რომელშიც 10 ადამიანი იმყოფებოდა, სოფელ ჩარდახთან ბეტონის ჯებირს შეეჯახა. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ მანქანა ამოტრიალდა, მერე, გაზის გაჟონვის შედეგად, მას ცეცხლი გაუჩნდა და უმოკლეს დროში, მთლიანად დაინვა. მხოლოდ მძლოლი და ერთი მგზავრი გადარჩნენ, ხოლო რვა ახალგაზრდა — თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნა-



ლო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტები — დაილუპა. „გზის“ კორესპონდენტთან საუბრისას, მათი ჯგუფელები თითოეულს უდიდესი სიყვარულითა და ტკივილით იხსენებდნენ.

**მანა ძაბაშვილი:**

— პირველი კურსიდანვე ჩანდა, რომ გამორჩეული და განსაკუთრებული ახალგაზრდები იყვნენ. დღეს ვამბობდით: ისე იყვნენ ერთმანეთთან შესისხლხორცებულები, რომ ეს ქვეყანაც ერთად დატოვესო... ისიც სიმბოლური იყო, რომ ახალგაზრდები წარმოშობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ: „ეთუნა ოზურგეთელი იყო. მისი ოჯახი ოთხი წელია, რაც თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ნანუკა სიხარულიძე და თამუნა სოლომონიძე ბათუმელები იყვნენ, ვანო რიკაძე — ახალდაბული, ნინო რაზმაძე კი — თელაველი. რუსთავეში გადაასვენეს ბექა და დალი. თბილისში მხოლოდ ეთუნა და ხათუნა ჰყავთ დასვენებული...“

გადარჩენილი, ნოდარ ჩაკვეტაძის მონაყოლი მაშინ მისმა ჯგუფელმა ეკა პაჭკორიამ გადმოგვცა: „ნოდარი უკან მჯდარა, აქამდე გვეგონა, რომ ის მძღოლის წინ იჯდა. მაგრამ წინ ბექა სინაურიძე და ეთუნა ჟღერტი მსხდარან. დღეს ნოდარმა ბიჭებთან ასეთი რამ თქვა: ბორდიურს შევეჯახეთ და „მარშრუტკა“ ამობრუნდა; სხვა აღარაფერი მახსოვს; გონზე რომ მოვედი, შუაში ფანჯარასთან ვეგდე, გამოვამტვრიე და გამოვძვერი, წინ და უკან სკამებს ცეცხლი ეკიდა; წივილი და კივილი არ ისმოდა; ყველანი გათიშულები იყვნენ; ბექა მაშინვე მოკვდა, მას თავი ჰქონდა გახეთქილი... ნოდარი ცდილობდა, თამუნა გამოეთრია, მაგრამ ხელი ისე ჰქონია ჩაჭედილი, ვერ შეძლო. ამ დროს მიკროავტობუსი აფეთქებულა კიდეც... მძღოლი დაკავებულა. ის დიღომში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს, ჭკუიდან ყოფილა გადასული“...

დალუპულ ახალგაზრდებს შორის ერთ-ერთი — დალი ბრეგაძე — ცოტა ხანში დედა უნდა გამხდარიყო. რო-

გორც მისი ჯგუფელი თიკო ნასრაშვილი იგონებდა, „დალი ფერიასავით იყო — კი არ დადიოდა, დანარნარებდა... ორი წლის წინ გათხოვდა. დღეს გავიგეთ, რომ ფეხმძიმედ იყო და მალე დედა გახდებოდა. მისმა ქმარმა ცოლიც დაკარგა და შეილიც...“

ახალგაზრდებმა ერთი საოცარი ფაქტის შესახებაც გვაუწყეს:

„ანი: — ეთუნას ყელზე ეკიდა ხოლმე ხის ჯვარი, რომელსაც არასდროს იხსნიდა. კვარიათში რომ ვისვენებდით, შევნიშე, წყალში ჯვრით ჩადიოდა. ამიხსნა: მეშინია, რომ მოვიხსნა, მე ხომ ეს ჯვარი ყველგან და ყოველთვის მიცავს, ცუდისგან მიფარავსო... გუშინ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, ეს ხის ჯვარი იპოვეს. ძაფიც კი არ დამწვარა. დედამისს მოუტანეს. სხვა ხის ჯვარც იპოვეს და ბექედი წარწერით: „უფალო შემინყალე“...“

...2006 წლის 30 აგვისტო. დასავლეთიდან დედაქალაქისკენ მომავალ სამარშრუტო ტაქსიში რამდენიმე დღის შეუღლებული წყვილი მგზავრობდა. იმ საბედისწერო დღეს, სრულიად ახალგაზრდა გოგო ქვრივი გახდა. ჩვენმა რესპონდენტმა კი უსაყვარლესი ძმა დაკარგა...  
**მანა ჯოჯუა, 30 წლის:**

— ჩემი ძმა სულ რამდენიმე დღეში 28 წლის ხდებოდა და დაბადების დღისთვის თადარიგის დასაჭერად, თბილისში ჩამოდიოდა, ოჯახის შექმნაზე ფიქრობდა და გეგმებს აწყობდა. წალენჯიხაში, ძმაკაცთან დასასვენებლად იყო წასული. იქიდან წამოსულმა, ზუგდიდში დედაჩემს გამოუარა და თბილისი-ზუგდიდის სამარშრუტო ტაქსით წამოვიდა... გზაში დედა წარამარა ურეკავდა თურმე, ეკითხებოდა: რა ადგილას ხართ? ჩქარა ხომ არ მიდის „მარშრუტ-

კაო“?.. მერე მეც დავურეკე რამდენჯერმე; მესიჯებსაც მწერდა. იმ დღის შემდეგ დიდხანს ვინახავდი მის უკანასკნელ „ესემესებს“... როგორც შემდეგ მგზავრები ჰყვებოდნენ, მძღოლს თბილისიდან ახლობელმა დაურეკა და სთხოვა, — ეცადე, ჩქარა ჩამოხვიდე, ბათუმში „რეისი“ გაქვს მოსასწრებიო. გადარჩენილების თქმით, ამ ზარის შემდეგ, მძღოლმა სიჩქარეს უმატა, ლამის მიფრინავდაო; სამჯერ გადაუსწრია წინ მიმავალი მანქანებისთვის. მგზავრებს უთხოვიათ კიდეც, — ცოტა შეანელო... ზესტაფონში, რიკოთის უღელტეხილ-



ეთუნა და დალი

ამდე მდებარე ერთ-ერთ სოფელთან კი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, საჭე ველარ დაიმორჩილა და ამოტრიალდა. გიას სხეულზე არანაირი დაჟეჟილობა არ ეტყობოდა, კისრის ფუძე ჰქონდა მოტეხილი და ადგილზევე გარდაცვლილიყო. ამიტომ პირდაპირ ქუთაისის მორგში გადაუსვენებიათ... მაშინ ისეთ დეპრესიაში ვიყავი, აღარც მახსოვს, რამდენი ადამიანი დაშავდა, მაგრამ მესსიერებაში დამრჩა კიდეც ერთი, 21 წლის ბიჭი, გვარად ჯაფარიძე, რომელიც ასევე ადგილზე გარდაიცვალა. ცოლი სულ რამდენიმე დღის მოყვანილი ჰყავდა თურმე. ქორწილისთვის ემზადებოდნენ და თბილისში საყიდლებზე მოდიოდნენ. საბედ-

„ახალი დროით“  
13:30  
თიკო ნასრაშვილი  
სთავარი ზოლიბიჩაჩი მოვლენაში  
კითხვები და პასუხები  
FM 103.9  
საუბრო პალიტრა



ნიეროდ, მისი მეუღლე გადარჩა... ამ უბედური შემთხვევიდან ერთ კვირაში, იმ ბიჭის მამაც გარდაიცვალა. მისგან განსხვავებით, ცოტა მეტხანს

ლამდე რამდენიმე დღით ადრე ვნახე, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ეს მოხდებოდა... 38 ქართველი სტამბოლიდან თბილისში, კომპანია „მაკ-მუდ ტურის“ კუთვნილი ავტობუსით ბრუნდებოდა. საქართველოს საზღვრიდან 40 კილომეტრში, არხავთან გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამოტრიალდა. ჩემს დისშვილთან ერთად ადგილზე კიდევ სამი ადამიანი — ბახტურიძე, ნიკლაური და ასკეროვა — დაიღუპა... ჩვენ სამივეს გასვენებაში ვიყავით.



მერე, გაზის გაჟონვის შედეგად, მას ცეცხლი გაუჩნდა და უმოკლეს დროში, მთლიანად დაიწვა

— აზა, ავარიის მიზეზად რას ასახელებდნენ?

— ვერ გეტყვით, დაზუსტებული ინფორმაცია არც მე მაქვს, მაგრამ

იცოცხლა მამაჩემმა, მაგრამ ისიც გიას დარდმა გადაიყოლა.

— ეკა, მძღოლის შესახებ რა იცით?

— როგორც ვიცი, იმ ბიჭის — ჯაფარიძის ჭირისუფალს სისხლის აღება უნდოდა; გიას დაკრძალვის შემდეგ, ჩვენთანაც მოვიდნენ, მაგრამ მხარი არ დავუჭირეთ... მას მ წელი მიუსაჯეს. პატიმრობაში მყოფმა, ცხიდან წერილი გამოგვიგზავნა. მე ვერ შევძელი მისი წაკითხვა, დედაჩემმა წაკითხა და მომიყვა, რასაც გვწერდა: აქ თუ გარეთ, ჩემი ცხოვრება ერთნაირად უბედური იქნება; პატიებას ვერ გთხოვთ, მაგრამ ის, რაც მოხდა, მთლად ჩემი ბრალიც არ იყო და შემთხვევით... ძნელია, შეიბრალო ადამიანი, რომელმაც თავისი დაუფიქრებლობით, საყვარელი ადამიანის სიცოცხლე წაგართვა...

გრამ მახსოვს, რომ მაშინ მიზეზად, ავტობუსის გაუმართაობა დაასახელეს, თუმცა მგზავრები ამბობდნენ, მძღოლი გადაჭარბებული სიჩქარით მოდიოდა... ან რაღა მნიშვნელობა აქვს?! ოთხი ადამიანის სიცოცხლე კი შეინირა. შემდეგ ეს თურქული კომპანია რაღაც ფულად კომპენსაციაზეც ლაპარაკობდა, მაგრამ არ ვიცი, ეს თანხა როგორ უნდა მოეხმარა ოჯახს...

საქართველოში დიდხანს ემახსოვრებათ აგრეთვე, 2006 წლის აგვისტოში, ასევე თურქეთში, ქალაქ სამსუნში მომხდარი საშინელი ავტოკატასტროფა, რომელმაც რამდენიმე ადამიანის, მათ შორის, ახალგაზრდა გოგონას — 20 წლის მარიამ კრავეიშვილის სიცოცხლე შეინირა, ხოლო მცირეწლოვანი გოგონა — მ წლის ცი-

ცია ყალბაგაშვილი დაახეიბრა.

ერთ-ერთი დაზარალებულის, ალექსი გიგაურის ბიძამ, იური გიგაურმა „გზის“ უურნალისტს მაშინ ასე ალუწნერა მომხდარი: „წინ შემხვედრი მანქანა სწრაფად მოდიოდა, თან, ისეთი მიმართულებით, რომ ავტობუსის მძღოლს მისთვის რომ არ აერიდებინა, აუცილებლად ზედ გადაუვლიდა. ამიტომ, მძღოლმა საჭე დაატრიალა და სწორედ ამ დროს მოცურდა ავტობუსი. მის გვერდით მეორე, თურქი მძღოლი იყო ჩაძინებული. მანვერირების დროს, მან გამოიღვიძა, ალბათ აზრზე ვერ მოვიდა, თუ რა ხდებოდა და საჭეს ჩაველო ხელი — ვითომ უნდა დახმარებოდა, მაგრამ სინამდვილეში, ხელი შეუშალა. ის რომ საჭეს დაეჯახებოდა, სწორედ იმ მომენტში ამობრუნდა ავტობუსი“.

ციციას ბებიის, დოდო ყალბაგაშვილის მონათხრობიდან: „ანტალიაში იყვნენ წასულები. ბავშვების ბებია ცხოვრობს იქ და მასთან ჩავ-



ნასიამოვნები მოდიოდნენ იქიდან და ამ სიამოვნებას დიდი სიმწარე და უბედურება მოჰყვა

შარშან დეკემბერში, თურქეთიდან საქართველოში მომავალმა ავტობუსმა ავარია განიცადა, რომლის შედეგადაც, ოთხი ადამიანი დაიღუპა. მათ შორის, ახალგაზრდა კაცი, 3 შვილის მამა, ვაგიფ ისმაილოვიც იყო. მისი დეიდა, აზა რაზმაილოვა ახლა ამ ტრაგედიას ასე იხსენებს:

— ვაგიფ ისმაილოვი ჩემი დისშვილი იყო... 2008 წლის 8 დეკემბერს თურქეთში პირველად არ იმყოფებოდა; ხშირად დადიოდა, რაღაცები ჩამოჰქონდა, ოჯახი რომ ერჩინა. რუსთავეში ცხოვრობდა და სამი შვილი ჰყავდა, დღეს და ღამეს ასწორებდა, ოჯახისთვის რომ არაფერი მოეკლო. წასვ-



საქართველოში დიდხანს ემახსოვრებათ აგრეთვე, 2006 წლის აგვისტოში, ასევე თურქეთში, ქალაქ სამსუნში მომხდარი საშინელი ავტოკატასტროფა

იდნენ სტუმრად. ერთი თვის განმავლობაში ისვენებდნენ იქ. გიორგის უნდოდა, რომ ერთი დღე კიდევ დარჩენილიყვნენ, მაგრამ ციციოს ძალიან ნდომებია წამოსვლა, მამა მენატრებოდა, — უთქვამს და იმ დღეს წამოვიდნენ. ამ ავტობუსმა შემთხვევით ჩამოიარა და გამოჰყვნენ. გიორგი ცალკე მჯდარა, ნონა — მათი დედა და ციციო კი ერთად მსხდარან, მარჯვენა მხარეს. ნასიამოვნები მოდიოდნენ იქიდან და ამ სიამოვნებას დიდი სიმწარე და უბედურება მოჰყვა. მტერსაც არ ვუსურვებ ასეთ რამეს“...

P.S. „გზის“ რედაქცია თანაუგრძნობს ნაქერალასთან მომხდარი ავტოკატასტროფის მსხვერპლთა ოჯახებს და შესთხოვს უფალს, რომ აღარასოდეს გაგვხდეთ მსგავსი საშინელების მომსწრენი.



უდავოა, რომ ქართველებმა განსაკუთრებული სიყვარული ვიცით... 9 აგვისტოს, მაშინ, როცა რუსეთის საჰაერო მოიერიშეები ქართულ ცას ლაშქრავდნენ და პანიკაში მყოფი ხალხი შიდა ქართლს ტოვებდა, გიგა ბუბუტიევილი მაყართან ერთად, ცხინვალისკენ მიდიოდა. ქალაქიდან სულ რამდენიმე კილომეტრში მდებარე ქართულ სოფელ ძევერაში 300-კაციანი ქორწილი უნდა გამართულიყო, თუმცა მხოლოდ 30-მდე ადამიანი დაესწრო... ძევერელი ბუხრაძეების სიძე დაუფინყარი ქორწილის დეტალებზე ახლა იუმორით ჰყვება, თუმცა იმასაც ამბობს, რომ იმ დღეს ნერვიულობისგან რამდენიმე წლის სიცოცხლე დააკლდა...

ლალი პაპასკირი

— ჩემს მეუღლეს, მაკა ბუხრაძეს ბავშვობიდან ვიცნობდი. ჩემს მეზობლად დეიდა ჰყავს და ბავშვობაში ჩამოდიოდა, მერე რამდენიმე წელი საერთოდ, აღარ გამოჩენილა. 2007 წლის აღდგომას იყო ჩამოსული ვანში. ძალიან მომეწონა, მერე შევხვდით კიდევ, ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და ძალიან ხშირად ვუკავშირდებოდით ერთმანეთს, ვურეკავდით, ვემესიჯებოდით. რამდენიმე თვეში შევუღლდით და ოჯახებმა ქორწილის თადარიგიც დაიჭირეს. გადამწყვიტეს, აგვისტოს პირველ რიცხვებში დაგვემთხვია.

— ომის საშიშროებაზე ლაპარაკი არ იყო ალბათ...

— არა, მაშინ ამაზე არავინ ფიქრობდა. 7 აგვისტოს კი ომი დაიწყო. ჩემი მეუღლის სოფელი ძევერა, ცხინვალის სულ რაღაც 12 კილომეტრშია და რეალურად, საფრთხე არსებობდა, მაგრამ ცოლის ნათესავებთან რომ ვრეკავდი, მეუბნებოდნენ, აქ არაფერი ხდება, სინყნარეაო...

— როგორც მითხარით, იმ სოფლიდან ცხინვალი ახლოს არის, აფეთქებების ხმა არ ესმოდათ?

— როგორ არა?! ესმოდათ, მაგრამ ფიქრობდნენ, — ჩვენი შეიარაღებული ძალები უნევენ წინააღმდეგობასო. ჩვენ ასე გვიტხრეს, — ეს ჩვენი ბიჭების შეტევების ხმა ისმის, მტრის ტყვია აქამდე ვერ მოაღწევსო. ხალხი რალაცნაირად, იმედინად იყო განწყობილი, შიში არავის ეტყობოდა და მეც არხეინად ვიყავი... ყველას ისეთი განწყობილება გვექონდა, რომ ჩვენები გამარჯვებდნენ, მით უმეტეს, ცხინვალისად კარგი ინფორმაციები მოგვდიოდა.

— ვისგან?

— ჩემი ძმა და ცოლისძმა — ორივე სავალდებულო სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ. ბიჭები იმასაც მეუბნებოდნენ, შენი ქორწილი ჩვენი გამარჯვებისა იქნებაო... როგორც წესი, სამზადისის დანყება, დასაპატიჟებელი ხალხის სიის შედგენა, საჭირო პროდუქტის ჩამოწერა და სხვა

„9 აგვისტოს, როცა ხალხი გორიდან გამოგზავნა, მე მაყართან ერთად, ცხინვალისკენ მივდიოდი“



საორგანიზაციო საკითხებზე ზრუნვა ერთი კვირით ადრე ხდება და 7 აგვისტოს უკვე ყველაფერი მოგვარებული იყო. ამიტომაც არ გვიფიქრია ქორწილის გადადებაზე.

— 8 აგვისტოს ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა უკან დახვევის ბრძანება მიიღეს...

— დიას, მაგრამ ჩვენ ეს ინფორმაცია არ გვექონდა... 9 აგვისტოს რუსული თვითმფრინავები უკვე საჰაერო იერიშებზე იყვნენ გადმოსული, ამ დროს კი მე, მაყრის თანხლებით, გორში შევდიოდი. ძალიან მძიმე სურათი დაგვხვდა: ქალაქი ახალი დაბომბილი იყო, იქაურობა კვამლსა და ცეცხლის ალში იყო გახვეული; ხიდიც ჩანგრეული დაგვხვდა. პანიკაში ჩავარდნილი ხალხი იქიდან გამოიბოდა, ჩვენ კი გორში შევდიოდით. კიდევ კარგი, მანქანა საქორწილოდ არ იყო მორთული, ხალხი ისედაც გაცხებული გვიყურებდა, მე მგონი, გიჟები ვეგონეთ... ამ არეულობაში მაყარიც დავკარგე. ისინი „მარშრუტით“ იყვნენ, ჩვენ მსუბუქი მანქანით მოვდიოდით და გავასწარით. მობილური კავშირი არ მუშაობდა... ამ დროს რუსულმა თვითმფრინავებმა კიდევ ერთხელ შემოუარეს გორს. ჩვენ გარშემო ჭურვები ცვიოდა და ფეთქებოდა. სატანკო ბატალიონი დაბომბეს, სტადიონის თავზე ბომბები ჩამოყარეს, არც სტადიონის სახლ-მუხეუმი დაინდვეს. ჩვენ თვალწინ კასეტური ბომბები იყრებოდა, ჩვენ კი მაყრის ძებნაში, ქალაქს უკვე მერამდენე წრეს ვურტყამდით... ყველა გარბო-

და, ხალხი მანქანებით, ფეხით და ცხენებითაც მოდიოდა, ჩვენ კი მაინც შეუპოვრად მივიწვევით ცხინვალისკენ...

— გამოქვეულები არაფერს გეუბნებოდნენ?

— თქმით, არაფერი უთქვამთ, ასხნა-განმარტების თავი არავის ჰქონდა, თავისი გასჭირვებოდათ, მაგრამ გაცხებული კი გვიყურებდნენ... მერე ჯარის ერთ-ერთი ქვედანაყოფიც შეგხვდა...

— ამ დროს პატარძალი სად იყო?

— მე სახლში მეგულებოდა, ის კი გორში, სილამაზის სალონში ყოფილა და ვარცხნილობას იკეთებდა.

— ამ დროს გორში სილამაზის სალონი მუშაობდა?

— დიას, ასე იყო. ხომ გეუბნებით — 9-ში დილით ცხინვალში ჯერ კიდევ იყვნენ ქართული შეიარაღებული ძალები და იქაურობის რალაც ნაწილს აკონტროლებდნენ...

— მაყარი როგორ იპოვეთ?

— დიდი წვალეების შემდეგ, როგორც ვივარდნილი. ისინი, ასევე ძალიან შეშინებულიები, ჩვენ გვეძებდნენ, მაგრამ ამაოდ... ახლა კი იუმორით ვყვები ამ ამბავს, მაგრამ მაშინ რამდენიმე წლის სიცოცხლე მომაკლდა.

— ძევერაში მისულეს როგორი ვითარება დაგვხდათ?

— იქ დაახლოებით დღის ორის ნახევარზე მივედით და სულ სხვაგვარი ვითარება დამხვდა: თუ დილას გამარჯვებული განწყობილება ჰქონდათ, რუსული თვითმფრინავების გამოჩენამ ხალხში პანიკა გამოიწვია. სოფელი თითქმის დაცარიელებული იყო, სიმამრის სახლიდან სულ რაღაც 150 მეტრში ბომბდამშენი იყო ჩამოვარდნილი. ჩვენი მისვლის შემდეგ, კიდევ ორი 500-კილოგრამიანი ბომბი აფეთქდა... სუფრა 300 კაცზე იყო გაშლილი, მაგრამ 30-მდე ადამიანი ქსნებოდა, ისიც — ოჯახ-

ვამზადებთ დაჯავშნილ კარებს, ტყვიაგამტარ მინებს, ხონჩას სავალუტო ჟინურებისთვის, რეინის დამცავ ფარდა-ქალუხებს, სეიფებს, ყოველგვარ რეინის ნაკეთობას. შპს „გლოზუსი-2“ ა. წერეთლის პროსპ. № 141 ტელ. 34-49-27; 8(71)41-74-33



ისტვის ყველაზე ახლობელი ადამიანები. აფეთქების წნევას ჭურჭლის ნაწილი დაემსხვრია, სადღეგრძელოები თავნატარად, ნახევარი ჭიქებით ისმებოდა...

**— ეი, რამდენიმე სადღეგრძელო მაინც ითქვა?**

— კი, ასეა თუ ისე, მაინც ქორნილი იყო და ხომ უნდა დაველოცეთ?! ქეიფის თავი ვის ჰქონდა? სუფრასთან არც კი დაემსხვარვართ, მაგრამ სამი თუ ოთხი ჭიქა მაინც ავნიეთ. თამადად მშვიდობის სადღეგრძელო სროლების ხმაზე წარმოთქვა და ისურვა, — ნეტავ, აქედან უვნებლად გავიდეთო!.. ერთი სიტყვით, სულ რაღაც ნახევარი საათი დავყავით ძველში და ამ ხნის განმავლობაში ინტენსიური სროლები არ შეწყვეტილა.

**— გიგა, მას შემდეგ ალბათ ხშირად გიფიქრიათ — რატომ გავრისკეთ?..**

— იცით, სხვა გზა მართლა არ მქონდა: რა მექნა, ცოლი იქით მყავდა და რომ არ წამომეყვანა, — „დაუკარით, უპატარძლო ქორნილია“ მექნებოდა, — ამიტომ ვარჩიე, ჩავსულიყავი და წამომეყვანა.

**— უკან გამოვლისას პრობლემა არ შეგქმნიათ?**

— არა, გზები გახსნილი იყო და უკან მშვიდობით გამოვედი. მაგრამ სიდედრ-სიმაში არ გამოსულა — სახლი არ მიატოვეს; დანარჩენები წამოვიყვანე, და-ძმის გარდა. პატარძლის 10-მდე მყარი სახლი მყავდა მთელი თვე. რუსები რომ შემოვიდნენ, გზები ჩაიკეტა და უკან ვეღარ დაბრუნდნენ. ჩემს ცოლს ვესუმრებოდი — რა მდიდარი ცოლი შემხვდა-მეთქი!

**— რუსი სამხედროები მეუღლის სოფელში შევიდნენ?**

— კი, იყვნენ შესული, მაგრამ ჩემი სიამარის ოჯახში არ მისულან... როგორც შემდეგ გვითხრეს, ჩვენი ქორნილისთვის



წილი ჰქონდათ შენს მშობლებს-თქო...

**— ომის შემდეგ თუ იყავით მეუღლის სოფელში?**

— კი, ჩემი არაჩვეულებრივი ქორნილის დღიდან 10 დღის შემდეგ ჩავედი ცოლისძმასთან ერთად, მაინტერესებდა, სიდედრ-სიმაში როგორ იყო, სახლი იდგა თუ არა. კარალეთში რუსების ბლოკპოსტი იყო გახსნილი, თუმცა არანაირი პრობლემა არ შეუქმნიათ, მხოლოდ პირადობის მოწმობები შეგვიმოწმეს და შეგვიშვეს.

**— ახლა იმ ფილმზეც შეგჩერდეთ, რომელსაც ზაზა კოლელიშვილი იღებს...**

— ჩვენს უცნაურ და რისკიან ქორნილზე ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა წერილი, სადაც ჩემი მეუღლის მშობლები მომხდარის შესახებ ჰყვებოდნენ; როგორც ჩანს, ეს წერილი ზაზა კოლელიშვილს წაუკითხავს და ფილმის გადაღება გადაუწყვეტია. თუ არ ვცდები, სცენარი იგივეა, ოღონდ რაღაც დეტალები შეცვალა.

**— თქვენ თუ დაგიაგვირდათ? რამდენადაც ვიცით, თეატრალური განათლება გაქვთ მიღებული...**

— არა, მე არ დამკავშირებია. ისე, იცის, რომ თეატრალური განათლება მაქვს, მოგვიანებით გაიგო, როცა ამ ამბის შესახებ ტელევიზიით სიუჟეტი გადაიკა. მერე მითხრა: ძალიან გასაიდუმლოებული იყო თქვენი კოორდინატები, თორემ თავიდანვე რომ მცოდნოდა, თეატრალური განათლება გაქვთ, ბარემ თქვენ დაგამტკიცებდით როლზეო... სიამოვნებით ვითამაშებდი ამ როლს; წესით, არც უნდა გამჭირვებოდა, — ეს ყველაფერი მე გადამხდა თავს, მაგრამ ეს არ არის პრობლემა, მთავარია, რომ ამ ქორნილით, ქართული ხასიათი იქნება წარმოჩენილი. ■

განკუთვნილი საჭმელებით ქართველ ჯარისკაცებს გაუმასპინდლდნენ და რუსები რომ შევიდნენ იმ სოფელში, უკვე ყველაფერი გამოლეული იყო... ძალზე მძიმე სიტუაციაში ვიყავით ყველა, მით უმეტეს, რომ ნერვიულობის შედეგად, მეჯვარის მამა გარდაიცვალა...

**— ვანში როგორ წარმოართა ქორნილი?**

— ჩვეულებრივად; ისე არა, როგორც ქორნილს შეეფერება... მიუხედავად იმისა, რომ იქ მშვიდობა იყო, ქეიფისა და გრილის თავი არავის ჰქონდა; ძალიან სიმბოლური სახე ჰქონდა ყველაფერს, მაგრამ „ოსური“ მაინც ვიცეკვეთ. ხომ უნიკალური ხალხი ვართ ქართველები?!

**— ძნელია, შეგედავოთ... გიგა, ახლა რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე? ასე იმითმ მოხდა, რომ დინებას მიჰყევით, თუ იმედი გქონდათ, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა?**

— იცით, რა, ბევრი იფიქრებდა, — ომია, ხალხი იხოცება და რაღა დროს ქორნილიაო?! — მაგრამ ცხოვრება გრძელდება... ახლა უკვე პატარა ერეკლე გვყავს და ახლა ხშირად ვესუმრებით, — გვიან მიხვდები, თუ რა ისტორიული ქორ-



თუ მიგაჩნიათ, რომ საინტერესო ამბავი იცით და გსურთ, ის ყველას გააგებინოთ...

**მოჰყავით თქვენი ამბავი**

**ამბები.GE-ზე**

# „მადლიერების ნიშნად“ მოქნილი მუშები, თბილისის ზღვის „ტიტანიკი“ და „ფსიქოლოგი“ გაზეთები

შესაძლოა, მართლა ეკონომიკური კრიზისის ბრალია, მაგრამ ფაქტია — ამ ზაფხულს თბილისის ზღვას განსაკუთრებულად ბევრი ადამიანი სტუმრობს. მაშველებიც მაქსიმალურად მოზილი-ზებულები არიან. დღის განმავლობაში, მათ უამრავ მადლიერ თუ უმადურ მოქალაქესთან შეხება უწევთ. მაშველებს თავს დილაადრიან დავადექი — თავიანთ საგუშაგოებზე განაწილდნენ და საქმეს შეუდგნენ.

რადად მე ამოვიყვანე ბიჭი, რომელიც უკვე ფსევრზე ინვა და თითქმის მკვდარი იყო. პირველადი დახმარება აღმოუჩინეთ, გადავარჩინეთ, მერე კი „სასწრაფომ“ წაიყვანა.

— თქვენ მიერ გადარჩენილი ადამიანები მადლიერებას როგორ გამოხატავენ?

— ერთი შემთხვევა მახსოვს, როცა 16 წლის გოგონა გადავარჩინეთ. მოგვიანებით, მისმა მშობელმა საჭაპურები და ლიმონათი მოგვიტანა. ხშირად მოდიან, მადლობას გვხდნიან, გვლოცავენ... მაგრამ

## ეთორ ყორღანაშვილი

„ძირძველი“ მაშველი — მერაბ ბავიაშვილი თავის სამუშაო ადგილას სუტერის ჯიშის შავ ძაღლთან ერთად იმყოფებოდა. საუბარზე სიამოვნებით დამთანხმდა, თუმცა ზღვისთვის თვალი არ მოუშორებია — ყურადღება რომ მოვადუნო, უპირველეს ყოვლისა, უფლის წინაშე არ ვიქნები მართალიო...

— აქვე ახლოს ვცხოვრობ. ბავშვობაში მეგობრები და მეზობლები ზღვაზე ხშირად მოვდიოდით. 9 წლის ასაკიდან იახტვულში ვვარჯიშობდი, შემდეგ მამუვლის პროფესია მომეწონა და დღემდე შემოვიჩი. დაახლოებით, 15 წელია, რაც მაშველი ოფიციალურად ვარ.

### ეს ძაღლიც მაშველია?

— კი, ჩორნაც მაშველი გახლავთ. ჩვენთან რომ მოიყვანეს, ძალიან შექმნიდა. როცა წყალში შევდივარ, ესეც მომყვება. მართალია, ჯერ ადამიანი არ გადაურჩენია, მაგრამ რალაც მიღწევები აქვს. უჭკვიანესი ძაღლია — უაზროდ არავის დაუყვებს. ლამაზი გოგონების ცქერა და მოფერება უყვარს. გოგონები სასუსნავით ანებივრებენ, ჩორნა კი, მადლიერების ნიშნად, მათ პლაჟის ბოლომდე მიაცილებს ხოლმე, რათა მანანწალა ძაღლებმა არ შეაშინონ.

### პლაჟზე მყოფები არ გაბრაზებენ ხოლმე?

— ცოტათი. ამას წინათ, ჩემი წონის გამო, ერთმა გოგონამ მითხრა: აუ, ამხ-



ელა ხარ და როგორ გაცურავო?! შეჯიბრება შევთავაზე (სხვათა შორის, კარგად ცურავდა). დამთანხმდა... ამკრძალავ ტივტივამდე ერთად მივცურდით. ვკითხე, — აბა, როგორ ვცურავ-მეთქი? — თქვენს შესაძლებლობებში დავრწმუნდი, მაგრამ დავილალო, — მითხრა. — ზურგზე დამაჯექი და გაგიყვან-მეთქი... მართლაც, დამაჯდა ზურგზე და ნაპირისკენ გამოვემართეთ, ის კი წყლიდან მეგობრებს უყვიროდა: ნახეთ, ნახეთ, რა მაგარი „ტიტანიკი“ მყავსო! ვუთხარი, — ის „ტიტანიკი“ ჩაიძირა, მე კი არ ვიძირები-მეთქი (იცინის).

### მაშველებმა გამიშლიეს, რომ გიჟებს გეძახიან.

— ძალიან მიყვარს ქართული ფილმი — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, რომლის პერსონაჟ გიჟებს ვბაძავდი ხოლმე. როცა ადამიანები პლაჟზე კონფლიქტურ სიტუაციას ქმნიან და უცებ დაინახავენ, რომ ამხელა კაცი მათკენ მივდივარ, მეუბნებიან, — არა, ძიაჯან, არ დავგარტყაო! ცალკე მაშველები მომამახებენ ხოლმე, — გიჟუაჯან, მუშტი არ იხმაროო (იცინის)!

### პლაჟზე ინციდენტი ხშირა?

— კი, მაგრამ ვაგვარებთ. დამსვენებლებს შენიშვნას რომ ვაძლევთ, ზოგი გვპასუხობს: შენ ვინ გვიკითხება, ბიჭოო?! ვერ ხვდებიან, რომ თუკი რალაცას ვუკრძალავთ, ამას მათ სასიკეთოდ ვაკეთებთ. საბედნიეროდ, კარგ ოჯახში აღზრდილი ბევრი ახალგაზრდა მოდის, რომელიც ნორმალურად მოგემართავს. თუ ერთიორი უზრდელიც გამოერევა, გვერდით დავისვამ, ყველაფერს კარგად ავუხსნი, თან — საგუშაგოს თვალს არ მოვაცილებ და ბოლოს, მადლობას გადამიხდის.

### ირაპლი საბანაძე.

— ვცდილობთ, კონფლიქტური სიტუაციები განვმუხტოთ. როცა ხალხს ვეღარ ვიმორჩილებთ (როგორც წესი, პრობლემებს ნასვამი ადამიანები გვიქმნიან), პატრულს ვიძახებთ, პოლიციელებს კი ისინი სახლში მიჰყავთ.

### ალბათ, ბევრი გადაგიჩენიათ, არა?

— რა თქმა უნდა! შარშან ზღვიდან ბიჭი ამოვიყვანე — გული უკვე გაჩერებული ჰქონდა. ჩემმა თანამშრომლებმა ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარეს და გადაარჩინეს. 1 კვირის წინ, წყლიდან პი-



### ზოგი, მადლობის ნაცვლად, გვეჩხუბება! რატომ?

### ლევან ზარვაძე.

— ამას წინათ გოგონა იხრჩობოდა. მაშველებმა წყლიდან გამოიყვანეს. ერთ-ერთმა ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა. საბედნიეროდ, გადაარჩინა და გონს მოსული გოგონა მალე შინ წავიდა. გავიდა რამდენიმე საათი და პლაჟზე მისი ძმები გამოჩნდნენ. დაინტერესდნენ: ჩვენი და რომელმა მაშველმა გადაარჩინაო? გადამჩენელს გაუხარდა, — ალბათ მადლობის სათქმელად მოვიდნენო და ბიჭებს ამყავდ განუცხადა: მე ვარო! — ჩვენს დას ტუჩებში რატომ ჩაჰბერეო?! — გაუქანეს მუშტი და მაშველს თვალი „გაუხიეს“ (იცინის)... განსაკუთრებულად, ნასვამ ხალხთან ურთიერთობა გვიჭირს — მათგან ხშირად სიტყვიერი შეურაცხყოფის ატანა გვინევს. ძირითადად, ყურადღებას იმაზე ვამახვილებთ, რომ ნასვამი ადამიანი წყალში არ შეგვეპაროს: თბილისის ზღვაში 2 მდინარე შემოდის — იორი და არაგვი. აქ წყალი ფენ-



ფენა: ერთ მეტრს რომ გაცურავ, თბილია, მერე — ცივი... ნასვამი ადამიანის გულ-სისხლძარღვები გაფართოებული და გახურებულია, ცივ-თბილი წყლის მონაცვლეობა კი სპაზმს იწვევს.

**ყოფილა შემთხვევა, როცა მამშველებს ადამიანის გადარჩენა ვეღარ მოგიხერხებიათ?**

— არ არსებობს! დღის განმავლობაში 10-15 ადამიანის გადარჩენა გვიწევს და უბედურებით არც ერთი შემთხვევა არ დასრულებულა. ასეთი რამ აკრძალულ ზონებში ხდება. ქვებუნცე კი ვაკეთებთ წარწერას, რომ ბანაობა აკრძალულია და მოქალაქეებმა ჩვენი გაფრთხილება უნდა გაითვალისწინონ. წარმოიდგინეთ, პლაჟზე ყოველდღიურად 10000-მდე ადამიანი მოდის — თბილისის ზღვაზე ხალხის ასეთი რაოდენობა არასდროს ყოფილა.



**თქვენი აზრით, ამის მიზეზი რა არის?**

— ალბათ, ეკონომიკურმა კრიზისმა იმოქმედა — ხალხი კურორტებზე დასასვენებლად ვეღარ მიდის.

**საგუშაგოებზე რომელ საათზე გადაიხარო?**

— სამუშაოს დღის 9 საათზე ვინც და ზოგჯერ, ღამის 10-11 სთ-მდე ვრჩებით. 2 მამშველი — ე.წ. მორიგე ჯგუფი ღამით მუშაობს. ამ დროს კატერის გამოყენება არ შეიძლება — შესაძლოა, ვინმეს თავზე გადაუარო და გადარჩენის ნაცვლად დააზარალო. როგორც კი გათენდება, ტექნიკის მობილიზება ხდება... მე ქალაქის სამმართველოდან მომავლინეს: ზაფხულის სეზონია და აქაურობას გაძლიერებული კონტროლი სჭირდება. 3 თვე უნდა ვიმუშაო, მამშველ ბიჭებთან ერთად.

**ალბათ, მამშველებს ფუნქციები განაწილებული გაქვთ.**

— პირადად მე, ყველაფერი მაბარია (იციან). მამშველები თავიანთ პოსტებზე არიან განაწილებული — ყოველ 50-60 მეტრში დგანან. გარდა ამისა, კატერი და სკუტერი „აკეთებს პოსტებს“ — შუა ზღვაში

ჩერდება, საიდანაც ხალხს რუბორით ვაფრთხილებთ, რომ ტივტივებს იქით ცურვა არ შეიძლება. მოკლედ, მთელი დღის განმავლობაში ვხმარობთ და საქმეს ვაკეთებთ, რა (იციან)...

— აღმოჩნდა, რომ მიჩი (ცნობილი ამერიკული ტელესერიალის — „მამშველების“ მთავარი პერსონაჟი) მხოლოდ მალიბუს მამშველთა მამაც გუნდს როდი ჰყოლია: თბილისის ზღვაში, კატერზე მყოფმა **ზურაბ თაბთაქიშვილმა** მითხრა: „მამშველების“ აქტიური მყოფი ვარ და თავადაც მიჩს შეხვდები.

— ეს სახელი იმიტომ შემარქვეს, რომ პროფესიონალი მამშველი ვარ!

**ტელესერიალში მიჩს ბევრი თავანისცემელი ჰყავს.**

— სხვათა შორის — მეც! ზოგჯერ ყვავილებსაც კი მიჭყინან... რა, არ გჯერა? სერიოზულად ვამბობ! ყველა ტელეფონის ნომერს მთხოვს, მერე მიდის გაცნობა, მსიჯვობა...

**შენი ყურადღების მისაპრობად, გოგონები თავსაც ხომ არ „იხრჩობენ“?**

— ოო... 1-2 ასეთი შემთხვევა მართლა იყო: გაცნობა უნდოდათ, მაგრამ ერიდებოდით და ვერ მოდიოდნენ... ვაიძე, მეტს ვერაფერს გეტყვი, თორემ ჩემმა ცოლმა რომ წაიკითხოს, ოჯახი დამეგრევა!

**კარგი, მაშინ მითხარი — მალბუს მამშველები უფრო მამაცები არიან თუ — თბილისის ზღვის?**

— უბრალოდ, ეკრანზე ყველაფერი ლამაზადაა გაფორმებული, თორემ ჩვენ უფრო მაგრები ვართ! ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს და მინდა, სიცოცხლის ბოლომდე მამშველი ვიყო!

„ყვირილამ იორში ჩამიყვანა, იორმა თბილისის ზღვაში შემომადგო, ზღვამ ნაპირზე გამომრიყა. მამშველებმა ცოცხალ-მკვდარი მიპოვეს, შემდეგ კი ნახეს, რომ კარგად ვცურავ და მუშაობა დამწყებინეს“, — ასე გამაცნო თავისი „მოკლე ბიოგრაფია“ **ზესტაფონელმა თამაზ სვინიშვილმა**, რომელმაც ცხადია, იხუმრა:

— მეოთხე წელია, მამშველად ვმუშაობ. უამრავ საინტერესო და სახალისო ამბავი გადამხდენია თავს, ყოველდღიურად ერთმანეთისგან განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობა მისდება. შარშან ოთხნი მოვიდნენ და მომესალმნენ: „გამარჯობა შენი!“ — აქცენტზე ეტყობოდათ, სვანები იყვნენ. ნავი გვინდაო, — მაუწყეს. „გადავამისამართე“ კაცთან, რომელიც ნავს აქირავებდა. მივიდნენ... 5-10 წუთის შემდეგ ერთ-ერთი მომიახლოვდა. შევატყვევ, რომ რალაცის კითხვა სურდა. — რა ხდება-მეთქი? — დავინტერესდი. — რა და, ნაპირთან „კრუშკა“ რატომ გდიაო? „აუფხსენი“, — როცა ხალხს სცხელა, იმ „კრუშკით“ წყალს ივლებს და გრილდება-მეთქი. თურმე, ჩემი ნათქვამი დაიჯერეს. ცოტა ხნის შემდეგ დავინახე — ნავზე რალაც ხდებოდა... თანამშრომლებს ვუთხარი: ბიჭო, გადიო, თავს იხრჩობენ ეს

უპატრონოები-მეთქი! მამშველები რომ მიუახლოვდნენ, ნავი სანახევროდ სასეე იყო წყლით — სვანები ზღვიდან წყალს იღებდნენ და თავზე ივლებდნენ. სასწრაფოდ ყველანი ნაპირზე გამოიყვანეს (იციან).

**ხალხი სკუტერით გასეირნებას არ გთხოვთ ხოლმე?**

— კი, მაგრამ მათ ვუხსნით, რომ არ შეიძლება. სამწუხაროდ, ზოგს არ ესმის. ამას წინათ, დაახლოებით, სალამოს 8 საათზე თანამშრომლებმა სკუტერით მომაკითხეს — სამუშაოს უკვე ვამთავრებდით. ვიდრე წავიდოდით, ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა და მკითხა: სკუტერით გასეირნება შეიძლებაო? განვუმარტე, რომ არ შეიძლებოდა, უცხო პირი დამჯდარიყო, შემდეგ კი დავინტერესდი — თავად სურდა გასეირნება თუ სხვისთვის უნდოდა. მითხრა: მეუღლე მახლავს და მისთვის მინდაო. მეუღლეს რომ შევხედე, იმხელა მუცელი ჰქონდა, დღე-დღეზე იმშობიარებდა. — ბიჭო, ხომ არ გაგიჟდა?! გინდა, შენმა ცოლმა ზღვაში იმშობიაროს და ბავშვი ვადაზე ადრე გამოვიდეს-მეთქი?! ძლივს გადავარწმუნე.

**ალბათ, საოცარი განცდაა, როცა ადამიანს გადარჩენ...**

— ენით აუწერელი... შესაძლოა, ჩემ მიერ გადარჩენილი ხალხი ვერც ვიცნო, მაგრამ თითოეული მათგანის თვალები არასოდეს დამავიწყდება — სადმე რომ შემხვდეს რომელიმე, თვალებით ვიცნობ... თუმცა ერთხელ, ახალგაზრდა ბიჭმა, რომელიც დახრჩობას გადავარჩინე, გინება დამიწყო. — რატომ მაგინებ-მეთქი? — სახეში გაფულანუნე. — თავის დახრჩობა მინდოდაო! — მიპასუხა. ამდენი მამშველი ვართ და თავის მოკვლის უფლებას ვინ მისცემდა?! მოკლედ, ამ ხალხის შემხედვარე, ფსიქოლოგიც გავხდი. ათასი გიჟი და გადარეული მოდის, ყველას თავისებური მიდგომა უნდა... იმედა, წლევიანდელი სეზონიც მშვიდობიანად ჩაივლის.



# პოლიტიკოსთა ურთიერთბრალდება და სამი ჩაბღებული კანონპროექტი

„საქუთარ თაჰჯა სივართლის თქვა არ გვიყვარს“...

ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთს ხშირად უცხო ქვეყნის აგენტობასა და სამშობლოს ღალატში ადანაშაულებენ. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებები საკმაოდ მძიმეა, ჯერჯერობით არც ერთ „ბრალდებულს“ მბრალდებლისათვის ცილისწამების გამო პასუხი არ მოუთხოვია. უცნაურია ისიც, რომ საზოგადოების მოთხოვნისა და პოლიტიკოსების მზაობის მიუხედავად, საქართველოში ლუსტრაციის კანონი ჯერ კიდევ არ მიუღიათ. მართალია, პარლამენტმა კანონპროექტი სამჯერ განიხილა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მიიღო. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობამ მკაფიო პოზიცია დააფიქსირა.



## ხათუნა ბახტურიძე

**დათო ტურაშვილი, მწერალი:**

— პოსტაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობამ სახელმწიფოს ჩამოყალიბება ლუსტრაციის კანონის მიღებით დაიწყო. ამ კანონს ჩვენც რომ მივიღებდეთ, ცოტათი მაინც დალაგდებოდა ეს არეული ქვეყანა. **ნოდარ ნათაძე, სახალხო ფრონტის ლიდერი:**

— ლუსტრაციის კანონი აუცილებლად უნდა მიიღოს პარლამენტმა. ვინც ამ კანონის მიღებას ეწინააღმდეგება, სწორედ ის არის აგენტი, გამყიდველი და ქვეყნის „ამომგლები“.

**თინა ხიფაშვილი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

— ლუსტრაციის კანონის მიღება აუცილებელია. ეს ჩვენთვის ცალსახა და უალტერნატივო საკითხია, რომელთან დაკავშირებითაც, ჩვენს პოლიტიკურ პარტიას დიდი ბრძოლები აქვს გადატანილი. წინა მოწვევის პარლამენტში ლუსტრაციის კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე დავით ბერძენიშვილმა გაიტანა, მაგრამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ის ჩააგდო. როგორც ჩანს, ის სააკაშვილის გუნდისთვის სერიოზული საფრთხის მატარებელია. დარწმუნებული ვარ, ლუსტრაციის კანონი რომ მივიღოთ, ჩვენს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკის მიღმა აღმოჩნდება.

**ხათუნა ოჩიაური, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი:**

— კარგი იქნება, თუ ლუსტრაციის კანონს მივიღებთ. ასეთ შემთხვევაში, ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი საკუთარი ნებით გაუჩინარდება პოლიტიკიდან. **ირაკლი სპიანავილი, ექსპერტი**

**უსაფრთხოების საკითხებში:**

— ლუსტრაციის კანონი აუცილებლად უნდა მივიღოთ, მაგრამ არა ამ ხელისუფლების პირობებში. ერთპარტიული, დიქ-

ტატორული მმართველობის პერიოდში ნებისმიერი კარგი კანონპროექტი შესაძლოა, სახიფათო იარაღად გადაიქცეს. ადვილი შესაძლებელია, რომ მმართველმა გუნდმა ლუსტრაციის კანონი საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს და გამოგონილი აგენტები დაგვისახელოს, ნამდვილ აგენტებს კი ფარულად მოქმედების საშუალება მისცეს.

**ხათუნა პაიჭაძე, ყურნალისტი:**

— ლუსტრაციის კანონის მიღება დაგვიანებულიც კია. რუსეთიდან მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინებით, ეს კანონი აუცილებლად უნდა მივიღოთ, მაგრამ არსებობს ერთი ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა: ქვეყანაში ძალაუფლების მქონე პირები ამა თუ კანონს ხშირად, საკუთარი ინტერესების მიხედვით იყენებენ. ადვილი შესაძლებელია, მავანმა ის ოპონენტების წინააღმდეგ ბოლოაშვიტ გამოიყენოს. სხვათა შორის, მე ამ თემასთან დაკავშირებით მომზადებული, სამივე კანონპროექტი მაქვს ნანახი და ვფიქრობ, არც ერთი არ შეესაბამება დემოკრატიულ პრინციპებს. ბოლო კანონპროექტის მიხედვით, ყველა იმ ადამიანის ლუსტრირება უნდა მოხდეს, ვინც კომუნისტური რეჟიმის პერიოდში კომკავშირულ, პარტიულ საქმიანობას ეწეოდა ან რომელიმე მაღალი თანამდებობის პირი იყო. ასეთი დამოკიდებულება უსამართლოდ მიმაჩნია. არა მგონია, რომ ყველა მაღალი თანამდებობის პირი აგენტურულ საქმიანობაში ყოფილიყო ჩაბმული. კარგი იქნება, თუ ჩვენი კანონმდებლები ევროპული კოდექსების ნაშუქვრებს გადახედავნ და ქართულ რეალობასაც გაითვალისწინებენ.

**ანანა ხარშილაძე, პედაგოგი:**

— ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გაირკვეს, ვინ რას წარმოადგენს?! ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებს

ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი ამა თუ იმ ოპოზიციონერზე ამბობს, რუსეთის აგენტიო, მაგრამ არ აპატიმრებს. ისიც მალაიზიანებს, რომ ოპოზიციონერების მიერ მოლაღატებდად შერაცხილი, მმართველი გუნდის წარმომადგენლები ისევ ხელისუფლებაში რჩებიან. გამოდის, რომ ქვეყნის ღალატი დანაშაული არ არის... თუ ვინმემ მართლა იცის რუსეთი აგენტების ვინაობა, დოკუმენტურად დაასაბუთოს და მოლაღატებები შესაბამისად დაისაჯონ, თუ არა და, გულს ნუ გვიხეთქავენ... ჩვენი გაჭირვებაც გვეყოფა.

**ლელა ჩიკვაძე, სტუდენტი:**

— ძალიან საეჭვოდ მეჩვენება ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელ საქართველოს უკვე მესამე ხელისუფლება ჰყავს და ლუსტრაციის კანონი ჯერ კიდევ არ არის მიღებული. როგორც ჩანს, ქვეყნის მტრების გამოაშკარავება ვიღაც ძალიან გავლენიანი პირის ინტერესებში არ შედის. კიდევ ერთი რამ მეჩვენება ძალზე საეჭვოდ: პრეზიდენტი სააკაშვილი ექსპრეზიდენტ შევარდნაძის მიერ დაშვებულ შეცდომაზე გამუდმებით ლაპარაკობს, მაგრამ ცივ ნიავს არ აკარებს, უფრო მეტიც — სამთავრობო რეზიდენციაში მეფურად აცხოვრებს. კი, მაგრამ თუ შევარდნაძემ მართლა საბედისწერო შეცდომები დაუშვა და ქვეყანა დაღუპა, რატომ არ ასამართლებენ? ნუთუ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ყველაფერი ეპატიებათ?!

**ზაზა ლოსუზაშვილი, სამხედრო მოსამსახურე:**

— ლუსტრაციის კანონი აუცილებლად უნდა მიიღოს. ქვეყნის მტრებს თუ არ დასჯიან, პოლიტიკურ საქმიანობას მაინც ჩამოაშორონ. ბიჭები საქართველოსთვის სისხლს ვღვრით, სავარძელში მოკალათებული ზოგიერთი არამზადა კი იმაზე ფიქრობს, ქვეყანა როგორ გაყიდოს... სი-



მართლაც რომ გითხრათ, ბოლო დროს ძალიან დავიბენი, ალარ ვიცი, ვის დავუჯერო. ვერ გავიგე, რუსეთის აგენტები ხელისუფლებაში არიან მოკალათებულნი თუ ოპოზიციაში. იქნებ, მოლაღატებნი ორივე მხარეს არიან?! ასეთი გაურკვეველობა ჩვენი ბიჭების საბრძოლო სულისკვეთებაზე ძალიან ცუდად მოქმედებს. ყველას მიმართ ეჭვი ჩვენვე გვიღრღნის გულს და მომავლის იმედს გვიკარგავს. ძალიან კარგი იქნება, თუ ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, ვიდრე ერთმანეთს ქვეყნის ლალატს დააბრალებენ, ჯერ კარგად დაფიქრდებიან. შეიძლება, ისინი ერთმანეთის ლანძღვითა და გინებით უბრალოდ, გულს იოხებენ, მაგრამ იმაზეც დაფიქრდნენ, ხალხს რა დღეში აგდებენ.

**გურამ მიწათმოქმედის, მუშა:**

— ლუსტრაციის კანონი უნდა მიიღონ, აბა, აქ საკითხავი რა არის?! თქვენიც გამკვირვებია და იმ პარლამენტარებისაც, რომლებიც ასეთი მნიშვნელოვანი კანონის მიღებისთვის ვერ იცლიან და იმაზე მსჯელობენ, კინოთეატრებში ფილმები ქართული სუბტიტრებით გაუშვან თუ — „ქაჯურით“...

მაშ, რატომ ვერ ხერხდება საქართველოში ლუსტრაციის კანონის მიღება და ვის შეიძლება, არ აძლევდეს ხელს უცხოეთის აგენტების გამოვლენა? ამ კითხვებით კომპეტენტურ ადამიანებს მივმართებ.

**ირაკლი შინგაია, პუბლიცისტი:**

— საქართველოში ლუსტრაციის კანონს რომ ვერ იღებენ, ამას ძალიან ბევრი მიზეზი აქვს. საბჭოთა კავშირის დროს ჩვენს ქვეყანაში ანტისაბჭოურად განწყობილი ადამიანებიც ცხოვრობდნენ და რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგაც იბრძოდნენ, მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი ისე კარგად გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. ეს ადამიანები დღესაც მისტირიან საბჭოთა კავშირს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოება თავისი წარსული ყოფის მიმართ კრიტიკულად განწყობილი არ არის. ამ რეალობიდან გამომდინარე, სულაც არ მიკვირს, რომ ლუსტრაციის კანონი დღემდე ვერ მივიღეთ. მე არც იმის თქმას მოვფრინდები, რომ დღევანდელ პოლიტიკაში ბევრი ისეთი ადამიანია, ვინც კომუნისტური წყობის თხემით ტერფამდე მხარდამჭერი იყო. ახლა თითოეულ მათგანს რომ ჰკითხოთ — ლუსტრაციის კანონი უნდა მივიღოთ თუ არაო? — გიპასუხებს, აუცილებლად, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ყველა უარს იტყვის.


— ქართველები რითი განვსვავადებთ იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლებისგან, რომლებმაც ეს კანონი უკვე მიიღეს?

— ჩვენ საკუთარ თავზე სიმართლის თქმა არ გვიყვარს და არ გვინდა იმის აღიარება, რომ წარსულში რაღაცას არასწორად ვაკეთებდით. გარდა ამისა, ცოტა უცნაური მენტალობაც გვაქვს:

„კაგებენიკს“, რომელსაც ბევრი ადამიანი ჰყავდა გამწარებული, მაგრამ მხარჯველი და მოქიფე კაცი იყო, ახლობლები კარგად ადამიანად მიიჩნევდნენ. მისი ნათესავი, ძმაკაცი ან შვილის ძმაკაცი ასე იტყოდა: რა ვიცი, ჩემთვის კარგი კაცია, პატივს მცემსო და... ჩვენში ადამიანს მისი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური საქმიანობის მიხედვით არც ადრე აფასებდნენ და არც ახლა.

**— როდესაც ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს რუსეთის აგენტობაში ადანაშაულებენ, თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, რა დასკვნებს აკეთებთ — ვის მხარეს შეიძლება იყოს სიმართლე?**

— ამასთან დაკავშირებით, ერთ ამბავს მოგიყვებით და დასკვნა თავად გააკეთეთ. ორ ცნობილ პიროვნებაზე მკითხეს (ძალიან გთხოვთ, მათ სახელებს ნუ გამამჟღავნებინებთ): ერთი მეორეს კრემლის აგენტობას აბრალებს, მეორე კი პირველზე ამბობს, სუკის აგენტია და შენი აზრით,



მართალი რომელიაო? მე ვუპასუხე — ორივე მართალია-მეთქი. მერწმუნეთ, პარლამენტი ლუსტრაციის კანონს კიდევ დიდხანს არ მიიღებს.

**— პოლიტიკოსები ერთმანეთს ლუსტრაციის კანონის ჩაგდებაშიც ხშირად ადანაშაულებენ. ნუთუ ასეთი რთულია იმის გარკვევა, კანონის მიღება ვინ უჭერდა მხარს და ვინ — არა?**

— ნორმალურ ქვეყნებში, როდესაც კანონპროექტი სხდომაზე გააქვთ, საინფორმაციო ბანკში შეაქვთ ინფორმაცია — თუ ვისი მომზადებულა კანონპროექტი, ვინ შეიტანა შესწორებები, ვინ დაუჭირა მხარი და ვინ უარი თქვა მის მიღებაზე; შემდეგ ეს ინფორმაცია მუშავდება და მზადდება ანალიზი. როდესაც პარლამენტში კომისიის თავმჯდომარე ვიყავი, ამის გაკეთება ვცადე, მაგრამ დამცინეს, მითხრეს — მაგის დრო ვის აქვსო?! არადა, იმის მონიტორინგი რომ ჩატარებულყო, თუ ვინ, როგორ იღებს კანონებს, დღეს ბევრ რამეს მოეფინებოდა ნათელი.

**— ისე, როგორ ფიქრობთ — ლუსტრაციის კანონის მიღება დღეს აუცილებელია?**

— სასიცოცხლოდ აუცილებელია.  
— ამ კანონის პოლიტიკური მიზნისთვის გამოყენება თუა შესაძლებელი?

— არა, შეუძლებელია. ხაზსგასმით მინდა აღვნიშნო: ეს კანონი უცხო ქვეყნის აგენტების დაპატიმრებასა და დასჯას არ ითვალისწინებს; ასეთ ადამიანებს უბრალოდ, პოლიტიკური მოღვაწეობა აეკრძალებათ.

საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი ამბობს, რომ აგენტები, რომლებიც საბჭოთა ბერიოდში რუსული სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებდნენ, დღეს საინტერესონი აღარ არიან და ირწმუნება, რომ რუსეთს საქართველოში ახალგადმობრუნებული აგენტიც მრავლად ჰყავს.

**ირაკლი ბათიაშვილი:**

— რატომ ფიქრობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროინდელი აგენტების ლუსტრაციას აზრი აღარ აქვს?

— მათ შორის, ბევრი დღეს ცოცხალი აღარ არის, ზოგი ისეთ ასაკშია, რომ ფუნქცია აქვს დაკარგული და საინტერესო აღარ არის. სხვათა შორის, როდესაც ბალტიის ქვეყნებმა და ვარშავის ბლოკში შემავალმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, პოლიტიკა სრულიად გაეთავისუფლებინათ იმ პირებისგან, ვინც საბჭოთა უშიშროებასთან თანამშრომლობდა და ლუსტრაციის კანონი მიიღეს, დიდი სკანდალები მოხდა. აღმოჩნდა, რომ საზოგადოებისთვის პატივსაცემი ადამიანები — პოლიტიკოსები, ხელოვნების წარმომადგენლები, მწერლები საბჭოეთის სპეცდავალებების შემსრულებლები იყვნენ.

**— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არცთუ ისე დიდი ხანა გასული. ძველი აგენტებიდან, ყველა მსცოვანი არ იქნება...**

— კი, ასეთებიც არიან შემორჩენილები. როდესაც საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარე ვიყავი, ასეთ ადამიანებს მკაცრად ვაკონტროლებდით, რადგან არსებობდა იმის საშიშროება, რომ რუსეთის სპეცსამსახურები ისევ გასულიყვნენ მათთან კავშირზე. 90-იან წლებში, არქივის გარკვეული ნაწილი რუსეთში გაიტანეს. ასე რომ, ამ აგენტების ვინაობა დღევანდელი რუსეთის უშიშროებისთვისაც ცნობილია.

**— იქნებ, ჩვენც გაგვიზილოთ ზოგიერთი მათგანის ვინაობა?**

— ვერ გაგიზილოთ, ეს ჯერ კიდევ სახელმწიფო საიდუმლოებაა, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ აგენტების სია სამაოდ ვრცელია და მასში საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანებიც არიან. მათ ძიებას აზრი არ აქვს, ახლა მთავარი — 15, 10 და 5 წლის წინ გადამბრუნებული ადამიანების გამოვლენაა. ხომ





# „ყოფილა შეფთხვევა, რომ გაჩვენოვას ჩემი იაჩქალი გაფხვრვა“...

პირველი „მის საქართველო“, მოდელი, რედაქტორი, კომპანიის მფლობელი, იურისტი, მაგისტრანტი — ასე შეიძლება იმ ქალბატონის წარდგენა, რომლის ინტერვიუსაც გთავაზობთ... **ირინა ონაშვილი** ბოლო დროს ისეთ საქმიან ქალად ჩამოყალიბდა, რომ მისი მოხელთება ცოტა გაჭირდა კიდევ, განსაკუთრებით მას მერე, რაც პრესაში სხვადასხვაგვარი ქორი აუგორეს: ის ჟურნალისტებს გაუბრბის, არაობიექტურობაში ადანაშაულებს და სვამს კითხვას: რაში დასჭირდა ყვითელ პრესას მისი პირადი ცხოვრების ასე ქექვა?!

## ლალი შახია

— როგორც შეგიყვებ, ატარებ კონკურსს — „მის უნივერსიტეტი 2009“.

— დიახ, დავარსებე კომპანია „ფემენ ასო-სიეიშენი“ და ამჟამად ამ კომპანიის გრანდიოზულ პროექტზე — „მის უნივერსიტეტი 2009“ ვმუშაობ. ამისათვის ყველა უმაღლეს სასწავლებელში შესარჩევ ტურებს ვაწყობთ. ჩავატარეთ ტური კავკასიის უნივერსიტეტში და გამოვავლინეთ „მის კავკასიის უნივერსიტეტი“. მაგრამ ვინაიდან დროში შეზღუდვები ვართ, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ტურის ჩატარებას ვერ ვასწრებთ, ამიტომ თითოეულ მათგანში კასტინგი ჩატარდება და გამარჯვებული გოგონა ასე გამოვლინდება. შერჩეული კონკურსანტები კი, სავარაუდოდ, შემოდგომაზე, დასკვნით კონკურსში — „მის უნივერსიტეტი 2009“ მიიღებენ მონაწილეობას.

— ყველა უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობს?

— უნივერსიტეტების თვითმმართველობებთან მაქვს ურთიერთობა და ყველა თანახმაა. ეს პროექტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ეწყობა.

— კომპანია „ფემენ ასო-სიეიშენი“ შენი ინიციატივით შეიქმნა?

— დიახ, დამფუძნებელიცა და დირექტორიც მე ვარ. ამ კომპანიის ეგიდით შეიძლება შეიქმნას სამოდელო სკოლა, ჩატარდეს სხვადასხვა ღონისძიება მოდის სფეროში: მოდის ფესტივალი, დევილუ... ამჟამად სამოდელო სააგენტო „შარმთან“ ვთანამშრომლობ. ამ სფეროში ჩვენში იმდენად ცოტა ადამიანი მოღვაწეობს, რომ ერთმანეთს კონკურენტებად ვერც აღვიქვამთ... „შარმთან“ ერთად, საინტერესო პროექტი იგეგმება, ოღონდ ამ შემთხვევაში, „ნატალიც“ მონაწილეობს. აგვისტოს ომის წლისთავთან დავავშირებით, სპეციალური სამშვიდობო აქცია ეწყობა, რომელშიც ხელოვნების სხვადასხვა სფ-



ეროს წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. მათი ვალია, თავიანთი სფეროები წარმოაჩინონ და ადამიანებს მშვიდობისკენ მოუწოდონ. ჩვეიც, მოდელებს გვინდა, ამ საქმეში წვლილი შევიტანოთ. ეს ღონისძიება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანხმობითა და ლოცვა-კურთხევით ეწყობა.

— ირინა, 6 წელი გავიდა მას მერე, რაც „მის საქართველოს“ ტიტული მოგანიჭეს. ეს მცირე დრო არ არის, ამიტომ საინტერესოა, ამ წლებს გადასახედიდან, როგორ უყურებ და აფასებ შენ მიერ განვლილ გზას? რაიმეს ხომ არ ნანობ, მაგალითად — საქმიანობაში მეტის მიღწევა ხომ არ შეიძლებოდა?

— მაქვს ხოლმე შეგრძნება, რომ უფრო მეტის გაკეთება შემიძლო. ადამიანი ყოველთვის ვერ იქნები საკუთარი თავით კმაყოფილი, მაგრამ მეტის გაკეთება რომ შემიძლებოდა, ამისთვის სხვანაირი, უფრო აქტიური და „ჟილკიანი“ ტიპი უნდა ყოფილიყავი... ცოტა თავხედიც...

— მოდელებს შორის არიან ასეთები?

— რა თქმა უნდა. „რქები“ მიმწოდები და გამტანები... ყოფითი პირობების გამო, ნებისმიერ რაღაცაზე თვალს რომ ხუჭავენ, რათა რაიმე პრესტიჟულ ჩვენებაზე გამოვიდნენ... მე რთულად ვეუები ასეთ რაღაცებს და ამა თუ იმ საქმის კეთებისას, გადაწყვეტილების მიღებაც მიჭირს ხოლმე... საერთოდ, მოდ-

ელობა ძალიან დიდ შრომას მოითხოვს; პირველ ეტაპზე შრომის ანაზღაურებაც იმდენი არ გაქვს, რომ ბევრი რამე მოითმინო და აიტანო. ამიტომ, რაღაც შემოთავაზებებზე უარიც მიტყვამს... არ შემოიძლია მძიმე შრომა, სხვანაირი ტიპი ვარ; მიჩვენებია, კაბინეტში ვიჯდე და საქმე იქ ვაკეთო...

— არადა, მგონია, რომ შენი გარეგნობის მოდელი უცხოეთში წარმატებას მიაღწევდი...

— ეს ჩემთვის ბევრს უთქვამს... რომ ვთქვა, ეს საქმე არ მიყვარს და ჩვენებებზე იძულებით მიწევს გამოვლა-მეთქი, არც ეს იქნება მართალი...

— ჩვენში რა პრესტიჟული ჩვენებაც ჩატარებულა, ყველაში მონაწილეობდი?

— ყველგან ვერ მიიღებ მონაწილეობას, რადგანაც დიზაინერები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ყველაფერზე სხვადასხვაგვარი შეხედულება და გემოვნება აქვთ. შესაბამისად, შეიძლება, რომელიმე კოლექციისა თუ ჩვენების მიხედვით, არ ვჯდებოდე მათ სტილში და ამიტომ, არ გამოვიდე ჩვენებაზე. მერე რა, რომ შეხედულება არ მაკლია და არც ისეთი ცუდი პარამეტრები მაქვს?! ეს კარგად ვიცი მოდელებმა და ამასთან შეგუებულები ვართ.

— სილამაზემ ცოტა ხომ არ გაგათამაზა?..

— გააჩნია სიტუაციას... არ დავმალავ — ყოფილა შემთხვევა, რომ გარეგნობა ჩემი იარაღი გამხდარა, მაგრამ დამთანხმები, რომ ლამაზი ქალი გაყინული და უინტელექტო გამომტყველებით ფონს ვერ გავა. გარეგნობა წინსვლისთვის საკმარისი არ არის. სილამაზეს კიდევ სხვა რამ უნდა ახლდეს...

— შენს შემთხვევაში, სილამაზეს ის ახლავს, რომ შენში საქმიანი ქალი ჩამოყალიბდა? დღეს ჟურნალის რედაქტორი და კომპანიის მფლობელი ხარ.

— თუნდაც. ამის პარალელურად ვსწავლობ და მუდმივად ვიზრდები. კავკასიის უნივერსიტეტში წელს, პიარის განხრით, მაგისტრატურაში ჩავაბარე. ჩემი პირველი პროფესია კი იურისტობა გახლავთ და ვერ წარმომიდგენია, რანაირად შეიძლება, მაგ სფეროში ვიმუშაო...

— რატომ?

— იმიტომ, რომ 17 წლის ასაკში არჩეულმა პროფესიამ, ჩემს შემთხვევაში, არ გააძარტლა. მაშინ ასე არ ვფიქრობდი. მოკლედ, ჩემს თავს ამ სფეროში ვერ ვხედავ. აი, პიარის კუთხით კი მომეწონა სწავლა, ძალიან საინტერესო სფეროა და დარწმუნებული ვარ, კარგ პიარსპეციალისტად ჩამოყალიბ-

დები და მუშაობაც არ გამოიჭირდება.

— როგორი რედაქტორი ხარ?

— ჩვეულებრივი, მეგობრული; პრინციპში, რედაქციაში არაფრით განვსვავდები ჟურნალისტებისა და თანამშრომლებისგან. არ მაქვს იმის ამბიცია, რომ მხოლოდ კაბინეტში ვიყო შეკეტილი და თანამშრომლებს იქიდან ვაძლიო მითითებები. მიმანია, რომ „ჩვენ ერთი გუნდი ვართ!“ ხანდახან ერთმანეთის ფუნქციებშიც ვიჭრებით. ყოფილა შემთხვევა, ღონისძიებზე ფოტოგრაფი მყოფია წაყვანილი, მისთვის აპარატი გამომირთმევია და თვითონაც გადამიღია სურათები. ცნობილ ადამიანებს დავედევდი და ფოტოებს ვუღებდი, მსიამოვნებდა.

— ბოლო დროს შენზე ამა თუ იმ ყვითელ გამოცემაში სხვადასხვაგვარი ჭორი აგორდა... იქნებ, გვითხრა, მართლა ვის ეკუთვნის ჟურნალი, რომელსაც რედაქტორობ?

— ამ ჟურნალს დამფუძნებელი ჰყავს. იმის გამო, რომ მას არ სურს, გამჟღავნდეს მისი ვინაობა, ვერ დავასახელებ... რაც შეეხება ჭორებს: ვითა ყოველთვის მარტივად ვიღებ და ვიღებ, ამაზე არასდროს მქონია რეაქცია, რადგანაც ხვალ ეს ჭორი აღარავის ემასხვრება. თუმცა ჩემთან დაკავშირებით რაღაც ფაქტები, როგორც უტყუარი სიმართლე, ისე დაწერეს; ჩემს პირად ცხოვრებას უხეშად შეეხნენ; ის ისე იყო გაქეპილი, თან დეტალებში აღჭურვილი, რომ ამის გამო განწყობილი ვიყავი. გული მატკინეს. ბევრჯერ მითქვამს და გავიმეორებ — არ მივეკუთვნები ადამიანთა კატეგორიას, რომელიც ამით ცხოვრობს და ელოდება, მასზე რა სისულელეს დაწერენ. ბევრი ცნობილი ადამიანი შემხვედრია, რომელიც საჯაროდ აცხადებს, რომ მისი პოპულარობა — ყვითელი პრესის დამსახურებაა. ამას არასდროს ვიტყვი. ყველა ჟურნალისტის მადლიერი ვარ, ვინც ჩემზე სტატიას დაწერს და ჩემს პიროვნებას ყურადღებას მიაქცევს, ჟურნალისა თუ გაზეთის ფურცლებს დაუთმობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი პოპულარობა პრესისა და ტელევიზიის დამსახურებაა, მით უმეტეს — ყვითელი პრესის. ვიმეორებ — არ მივეკუთვნები იმ ადამიანების რიგს, ვისაც საზოგადოების თავშეყრის ადგილებში თავის გაკონტროლება უნევს და ცდილობს, ყვითელი პრესის წარმომადგენელმა სურათი არ გადაუღოს.

— გადაგიღოს სურათი — მერე რა?

— არც არაფერი, მაგას ვამბობ — გადამიღოს! ვიტყვი: ყოჩაღ, მაგრად უმუშავია-მეთქი. ამის წინააღმდეგი ვინ არის?! პაპარაცი მთელ მსოფლიოში არსებობს, მაგრამ სისულელესა და ტყუილს რომ წერენ, იმისთვის, რომ ჟურნალი გაიყიდოს, ეს არ შეიძლება.

— დაიწერა, რომ ჟურნალი, რომელშიც მუშაობ, კანა კალაძეს ეკუთვნის — ტყუულში ამას გულისხმობ?

— კი. ეს სიმართლეს არანაირად არ შეესაბამება.

— არც ის იყო სიმართლე, რომ კალაძემ ავტომანქანა გიყიდა?

— არა.

— მაშ, ვინ გიყიდა მანქანა?

— მე თვითონ ვიყიდე, ბანკის დახმარებით. მყავს ჩვეულებრივი „მელის“ ჯიპი. ასე რომ, ყველაფერი, რაც ჩემზე დაიწერა, სიცრუე გახლავთ.

— კანა კალაძეს არ იცნობ?

— ის ჩვენი ჟურნალის პირველი რესპონდენტი იყო და მასთან ჟურნალისტი ინტერვიუს რომ წერდა, დასწრებამ მომიწია. ასე რომ, კალაძესთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა მაქვს.

— მახსოვს, კიდევ რაღაც ჭორები იყო...

— ყველასთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. როგორც კი სადმე ვინმესთან ერთად დაგინახავენ, მაშინვე რაღაცას მოიფიქრებენ და გაავრცელებენ...

— რაკილა ავტომანქანა ვახსენეთ, მითხარო, როგორი მძღოლი ხარ, სიჩქარე გიყვარს?

— კარგი მძღოლი ვარ. ძალიან მიყვარს სიჩქარე, რადგანაც ყოველთვის სადღაც მეჩქარება. თუ ტრასაზე ვარ, 180 კმ/სთ სიჩქარით დავდივარ, ქალაქში — 100-ისთვის არ გადამიცილებია.

— ჩვენს ინტერვიუში რა დოზით შეიძლება შენს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი?

— ჩემს პირად ცხოვრებაში ამჟამად განსაკუთრებული არაფერი ხდება, სათქმელად რომ ღირდეს. რომ მოხდება, პირობას ვიძლევი, არ გამოგაპარებთ.

— უცნაურია, რომ ასეთი ქალბატონი, მარტო დადიხარ...

— მთლად მარტოც არ დავდივარ, მაგრამ ჯერჯერობით არც ისეა საქმე, რომ რაიმე გამოვამზეურო...

— დასვენებას ამ ზაფხულს სად აპირებ?

— აგვისტოს 10-მდე სრული ქაოსი მაქვს და მერე ალბათ სადმე დავისვენებ. მაგრამ ზუსტად ვიცი და გადაწყვეტილი მაქვს, რომ უტყობთმი წავალ. ამით წლები ვანდელი წელი სხვა წლებისგან განსხვავებული იქნება. ისე, ადრე დასვენებისთვის უფრო მეტი დრო მქონდა, ახლა, რადგანაც მხოლოდ 20 დღე მაქვს თავისუფალი, მინდა, აქაურობას მოვწყდე. ბოლო დროს საზღვარგარეთ ხშირად მიწვედა გასვლა. თანამშრომლებთან ერთად, ტაილანდში გახლდით და საოცარი შთაბეჭდილებებით სავსე დავბრუნდი... უტყობთმიდან რომ ვბრუნდები, მერე ახალი ძალებითა და ენერჯით ვიწყებ ხოლმე საქმიანობას.

— გიყვარს მოგზაურობა?

— ძალიან.

— უტყობთმი ამჯერად, ზღვისპირეთში აპირებ წასვლას?

— კი, აუცილებლად. ზღვა ძალიან მიყვარს, მაგრამ პასიური დამსვენებელი ვარ. სიმშვიდე, განმარტობა მირჩევნია. მთა ნაკლებად მიყვარს, რადგანაც იქ ყოფნა მალე მბეზრდება, მიუხედავად იმისა, რომ დედა ფასანაურიდან არის და მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული.

— ბოლო დროს საქმიანი ქალის იმიჯი გაქვს, ბევრი საქმის პარალელურ რეჟიმში კეთება გინევს. დროს როგორ ანაწილებ?

— კი, საქმიანი ვარ, მაგრამ ამავე დროს, ძალიან ზარმაციც გახლავარ. ბავშვობაშიც, მასწავლებლები სულ ამბობდნენ, — როგორი ნიჭიერია და როგორი ზარმაციო!.. რა ვქნა, ასეთი ხასიათი მაქვს, რომელსაც სერიოზულად ვებრძვი (იცი-ნის). შესაბამისად, ხდება ხოლმე, რომ დროს ვერ ვანაწილებ და მერე, ქაოსური ცხოვრება გამომდის, რაც მღლის. ამასთან, საქმიანობისას დიდ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ და ესეც მღლის.

— ასეთი დატვირთული რომ ხარ, დღის განმავლობაში დრო გრჩება, რომ საკუთარ თავს მოუარო?

— არა, ამას ვერ ვახერხებ. თავის მოსავლელი პროცედურებისთვის ვერ ვიცილი. ამას მხოლოდ მაშინ ვახერხებ, როდესაც რაიმე ღონისძიებაა ან ტელევიზიით გამოსვლა მიწევს. ყოველდღე ამის საკეთებლად, ნერვებიც არ მყოფნის. ამას წინათ სააგენტო „მარმის“ 10 წლის იუბილე იყო, რომლის ორგანიზება „ფემენ ასოციეიშენმა“ ითავა. ისეთი ქაოსი მქონდა, რომ... იქ მისაყვედურებს კიდევ: უკეთეს ფორმაში შეგეძლო, ყოფილიყავი... მაგრამ დღიდან საღამომდე რეპეტიცია რომ გექნება, მთელი დღე საქმეში ხარ ჩართული, ვეღარ ასწრებ, დრო აღარ გრჩება, რომ კიდევ 3 საათი სილამაზის სალონში იჯდე.

— ჰოდა, შენს ბუნებრივ სილამაზეს გამოჰყავხარ მდგომარეობიდან, არა?

— კი, გარეგნობა უდავოდ, ხელს მიწყობს: ვინმემ უმაკაჟოდაც რომ დამინახოს, გული არ გაუსკდება...

— მადლობა საუბრისთვის და კარგ დასვენებას გისურვებ!



საქმიანი ვარ, მაგრამ ამავე დროს, ძალიან ზარმაცი გახლავარ



# კახა კუკავასთვის გამოკონილი ზღაპარი და გასვითილი ენსიკლოპედია

სწორად, ბევრი პოლიტიკოსი (და არა მარტო ისინი) თავს იკავებს ბავშვობის წლების გახსენებისგან, რადგანაც ასე მათი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები მეტად გამოიკვეთება. ზოგი ცნობილი სახე ჟურნალისტებს თავიდან ასე იზიარებს: ბავშვობის წლები საერთოდ არ მახსოვსო. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, მათი მშობლები ჩაგვეწერა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ შვილების შესახებ მათ თითქმის არაფერი ავინწყდებათ. ამჯერად, ოპოზიციონერი კახა კუკავას დედას, ქალბატონ დალი შენგელიას დავუკავშირდით. მას ბუნდოვნად ახსოვს დღე, როცა მისი შვილი ამ ქვეყანას მოეწვინა. ის იხსენებს: „ორშაბათი დღე იყო. კახა 51 სანტიმეტრი, 3 კგ და 900 გ დაიბადა“.



„ადრე ძაღიან ბევრს იცუებოდა...“

## სოფო ყარალაშვილი

— ბაგა-ბაღში კახა წლის და ორი თვის ასაკში მივიყვანეთ. ყოველ დილით მანამებდა — ბაღში წასვლა არ უნდოდა და 2 კაცი ძლივს ვახერხებდით მის წაყვანას. გზად ზღაპრებს ვუყვებოდით ხოლმე, რათა სხვა რამეზე გადართულიყო. თუმცა,



2 წლის კახა

როგორც კი მასწავლებელს დაინახავდა, ყველაფერი ავინწყდებოდა და ახლა მას უყვებოდა ჩვენ მიერ გამოკონილ ზღაპრებს (იციინის).

— სკოლაში თუ უყვარდა სიარული?

— რატომღაც, სკოლაში სიარული მოსწონდა და არც დილით გაღვიძება ეზარებოდა. განსაკუთრებით, ისტორიის გაკვეთილები ხიბლავდა. მეხუთე კლასში იყო, როცა ენციკლოპედიების კითხვა დაიწყო. ახლა რომ ნახოთ, კახას წყალობით ჩვენი ყველა ენციკლოპედია გაცვეთილია. სწავლობდა, მაგრამ ყურადღებას ოდნავ მაინც თუ მოვადუნებდი, ჩავარდნებიც ჰქონდა.

— რომელი საგანი არ მოსწონდა?

— რუსული არ უყვარდა. ერთხელ, ჩვენმა მეზობელმა შვილის დღიურს გადახედა და ბავშვს გაუბრაზდა: ეს რა არის, რუსულში ორიანი რომ გინერიაო?! იმან კიდევე, „დაამშვიდა“: ეგ რა არის, კახას ერთიანი ჰყავსო. სხვათა შორის, კახა დღიურს მიმაღავედა.

— რატომ, მცაცრო იყავით?

— ნიშნებზე დიდად არ მქონდა გართულება. მთავარი ის იყო, რომ ესწავლა. როცა სიზარმაცეს შევატყობდი, რა თქმა უნდა, ვუბრაზდებოდი ხოლმე.

— ქუჩაში „ბირჟაობა“ მოსწონდა?

— ეზოში საერთოდ არ ჩადიოდა. ვეხვეწებოდი, — ცოტა გაისეირნე-მეთქი, მაგრამ ეზოში ჩასვლას სახლში ყოფნა და კედლების მოხატვა ერჩივნა. სხვათა შორის, კედლებზე ეკლესიებს ხატავდა. მშვიდი ბავშვი იყო და სკოლაში ჩხუბი არასდროს მოსვლია, არც მასწავლებლებს დავუბრალებივარ მისი უსაქციელობის გამო. ალბათ, კარგად იქცეოდა. მახსოვს, სულ ვუყვებოდი დავით აღმაშენებელზე. ერთხელ მკითხა: ლენინმა რაღა გააკეთაო? ვუბასუხე, — აღმაშენებლის აშენებული საქართველო დაანგრია-მეთქი. ერთხელ მასწავლებელმა მკითხა, — თქვენთან სახლში ვინმემ კარგი თამაღობა იცისო? ჩემი მეუღლე მოქეიფე კაცი არ არის და ცოტა არ იყოს, გავიკვირვე. თურმე, ერთ-ერთი ბავშვის დაბადების დღე ყოფილა და კახას სადღეგრძელოში შეცდომით უთქვამს: ლენინმა საქართველო ააშენა, აღმაშენებელმა კი დანგრიაო (იციინის).

— სკოლის პერიოდში თუ იყო შეყვარებული?

— ასეთ თემებზე არაფერს მიყვებოდა. ცოლიც ისე მოიყვანა, რომ ჩვენთვის არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდით.

როცა დაინიშნა, მერე ჩაგვაყენა საქმის კურსში — გვითხრა, 31 ივლისს ქორნილი მაქვსო. იურიდიულზე რომ აპირებდა ჩაბარებას, ესეც სხვებისგან შევიტყვეთ...

— თქვენ არ გინდოდათ, იურიდიულზე რომ ჩაებარებინა?

— მეც და ჩემი მეუღლეც მათემატიკოსები ვართ და გვინდოდა, ჩვენს გზას გაჰყოლოდა. თანაც, მაშინ იურისტობა პოპულარული პროფესია არ იყო. ინგლისურში ემზადებოდა მხოლოდ.

— ნიკა გვარამია მისი სტუდენტობის მეგობარია, არა?

— (იციინის) ყოველ შემთხვევაში, მტრები არ ყოფილან. კურსელები იყვნენ და ერთად ბევრ დროს ატარებდნენ.


— სწორად კამათობთ?

— ადრე ვკამათობდით, ახლა კი შინ ძალიან ცოტა დროს ატარებს და მაშინაც ხომ არ ვიკამათებთ?!

— ბავშვობაში, დასთან თუ მოსდიოდა ჩხუბი?

— ბავშვობაში კი არა, ახლაც ჩხუბობენ. როგორც წესი, კახა დას აბრა-

დედასა და დასთან ერთად



ზებს, ესუმრება და ნერვებს უშლის.  
— ბავშვობაში რას უკრძალავდით?

— ტყუილების თქმას, რადგანაც ადრე ძალიან ბევრს იტყუებოდა. მართალია, ბოროტ სიცრუეს არასდროს ამბობდა, მაგრამ მე მაინც არ მომწონდა. სხვათა შორის, მის მიმართ მე უფრო მკაცრი ვიყავი, ვიდრე მამამისი.

— თავად ბატონი კახა თუა შვილების მიმართ მკაცრი?

— არა, მკაცრი მამა ნამდვილად არაა. ალბათ, იმიტომ, რომ შვილებს დანატრებულა. შინ ლამით მოდის და მხოლოდ მათი მოფერებით ტკბება.

— ის დღე გაიხსენეთ, როდესაც თქვენი შვილის ამა თუ იმ ქმედების გამო ყველაზე ამაყი იყავით...

— ერთი კონკრეტული დღე არ მახსოვს. მე ონკოლოგიურში ვმუშაობ და როდესაც პაციენტები მეუბნებიან, კარგი შვილი გყავთო, მაშინ ძალიან ამაყი ვარ.

— ალბათ იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მას სატყეული არ მოუწონებოდა...

ნიკა გვარამიასთან ერთად, სკულენგობისას



— არ მესიამოვნა, კახას და შოთა მაღალსიხას შორის დაპირისპირება რომ მოხდა. მართალია, იმან გამოიწვია, მაგრამ მაინც ჯობდა, კახას თავი შეეკავებინა. ასევე, არ მომეწონა ჩემი შვილისა და იმ ქალბატონის შესლა-შემოსლის ამბავიც, რომელმაც კახას ხელი გაართყა, ამან კი სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ეს კადრი ტელევიზიით ვნახე და შვილს ვუსაყვედურე: ასე არ უნდა მოქცეულიყავი-მეთქი. თავიდან მომისმინა, მერე კი მითხრა, — კარგი, გავიგეო!.. ძირითადად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვარ ხოლმე დაძაბული, რადგანაც იქ ხშირია პოლიტიკური გარჩევა და არ მინდა, ჩემს შვილზე ვინმემ ცუდი თქვას. საბედნიეროდ, მის ლანძღვას ჯერ არ შევსწრებოვარ.

— დედის დღე ან თქვენი დაბადების დღე ყოველთვის ახსოვს?

— ჯერჯერობით, ახსოვს და სიტყვიერად მილოცავს ხოლმე. მაგრამ თუ საზღვარგარეთაა, ყოველთვის ჩამოაქვს ჩემთვის სუნამო „კენზო“, რომელიც ძალიან მომწონს.

# თიკა მახალღიანის ბუღის მოპოვა ძნელია

„ხატვა უნდა დაგიბახიცოს, რომ ვუყვარვარ“

ბუღეგადაცემის „მიმღერე რამე“ – გამარჯვებულმა თიკა მახალღიანმა მითხრა: ძალიან ემოციური ადამიანი ვარ, იოლად ვბრაზდები, მაგრამ ერთი თბილი სიტყვაც საკმარისია, რომ გული მომიღბეს და სიბრაზემ გამიაროსო... მას, როგორც გოგონების უმრავლესობას, თავის ქორწილზე უფიქრია და უნდა, რომ ის ღია ცის ქვეშ გაიმართოს.



## მარუხ ჭონიძე

— თიკა, გამარჯვებას გილოცავ! ამ პროექტის შემდეგ თუ შეიცვალა რაიმე შენს ცხოვრებაში?

— დიდი მადლობა! ამ პროექტში მონაწილეობის შემდეგ, უფრო მეტი ხალხი მცნობს. ქუჩაში თბილად მხედებიან, მილიმიან და გამარჯვებას მილოცავენ. მინდა, ყველას დიდი მადლობა გადაუხადო მხარდაჭერისთვის. სხვა მხრივ, ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა.

— სიმღერა რა ასაკიდან დაიწყე?

— როგორც დედა და ბებია მეუბნებიან, სულ პატარაობიდანვე შემეძლო, მელოდიას ავყოლოდი. 4 წლის ვიყავი, როცა პიონერთა სასახლეში მიმიყვანეს. ჩემი მუსიკის მასწავლებელი — შურა ჯანელიძე გახლდათ. სწორედ მან გამომიყვანა პირველად სასახლის სცენაზე, სადაც „იანვანამ რა ჰქმნა“ ვიმღერე. სიმღერის დროს ხელში თოჯინა მეჭირა. ასე რომ, ბავშვობიდან სცენაზე ვდგავარ და ვმღერი.

— როგორც ვიცო, ორკაციანი საგზური მოიგე ვისთან ერთად აპირებ გამგზავრებას?

— მე და ლაშას, როგორც გამარჯვებულებს, თურქეთის ერთგვიანი საგზურები გადმოგვცეს. სექტემბერში, დედასთან ერთად გავემგზავრები.

— საერთოდ, სად უფრო გიყვარს?

ვარს დასვენება — მთაში თუ ზღვაზე?

— მთაც მიყვარს და ზღვაც, მაგრამ უკვე მეორე ზაფხულია, კონცერტებში ვმონაწილეობ და ამის გამო ვერ ვისვენებ. წელს თუ მოვახერხებ, სანამ თურქეთში გავემგზავრები, მინდა, 10 დღით ბათუმში წავიდე. ასევე ძალიან მიყვარს ჩემს სოფელში, რაჭაში დასვენება. დასასვენებლად მეგობრებთან ერთად მივდივარ ხოლმე და ვცდილობ, მაქსიმალურად გავერთო.

— ახლა შენი ოჯახი გაგვაცანი.

— მყავს დედა, მამა, ძმა და ბებია. მამა მუშაობს. დედა — დიასახლისია. ჩემი ძმა კი 13 წლისაა და სკოლაში სწავლობს.

— რამდენი წლის ხარ?

— 20-ის.

— ჰოროსკოპით რა ხარ?

— მერწყული. ჰოროსკოპის დიდად არ მჯერა, მაგრამ ინტერესის გამო ვკითხულობ ხოლმე.

— შენს ძირითად დადებით თვისებად რას მიიჩნევ?

— ვარ ერთგული, მხიარული და გულწრფელი ადამიანი. ისე, საკუთარ თავზე ლაპარაკი ძალიან ძნელია.

— უარყოფით თვისებებზე რას იტყვი?

— ძალიან გულუბრყვილო ვარ. შემოიძლია, ახალგაზრდობილ ადამიანს გული გადაუშალო და ყველაფერი ვუამბო. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ყველას



ნდობა არ შეიძლება და ვცდილობ, ეს თვისება მოვიშორო... თუმცა ხშირ შემთხვევაში, არ გამომდის (იციინის). ჩემი ოჯახის წევრები, მეგობრები ძალიან მიყვარს, მაგრამ მათ სიყვარულს ხშირად, ვერ ვამჟღავნებ; ესეც ჩემს უარყოფით თვისებად მიმაჩნია.

— მაგნე ჩვევა თუ გაქვს?

— ფრჩხილებს არ ვიკვნივ, არც ალკოჰოლურ სასმელებს ვეტანები. ერთი ჭიქაც რომ დავლიო, მაშინვე მეძინება; მეგობრებმა ჩემი ეს თვისება კარგად იციან, ამიტომ, როცა ვქვითობ, სასმელს არ მაძალბებენ. პირიქით, მეუბნებიან, — შენ არ დალიოო.

— რამ შეიძლება, გაგაბრაზოს?

— ძალიან ფიცხი ვარ! შეიძლება, სულ პატარა რამეზე გავბრაზდებ და სკანდალი მოვანყო. ასეთ დროს, ძალღიჯით ვიღრინები (იციინის). მაგრამ ჩემი დაშოშმინებაც იოლია. ერთი თბილი სიტყვაც საკმარისია, რომ ყველაფერი დამავიწყდეს. დამშვიდების შემდეგ კი ძალიან ვნერვიულობ ხოლმე, იმ ადამიანის გამო, ვისაც ვაწყენინე.

— მტირალა თუ ხარ?

— ემოციური ადამიანი ვარ. შეიძლება, სულ მცირე რამეზე მოვიწყინო, ვინერვიულო და ვიტყვი კიდეც.

— ეჭვიანი თუ ხარ?

— საშინლად ეჭვიანი ადამიანი ვარ. ხშირად მეგობრებზეც მიეჭვიანია, ვიცი, რომ ეს ცუდი თვისებაა, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ვარ (იციინის).

— თიკა, ადრე სარძლოს იმის მიხედვით არჩევდნენ, თუ როგორი მეოჯახე იყო. შენ როგორი დიასახლისი ხარ?

— სამზარეულოში ტრიალი, უთოო-

ბა და სახლის დალაგება არ მინევს. დედა და ბებია მყავს და ამ მხრივ ისინი ზრუნავენ ჩემზე.

— გათხოვების შემდეგ ამ ყველაფრის გაკეთება რომ დაგჭირდეს, რას იზამ?

— რალაცების გაკეთება ვიცი. გათხოვების შემდეგ კი თუ უფრო მეტის ცოდნა დამჭირდა, ვისწავლი.

— როგორ ფიქრობ — დაქორწინების შემდეგ წყვილმა ცალკე უნდა იცხოვროს?

— სასურველია, რომ მარტო იცხოვრონ, ცალკე დაიწყონ დამოუკიდებელი ცხოვრება. ამით იმას კი არ ვამბობ, დედამთილს და მულს ვერ ავიტან-მეთქი (იციინის), პირიქით, ძალიან მომწონს, როცა რძალ-დედამთილს კარგი ურთიერთობა აქვს და ერთმანეთთან მეგობრობს. მეც ვეცდები, დედამთილთან ვიმეგობრო.

— დედამთილს „დედას“ დაუძახებ?

— არავითარ შემთხვევაში. ვიცი, რომ ბევრი დედამთილს „დედას“ ეძახის და ეს არ მომწონს, პირიქით — მიმაჩნია, რომ გამალიზიანებელია.

— ქორწინებამდე ინტიმურ ურთიერთობაზე რა აზრის ხარ?

— ჩემთვის ქორწინებამდე ერთად ცხოვრება მიუღებელია, მაგრამ თუ ამას, ვთქვამთ, ჩემი მეგობარი ჩაიდნეს, არ გავიცხავ, რადგან ეს ამორალურ საქციელად სულაც არ მიმაჩნია.

— შეყვარებული თუ გყავს?

— არა. ჩემი გული თავისუფალია.

— არც არასოდეს გყვარებია?

— მომწონებია, მაგრამ ჯერჯერობით, სერიოზულად შეყვარებული არ ვყოფილვარ. ზოგს უყვარდება და ამ სიყვარულის გამო ყველასა და ყველაფერს ივინყებს და მხოლოდ იმ ერთი ადამიანისთვის ცოცხლობს. მე ასეთი სიყვარული არ მინდა.

— შენი გულის მოგება ძნელია?

— რა თქმა უნდა! კაცმა უნდა დამიმტკიცოს, რომ ვუყვარვარ და ჩემი გულის მოსანადირებლად იბრძოლოს.

— როგორი ბიჭები მოგწონს?

— ჩამოყალიბებული აზრი არ მაქვს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ჩემი რჩეული. შეიძლება, შავგვრემანი შემიყვარდეს, შეიძლება — ქერა; ეს, რაც შეეხება გარეგნობას. ისე კი სერიოზული, ჩამოყალიბებული, ყურადღებიანი და ზრდილობიანი ბიჭები მომწონს. არ მომწონს „ქალია“ და გადაპრანჭული ბიჭები.

— რამდენად ტრადიციული ხარ და მოგწონს თუ არა ქართული ტრადიციები?

— ქართულ ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე და აქედან გამომდინარე, ტრადიციულიც ვარ. ახალგაზრდები ახლა „ვეროპელობენ“ და ეს ძალიან არ მომწონს. ვაფასებ იმ ბიჭებს, რომ-

ლებიც ქართულ ტრადიციებს პატივს სცემენ. მესმის, რომ XXI საუკუნეა და ყველა ტრადიციას ვერ დაიცავ, მაგრამ ის ხომ შეგვიძლია, პატივი ვცეთ და მის შენარჩუნებაზე ვიზრუნოთ?!

— ტრადიციის თანახმად, საქმრომ შენი ხელი მამაშენს უნდა სთხოვოს...

— ძალიან კარგია და მივესალმები ამ ტრადიციას. გამიხარდება, თუ ჩემი შეყვარებული ჩემს ოჯახში მოვა, ჩემს ხელსა და გულს ითხოვს და ნიშნობის ბეჭედს მომიტანს.

— გოგო რომ თხოვდება, მზოთვეს ატანენ. შენ თუ გაქვს მომზადებული მზოთვე?

— „ვეფხისტყაოსანს“, ჭურჭელსა და ბალიშებს არ ვაგროვებ (იციინის). როცა გავთხოვდები, ჩემი მშობლები საჩუქარს გამიკეთებენ.

— შენი ქორწილი როგორი გინდა, რომ იყოს?

— უცხოელების მსგავსად, მინდა, რომ ჩემი ქორწილი ღია ცის ქვეშ გამართოს. ასევე ძალიან მომწონს, ჯვრისწერის დროს მამას შვილი საკურთხეველთან რომ მიჰყავს, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენში ასეთი წესი არ არის. ტაძრამდე კი მინდა, რომ ეტლით მივიღე.

— ალბათ, საქორწილო კაბაზეც გიფიქრობა.

— ეს დღე ქალის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და ამაღლებელია. ამიტომ ვემზადებით ხოლმე განსაკუთრებულად — გვინდა, რომ ამ დღეს გამორჩეულად ლამაზები ვიყოთ. რაც შეეხება საქორწილო კაბას, — ვიცი, რომ თუთრს არ ჩავიცვამ: სპილოსძვლისფერ კაბას შევარჩევ. კაბის დიზაინს კი გათხოვებას რომ გადავწყვეტ, მაშინ მოვიფიქრებ.

— გარიგებით გათხოვებაზე რა აზრის ხარ?

— ახალგაზრდებს ეგ არ გვჭირდება. მიმაჩნია, რომ ცხოვრების მეგზური ადამიანმა თვითონ უნდა აირჩიოს. ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა უთქვამთ: თიკა, ნახე, რა კარგი ბიჭია, არ გინდა, გაგირიგოთო? ამ დროს ძალიან ვბრაზდები.

— ამ ინტერვიუს შემდეგ, თაყვანისმცემლები გამოგცხამაურებიან. თუ შეხვდები რომელიმეს?

— თუკი თბილისში ვიქნები, დიდი სიამოვნებით.

აი, ასეთი მომხიბვლელი საპატარალო გყავს. თიკას თაყვანისმცემლებს საშუალება გეძლევათ, გამოეხმაუროთ ტელეფონის ნომერზე: 8 (55) 45-48-50. მერე ჩვენ მის სახელზე მოსულ მესიჯებს გავაცნობთ და თუ თიკა რომელიმეს ავტორთან შეხვედრას მოინდომებს, დაგიკავშირდებით. წარმატებას გისურვებთ!



მე და ლამას თურქეთში ერთკვირიანი საგზური გადმოგვიცხ

# სანი: ვიზუალური ნაცნობობა და სექსუალური ჩა აიძულებს ახალგაზრდას, სექსუალური პარტნიორის რატიმ აეხანა?

ამას წინათ, მეზობელმა ქალმა შემომჩივლა, რაც ქეთის (შვილს) სატელეფონო ქსელმა რამდენიმე მეგობარი ინტერნეტი დაურთა, მას შემდეგ ტელეფონის ხელიდან აღარ უშვებს, სულ ინტერნეტში დაქრება და იქნებ, დაელაპარაკო?.. გოგონამ დელიკატურად მომიშორა: თუ ძალიან გაინტერესებს, რა სიბლი აქვს ჩატს, თავად შედი და მაშინვე მიხვდები. თავისუფალ დროს ჩატში დაფრეგ-ისტრირდი, მის სიბლს რომ ვზიარებოდი. სიბლის რა მოგასხენოთ და, შესვლისთანავე სუთი წერილი მომივიდა, რომლის ადრესანტებსაც აინტერესებდათ — ვიქნებოდი თუ არა მათი სექსუალური პარტნიორი ჩატში?.. ზღვარს გადასულმა უტიფრობამ ჯერ დამამუნჯა, ხოლო როდესაც იმავე შინაარსის წერილების რაოდენობამ მკვეთრად იმატა, გადავწყვიტე, მის ავტორებს დავეკონტაქტებოდი და მეკითხა, თუ რა აიძულებთ, ჩატში მოძებნონ სექსუალური პარტნიორი? უცნაურია, მაგრამ მათთან საერთო ენის გამონახვა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ერთი შეხედვით უკომპლექსო ადამიანები, რომლებიც სხვების თანდასწრებითაც კი არ ერიდებიან ვირტუალური სექსუალური აქტის იმიტირებას, სიტყვაძუნწი და ჩაკეტილი ადამიანები აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით — გოგონები, რომლებიც საკუთარი ინტიმური ფოტოებით ვაჭრობენ და ამის სანაცვლოდ, ბიჭებს სატელეფონო ანგარიშზე 3 ან 5 ლარის ჩარიცხვას სთხოვენ. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ ბიჭი ხშირად მოტყუებული რჩება: თანხის ჩარიცხვის შემდეგ ამაოდ ელოდება დაპირებულ ფოტოს... ჩემი მეზობელი ქეთიც ერთ-ერთი მათგანია, ვინც სატელეფონო აფერის წყალობით, თავისი მობილურის ანგარიშს ზრდის.



ბული და მასაც ჰყავს მუდმივი კლიენტები. მაგალითად, დღეს უნივერსიტეტიდან გავგზავნე სურათები, ლექციაზე ვიჯექი და ისე ამ იდიოტებს კი ჰგონიათ, რომ იმწუთას გადაღებულ ფოტოებს ვუგზავნი...

— არასოდეს გიფიქრა, სხვა სერვით გეცადა ფულის შოვნა?

— არა, ეს საქმე სარფიანია. თან, ამით მხოლოდ ტელეფონის ბალანსს ვამდიდრებ. ვსწავლობ, მეგობრები მყავს და მათთან ურთიერთობისთვის, ტელეფონის ანგარიშზე ფული უნდა მქონდეს. ჩატში როცა შეგვივარ და განცხადებას ვათავსებ, ზოგი გინებით მიკლებს. ეს საერთოდ არ მალეღვებს. როცა იმდენი ფული მექნება, რომ ფოტოების გაყიდვა აღარ დამჭირდება, ამ ყველაფერს თავს დავანებებ. მანამდე კი არავინ უნდა გაიგოს ჩემი საქმიანობის შესახებ.

— და მაინც ვინმე რომ გაიგოს?

— ღმერთმა დამიფაროს, რას ამბობ?! წესიერი და ჭკვიანი გოგოს იმიჯი მაქვს, ბევრი ვერც დაიჯერებს ამას ჩემზე! ზოგს ფრთიანი ანგელოზი ვგონივარ, მაგრამ ბურუსით მოცული „კუთხე“ ყველა ადამიანს აქვს...

ნიკოზა, 24 წლის:

— უკვე თითქმის 2 წელია, რაც ვჩატობ. თავიდან მხოლოდ გასართობად შევედი, ხალხი „დავათავალიერე“. მერე რამდენიმე გოგოც გავიცანი. მერე ნომრები გავცვალეთ, შეხვდით კიდეც... ადრე ისეთი სიტუაცია არ იყო, როგორც დღესაა, — ასე ღიად, სექსი მინდაო, არავინ ამბობდა. ისე, ჩუმ-ჩუმად კი ხდებოდა შეთავაზება, მაგრამ — მხოლოდ ჩუმად! ახლა ისეთი ამბავია, ძალიან პატრონს ვერ ცნობს, მიდის ერთ-მანეთისთვის გოგოების „დანერება“ და ამბავი...

## ელენე ბასილიძე

ქეთი, 19 წლის:

— წელიწადზე მეტია, რაც ჩატი აღმოვაჩინე და იმ დღიდან მოყოლებული, თითქმის ყოველდღე ვსტუმრობ. თავიდან მეგობრებს ვეძებდი. ცოტა საკუთარ თავში ჩაკეტილი ტიპი ვარ და მეგობრების ადვილად ვერ ვიძენ რეალურ ცხოვრებაში. აქ კი ძალიან გამიადვილდა ყველასთან ურთიერთობა. თან, დროთა განმავლობაში აღმოვაჩინე, რომ ჩატის მეშვეობით, თურმე ფულის შოვნაც შეიძლება... ასე ვთქვათ, ჩემი ბიზნესი „დავატრიალე“, რომელიც საკმაოდ მომგებანი აღმოჩნდა.

— რა ბიზნესი?..

— ჩატში უამრავი, ქალს დახამებული ბიჭია, რომელიც მზადაა, ქალის ერთ სურათში 2-3 ლარი გადაიხადოს. ერთხელ დავწერე: ვინც 3 ლარს ჩამირიცხავს, ჩემს ინტიმურ ფოტოს გავუგზავნი-მეთქი. რამდენიმე ბიჭი შემეხმინა და მეც ყველას მივეცი ტელეფონის ნომერი. სულ მალე, ჩემი ბალანსი 9 ლარით გაიზარდა...

— ფოტო გავუგზავნი?

— კი, სამივეს „მატიოსნად“ გავუგზავნი ფოტო, რომელშიც შილიფად ჩატებული ვარ. მიხვდები, რომ თუ ასე ხშირად მოვიქცეოდი, ტელეფონის ბალანსზე ფული არასოდეს გამომეღოდა და ასეცაა დღემდე. მართალია, ხანდახან ზოგს „ვაგდება“ და ფოტოს არ ვუგზავნი, მაგრამ ასეთი ემპაოები ალბათ

„მოსულა“ (იციან)...

— და მოტყუებული ბიჭი არასოდეს გეხმინება ტელეფონით?

— (იციან) „აფეთქებული“ მაქვს ტელეფონი მათგან! ამიტომაც, ამ ნომერს მხოლოდ სურათის გასაგზავნად ვიყენებ.

— ანუ შენს ფოტოებს ყიდი?

— კი, ასეა... ადრე თუ ჩემი კლიენტები ოდნავ მომიშვლებულ მსრებზეც თანახმა იყვნენ, ახლა ითხოვენ, რომ სულ შიშველმა გადავიღო ფოტო. გემოვნება ამკარად გაუუმჯობესდათ და მოთხოვნილებებიც გაუზარდათ. მეც იძულებული ვარ, დავეზორო ჩილო მათ მოთხოვნებს... ბევრი ისეთი ადამიანცაა, რომელსაც მუდმივ კლიენტს ვუძახი: ხშირად მთხოვენ ფოტოებს და ამჯერად — არა ჩატში, არამედ პირად ნომერზე მეკონტაქტებიან.

— არ გეშინია, ქუჩაში რომ გიციონ?

— არც ისეთი სულელი ვარ, ფოტოში სახე მთლიანად რომ გამოვჩინო: ხან პარიკს ვიხურავ, ხან ვარცხნილობას ვიცვლი, თორემ მართლა ვინმე რომ დამადგეს ქუჩაში, ხომ „გავრეკე“!.. კლიენტებს ნამდვილ სახელს არ ვუბნებ, ნომერიც, რომელზეც მეკონტაქტებიან, სხვის სახელზეა დარეგისტრირებული და მას მხოლოდ ფოტოების გასაგზავნად ვიყენებ. შენიღბული ვარ თავიდან ბოლომდე!..

— ფოტოებს ვინ გიღებს?

— ჩემი დაქალი. ისიც ამ საქმითაა დაკავებული



# სენი: პიკანაჟი ნაცნობა და სენი ჩაჭვი

— გოგოების „დანერება“ რას ნიშნავს?

— როცა მუდმივი პარტნიორი გყავს და მას გართმევ, აი, მაგას ნიშნავს. მე მაგალითად, 3 გოგო მყავს ამოჩემებული და როცა იქ შევდივარ, სექსი მხოლოდ მათთან მაქვს. ახალბედებსა და უცნობებს ვერ ვენდობი, გამოუცდელი არიან. თან, ნაცნობ ადამიანთან ყველაფერი უფრო გიადვილდება.

— ჩატში გაცნობილი ადამიანი რეალურად თუ გინახავს?

— კი, როგორ არა?! მათგან რამდენიმესთან სექსიც მქონია. ჩატში უმრავლესობა ისეთია, ვისაც რეალურადაც სჭირდება პარტნიორი. იცი, რა მაგარი გოგონები ჩატობენ? გადაირევი! რომ შეხედავ, იტყვი: რა გაუჭირდათ ისეთი, აქ რომ ეძებენ კაცებსო?! არადა, თავიდან მეგონა, მხოლოდ მახინჯები ერთობოდნენ ჩატში სექსით. თურმე სულაც არ ყოფილა ასე.

— სენი აზრით, ასეთი კარგი გოგონები რატომ ეძებენ ბიჭებს ჩატში?

— არ ვიცი. ეგ კითხვა მეც დავუსვი მათ, მაგრამ პასუხი არ გამცეს. ისეთი გოგონები არიან, წესით, რეალურად კაცის დაკრება არ უნდა გაუჭირდეთ... მაგრამ მაინც ჩატში ეძებენ პარტნიორებს. რატომ — არ ვიცი!

— შენ რატომ ეძებ იქ გოგონებს?

— თავიდან ქალების ძალიან მეშინოდა, მიჭირდა მათთან ურთიერთობა და გავუბოდი. მერე კი მივხვდი, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, სულ „გაპეტუსდებოდი“. ამიტომაც ავირჩიე გოგოების დაკრვის ყველაზე მარტივი გზა. მართალია, ბევრი გოგო, რომელიც ვირტუალური სექსით ერთობა, რეალურ შეხვედრაზე არ მთანხმდება, მაგრამ არც ვირტუალური სექსია ურიგო... ამიტომაც ვარ ჩატის ხშირი სტუმარი. ჩატმა ადამიანებთან, გოგონებთან ურთიერთობის კომპლექსი გარკვეულწილად, მომიხსნა. ვირტუალურ სამყაროში უფრო გაბედული

და უკომპლექსო ხარ. ჩატმა გოგონებთან ურთიერთობა მასწავლა.

**ნოდარი, 29 წლის:**

— ჩატში უამრავი ფსიქოლოგია, რომელიც იქ მყოფებს აკვირდება, ბოლოს კი ბევრი მინახავს მათნაირი, ჩატობას თავს რომ ვეღარ ანებებს...

— რატომ? მათაც ითრევს?

— კი, და იცი, რატომ? ამ ადამიანების ფსიქოლოგიას რომ ჩასწვდე, მათ ტყავში უნდა „ჩაძვრე“, ის უნდა იგრძნო, რასაც ესენი გრძნობენ, ის უნდა გამოცადო, რასაც ესენი განიცდიან. ამიტომაც, ბევრი ადამიანი, ვინც ცდილობს, ონანისტების ფსიქოლოგიას ჩასწვდეს, მათსავით ჩატში სექსით კავდება. ბოლოს კი იმდენად ითრევს ეს ყველაფერი, რომ არაფრით განსხვავდება სხვა „ჩატელებისაგან“. მოჩაბავე ადამიანების უმრავლესობა ან გაუპატიურების მსხვერპლია, ან ოჯახში მოძალადე მშობლები ჰყავს. ოდესმე წარმოიდგენდით, რომ ამდენი ლესბოსელი და ჰომოსექსუალი იქნებოდა საქართველოში?.. სახვს ჩატი ასეთი ადამიანები! უცხო თვალისთვის ეს ყველაფერი ამაზრზენია. როცა იქ პირველად შევედი, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. ასეთი საგიჟეთი პარველად ვნახე, მაგრამ როცა რამდენჯერმე ისევე ვესტუმრე იქაურობას, ძალიან აღარ მალიზიანებდა იქ დამკვიდრებული სიბინძურე... ეს ყველაფერი, პირველი შეხვედრით ჩანს სამხედრო ბადა, მაგრამ როცა ეჩვევი, ასეთი გრძნობა სადღაც ქრება...

— როგორც ჩანს, შენც შეგვფე იქაურობას. რას ან ვის ეძებ ჩატში?

— თავიდან ხალხს ვაკვირდებოდი, მაინტერესებდა მათი ფსიქოლოგია... მოჩაბავეები რაღაც მოვლენებს სხვანაირად აღიქვამენ, შეხედულებებიც სხვანაირი აქვთ... რეალურ ცხოვრებაში მსგავსი სიბინძურე რომ უთხრას მათ ვინმე, რასაც იქ ყოველდღე ეუბნებიან, შეიძლება, გადაიროს. ჩატში ბევრი რამ „მოსულა“, აი, რეალურ ცხოვრებაში კი პატიოსანი ადამიანის სახელი აქვთ, როგორც გოგონებს, ასევე — ბიჭებსაც...

— მითხარო, თავიდან ხალხს ვაკვირდებოდი... ასლა?

— ასლაც ვაკვირდები, ოღონდ ზიზღითა და ათვალწუნებით — არა. იმიტომ, რომ მეც თითქმის მათნაირი გავხდი ანუ ინტერნეტში სექსი მეც დავაგემოვნე...

— და როგორ გემო აქვს ვირტუალურ სექსს?

— რეალურს ვერ შეედრება, მაგრამ სულ არაფერს მაინც სჯობს (იცი-ნის). გამიტაცა იქაურობამ, თავისუფალ დროს შემოვდივარ და თვალს წყალს ვალევი... ჰო, მართლა, ბევრი ისეთი ადამიანიცაა იქ, რომელიც უბრალოდ, ხალხის გასაცნობად და სალაპარაკოდ შემოდის. მათი ნიკები ყველამ იცის, იციან, რომ სექსუალურ პარტნიორებს არ ეძებენ. ხშირად აღა-

დავებენ ონანისტებს, დასცინიან და აშარ-უბენ. მაგრამ მათ შორის რამდენიმე ისეთიცაა, ვინც სხვა სახელით რეგისტრირდება და ვირტუალურ სექსსაც აჩალებს ანუ 2 სახელი აქვს: ერთი — პატიოსანი, მეორე კი — ონანისტის.

— შენი ლაპარაკიდან ჩანს, რომ ვირტუალურ სექსზე უარის თქმა ბევრს უჭირს. ასეა?

— თავიდან ყველა „ტიპოს“, მაგრამ ამდენი ონანისტის წინერს რომ კითხულობენ, მათაც უჩნდებათ სექსის სურვილი. ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მეც მსგავს სიტუაციაში ვიყავი... ახლა ალბათ ბევრს უსაქმური და სულელი ვგონები, მაგრამ 2 ადგილას ვმუშაობ, არც გოგონების ყურადღება მაკლია და არც მათი დაკრვა მიჭირს. ჩატით ვარ გატაცებული და სულაც არ მივიჩნევ, რომ რაიმე ცუდს ვაკეთებ!

**სოფო, 20 წლის:**

— ჩატი ძალიან დიდი ხნის წინ „გაჭიეთ“. მეგობრებიც გავიჩინე და მოკვლედ, მაგარი დროს ტარება გვქონდა... მერე ერთხელაც, ერთმა ჩატელმა სექსი შემომთავაზა. დავინტერესდი, არ ვიცოდი, ჩატში სექსი როგორ უნდა მქონოდა და დავთანხმდი... მას მერე რეგულარულად შევდივარ და პარტნიორებს ვეძებ... თუმცა რამდენიმე მყავს ამოჩემებული და მათთან ვარ სულ.

— რეალურად თუ იცნობ რომელიმეს?


— ადრე ერთ ბიჭს შევხვდი; ერთმანეთი მოგვენონა და ხშირად ვხვდებოდით. მალე ჩემი „ლოკე“ გახდა, თუმცა ჩვენმა სიყვარულმა დიდხანს ვერ გასტანა და მალევე დავშორდით ერთმანეთს. მას მერე, აღარავის შევხვედრივარ და არც მაქვს სურვილი, ვინმე ვნახო.

— რატომ? ვირტუალური სექსი თუ გაქვს მათთან...

— შენ რას გულისხმობ? რადგან ვირტუალური სექსი მაქვს, უნდა შევხვედე და რეალურადაც დავწვე მათთან (იცი-ნის)! მათთან იმიტომ ვარ ვირტუალურად, რომ ასე უფრო უსაფრთხოა: ჩატში უმრავლესობა — ჩემნაირი ქალიშვილია და თავს ასე ირთობს. სულაც არ მინდა, სექსი მქონდეს და მერე სახელი გამიტყდეს: ხომ იცი, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ!. თან, ქალიშვილობა ისევე „მოდაშია“ და მიჩვენია, ჩატში ვიყო, ვიდრე რეალურად მქონდეს სექსი.

**ბუბა, 23 წლის:**

— გოგოებს თუ გაესაუბრე, მათი 90% გეტყობდა, ქალიშვილი ვარო... მართლაც ასეა, აქ ენ. პატიოსნები შემოდინ და ისეთ რაღაცებს ლაპარაკობენ, ხანდახან მე მრცხვენია, მათ შემხედვარეს!.. უკვე სერიოზულად მეშინია ყველა გოგოსი! რატომღაც მგონია, რომ პატიოსნება მათთვის პირობითი ცნებაა და ყველა გარყვნილი! ჩატში გაცნობილს კი არა, საერთოდ თუ მოვიყვან ცოლს, არ ვიცი... მიჩვენია, ჩემი ცოლი ქალიშვილი არ იყოს, ვიდრე ჩატში ეძებდეს კაცებს და მერე პატიოსნებაზე დებდეს თავს!



# სანი: პიჩხაღაჩი ნაცნობობა და სექსი ჩატში

— შენ რას ან ვის ეძებ ჩატში?

— მე „გაცნობის ოთახში“ ვარ ხოლმე... ხანდახან, როცა ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ, შევდივარ და იქ მყოფებს ჩემს პრობლემაზე ვუყვები... ბევრი კარგი ადამიანია იქ, რომელიც ფსიქოლოგის კონსულტაციას მიწევს (ივინის). ასე რომ, ჩატში მხოლოდ ონანისტებიც არ არიან...

მართლაც, საოცარია, არა? ახალგაზრდა, მიმზიდველი, ჯანლონით სავსე ადამიანები, რეალურ სამყაროს, ვირტუალურს ამჯობინებენ. რა მოვლენასთან გვაქვს საქმე? სენთან თუ დროებით გართობასთან? რამდენად საშიშია ის მომავალი თაობებისთვის, მათი ჯანსაღი ცხოვრებისთვის? კომენტარი ფსიქოლოგ **თბა ბოგოროვიცილს** ვთხოვეთ.

— ქალბატონო თვა, რა აიძულებს ახალგაზრდებს, სექსუალური პარტნიორი ჩატში ეძებონ?

— ალბათ დამეთანხმებით, რომ ადამიანს მიმართულებას ესა თუ ის რეალური ფაქტორი აძლევს — რა აქვს მას ობიექტურ სინამდვილეში, რაზე მიუწვდება ხელი, რა არის მისი მოთხოვნილება, რამდენად კმაყოფილება მისი მოთხოვნილება, — და თუკი ადამიანის რეალობაში არ არის მისი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ობიექტი, ამას სხვაგან ეძებს. ამ შემთხვევაში, ჩატი სექსუალური დაკმაყოფილების გარკვეული ფორმაა, არცთუ ისე სრულყოფილი, მაგრამ ფაქტია, რომ უამრავი ადამიანი ირჩევს მას.

— რამდენად მისაღებია ასეთი



ურთიერთობა, მორალური თვალსაზრისით?

— ყველა ადამიანს საკუთარი მორალი აქვს, რომელიც გარდატეხის ასაკში, ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული. თუ იმას გაეითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი ადამიანი თავისი მორალური შეხედულებების მიხედვით მოქმედებს და თვითონ უნდა შეაფასოს საკუთარი მოქმედება, თავად უნდა ჰქონდეს თავისი მისწრაფებებისა და დამოკიდებულების მიმართ კრიტიკული აზრი. ის, თუ რას ფიქრობენ მის გარშემო მყოფი ადამიანები, ნაკლებად მნიშვნელოვანია მისთვის. ადამიანები მანამდე აგრძელებენ თავიანთი შეხედულებებისა და სურვილების თანახმად მოქმედებას, სანამ თავად არ დადგებიან იმ კითხვის წინაშე, რომელიც ახლა თქვენ მე დამისვით. ბუნებრივია, ადამიანი, რომელიც ჩატში შედის, ამით დაინტერესებულია. მე, მაგალითად, არასოდეს გამჩენია იქ შესვლის სურვილი.

მორალურია თუ ამორალური მისი საქციელი, ესეც მისი შესაფასებელია და მანვე უნდა გადაწყვიტოს, ვირტუალურ სამყაროში სურს ყოფნა თუ რეალობასა და თვითშემეცნებისკენ ნაბიჯების გადადგმა?

— ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სექსი ჩატში ხშირად ფსიქოლოგებსაც კი ითრევს...

— სპეციალისტიცაა და სპეციალისტიც... მართალი გითხრათ, ვერ წარმომიდგენია, პროფესიონალი, რომელმაც იცის, რას აკეთებს, იმპულსების მსხვერპლად იქცეს. ასეთი ადამიანები ალბათ პროფესიონალიზმისგან ძალზე შორს დგანან.

— რამდენად ძლიერი შეიძლება აღმოჩნდეს ამ გატაცების ზეგავლენა პროცენტების ჩამოყალიბებაზე?

— ბუნებრივია, რისკი არსებობს — ბევრი ადამიანი ვერ მოახერხებს ვირტუალური სამყაროსგან თავის დაღწევას და ასე ვთქვათ, „ჩაიცვლება“. მეორე კატეგორიისთვის, ეს შეიძლება, გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი, გარდამავალი პერიოდი იყოს და მალევე ჩაჰბარდეს წარსულს. ზოგს კომუნიკაციის პრობლემა აქვს და ამ ხერხით იკმაყოფილებს ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილებას; არის შემთხვევები, როცა გარკვეული პრობლემების გამო, ადამიანი ვერც სპეციალისტს მიმართავს და შესაბამისად, საკუთარ თავს ამ ხერხით თავადვე მკურნალობს. ამიტომ, გადაჭრით და ხელაღებით რაიმის თქმა ძნელია. ერთი სიტყვით, ყველაფერი ძალზე ინდივიდუალურია. ■


**იყიდება!**  
**ივლისის**  
**ნომერი**

**თქვენ სოც გაოცნებანი**  
**გაითხვალე ბრკანდავით...**



# ყურებიდან გადმოსული ეისგერბი, კბილებით გადჭრილი „კიუსოკარდონი“ და როგორ უშეიქვამ, მოკლა ცოლი

„იმ ოჯახს, სადაც დიდი სიყვარულია, პრობლემა ვერაფერს აკლებს. პირველად, გაჭირვება შეყვარებულებს უფრო აძლიერებს და აერთიანებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე და მარის ერთ მუშტად შეკრული ოჯახი გვაქვს“, — მითხრა „იუმორინასთან“ არსებული „ქუჩის მუსიკოსების“ გიტარისტმა, სვიჩა მალლაკელიძემ. მას და მის მეუღლეს — მარი ჩახავას ერთმანეთი 4 წელი უყვარდათ, შემდეგ გაიპარნენ, იქორწინეს და ერთი შეილიც ჰყავთ. ამ ლამაზ და მზიარულ ოჯახს ინტერვიუს ჩასანერად შინ ვესტუმრე. როცა ოჯახის უფროსს, სვიჩას ინტერვიუზე ვუთანხმდებოდი, მითხრა: კი, ბატონო, მოზრდანი, სახლის კარი ღია დაგხვდებაო. შემდეგ კი სიცილით დაამატა: კარი ღია რომ დაგხვდება, სახლში მიცვალებული არ გეგონოს, უბრალოდ, რემონტი მაქვსო...



## მარეს ჭონიშვილი

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?  
— მე და მარი ბათუმელები ვართ. ჩვენი გაცნობა 12 წლის წინ, ჩვენს მშობლიურ ქალაქში მოხდა. მარი დან-

— როცა სიყვარულში გამოუტყდით, მარის როგორი რეაქცია ჰქონდა?

— გაცოცდა. მითხრა, — ეგ როგორ შეიძლება, შენ ხომ ჩემი მასწავლებელი ხარო?! მაგრამ მე არ მოვეშვი, მის მო-

## „თუ მარი გაყინული საუბრისასპით მიყურებს, ცუდადაა საქმა“ ...

ახვისთანავე შემეყვარდა და გადავწყვიტე, მომეხიბლა. მოგესვენებათ, ტანი და შესახედაობა მე არ მივარგა. ჰოდა, გადავწყვიტე, მის მოსახიბლად ჩემი ნიჭი გამომიყენებინა. მარის ვუთხარი: მშვენიერი თითები გაქვს, მოდი, გიტარაზე დაკვრას გასწავლი-მეთქი (მაშინ ბავშვებს გიტარაზე დაკვრას ვასწავლიდი) და ამ გზით შემოვიტყუე.

— სიყვარულში როდის გამოუტყდით?

— თვალბეჭით და საქციელზეც მეტყობოდა, რომ ყურებამდე შეყვარებული ვიყავი. ამიტომაც, ამის დამალვას აზრი არ ჰქონდა. ორი გაკვეთილი ზრდილობის გამო ჩავუტარე, მერე კი სიყვარულში გამოვუტყედი. ბევრი ვინვალე, და ბოლოს, მისი სიყვარული დავიმსახურე.

მე და მარი ერთმანეთს იშვიათად ვნახულობთ



სახიბლად ათას რამეს ვაკეთებდი.

— მაგალითად, რას აკეთებდით?

— გიტარას კისერზე ვიდებდი და ისე ვუმღეროდი; თან, ვუბნებოდი, — ყველა სიმღერა, რომელსაც ვმღერი და მომავალში ვიმღერებ, შენ გეძღვება, შენ გარდა არავინ მინდა-მეთქი. ჩემმა ნვალბეჭამ შედეგი გამოიღო და შევუყვარდი (იციინის). 4 წელი შეყვარებულები ვიყავით, შემდეგ კი ვიქორწინეთ. ერთად ბევრი რამ გამოვიარეთ — უბურობა, უშუქობა, გაჭირვება. ისე, გაჭირვების პერიოდში რომ შეგიყვარდება და შეუყვარდები ვინმეს, ის მერე ცხოვრების თანამგზავრადაც გამოგადგება.

— მარის გიტარაზე დაკვრა თუ ასწავლეთ?

— 3 აკორდი იცის და სიმღერას — „თუკი გესიზმრები, თუკი გენატრები“ უკრავს.

— მარო, სვიჩამ რით მოგხიბლა?

— თავისი ნიჭით, ხასიათით, იუმორის გრძობით. თან, ისეთი აქტიური და ყურადღებიანი იყო, არ შეიძლებოდა არ შეგყვარებოდა.

სვიჩა:

— მოიცა, მოიცა, რომ არ მეაქტიურა, შენ რა, არ შეგიყვარდებოდი? ღამ-ღამობით ჩემზე არ იფიქრებდი?

მარი:

— მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ქალისათვის ყურადღება ბევრს ნიშნავს (იციინიან).

— ქორწილი გქონდათ?

სვიჩა:

— პატარა სუფრა გვექონდა. ხელი მოვანერეთ, ჯვარი კი ჯერ არ გვაქვს დანერილი. ამას აგვისტოში ვაპირებთ.

— მარი, შენი მშობლებისთვის სვიჩა მისაღები სიძე აღმოჩნდა?

— ჩვენ შეყვარებულები 4 წელი ვიყავით და შესაბამისად, ჩემები სვიჩას კარგად იცნობდნენ. ამიტომ, ჩვენი დაქორწინება არავის გაჰკვირვებია.

სვიჩა:

— მიმიღებდნენ, აბა, სხვა რა გზა ჰქონდათ (იციინის)?! მე და მარი გავიპარეთ. ამის გამო ჩვენი მშობლები, ცოტა არ იყოს, გაბრაზდნენ, მაგრამ მალევე დაწყნარდნენ.

— თქვენს მშობლებს რძალი მოეწონათ?

— ქართველი დედამთილები ხომ იცით, რძლებს როგორ ამონებენ? ჰოდა, მარიმაც ასეთი შემონემა გაიარა: ჯერ მაჯაზე შეხედეს, სარეცხ თოკს კარგად ხომ გასწევსო?! მერე ხელებზე — ცომის მოხელას თუ შეიძლებსო? — და... მოეწონათ (იციინის). დაქორწინების შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით, რადგან აქეთ ყოფნა ხშირად მინევდა. სამწუხაროდ, ჩვენი მშობლები ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ თავის დროზე ერთმანეთისათვის სასურველი სტუმრები ვიყავით. მარის ახლა ბათუმში დები ჰყავს და მათთვისაც სასურველი სიძე ვარ.

— მარი, შეყვარებულობის შე-



**როოდში ხვინა საჩუქრებს გიძენდათ?**

— სუნამოებს, ყვავილებს ხშირად მჩუქნიდა. ერთხელ, თბილისიდან ბათუმში ხატი ჩამოიტანა. ამ ხატმა დიდი ძალა მომცა, ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა. ამ საჩუქარს დღემდე დიდი სიყვარულით ვინახავ.

**ხვინა:**

— გიტარაც ვაჩუქე, მაგრამ ცოლად რომ მოვიყვანე, წავართვი. მარი, ნაყინს რომ გაჭმევდი ხოლმე, იმას რატომ არ ამბობ?

**მარი:**

— იმიტომ, რომ ნაყინი საჩუქარი არ არის.

**ხვინა:**

— საჩუქარია, აბა, რა არის?! ბოლოს და ბოლოს, 2 ლარს და 40 თეთრს ვიხდიდი ერთ ნაყინში და ზამთარზაფხულს გაჭმევდი. იმდენ ნაყინს ჭამდი, რომ ყურებიდან აისბერგი გამოგდიოდა. ისე, არ იფიქროთ, რომ მხოლოდ ნაყინს ვაჭმევდი. არა, ბატონო, ერთხელ აჭარულ ხაჭაპურზეც დავპატიჟე. ეს ის პერიოდია, როცა ახალი, „პრუნციკი-პრუნციკი“ შეყვარებულები ვართ. მე ჩემი ხაჭაპური მალევე შევჭამე, მარი კი „აჭარულის“ გვერდებს ისე ნელ-ნელა წინეკნიდა, რომ „სანყალი“

**ხვინა:**

— სამზრეულოში მე და მარი ერთმანეთს ვერ ვუგებთ. ამიტომაც, ჩხუბი და კამათი ხშირად ძირითადად, იქ მოგვდის — ამას თავი რატომ დაახურე? ამ კერძს ეს მწვანილი არ უხდება-თქო და ა.შ.

**მარი:**

— საერთოდ, მიღებულა, რომ ოჯახში საჭმელი ქალმა უნდა მოამზადოს, ჩვენთან კი — პირიქითაა. ხვინა მაგარ ხინკალს, აჭარულ ხაჭაპურს აკეთებს. სხვათა შორის, მან შეძლო და აჭარული ხაჭაპური შემეყვარდა. ხვინა კარგი ადამიანია.

**ხვინა:**

— ისე, მთელი დღე რომ იტრიალებ, მერე დაღლილ-დაქანცული დასაძინებლად დანვები, ღამით კი ცოლი არ შეგიბრალებს და რალაცას მოგთხოვს, ხომ უნდა მოკლა (იცინიან)?!

**მარი:**

— ხვინა სულ ხუმრობს... როცა ირაკლი დაიბადა, აღმოჩნდა, რომ ძალიან კარგი მამაა.

**— მარო, თქვენ სად მუშაობთ?**

— ერთ-ერთ ტურისტულ კომპანიაში ვმუშაობ.

**ხვინა:**

— მარი ვაჟკაცი გოგოა, გარდა იმისა, რომ მუშაობს, სახლში თუ რამეა დასაჭედებელი და გასაკეთებელი, ყველაფერს თავადვე აკეთებს. ახლა კი რემონტი ნაშოიწყო. ისე, მაგრად მუშაობს. როცა დენი არ იყო, „გიფსოკარდონი“ სულ კბილებით გადაჭრა (იცინის).

**— ერთმანეთზე თუ ეჭვიანობთ?**

— როცა გიყვარს, მცირე დოზით ყოველთვის ეჭვიანობ. მაგრამ ჩვენ ერთმანეთს ბოლომდე ვენდობით.

**ხვინა:**

— მე სულ გარეთ ვარ. ახლა ერთ-ერთ კლუბში ვუკრავ და დილის 5 სთ-ზე მოვდივარ სახლში. იმ კლუბში ნებისმიერი სექსისა და ორიენტაციის ადამიანს შეხვდები. ჰოდა, ამაზე რომ იეჭვიანო, შეიძლება, გარეუო. ვცდილობთ, ერთმანეთს ეჭვიანობის საბაზი არ მივცეთ.

**— მარო, „იუმორონის“ კონცერტებს თუ უსწრებ?**

— პირველ და ბოლო კონცერტზე ყოველთვის მოდის, ხოლო მაშინ, როცა ჩვენი შვილი — ირაკლი „იუმორინაში“ მონაწილეობდა, სულ იქ იყო — ბავშვს უვლიდა, მისი გრიმიორიც გახლდათ. ფილარმონიაში რომ მივი-


დოდით, ბიძინა მახარაძე ჩვენზე ამბობდა: ფილარმონიასთან არსებული მალაკელიძეების ოჯახი მოვიდაო.

**— მეუღლე რჩევებს თუ გაძლევს?**

— ხშირად მაძლევს ასეთ რჩევას: თმა გაისწორე, „საროჩკა“ შეიკარი და ა.შ. (იცინის). ისე, სცენარს რომ დავწერ, პირველად მარის ვაკითხებ. ჩემი ნამუშევრების პირველი შემფასებელია. თუ ოდნავ მაინც გაიღიმა, ესე იგი, კარგია, მაგრამ თუ გაყინული სკუმ-



ხვინა სულ ხუმრობს...



აღმოჩნდა, რომ ძალიან კარგი მამაა

ხაჭაპური გაცივდა და „პადოშად“ იქცა. ბოლოს, როგორც იქნა, შეჭამა. ცოლად რომ მოვიყვანე, მერე გამომიტყდა: აჭარულ ხაჭაპურს ვერ ვიტან, მაშინ შენი ხათრით შევჭამეო.

**— დაოჯახების შემდეგ ერთმანეთში თუ აღმოაჩინეთ ისეთი თვისებები, რომლებიც მანამდე არ შეგიძინე?**

**მარი:**

— აღმოჩნდა, რომ ხვინას ჩემსავით ძალიან უყვარს სამზარეულოში ტრიალი და კერძების მომზადება.

ბრისავით მიყურებს, ე.ი. ცუდადაა საქმე. ჩემი იუმორი უკვე მარისაც გადაედო და ხშირად, ჩემსავით ხუმრობს, რითაც ახლობლებს აკვირვებს.

**— რა რჩევებს მისცემთ ახალდაქორწინებულებს?**

**მარი:**

— ვიდრე შეყვარებული წყვილი ოჯახს შექმნის, კარგად უნდა დაფიქრდეს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება.

**ხვინა:**

— ახალდაქორწინებულებს ვურჩევ, დატყბნენ ერთმანეთით. შეიძლება, პრობლემა გაუჩნდეთ, მაგრამ უნდა შეძლონ მისი დაძლევა და ცხოვრების გალამაზება. ყველაფერს იუმორით უნდა შეხედონ და იკაიფონ. და კიდევ, ცოლქმრობა მხოლოდ ის არ არის, რომ საღამოს ქმარს შარვლის ჯიბეები გადმოუფერტხო, — აბა, რამდენი ფული მომიტანაო? ცოლმა და ქმარმა ერთმანეთს არაფერი უნდა დაუშალონ.

**— მეორე შვილის გაჩენას არ აპრებთ?**

— ახლობლები გვიჩიჩინებენ, — კიდევ ერთი ბავშვი გააჩინეთო, მაგრამ აბა, ეს როგორ უნდა მოვახერხოთ — მე და მარი ერთმანეთს იშვიათად ვნახულობთ. მართალია, დღისით ერთად ვართ, მაგრამ მოგესხენებათ, სახლში რემონტი გვაქვს და მუშა გვაყავს, ბავშვი კი სურათით არ კეთდება (იცინის).



# „ჯერ უნდა მოვმზადებულიყავი და მერე შეგხვედროდით“



მუსიკოს-პროდიუსერი, მირაბ სანოძე (სანო) „ერუდიტი“ სტუმრობაზე უყოყმანოდ დამთანხმდა, მაგრამ ჩანერის დროს ინანა, ჯერ კარგად უნდა მოვმზადებულიყავი და მერე შეგხვედროდიო. მას წიგნების კითხვა ბავშვობიდანვე ჰყვარებია — იმდენად, რომ სასურველი ლიტერატურა ერთხელ მაღაზიიდან, სახატავ რეგულთან ერთადაც კი მოუპარავს, მაგრამ გამყიდველს დროულად გაუგია და მერაბიც იძულებული გამხდარა, ნაქურდალი უკან დაებრუნებინა. მას ბევრი საყვარელი ავტორი ჰყავს, განსაკუთრებით, გერმანული მწერლობა მოსწონს. ლიტერატურული პერსონაჟებიდან დათა თუთაშვიასთან მეგობრობის სურვილს გამოთქვამს.

## პრეზიდენტის მამიკა

— თანამედროვე ქართველი მწერლებიდან ყველაზე დიდი ინტერესით, რომელი ავტორის ახალ წიგნს ელოდებით?

— აკა მორჩილაძის ყოველ ახალ წიგნს გამოსვლისთანავე ვყიდულობ და ვკითხულობ. არ მიყვარს, წიგნებს ავტორებისგან ძალით რომ იჩუქებენ ხოლმე, ყოველთვის მირჩენია, თავად შევიძინო.

— წიგნის გაჩუქება თუ გიყვართ?

— წიგნის — ნაკლებად, მაგრამ არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელსაც ჩემი სტუდიის მიერ გამოცემულ აუდიოწიგნებს ვჩუქნი.

— სტუდია „სანო“ პირველია საქართველოში, რომელმაც წიგნების აუდიოვერსიების გამოცემა დაიწყო. კარგ საქმეს აკეთებთ. მკითხველს თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ რას ეტყვიან?

— მსოფლიო იმდენად სწრაფი გახდა, ადამიანს (მით უმეტეს, თუ ცოტა ზარმაცია) წიგნის წასაკითხი დრო ნაკლებად რჩება. მათთვის ეს საინტერესო შეთავაზებაა. მალე ნოდარ დუმბაძის 7 ნაწარმოების აუდიოვერსიას გამოვცემთ. ტექსტს ბატონი გოგი ქავთარაძე კითხულობს. მოგეხსენებათ, ახლახან გამოვეცით „ბიბლიის“ აუდიოვერსია, მანამდე — ქართველი კლასიკოსების შემოქმედება — ზღაპრები, პოეზია. მალე გურამ სალარაძის შესრულებით ახალ ლექსებს ჩავნერთ. ასევე გამოვცემთ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას და ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშვიას“.

— მსახიობს — ვინც წაიკითხავს ამა თუ იმ ნაწარმოებს — თავად ირჩევთ?

— რა თქმა უნდა. მე არ მჭირდება თამაში, მთავარი ხმის ტემბრია. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ კითხულობს ტექსტს. ხმა ადამიანებზე ფსიქოლოგიურად მოქმედებს. ამიტომ, შეუძლებელია, მსახიობებს — გოგი ხარაბაძეს, გურამ სალარაძეს, მურმან ჯინორიას, გოგი ქავთარაძეს გაეცე და არ მოუსმინო. ჩვენდა სასიხარულოდ, ამ მხრივ საინტერესო ადამიანი ახალგაზრდა თაობაშიც მრავლადია.

— წარმატებას გისურვებთ. მზად ხართ, ჩვენი რუბრიკის კითხვებზე გადავიდეთ?

— დავინწყით.

## თამაშა კვინიკაძე

— ამ კომპოზიტორმა მუსიკის წერა 5 წლის ასაკიდან დაიწყო, 6 წლისამ ევროპა ტრიუმფით შემოიარა. გაჭირვებაში ცხოვრობდა და მიუხედავად იმისა, რომ ნაადრევად 37 წლის გარდაიცვალა, 626 მუსიკალური ნაწარმოები დაგვიტოვა, აქედან — 17 ოპერა. დაასახელებთ ეს კომპოზიტორი.

— ავსტრიელი იყო?

— დიას.

— მოცარტი.

— საფრანგეთი, გერმანია, დანია, ესპანეთი, — ამათგან რომელი ქვეყნის ჰიმნს არ აქვს ტექსტი?

— ესპანეთის ჰიმნს.

— რისი საცავია ფონოთეკა?

— ეგ თუ არ ვიცი, აბა, რალა უნდა ვიცოდე? ფონოთეკა ხმის ჩანაწერების საცავია.

— მდებრობითი სქესის რამდენი მეფე ჰყავდა საქართველოს?

— 3 მეფე.

— დამისახელებთ.

— თამარი, რუსუდანი და (ფიქრობს)... შეცდომით გიპასუხეთ, 2 ქალი მეფე გყავდა.

— ავლაბარი, დიდუბე, საბურთალო, ჩუღურეთი — ამ რაიონებიდან, რომელი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე?

— საბურთალო.

— ვინ აძრულებს ბიჭიკოს როლს ფილმში „ჭრიჭინა“?

— დოდო აბაშიძე.

— სად დაარსდა მსოფლიოში პირველი ბოტანიკური ბაღი — ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთსა თუ გერმანიაში?

— ინგლისში.

— ცდებით, იტალიაში. ადამიანის რომელ გრძნობას უწოდა შექსპირმა „მწვანეთვალეუბა ურჩხული“? შურს, ეჭვიანობას თუ სიყვარულს?

— ეჭვიანობას.

— საქართველოს რომელი მეფეა დაკრძალული ყუმში, შაჰ-აბასის გვერდით?

— (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ.

— როსტომ მეფე რომელ სახელმწიფოშია ავიაშენებელი კონცერნი „ბონიგი“?

— ამერიკაში.

— რომელი ქვეყანაა ბაროკოს სამშობლოდ მიჩნეული?

— იტალია ან საფრანგეთი.

— იტალია. ამჟამად რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ოპოზა?

— თურქეთის.

— რომელ კუნძულზე მომხდარ აჯანყებას ეხება ქართული ფილმი



— „ჯვარცმული კუნძული“?

— ტექსტზე მომხდარ აჯანყებას.

— რა პქვია უოლტ დისნეის მულტფილმების ერთ-ერთ გმირს, მფრინავ სპილოს?

— არ მახსოვს.

— დამბო. ქართველთა „უგვირგვინო მეფემ“ 700 წლის წინანდელი წამებული გვირგვინოსანი მეფის ხოტბა დაწერა. რომელ ნაწარმოებზეა ლაპარაკი?

— თუ შეიძლება, კითხვა გამიმეორეთ. (გამეორების შემდეგ) ვაიმე! რა უნდა გიპასუხოთ, არ ვიცი. ჯერ უნდა მოვზადებულიყავი და შეხვედრახე მერე დაგ-თანხმებოდით.

— მიგანიშნებთ, ამ ნაწარმოების ავტორი ილია ქავჭავაძეა. რომელ ქართველ მეფეს მიუძღვნა იგი?

— ა! გონება გამინათდა, „დემეტრე თავდადებული“. კარგი მინიშნება იყო.

— დაასახელეთ რუსი მწერალი, რომელიც ძალოს-ნობაში 28 მსოფლიო რეკორდის მფლობელი იყო.

— ვერ გიპასუხებთ.

— იური ვლასოვი. გალაის არქაპელაგის ერთ-ერთი კუნძულის მცხოვრებლები ყოველწლიურად „ახ-ალგაზრდადებიან“. რა არის ამის მიზეზი?

— ასეთი რამ ხდება? არ ვიცი.

— დიას, მათ ასაკის აღრიცხვა უკუღმა აქვთ.

— ეგ როგორ?

— ადამიანი დაბადების დროს 100 წლის არის, 10 წლის შემდეგ — 90-ის... რომელი კონტინენტი აღმოაჩინა 1820-1831 წლებში რუსეთის ექსპედიციამ ბელინჰაუზენისა და ლაზარევის მეთაურობით?

— ანტარქტიდა. გეოგრაფია კარგად ვიცი.

— რადგან ასეა, პასუხი შემდეგ კითხვაზეც უნდა იცოდეთ. ამ კონტინენტის ჩრდილოეთის უკიდურესი წერტილია ელ-აბიადის კონცხი, ხოლო სამხრეთის — კონცხი იგოლნი. დაასახელეთ ეს კონტინენტი.

— (ფიქრობს) აფრიკა, არა?

— გამოიცანით. პიტლერი, მსგავსად პლატონისა, ამტკიცებდა, ადამიანთა ბედი ვარსკვლავების მდებარეობაზეა დამოკიდებული. მან თავის მთავარ კონსულტანტ ასტროლოგს მათემატიკურ, ასტრონომიულ და ფიზიკურ მეცნიერებათა სრული მფლობელის, მანამდე გაუგონარი ტიტული უბოძა. რა ტიტული ჰქონდა პიტლერის ასტროლოგს?

— ვერ გიპასუხებთ.

— ფიურერი გახლდათ. ბრემენი, დრეზდენი, ჰანოვერი — ამ ქალაქებიდან, რომელი არ შედიოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში?

— დრეზდენი.

— ბერძნულ მითოლოგიაში რა ერქვა ომის ღმერთს?

— ვიცოდი, მაგრამ ვეღარ ვისხენებ.

— არესი. ტროის ხანძრით შთაგონებულმა რომელმა მეფემ გააჩინა ხანძარი რომში?

— ნერონმა.

— რას მოიპოვებდნენ ლოპოტის საბადოზე?

— არ ვიცი.

— მარმარილოს. რომელ სახელმწიფოშია „ბაიკონურის კოსმოდრომი“?

— ყაზახეთში.

— რუსეთის იმპერიამ ყველაზე გვიან საქართველოს რომელი სამთავრო გააუქმა?

— მგონი, აფხაზეთის, არა?

— დიას! სადაური ავტომწარმოებელი ფირმაა „ჰიუნდაი“?

— კორეული.

— რომელი მდინარე ასაზრდოებს ნალკის წყალ-საცავს?

— არ ვიცი.

— ქცია. შუა საუკუნეების საფრანგეთში იერარ-ქულად რომელი სათავადაზნაურო ტიტული იდგა ჰერცოგსა და გრაფს შორის?

— მარკიზი. სწორი პასუხია?

— რა თქმა უნდა. 1492 წლის 16 ოქტომბერს ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციის დროს, ესპანელებმა ბაჰამის კუნძულები აღმოაჩინეს. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ევროპელებმა კუნძულის მცხოვრებლები ამოწყვიტეს, დავიწყებულ იქნა ბაჰამელთა ენაც. შემორჩა მხოლოდ 1 სიტყვა, რომელსაც აბორიგენი მოსახლეობა სანოლის აღმნიშვნელ საიტყვად ხმარობდა და ეს სიტყვაა...

— ვაიმე! მე უნდა დავასახელო?

— დიას, აქვე მიგანიშნებთ, ეს საგანი განსაკუთრებით ზაფხულშია აქტუალური.

— ე.ი. ახლაც არსებობს. ზაფხული, სანოლი... (ფიქრობს) ჰამაკი ხომ არა?

— გამოიცანით. დაასახელეთ ქვეყანა, რომლის გერბზე ყინულის ნატეხზე შემდგარი მეომარი, არწივი და ხარია გამოსახული.

— ვერ გიპასუხებთ.

— ისლანდია. ჩვენთვის საცხებით ბუნებრივია, რომ კვირა 7 დღისგან შედგება. წელიწადი 12 თვედ იყოფა, საათში — 60 წუთია, წრე კი — 360 გრადუსია. პირველად სად გამოიგონეს ეს სათვალავი?

— ალბათ ჩინეთში.

— ცდებით, სწორი პასუხია — ძველ ბაბილონში. დაასახელეთ ბერძენი ტრაგიკოსი, რომელმაც კოლხი მედეა შვილების მკვლელად გამოიყვანა.

— ევრიპიდე.

— მისი დაბადების თარიღად ჩვენი წელთაღრიცხვის 105 წლის მიიჩნევენ, როცა კონსულმა მარიუსმა კანონი გამოსცა. ამ დღის შემდეგ რომელი კო-ჰორტებისთვის ეს ნივთი სახელმწიფოს სუვერენობისა და ერთიანობის სიმბოლო გახდა. რის დაბადებაზეა ლაპარაკი?

— ვერ გიპასუხებთ.

— მიგანიშნებთ, ეს ნივთი სახელმწიფოს ატრიბუტიკაა...

— (მანყვეტინებს) დროშა.

— გამოიცანით. „გამოღმით მე ვარ, გაღმით — შენ,/ შუა ჩამოდის მდინარე,/ ხიდი არ გვიძევს წყალზედა,/ ფიქრი მკლავს მოუთმინარე“, — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— არ ვიცი.

— ვაჟა-ფშაველა. სოპრანო და ტენორი — ორივე მაღალ სასიმღერო ხმას ნიშნავს. რა განსხვავებაა მათ შორის?

— სოპრანო ქალის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმაა, ტენორი — მამაკაცის.

— ამ სახელმწიფოს ისტორია 301 წლიდან იწყება, როცა იგი რელიგიური დევნის გამო, დაღმაცინიდან გამოქცეულმა ქრისტიანმა დააარსა. იგი წმინდანად შერაცხეს, ხოლო X საუკუნიდან ქვეყანა ამ წმინდანის სახელს ატარებს. დაასახელეთ ეს სახელმწიფო.

— ვერ გიპასუხებთ.

— სან-მარინო. რომელ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს ყველაზე მეტი ადამიანი მსოფლიოში?

— რა თქა უნდა, ჩინურ ენაზე.

— დაბოლოს, დაასრულეთ გერმანელი ფილოსოფოსის ართურ შოპენჰაუერის ცნობილი გამოხატულება — „საშუალო კაცი სულ იმის ფიქრშია, დრო როგორ გაატაროს, ნიჭიერი კი...“

— ეს გამოხატულება შეიძლება, ბევრნაირად დასრულდეს. შოპენჰაუერი რას ამბობდა?

— „ნიჭიერი კი — როგორ გამოიყენოს“.



# საღ პაქრა პიოჩპი საბაჰის პიპანსუში ხეალი

## ანუ მსოფლიოში ყველაზე დიდი ზურგუსტი, ნაოლაონის დიდის ნაქონი 86-კარაბიანი ბრილიანტი და მოურავ-ხანის ლეგენდარული იარაღი



### იმა ტუხიაშვილი

— 2007 წლის ზაფხულში, მოსკოვიდან დროებით დაბრუნებულმა ქართველმა ემიგრანტმა, სამეგობრო, რკონის ხეობაში დაგვაპატიჟა. სხვათა შორის, ეს ხეობა მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით. აქვე ჩამოდის მდინარე თეძამი, რომელიც თევზაობის მოყვარულებს ნამდვილ სიამოვნებას ანიჭებს. დღის განმავლობაში, ჩვენი სამეგობროდან ზოგმა თევზაობით იჯერა გული, ზოგიც — ამ პროცესს სიამოვნებით ადევნებდა თვალს, ნაწილი კი ხეობის ულამაზესი ხედებისა და არქიტექტურული ძეგლების თვალყურებით ტკბებოდა. ვისაც ესურხებოდა, ვახშმის მზადებით იყო დავაგებული. შებინდებისას წვიმა წამოვიდა და თავი ძველი სასადილოს შენობას შევფარეთ. გაიშალა სუფრა. ტრადიციულად, ავიჩიეთ თამადა და გაჩაღდა ქეიფი — ისმოდა სადღეგრძელოები, ვლეროდით, ვცეკვავდით. სტუმართა შორის ქართველების ფრანგი სიძეც გახლდათ. მან სწრაფად აუღო ალღო ქართული სუფრის წესებსა და სადღეგრძელოებს, რომლებსაც შეძლებისდაგვარად ვუთარგმნიდით. შეისვა სამშობლოს, ხეობის, წინაპრების, სალოცავების სადღეგრძელოები. გავიხსენეთ გიორგი სააკაძეც. დიდი მოურავის სხენებზე ჩემ გვერდით მჯდომმა ერთ-ერთმა სტუმარმა თქვა: რამდენიმე წლის წინ, სტამბოლში ყოფნისას, „ტოპკაპის“ მუზეუმში გიორგი სააკაძის ის საბრძოლო ხმალი ვნახე, რომელზეც მისი გაბარებულების გამო, ლეგენდები დადისო. ამ ამბავმა ყველანი აღგვაფრთოვანა, ჩემში კი იმდენად იმძლავრა ჟურნალისტურმა ცნობისმოყვარეობამ, რომ გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, სტამბოლში წავსულიყავი და საკუთარი თვალით მენახა ჩვენი დიდი წინაპრის ნაქონი ხმალი. ლოგიკურად თუ

ცოტა ხნის წინ, ჟურნალისტ ვანო ჯანსუბის ცნობილი გახდა, რომ სააკაძის გიგანტური ხმალი, რომელზეც ლეგენდები დადიოდა, თურქეთის ყველაზე ცნობილ მუზეუმში ყოფილა დაცული. ჟურნალისტურმა ცნობისმოყვარეობამ ჩემი კოლეგა თურქეთში წაიყვანა. სამწუხაროდ, „ტოპკაპის“ მუზეუმში მისული ბევრ სირთულეს წააწყდა...

ვიმჯელებო, აღნიშნული ინფორმაცია საფუძველს მოკლებული არ უნდა ყოფილიყო, რადგან ვიცით, რომ სიცოცხლის უკანასკნელი წლები გიორგი სააკაძემ სწორედ ოსმალეთის კარზე გაატარა.

### — და სააკაძის ხმლის სანახავად თურქეთში გაემგზავრე?

— არ ვიცი, იქ მყოფთა შორის მეორე დღეს კიდევ ვინმეს თუ ახსოვდა ეს ამბავი, მაგრამ მე მოსვენება დავკარგე და დავინწყე სპონსორის მოძიება. პარალელურად, ვცდილობდი, კიდევ უფრო დამეზუსტებინა ინფორმაცია იმის შესახებ, ნამდვილად ინახებოდა თუ არა სააკაძის ხმალი „ტოპკაპის“ მუზეუმში. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წერილი გავუგზავნე მუზეუმის ადმინისტრაციას, მაგრამ სამწუხაროდ, მათგან პასუხს ვერ ვეღირსე. გარკვეული პერიოდის შემდეგ სპონსორი გამომიჩნდა — ერთ-ერთი ქართველი ბიზნესმენი დამემხარა. ავიღე პასპორტი, შევიძინე ციფრული ვიდეოკამერა... იმასაც ვფიქრობდი, რომ კარგი იქნებოდა, სტამბოლში ვინმე ისეთი დამხვედროდა, ვინც მეგზურობას გამიწევდა. ასეთ პიროვნებასაც მივაგენი — ერთმა ნაცნობმა თავისი თურქი მეგობრის კოორდინატები მომცა. მეორე დღეს გეზი სტამბოლისკენ ავიღე და ავტობუსით 28-საათიანი დამლეული მგზავრობის შემდეგ თურქეთში ჩავდი. ჩემი მეგზური წარმოშობით ლაზი აღმოჩნდა. მუზეუმში ერთად წავედით, მაგრამ მას ეჩქარებოდა და ამიტომაც, მარტო დამტოვა. შევიძინე ბილეთი და სათანადო შემომებაც გავიარე. აღმოჩნდა, რომ ვიდეოკამერის მატარების შეტანა არ შეიძლებოდა. „ტოპკაპის“ მუზეუმის მონახულება აუცილებლად შედის სტამბოლში ჩასული ტურისტების მარშრუტში. ძნელია იმის გადმოცემა, თუ რა მასშტაბისაა ეს მუზეუმი და რა სიმდიდრეს ინახავს. მუზეუმი საფუძვლიანად რომ დაათვალიეროთ, 3 დღე მაინც დაგ-

ჭირდებათ. თანაც, ტურისტებს შესასვლელი ბილეთის რიგში დგომა დიდხანს უწევთ. მუზეუმში ნახავთ სულთნების აურაცხელ ქონებასა და უძვირფასეს ნივთებს.


### — შენც სულთნების სიმდიდრის თვალყურებამ გაგიტაცა თუ პირდაპირ სააკაძის გიგანტური ხმლის მოსაძებნად გაემგზავრე?

— სულსწრაფობამ მძლია და მუზეუმში შესვლისთანავე პირდაპირ იარაღის განყოფილებისკენ ავიღე გეზი. სიტყვებით ძნელია გადმოსცე ის, რასაც იქ განიცდი. შევედი დიდ დარბაზში, სადაც უამრავი თურქული, სპარსული თუ არაბული ხმალი, თოფი, მუზარადი და სხვა სახის იარაღი ინახება. პირველ რიგში, გიგანტური ხმლის ძებნა დავიწყე და ვიპოვე კიდევ. რამდენიმე ტურისტი გაოცებული უყურებდა ხმალი-საოცრებას და ვერ იჯერებდნენ, რომ ადამიანი ამხელა ხმლით იბრძოდა. ვგრძობდი, მიზნის მისაღწევად მხოლოდ რამდენიმე წამი რჩებოდა და გულსიცემა გამიხშირდა... კამერა ჩავრთე, ვიტრინასთან ახლოს მივედი. მეგონა, ხმლის ქვეშ ვნახავდი (როგორც ეს გადმოცემით ვიცოდი) თურქულად და ინგლისურად დაწერილ, ჩვენი სახელოვანი მამულიშვილის სახელსა და გვარს — „გიორგი სააკაძე“, მაგრამ ამის ნაცვლად, ხმალს ეწერა: „შუა საუკუნეების ევროპული ხმალი“. თვალებს არ ვუჯერებდი. იმის წარმოდგენაც კი არ მინდოდა, რომ ყველაფერი წყალში ჩამეყარა. სასწრაფოდ დავრეკე იმ პიროვნებასთან, რომლის მონაცემსაც სტამბოლში ჩამიყვანა. ის დაიწინაურა მიმტოვებდა, რომ გიგანტური ხმლის ქვეშ აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნარწურა, რომელიც იუწყებოდა, რომ ხმალი ქართველ სარდალს ეკუთვნოდა. ხმალი რამდენჯერმე კარგად დავათვალიერე, თუმცა მსგავსი ნარწურა ვერსად აღმოვაჩინე. მოკლედ, იმ დღეს ვერაფერი გავარკვიე.

### — შენი თურქი ნაცნობი არ დაგჭმარა?

— მომდევნო დღეს მან ჩემთვის კვლავაც ვერ მოიცალა, ამიტომ „ტოპკაპის“ მუზეუმის მახლობლად აღმართული ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული ტაძარი — აია სოფია დავათვალიერე. ეს არის საოცრება, რომელსაც ყოველდღე ათასობით ტურისტი სტუმრობს. შემდეგ გადავიწყველე თურქეთის უდიდეს, ცისფერ მეჩეთში. გოცბული დავრჩი მისი არქიტექტურით. თურქეთში ყოფნის





რომელიც ბოსფორის სრუტეში მდებარე ოქროს რქის უბეს მარმარილოს ზღვის-გან გამოყოფს. ზღვის მხრიდან 2 კილომეტრის მანძილზე გარშემორტყმულია ბიზანტიური კედლებით, ხოლო ქალაქის ქუჩებს 1400 მ სიგრძის კედლით ესაზღვრება

მესამე დღეს კვლავ ვესტუმრე „ტოპკაპის“ მუზეუმს. ადმინისტრაციასთან ვარკვევდი, ხმალი მუზეუმის განმსაცავში ხომ არ ჰქონდათ გადატანილი. როგორც ამხსნეს, მუზეუმიდან ხმლის გამოტანას სათანადო პროცედურების გავლა და ბევრი დრო სჭირდებოდა და იქვე დასძინეს: თუ საქმეში საქართველოს საელჩო ჩაერთვება, შესაძლებელია, თქვენთვის სასურველი ნივთი განმსაცავში მოვიძიოთო. ამასობაში კი ჩემი საქართველოში დაბრუნების დღეც დადგა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ელექტრონული ფოსტით დაფუკავშირდი საქართველოს კონსულს სტამბოლში, ბატონ ზვიად კვაჭანტირაძეს და ამ საქმეში დახმარება ვთხოვე. ისიც დაამირდა, რომ შეეცდებოდა, ამ ხმლის შესახებ რამე დაედგინა. ცოტა ხნის შემდეგ პასუხიც მივიღე — „ტოპკაპის“ მუზეუმის ადმინისტრაცია მატყობინებდა, რომ მსგავსი ნივთი მათ მუზეუმში არასოდეს ყოფილა დაცული. შემდეგ ეს ამბავი ცნობილ ჟურნალისტს, გადაცემა „ჩვენებურების“ ავტორს, გიორგი კალანდიასაც ვუამბე. როგორც მან მითხრა, თურქეთში გიორგი სააკაძეს მისი სახელით არავინ იცნობს და ის ცნობილია მოურავ-ხანის სახელით, მაგრამ „ტოპკაპის“ მუზეუმში სააკაძის ხმლის არსებობის შესახებ მანაც არაფერი იცოდა.

— **სტამბოლში ქართველი მოურავის გიგანტურ ხმალს ვერ მიაგენო, მაგრამ „ტოპკაპის“ საგანძური დაათვალიერე. მოგვიყვიე, რამ მოახდინა შენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

— 700 ათას კვ.მ-ზე გადაჭიმული კომპლექსი, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა, შედგება ეზოების, პავილიონების, მეჩეთების, შადრევნებისა და სხვა ნაგებობებისაგან. „ტოპკაპის“ სასახლე ფაქტობრივად, ქალაქია — სტამბოლის შიგნით. სიტყვა „ტოპკაპი“ „საზარბაზნე ჭიშკარს“ ნიშნავს. სასახლე მდებარეობს კონცხზე,

(რომელიც თურქებმა ააშენეს). ოსმანთა იმპერიის აყვავების წლებში, სასახლეში დაახლოებით, 4000 ადამიანი ცხოვრობდა. იქ, სადაც დღეს იარაღის განყოფილებაა, თურმე, სულთნის პირად ქონებას, აგრეთვე — საჩუქრებს ინახავდნენ. სულთნების მმართველობის დროს განმსაცავს საზეიმო ვითარებაში აღებდნენ და ხურავდნენ. როგორც ცნობილია, ამ ცერემონიაში 40 ადამიანი მონაწილეობდა. ყველაზე დიდ ქონებას სულთანი სელიმი ფლობდა, რომელიც XVI საუკუნეში ცხოვრობდა. ამ შენობაში იარაღის კოლექცია პირველად 1928 წელს გამოფინეს. დღეს იქ შეიძლება ნახოთ VII-XIX საუკუნეების იარაღის დაახლოებით, 400-მდე ეგზემპლარი სხვადასხვა ქვეყნიდან: თურქული, არაბული და სპარსული ხმლები, ხანჯლები, მუზარადები, კვერთხები, ჯაჭვის პერანგები, ფარები, მშვილდები, ისრები, პისტოლეტები და თოფები. იქ, სადაც ადრე სასახლის სამზარეულოები იყო, ახლა სულთნების ნაქონი ჩინური, იაპონური, თურქული და ევროპული ფაიფურისა და ბროლის ჭურჭელია გამოფინილი. „ტოპკაპის“ სასახლეს 3 სამზარეულო ჰქონია: მთავარი სამზარეულო (გუმბათებითა და კვამლსადენებით) 10 ოთახისაგან შედგება. 300 წლის განმავლობაში იქ ყოველდღიურად, 800 მზარეული მუშაობდა, დიდი ნადიმის დროს კი მათი რიცხვი 1000-მდე იზრდებოდა. ერთი წლის განმავლობაში აქ მოჰქონდათ 30000 წინილა, 23000 ცხვარი, 14000 ხბო და დიდი რაოდენობით ხილბოსტნული. დღეს სამზარეულოს სათავსებში 10700 იმვითი და ძვირად ღირებული ნივთია დაცული. პეკინისა და დრეზდენის შემდეგ, ეს კოლექცია მსოფლიოში მესამე ადგილზეა. სასახლის მესამე ეზოში, რომელსაც


„ენდერუნი“ ჰქვია (რაც „შიდას“ ნიშნავს), სულთნის მოსასვენებელი იყო მოწყობილი. დღეს იქ თურქული ნაქარგების, სულთნებისა და პრინცების ტანსაცმლის მდიდარი კოლექციაა გამოფინილი. „ტოპკაპის“ სასახლის საგანძური მეორე ადგილზეა მსოფლიოს უმდიდრეს საგანძურებს შორის. მუზეუმში ყველა ექსპონატი ნამდვილია და არც ერთი არ გახლავთ ასლი. სასახლის ერთ-ერთი მთავარი ექსპონატი ხანჯალია, რომელიც სამეფო კარის ოსტატებს 1741 წელს, სპარსეთის შაჰისთვის საჩუქრად დაუმზადებიათ. ხანჯლის სახელურს სამი დიდი ზურმუხტი ამშვენებს და მის ტარში ოქროს საათია ჩასმული, რომლის თავსახურიც ზურმუხტისგანაა დამზადებული; ოქროს ქარქაში დაფარულია მინაქერითა და ძვირფასი ქვებით. მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ხანჯლის გვერდი გამოფინილია 2 ზურმუხტი: ერთი მათგანი 1310 გრამს იწონის, მეორე — 3260-ს (ეს მსოფლიოში



ყველაზე დიდი ზურმუხტია). აქვე ინახება მსოფლიოში სიდიდით მეშვიდე ბრილიანტი, რომლის წონაც 86 კარატია. XVIII საუკუნეში ბრილიანტი ფრანგ ჩინოსანს, გვარად პიგოს შუქქანია მაჰარაჯასაგან და საფრანგეთში ჩაუტანია. აუქციონზე ის ნაპოლეონის დედას უყიდა, მაგრამ მოგვიანებით, მისი გაყიდვა მოუხდა, რათა შვილი გადასახლებიდან გამოეხსნა... უდიდესი ბრილიანტის გვერდით გამოფინილია ოქროს 2 შანდალი, თითოეულის წონა 48 კგ-ია და შემკულია 6666 ბრილიანტით. აქვე დგას ოქროს სამეფო ტახტი „ბაირამი“, რომელიც 250 კგ-ს იწონის და მთლიანად ძვირფასი ქვებითაა მორთული. შენობა, სადაც წინდა რელიკვიები ინახება, სასახლეში ყველაზე ლამაზია. აქ არის წინასწარმეტყველ მუჰამედის პერსონალური რელიკვიები და ნივთები, რომლებიც სხვადასხვა წინასწარმეტყველს ეუთვნოდა. აქვეა დაცული ყურანის უძველესი გამოცემაც.

— **საკაპის გიგანტურ ხმლის საძებნელად თურქეთში აღარ წახვალ?**

— ის ადამიანი, ვინც ამ ხმლის შესახებ მიამბო, დღესაც იმას მიმტკიცებს, რომ „ტოპკაპში“ დიდი მოურავის ხმალი ნამდვილად ნახა. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ქართველი სარდლის განძის საძიებლად სტამბოლში კიდევ გავმგზავრო.





ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოზა დვალის უბის წიგნაკრები:

1. დანია „ლეგოს“ სამშობლოა.
2. სევილიაში კარმენს უდგას ძეგლი.
3. ლადო ასათიანი წარმოშობით, ლენინური იყო.
4. „ზაკუსკა გრადუს კრადიოტ“, — ამბობენ რუსები.
5. არმენ ჯიგარხანიანს 300 როლი აქვს ნათამაშები.
6. ჰიტლერმა დანია 6 საათში დაიპყრო.
7. ტრაგედიის მუხას ძველბერძნულ მითოლოგიაში მელპომენე ერქვა.
8. ელექტრობა კუბის დედაქალაქ ჰავანაში პირველად, 1855 წელს გაიყვანეს.



9. ბილ გეიტსის საქველმოქმედო ფონდი 37 მილიარდი დოლარისაგან შედგება.

10. მხატვრულ ფილმ „ტუტის“ ერთი „ოსკარი“ და სამი „ოქროს გლობუსი“ აქვს მიღებული.

11. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართება.

12. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დედაქალაქის მოსახლეობის ათ პროცენტს სტალინი აკონტროლებდა.

13. ადოლფ ჰიტლერი და ევა ბრაუნი მხოლოდ 36 საათი იმყოფებოდნენ ოფიციალურ ქორწინებაში.

14. „უტიხ კრასავიც ხლებომ ნე კარმი, დაი ლიშ კავო-ნიბუდ პოსტრაშნეე“, — მხრებს იჩეჩს ევგენი პეტროსიანი.

15. ოსვენციმში მომუშავე ნაცისტები ექიმი იოზეფ მენგელი ყველაზე მეტად, ტყუპებზე ჩატარებული ცდებით იყო დაინტერესებული.

16. 100 მილიონი ადამიანი მსოფლიოში ნარკოტიკების მომხმარებელია. ნარკომოვაჭრების ყოველწლიური მოგება მსოფლიო მასშტაბით, 50 მილიარდ დოლარს აღემატება.

17. „აბიდანა! დასადანა! ნო ლადანა! ლადანა! ლადანა!“ — ყვიროდნენ რუსი გულშემატკივრები ესპანეთის გუნდთან მათი ნაკრების დამარცხების შემდეგ.

18. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენციის ეზოში ბერლინის კედლის სამი ფრაგმენტი დგას, როგორც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშიში დაპირისპირების, „ცივი ომის“ ნადავლი.

19. „იმ გრძნობებიდან, რომელიც ადამიანს აქვს, არსებობს მეექვსე გრძნობა, რომლის გარეშეც სხვა დანარჩენთა ფასი გახვეტილი „გროშია“, — ამბობდა მოემი ფულის შესახებ.

დაპირბული გაუგობა და ეუსრულეპელი ოცნება

ბავშვობას 9 წლის ასაკში ანუ მაშინ გამოემყვინდობა, როცა აცრემლებულმა მშობლებმა „სახლობანას“ თამაში შეაწყვეტინეს და უთხრეს, — აქედან უნდა წავიდეთ, მაგრამ უკან მალევე დავბრუნდებითო. კარგად ახსოვს დაჭრილი ადამიანები, ცეცხლი, აცრემლებული უფროსები და გუდანაბადმოკიდებული მშობლები... მოგონებები ფერმკრთალდება, მაგრამ მისი რწმენა, რომ ოდესმე აფხაზეთში მაინც დაბრუნდება, ისევ ისეთი ძლიერია... საბოლოო ბერიბ უკვე 26 წლისაა, სილამაზის სალონში, სტილისტად მუშაობს და ხშირად ისხენებს იმ წლებს, როცა მშობლებთან ერთად, რუსეთში ცხოვრობდა. აქვე გეტყვით, რომ სათუნასთვის მისაბაძი პროფენა ქალბატონი ლალი მოროშკინა გახლავთ.



„წარმოუდგენელია, აფხაზეთიდან დავნილი გერქვას და შინ დაბრუნებაზე არ იოცნებო“

თიკო კალანდია

— სათუნა, რუსეთში რას საქმიანობდი?

— ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, ეკონომიკურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მშობლები ხელს ყველანაირად მიწყობდნენ, რათა რუსეთში თავი დამემკვიდრებინა, მაგრამ საქართველოდან მოშორებით ცხოვრება ძალიან მიჭირდა და სულ იმაზე ვოცნებობდი, ოჯახთან ერთად სამშობლოში დავბრუნებულიყავი. როდესაც რუსეთიდან ქართველების დეპორტი დაიწყო (ჩემს ოჯახს ეს არ ეშურებოდა), მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოში ჩამოვედი.



— რატომ მიიღე ასეთი გადაწყვეტილება?

— არ შემიძლო იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ჩემი სამშობლო არ უყვართ და სადაც ჩემი ქართული გვარის გამო შესაძლებელი იყო, პრობლემა შემქმნოდა. რუსეთში ცხოვრების დროს ყოველთვის მახსოვდა ქალბატონი ლალი მოროშკინა და ჩემდა უნებურად, მას თავს ვადარებდი კიდევ. ვფიქრობდი, — მიუხედავად იმისა, რომ ქართული გვარი არ აქვს, მან საქართველოში თავის დამკვიდრება შეძლო და ეგებ, ეს რუსეთში მეც მოვახერხო-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი, რადგანაც სამშობლო თავისთან მიხმობდა.

— სამშობლოში თავის დამკვიდრება შეძელი?

— არა, ეს რთული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ახლა მატერი-ალურად ძალიან მიჭირს და ანაზღაურებაც მიზერული მაქვს, რუსეთიდან აქ ჩამოსვლას ნამდვილად არ ვნანობ.

— შენი მშობლები არ გენატრება?

— რა თქმა უნდა, დედ-მამა მენატრება. ისინი ხშირად მიკავშირდებიან და მთხოვენ, რომ მათთან დავბრუნდე, მაგრამ რუსეთში ნასვლას რა აზრი აქვს?

— ზუსტად ვიცი, იქ თავს ვერასოდეს დავიმკვიდრებ. როგორც უკვე გითხარი, არც აქ მაქვს იდეალური საცხოვრებელი პირობები, მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩემს ქვეყანაში ვცხოვრობ... სულ სხვა გეგმები, ოცნებები მქონდა და არასდროს მიფიქრია, თუ ვიღაცას ვარცხნილობას გაუუკეთებდი.

— მაინც, რაზე ოცნებობდი?

— წარმოუდგენელია, აფხაზეთიდან დევნილი გერქვას და უკან, შინ დაბ-



რუნებაზე არ იოცნებო. მჯერა, ოდესმე იქ მინც დაებრუნდები და ალბათ, მხოლოდ მაშინ ვიქნები ბედნიერი. ბავშვობაში დიზაინერობა მინდოდა, მაგრამ მივხვდი, ეს ის სფერო იყო, რომელიც ძალიან დიდ ფინანსებს

ადგილს ამ სასტიკ ცხოვრებაში.

იმის გამო, რომ საქართველოში რუსული გვართ დაიბადა, **ლალი მოროზიანას** უამრავი დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა, მაგრამ ბო-

## სხვა გეგმები, ოცნებები მქონდა და არასდროს მიფიქრია, თუ ვიღაცას ვარცხნილობას ვაფუკეთებდი.

მოითხოვდა; რომ ამ ოცნებას ასრულება არასოდეს ეწერა. ახლა უკვე სხვა გეგმები მაქვს. მაგალითად, მინდა, ოჯახი შევქმნა და ჩემი სახლი მქონდეს, მაგრამ მშობლების გარეშე ამ ნაბიჯის გადადგმაც არ მინდა.

**როგორ ფიქრობ, რატომ ვერ შეძელი ცხოვრებაში თავის დამკვიდრება?**

— ალბათ არ ვარ ძლიერი პიროვნება და იმიტომ. ცხოვრებაში ბევრი

ლოს, მიზანს მინც მიაღწია და ცხოვრებაში ადგილიც დაიმკვიდრა.

— იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია, ძალიან ბევრი ვიშრომე. ჩემი გვარის გამო ხშირად მექმნებოდა პრობლემა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დამიყრია. გამუდმებით ვცდილობდი, საზოგადოებისთვის დამემტკიცებინა — მიუხედავად რუსული გვარისა, საქართველო არავისზე ნაკლებად არ მიყვარს-მეთქი. ჰოდა, გავეცანი ქართულ ადათ-წესებს, კულტურას... ტელევიზიაში მუშაობის დროს, როგორც კი რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა დაიძაბებოდა, სამსახურიდან მათავისუფლებდნენ, მაგრამ როგორც ხედავთ, არ დაცემულვარ.

**ხათუნას ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით?**

— სამშობლოში არავითარ შემთხვევაში არ ჩამოვიდოდი. საქართველო „სნობების“ ქვეყანაა და თუ რაიმეს არ წარმოადგენ, არავის სჭირდება. ხათუნას ადგილას, რუსეთში განათლებას მივიღებდი და სამშობლოში მხოლოდ ამის შემდეგ დაებრუნდებოდი. აბა, თბილისში სტილისტობით რას უნდა მიაღწიოს (ისე არ გამიგოთ, თითქოს, ამ პროფესიას ვაკნინებდე)? ჯობდა, პროფესიონალ ეკონომისტად ჩამოყალიბებულიყო.

**ხათუნას თქვენ მისაბამ ადამიანად მიაჩნხართ...**

— გავისხენებ ერთ შემთხვევას: რუსეთში ყოველთვის ცდილობდნენ, ამ ქვეყნის მოქალაქე გავმხდარიყავი. ერთხელ საელჩოში დამიბარეს და მითხრეს, რომ მოქალაქეობას მომცემდნენ. კონსულს ვუთხარი, — რუსეთის მოქალაქეობა რომ მნდომოდა, ვიქნებოდი კიდეც-მეთქი. რამდენიმე დღეში ქართული კონტრდაზვერვის სამსახურიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, — თქვენი საუბარი ისმინებოდაო და ერთგულებისთვის მადლობა გადამიხადეს... ძალიან მიხარია, რომ ხათუნას სამშობლო ასე ძალიან უყვარს. მინდა, იმ ლამაზი ოცნების ასრულება ვუსურვო, რომელსაც აფხაზეთში დაბრუნება ჰქვია.



ტკივილი ვნახე: ვხედავდი, როგორ იწვოდა სახლები, სისხლისგან იცლებოდნენ ადამიანები... მე ბავშვობა არ მქონია. აი, ლალი მოროზიანასავით ძლიერი რომ ვყოფილიყავი და მეზრდოლა, ალბათ, მეც ვიპოვიდი ჩემს

## ინფორმაციულ-ჰეპეხნაიტი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:

20. ამა თუ იმ ცხოველის, მწერის, რეპტილიის, ქვეწარმავლის, ბაქტერიისა თუ მიკრობის შიშს ზოოფობია ჰქვია. ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადებაა მთელ მსოფლიოში. ყოველი მეათე ადამიანი დედამიწაზე ზოოფობიით არის დაავადებული. ამ სენს შეუძლია, ჯოჯოხეთად უქციოს ადამიანის ცხოვრება.


22. სოკრატე იმდენად იძირებოდა ხოლმე საკუთარ ფიქრებში, რომ ერთხელ მთელი დღე-ღამე გაატარა ადგილიდან ფეხმოუცვლელად.

23. რენე დეკარტს მოსამსახურე ქალ ელენასგან, რომელთანაც ექვსი წლის განმავლობაში ჰქონდა ფარული ურთიერთობა, ქალიშვილი ფრანსინა შეეძინა. განსაკუთრებული მზრუნველობისა და მამობრივი სიყვარულის მიუხედავად, ფრანგი ფილოსოფოსი საზოგადოებაში ქალიშვილს თავის ნათესავად ასაღებდა. სუთი წლის ასაკში ფრანსინა გარდაიცვალა, რამაც მძიმე დაღი დაასვა დეკარტის ცხოვრებას.

24. 1914 წელს შემოღებული მშრალი კანონი ბოლშევიკებმა გააუქმეს, მაგრამ შემდგომში თავად გახდნენ იძულებულნი, მასობრივი ლოთობის წინააღმდეგ რაიმე ელონათ. სახალხო კომისარმა რიკოვა წამოაყენა ლოზუნგი: „სნიზიმ გრადუს, უდარიმ პო პიანსტუ!“ — და ბოლშევიკებმაც შედარებით სუსტი, 30-გრადუსიანი არყის ჩამოსხმა დაიწყეს — არად დაგიდევდნენ, რომ არყის ოპტიმალური სიმაგრე 40 გრადუსი თავად დმიტრი მენდელეევის მიერ იყო დადგენილი. ამ არაყს ხალხმა მოგვიანებით, „რიკოვკა“ შეარქვა.

25. ადმირალი ფრენსის დრეიკი დეზინტერით გარდაიცვალა. ყოფილი მეკობრე ტყვიისგან დამზადებულ კუბოში ჩაასვენეს და კარბის ზღვაში ჩაუშვეს. დაკრძალვის ადგილას, მამაცი ადმირალის პატივსაცემად, ინგლისელებმა მტრისთვის წართმეული რამდენიმე ესპანური გემიც ჩაძირეს.

26. რესტორანში საქეიფოდ შესული ანდრია ბალანჩივაძე დამკვერლებს ფულს გადაუგდებდა და ეტყოდა: სანამ აქ ვიქნებით, თქვენი ხმა არ გავიგოო!.. P.S. სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი ხელოვანი, ისე გახდა კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, რომ კომუნისტური პარტიის წევრი არ ყოფილა.







# ქვერივი ქალის ტკივილი

**დღეს მიმე სოციალურ პირობებში ცხოვრებით ვერავის გააკვირვებ. თავის რჩენა სრულფასოვან ოჯახებსაც უჭირთ. 37 წლის თამილა ცალუღელაშვილი-ქისტაური კი 5 შვილზე მარტოდმარტო ზრუნავს...**

**„ვის დაეუმგვიცო, რომ ნამდვილად 5 შვილი მყავს?“**

## ეთო ყორღანაშვილი

აღუდა, ნათია, თეო, მარიამი და ჯარჯი საქველმოქმედო ფონდ „იავენანას“ მიერ ნაჩუქარ ბინაში, დედასთან ერთად ცხოვრობენ. ისინი ზამთარში პლასტმასის ბოთლებს აგროვებენ, ღუმელში წვავენ და სახლს ისე ათბობენ... მიმე მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, ქალბატონი თამილა დახმარებისთვის არავის მიმართავს. ჩვენ კი მხოლოდ ერთი რამ გვთხოვა: იქნებ, შვილების დაბადების მონუმენტის აღებაში დამხმაროთ, ობლებისთვის დანიშნული პენსია ჩვენთვის დიდი შევბა იქნებაო.

— მე მხოლოდ და-ძმა მყავს. სამაგიეროდ, ბებიჩემს ჰყავდა 6 შვილი. ჩემი ძმა ხუმრობს ხოლმე, — ევა ბებიამ ერთი შვილით გაჯობაო (იციანის).

— **ოჯახი როგორ შექმენით?**

— წარმოშობით თიანეთიდან ვარ. მე და ჩემი მომავალი მეუღლე ერთმანეთს სწორედ თიანეთში, 13-14 წლის ასაკში შევხვდით. ის ბიძასთან სტუმრად იმყოფებოდა... წლების შემდეგ, ერთმანეთს ისევ მთაში გადავეყარეთ და ნათესაების ძალისხმევით, ერთმანეთი უფრო ახლოს გავიცანით, მოვციანებით კი ოჯახი შევქმენით.

— **ოჯახის შექმნის შემდეგ, სად ცხოვრობდით?**

— თავდაპირველად ... სარკაქალაში, მეურნეობის კუთვნილ საცხოვრებელ კომპლექსში. საშინელ პირობებში ვიყავი — ხშირად საკვებიც კი არ მქონდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ქმარი სვამდა ხოლმე, მთვრალს კი ჩემი ცემისთვის მიზეზი არ სჭირდებოდა.

— **მერე, რატომ არ შორდებოდით?**

— თითქმის სულ დაშორებულები ვიყავით — თიანეთში, ჩემს მშობლებთან მივდიოდი ხოლმე. მერე, ხან ბიცოლას მომიგზავნიდა, ხან — სხვა ნათესავს და ისინი მთხოვდნენ, რომ

მეუღლისთვის ერთხელაც მეპატიებინა. შერიგების შემდეგ, ქმარი 1-2 კვირის განმავლობაში კარგად იქცეოდა, მერე კი ჩხუბი და აურზაური თავიდან იწყებოდა.

— **შემოსავლის მცირედი წყაროც არ გქონდათ? თავს როგორ ირჩენდით?**

— საქონელს ვწყემსავდით და ამაში გასამრჯელოს ვიღებდით. ყველას თათრები ვეგონეთ, რადგან ამდენი შვილი გვყავდა და თან, სულ ბარგაკიდებული დავდიოდით — ხან ახალსოფელში ვიყავით, ხან — მარტყოფში... ძირითადად, ვაგონში ვცხოვრობდით, რომელშიც წვიმიან ამინდში წყალი ჩამოდიოდა. 4 ბავშვი ისე გავაჩინე, რომ მშობიარობაში არავინ დამხმარებია — აბა, საავადმყოფოში ვინ წამოიყვანდა?! უმცროსი ბიჭუნა — ჯარჯი 1 დღის იყო, როდესაც საქონელი საძოვარზე წავიყვანე: ერთი ხელი პატარა მარიამს ჩავკიდე, მეორეში კი ჯარჯი მეჭირა.

— **და იმ დროს, თქვენი მეუღლე რას აკეთებდა?**

— ის უცნაურად ამაყი და თითქოს საკუთარ თავში ზედმეტად დარწმუნებული ადამიანი გახლდათ. სამწყემსად ხან მიდიოდა, ხან — არა. თუკი წავიდოდა, ახლა მისთვის უნდა მედარჯა, სადმე რომ არ დაეღია, არ დამოტვრალიყო და საქონელი არ დაჰკარგოდა. ერთხელ უფროს ვაჟს — აღუდას ვილაღ ღვთისნიერმა კაცმა 100 დოლარი აჩუქა და უთხრა: შვილო, მეტრალეები და ამ ფულით რამე იყიდო. ჩემმა ქმარმა ბავშვს ფული გამოართვა და უაზროდ გაფლანგა... აი, ასეთ ტანჯვა-წამებაში ვცხოვრობდით, მთელი 10 წელიწადი შეურაცხყოფას ვითმენდი.

— **შემდეგ რა მოხდა?**

— ერთ დღეს ქმარმა ისე მცემა, რომ სიკვდილის პირას მიმიყვანა. ეს უკვე მოთმინების ბოლო წვეთი იყო: 4 თვის ბავშვთან ერთად, მშობლების

სახლში გავიქეცი (იმ დროს ისინი უკვე მარტყოფში ცხოვრობდნენ; სამწუხაროდ მამა ცოცხალი აღარ მყავს), მეორე დღეს კი დანარჩენი შვილებიც ჩემთან წამოვიყვანე. ზუსტად ვიცოდი, რომ ქმარს არასოდეს შევეურიგებოდი!.. აღუდა და ნათია ინტერნატიში დადიოდნენ (ახლახან ინტერნატი დაიშალა და იქაური ბავშვები რუსთავის უღედმამო ბავშვთა სახლში გადაიყვანეს). ბიჭს ყოველთვის გული სწყებოდა, — მამა გყავს და მაინც უპატრონო ბავშვთა სახლში ვართო... აღუდა მამის მიმართ თავიდანვე სხვაგვარად იყო განწყობილი. ერთხელ უთხრა კიდეც: როცა გავიზრდები, უნდა გცემო და თან, საქონლის სამწყემსად გაგიშვაო. ჩემმა მეუღლემ უპასუხა: 15 წლის ასაკშიც მაგ აზრზე თუ იქნები, იცოდე, საერთოდ გადავიკარგებო. აღუდა 10 წლის იყო, როცა მამამისი მოკლეს.

ეს ამბავი იდუმალებითაა მოცული: მისი ცხედარი თბილისის ზღვასთან ახლოს პატრულმა იპოვა. დაასვენეს, მანქანა დაეჯახა, მაგრამ ამის არ მჯერა. ის ცემით იყო მოკლული, ექსპერტიზამ კი ჩემი ვარაუდი არ დაადასტურა. აქვე გეტყვით, რომ ის წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ყაჩაღობისთვის, გეგუთის ციხეში იხდიდა სასჯელს: 3-მა კაცმა (მათ შორის, ერთ-ერთი — ჩემი ქმარი გახლდათ) ფერმიდან საქონელი გაიტაცა. მეუღლეს ამნისტია შეეხო და ვადაზე ადრე გაათავისუფლეს... ქმართან დაშორების და მისი გარდაცვალების შემდეგაც მშობლებთან ვცხოვრობდი; ჩემს ძმას ოჯახი ჩემ გამო დაენგრა: მის ცოლს არ მოსწონდა, 5 შვილით მათთან რომ ვცხოვრობდი. რა თქმა უნდა, იმ გოგონასი კარგად მესმის — ამდენი ადამიანის ოროთახიან ბინაში ცხოვრება ძალიან ძნელი იყო... მერე, 2 შვილი ავად გამიხდა — სიკვდილს ხელიდან ძლივს გამოვტაცეთ. საბედნიეროდ, დახმარება საპატრიარქომ გაგვიწვინა და უმკურნალეს.

— **ამჟამად, საქველმოქმედო ფონდ „იავენანას“ მიერ ნაჩუქარ ბინაში ცხოვრობთ. ფონდს როგორ დაუკავშირდით?**

— არც სახლ-კარი მქონდა, არც — ბავშვების რჩენის საშუალება. 2 შვილი ბავშვთა სახლში ჩავაბარე. მარტყოფში „იავენანადან“ სოციალური აგენტი ხშირად მოდიოდა და გვამონებდა, თუ სად და როგორ ვცხოვრობდით. ძალიან უიმედოდ ვიყავი განწყობილი. ვფიქრობდი — ბინას არავინ მომცემს-მეთქი. ერთ დღეს „იავენანას“ წარ-

მომადგენლები გვესტუმრნენ და გვითხრეს, — ტელევიზორს უყურეთო... მადრიდში კონცერტი ჩატარდა, სადაც ბატონმა პაატა ბურჭულაძემ გამოაცხადა: ბინა თამილა ქისტაურს გადაეცემო. ვაიმე, სიხარულის რა საოცარი განცდა იყო!.. 1-ელ ივნისს პაატა ბურჭულაძეს ოპერისა და ბალეტის თეატრში შეეხვდით. ბინის გასაღები სწორედ იქ გადმოგვცა. უკვე 2 წელია, რაც მე და ჩემი შვილები „იავნანას“ მიერ ნაჩუქარ ბინაში ვცხოვრობთ. თავდაპირველად ამბობდნენ, რომ ის გარემონტებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ... არა უშავს, მთავარი ისაა, რომ საკუთარი ჭერი მანძი მაქვს და ამისთვისაც უფლის მადლიერი ვარ.

— ახალ საცხოვრებელს როგორ შეგუვთ?

— მეც და ჩემი შვილებიც სოფელში გავიზარდეთ. რუსთავში, კორპუსში ცხოვრება და თავის რჩენა ძალიან გვიჭირს. ქალაქში რა უნდა გააკეთო? ვერც პირუტყვს მოაშენებ და ვერც ბოსტნეულს მოიყვან — აქ ყველაფერი იყიდება, რაც ჩვენთვის ძალიან ძნელია.

— თავის გატანას როგორ ახერხებთ?

— რამდენიმე მეზობელთან ერთად, თათრებით დასახლებულ სოფელში — ქესალოში მივდივარ და მიწას ვამუშავებ. თუ წვიმიანი ამინდი არაა, ქესალოში დილის 6 საათზე მივემგზარები და შინ საღამოს 7 საათზე ვბრუნდები. მთელი დღე მცხუნვარე მზის ქვეშ ვმუშაობ. გუშინ დაღლილობისა და შიმშილისაგან მუხლები მიკანკალბდა. ერთი სული მქონდა, სახლში როდის მოვიდოდი, რათა ერთი-ორი ლუკმა მეჭამა.

— მუშების კვებაზე არ ზრუნავენ?

— ერთსაათიანი შესვენება გვაქვს

ხოლმე და საქმელიც მოაქვთ, მაგრამ ისეთი საშინელი ხორციანი კერძი მოგვიტანეს, რომ პირიც ვერ დავკარე...

— შესრულებულ სამუშაოში რამდენს გიხდით?

— ყოველდღიურად — 15 ლარს. როცა მგზავრობის ფული არ მაქვს, რუსთავში სესხს ვიღებ და ვალს ქესალოდან დაბრუნების შემდეგ ვისტუმრებ. ძნელია, ოჯახიც გამოკვებო და გადასახადებიც დაფარო: უკვე რამდენიმე თვეა, რაც დავალიანების გამო, დენი გამოგვირთეს. ჩვენს საცხ-

და არ დაადგა... გეფიცებით, არავის მონყალეა არ მინდა, ერთს ვითხოვ: შვილების დაბადების მონწილობის გაკეთებაში დამეხმარონ, აბა, ისე ვის დავემტკიცო, რომ ნამდვილად 5 შვილი მყავს?.. არადა, ობლებსთვის დანიშნული პენსია ჩემი ოჯახისთვის დიდი შვება იქნება. ტანისამოსს აღარ დავიძებ — ბავშვების კვებასაც ვერ ავუდივარ!.. მასწავლებელს ვთხოვე და ჩემი შვილები სკოლიდან არდადეგების დანყებამდე გავათავასუფლებინე. ახლა დედაჩემთან — მარტყოფში არიან. აქ მხოლოდ უმცროსი გოგონა მყავს,

## სოფელში გავიზარდეთ. რუსთავში, კორპუსში ცხოვრება და თავის რჩენა ძალიან გვიჭირს

ორგებელ კორპუსებში გაზის მილები ახლახან დაამონტაჟეს, მაგრამ მე გახეურა არ მაქვს. ზამთარში ღუმელი გვედგა — პლასტმასის ბოთლებს ვაგროვებდით, ვწვავდით და იმით ვთბებოდით, ზოგჯერ კი ჩემს ძმას შეშა მოჰქონდა.

— სახელმწიფოსგან არანაირ ფულად დახმარებას არ იღებთ?

— როგორც აღვნიშნე, 4 შვილი ისე გავაჩინე, რომ სამშობიაროში არ მივსულვარ, შესაბამისად — არც ბავშვების დაბადების მონწილობეი მაქვს. მონწილობების გასაკეთებლად, საბუთები რუსთავში გამომაგზავნინეს, მაგრამ მოსამართლემ რალაც მიზეზი დაასახელა და საბუთები „იავნანაში“ დავაბრუნე, ფონდიდან კი თიანეთში გაგზავნეს, — თამილა იქაა ჩანერილი და იქნებ, ეს საქმე მანდვე მოგვარდესო, მაგრამ საშველი არა

რომელსაც თითქმის სულ ჩემი და უვლის, რადგან მე ყოველდღე სამუშაოდ დავდივარ. მთელი ცხოვრება ტანჯვაში გავატარე, მაგრამ ალბათ უფალი მადლევს ძალას, რომ სულით არ დავეცე და მომავლის იმედი არ დავკარგო.

ქალბატონ თამილასთან საუბრის შემდეგ, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მივმართეთ. იურიდიული სამსახურის უფროსმა — ბატონმა გიორგი გაბრიელაშვილმა აგვისხნა, რომ საერთოდ, დაბადების მონწილობის აღება მარტივი პროცესია და ამაში მოქალაქე თანხას არ იხდის; როტულ შემთხვევებში, როცა მაგალითად, დედამ შინ იმშობიარა და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტი (რაც დაბადების რეგისტრაციისთვის აუცილებელია) არ არსებობს, გამოსავალი — დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის ალტერნატიული დოკუმენტის შექმნაა; ამისათვის მშობელმა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს უნდა მიმართოს და შვილის დაბადების ფაქტის დადგენა მოითხოვოს. დაბადების ფაქტის დადგენა სამართლებრივი პროცესია, რომელიც მაქსიმუმ, 2 თვეს გრძელდება. ბატონმა გიორგიმ ქვრივი ქალბატონის მდგომარეობა გაითვალისწინა და გვითხრა, რომ თამილა ცალუღელაშვილს შეუძლია, სამოქალაქო რეესტრის ნებისმიერ, მისთვის მოსახერხებელ ტერიტორიულ სამსახურს მიაკითხოს, სადაც მას სათანადოდ მომზადებული დახვედებიან, კონსულტაციას გაუწევენ და პრობლემას მოუგვარებენ. გიორგი გაბრიელაშვილმა თავისი პირადი ტელეფონის ნომერიც ჩაგვანერინა, რომელიც ქალბატონ თამილას გადავეცით.

**ახალი პრესა ყველა სოფელს!**

**ყურადღება!**

თუ საქართველოს მოსახლეობა რეგიონში ან სოფელში გაცემო სავაჭრო თბიჯები (მარკეტი ან სხვა.) და გაცემო სურვილი, შეზავით თქვენს თბიჯებს ყურნალ-გამოთვებს სარეგალიმითო სტენდი. დაჯიკეთებინდით: 832 377-533; 858 100-068; 893 600-315.

ჩააწერინეთ თბიჯაგრობს თქვენი ვინაობა და საკონტაქტო გელაფონი.

**8326 ანთოპოლოგო მხანახანახანო!**

**კაპოპი**

**გააფიკაპიპი**

**საანთანო**

**„ელვა.ჯი“**





## უხნაური (სულაური) ქანონაზი

- ოპიოს შტატში დაპატიმრება არ აგცდებოდა, თუ თევზებს დაათრობო.
- მაიაშის პოლიციის შენობაში სვეტიტორდით გადაადგილება დანაშაულია.
- არიზონაში აქლემებზე ნადირობა აკრძალულია, ხოლო კაქტუსის მოჭრისთვის 25-წლიანი ციხე გეშუქრება.
- ნებრასკის შტატის ქალაქ ვოტერლუში დალაქებს დილის 7-დან საღამოს 7 საათამდე ხახვის

ჭამა ეკრძალებათ.

- ალაბამაში თვალახვეულ მიწოლებს მანქანის ტარება ეკრძალებათ.

● ჩრდილოეთ კაროლინაში, თუ წყვილი ლამეს სასტუმროს ერთ ნომერში გაათევეს, მას ცოლქმრად გამოაცხადებენ.

● არიზონაში გასათხოვარი ქალი ვერი თევზავებს; გათხოვილს მხოლოდ კვირაობით აქვს თევზის დაჭერის უფლება.



## უხნაური ღამთხვევაზი

● 1966 წელს ქალაქ სალემის მახლობლად, ელის ბლეიზმა 4 წლის როჯერ ლოზიერი ზღვაში დახრჩობას გადაარჩინა. 1974 წელს 12 წლის როჯერმა დახრჩობას გადაარჩინა მამაკაცი, რომელიც ელის ბლეიზის ქმარი აღმოჩნდა.

● მეგობრებთან გამართულ წვეულებაზე იტალიელმა მსახიობმა მარჩელო მასტროიანიმ სიმღერა — „დაინვა სახლი, რომელშიც ბედნიერი ვიყავი“ — წამოიწყო. მისამღერი დაასრულა თუ არა, შეატყობინეს, რომ მისი ვილა დაინვა.

● ამერიკელი ასტრონავტი ნილ არმსტრონგი პირველი კოსმონავტი იყო, რომელმაც მთვარეზე ფეხი დადგა. „წარმატებებს გისურვებთ, მისტერ გორსკი!“ — წარმოთქვა მან. ამ ფრაზამ ყველა გააოცა. როგორც გაირკვა, ბავშვობაში მის მეზობლად ცოლქმარი გორსკი ცხოვრობდა. ერთხელ პატარა ნილმა მოისმინა, როგორ უყვიროდა ქალი ქმარს: მეზობლის ბიჭი უფრო მალე გაფრინდება მთვარეზე, ვიდრე შენ ქალს დააკმაყოფილებ!“

● 1664 წელს უელსის სანაპიროსთან გემი ჩაიძირა. გადარჩა მხოლოდ ერთი მგზავრი — ჰიუ უილიამსი. 1785 წელს, იმავე ადგილას კატასტროფა განიცადა კიდევ ერთმა გემმა, გადარჩა მხოლოდ ერთი მგზავრი — ჰიუ უილიამსი. 1860 წელს უელსის სანაპიროსთან ჩაძირული გემიდან მხოლოდ

ერთი ადამიანი — ჰიუ უილიამსი გადაარჩინეს.

● საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XVI-ს უწინასწარმეტყველეს, რომ 21 რიცხვში მოკვდებოდა. ყოველი თვის 21 რიცხვში მეფე საკუთარ საძინებელში იკეტებოდა და მეორე დღემდე არ გამოდიოდა. მაგრამ წინასწარმეტყველება მაინც ასხდა: 1791 წლის 21 ივნისს მეფე და მისი ცოლი მარია ანტუანეტა დააპატიმრეს. 1792 წლის 21 სექტემბერს საფრანგეთი რესპუბლიკად გამოაცხადეს და მეფის ხელისუფლება გააუქმეს. 1793 წლის 21 იანვარს ლუდოვიკო XVI სიკვდილით დასაჯეს.

● უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ მრავალი უფოლოგი 24 ივნისს გარ-

დაიცვალა. 1964 წლის 24 ივნისს გარდაიცვალა წიგნის — „მფრინავი თევზების კულისებს მიღმა“ — ავტორი ფრენკ სკალი, 1965 წლის 24 ივნისს კინომსახიობი და უფოლოგი — ჯორჯ ადამსკი, ხოლო 1967 წლის 24 ივნისს ერთდროულად ორი უფოლოგი — რიჩარდ ჩენი და ფრენკ ედვარდსი.

● ინგლისის საგრაფო ჩეშირის სუპერმარკეტში უჩვეულო სასწაული ხდება. საკმარისია, ქალი მე-15 სალაროსთან დაჯდეს, რომ ცოტა ხანში ფეხმძიმდება. 24-მა მოლარემ (მათ შორის მოხალისეებიც იყვნენ) 30 ბავშვი გააჩინა. მეცნიერებს ეს მოვლენა ვერაფრით აუხსნიათ, მაგრამ ფაქტია, რომ გინეკოლოგისგან მიღებული, უშვილობის საბუთის მქონე ქალები სალაროსთან მუშაობის რიგში ეწერებიან.

● აუხსნელი რჩება აგრეთვე ის ფაქტი, რომ ამერიკის პრეზიდენტებმა, რომელთა არჩევის წელიც 0-ზე მთავრდება, ტრაგიკულად დაასრულეს სიცოცხლე: ლინკოლნი (1860), გარფილდი (1880), მაქკინლი (1900) და კენედი (1960) მოკლეს; ჰარი-სონი (1840) ფილტვების ანთებით, რუზველტი (1940) პოლიომიელიტით, ჰარდინგი (1920) ინფარქტით გარდაიცვალა. საინტერესოა, როგორ დასრულდება ჯორჯ ბუშის სიცოცხლე, რომელიც 2000 წელს აირჩიეს ამერიკის პრეზიდენტად?..

ნილ არმსტრონგი





# უხნაური საბავშვო წიგნები

ამერიკაში ბავშვებისთვის, ცხოველებზე უამრავი წიგნი გამოიცემა. გამომცემელთა მიზანია, ბავშვებს ოთხფეხა არსებები შეაყვარონ. წიგნებს შორის ყველაზე უცნაურ გამოცემად ორს მიიჩნევენ: „ზოგიერთი კნუტი დაფრინავს“ და „ყველა კატა ჯოჯოხეთში ხვდება“.

ილუსტრირებულ წიგნებს შორის, გამორჩეულ ყურადღებას სამი იპყრობს: პირველი — „მამა სვამს, რადგან შენ ტირი“ — ამერიკელი ფსიქიატრების მიერაა დაწერილი და დიდი პოპულარობით სარგებლობს; მეორე ადგილზეა — „რატომ არ მეგობრობენ ჩანგალი და შტეკსელი“; მესამე — „დაუდევარი ჯორჯი და დენის მალაქაბევიანი ხაზი“ — ბავშვებს დენტან და ელექტრონულსაწყობებთან მოპყრობის წესებს ასწავლის.

პოპულარულია ფსიქოლოგების მიერ დაწერილი წიგნები: „ისტერია უტყუარი საშუალებაა იმის მისაღებად, რაც გსურს“ და „პოპულარული ანატომია“. გერმანული გამოცემლობები მშობლებს, რომელთა შვილებსაც უძილობა აწუხებს, სთავაზობენ წიგნებს: „შენი ღამეული კომპარები რეალურია“ და „ადამი-

ანი მთვარეზე, სინამდვილეში — სატანაა“. ამ წიგნში ვკითხულობთ, რომ სახე, რომელსაც მთვარეზე ვხედავთ, სატანისაა და ბავშვს, რომელიც ცუდად მოიქცევა, ჯოჯოხეთში წაიყვანს. საინტერესოა, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, საერთოდ თუ დაიძინებს ბავშვი?! ბავშვებში სიმსუქნის პრობლემას არაერთი გამოცემა ეთმობა,



მაგრამ ყველაზე უკეთ იყიდება რბილყდიანი, ილუსტრირებული წიგნი მსუნაგ პატარაზე, რომლის სახელწოდებაა: „ბიჭი იმიტომ მოკვდა, რომ ყველაფერს ჭამდა“(!)...

ამერიკელ ავტორთა ჯგუფმა შეთხზა ზღაპარი ეგვიპტის პირამიდებზე, ბერძნულ მავზოლეუმებსა და მუსლიმანურ სამარხებზე; ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ წიგნი ყველა-სათვის გასაგებ ენაზეა დაწერილი და მისი წაკითხვა 5 წლის ბავშვსაც შეუძლია, მაგრამ მოდი და, ნუ დაგაფრთხობს სათაური — „სად გინდა, რომ დაგმარხონ?“

ყველა დროისა და ხალხის ყველაზე უცნაურ წიგნად მიიჩნევა „მაიკოს ახალი ცოლი, რომელსაც რობერტი ჰქვია“. ავტორის მიზანია, ბავშვებმა ნაკლები ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღონ იმ შემთხვევაში, თუ მათი რომელიმე მშობელი თავისივე სქესის ადამიანზე დაქორწინდება.


# ყველაზე უხნაური ღირსშესანიშნაობები

**ავსტრია, ვენა — ათოლოგიური ანატომიის მუზეუმი ანუ „გიჟების კოვჩი“**

მუზეუმში თავმოყრილია პათოლოგიების, სიმახინჯეების, მუტაციის ნიმუშები. მუზეუმის მეორე სახელწოდებაა — „გიჟების კოვჩი“, რადგან XVIII საუკუნეში ამ შენობაში საგიჟეთი მდებარეობდა. ყველაზე ღირსშესანიშნავი ექსპონატი — ადამიანებისა და ცხოველების ძვლები-სგან დამზადებული, გველებთან მებრძოლი ლაოკოონის სკულპტურა

— დაბომბვისას დაიმსხვრა. **ჩხეთი, საღლეცი — კვალტ-საცავი**

ჭირმა უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. ახალი გვამების დასამარხად, მიწიდან ძვლებს თხრიდნენ და მათ იმპროვიზებულ საწყობებში ინახავდნენ. XVIII საუკუნეში ხის მთელემა, გრაფი შვარცენბერგისთვის ძვლებისგან ინტერიერის სხვადასხვა ნიმუში შექმნა. ყველაზე შთამბეჭდავია თავის ქალებისგან აგებული კედელი და ძვლებისგან დამზადებული შვარცენბერგთა გერბი.



**პოლოეთი, ოსვენციმი — აუზ-ნიც-ზირკენაუს საკონცენტრაციო ბანაკი**

ოსვენციმის სიკვდილის ბანაკის ტერიტორიაზე, სადაც 4 მლნ ადამიანი დაიღუპა, ახლა აუზნიც-ბირკენაუს სახელმწიფო მუზეუმი მდებარეობს. კარის ჭიშკარი ომის თემაზე შექმნილ მრავალ ფილმშია აღბეჭდილი.

ერთ-ერთ ოთახში, ფაშისტების მიერ მსხვერპლთათვის ჩამორთმეული ნივთებია თავმოყრილი.

**ვალტა, ვინა — ნამიბის მუზეუმი**

ნამების მუზეუმი ვალტაზეც მდებარეობს. მუზეუმში გიდობას კუზიანი ლილიპუტი გაგინევთ. გილიოტინების, ფრჩხილის ასაძრობი და ენის ამოსაგლეჯი ინსტრუმენტების გარდა, ნანამები ადამიანების ცვილის ფიგურებსაც შეხვდებით.



# პროსტატიტი

პროსტატიტი წინამდებარე ჯირკვლის ანთება გახლავთ, რომელსაც ყველაზე ხშირად სტაფილო, სტრეპტო, პნემოკოკი, ნაწლავის ჩხირი, ტრიქომონები იწვევს. ამ დაავადების განვითარების ხელის შეწყობი ფაქტორებია: წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტის შეგუბება, გაცივება, აკლოპოლური სასმელების ბოროტად მოხმარება და სხვა. პროსტატიტის სიმპტომები დამოკიდებულია პროცესის გამოსატყულებაზე და ვლინდება შორისის არეში უმნიშვნელო ტკივილით, ხშირი შარდვით, ძლიერ გამოხატული ადგილობრივი და ზოგადი გამოვლინებებით. პროსტატიტის მძიმე ფორმების მკურნალობა, ჩვეულებრივ, სტაციონარში ხდება, უფრო მსუბუქი ფორმების შემთხვევაში კი შესაძლებელია ამბულატორული მკურნალობა. ავადმყოფს ეკრძალება ცხარე კერძები და ინდივიდუალური წესით ხდება ანტიბიოტიკების შერჩევა.



**ფიტოთერაპია:** ფიტოთერაპია პროსტატიტის მწვავე პერიოდში, ჩვეულებრივ, მკურნალობის დამატებითი საშუალებაა,

ხოლო ნარჩენი მოვლენების სტადიაში — ძირითადი. ამ დროს ინიშნება ანთების საწინააღმდეგო და დეზინფექციის

უნარის მქონე მცენარეები (მაგალითად, წყლის იელი, ყინჭარი, სამყურა, ბეგონ-დარა, ძირტებილა და სხვა), ასევე დიურეზული (მარდმდენი) და შემუშების საწინააღმდეგო საშუალებები (მაგალითად, მათიტელა, ძირტებილა, შავბალახა). ბალახულ ნაყენს იღებენ შინაგანად (სვამენ), ასევე იკეთებენ ამ ნაყენის ოყენებს.

პროსტატიტის დროს სასარგებლო მცენარეული ნაკრები: თითო-თითო სუფრის კოვზი: მათიტელა, შვიტა, კამის თესლი; თითო-თითო დესერტის კოვზი: კრაზანა, ფარსმანდუკი, ვარდაჭაჭა, ბაბუანვერას ფესვები; თითო-თითო ჩაის კოვზი: მრავალძარღვასა და ოხრახუმის თესლი. ეს ნარევი უნდა მოიხარშოს 1,2 ლ წყალში. მიიღება — 100-150 მლ, 3-4-ჯერ დღეში.

ასევე სასარგებლოა შემდეგი მცენარეული ნაკრები: სიმინდის უღვაში, ლობიოს სადგული, დათვის კენკრა (1:1:1). 40 გ ნარევი უნდა მოიხარშოს 1 ლ წყალში 15 წუთის განმავლობაში. ისმევა დღის განმავლობაში, 6 მიღებაზე. ■

# გონების ღრობითი დაკარგვა

გონების დროებითი დაკარგვა საკუთარი თავისა და გარე სამყაროს შეცნობის უნარის დროებით დაკარგვაა. იგი ატარებს დროებით ხასიათს და გონზე მოსვლა ხდება სპონტანურად. გონების დროებითი დაკარგვა ტვინისთვის სისხლის მიწოდების დროებითი შემცირების (ჟანგბადის მიწოდების შემცირების) შედეგია. ამან შეიძლება, გონების არევა, დაბინდვა ან დაკარგვა გამოიწვიოს. ტვინისთვის სისხლის მიწოდების შემცირების უამრავი ფაქტორი არსებობს.

გონების დროებითი დაკარგვა შეიძლება, განაპირობოს გულის დაავადებებმა და მდგომარეობებმა, რომლებიც გულს არ უკავშირდება.

გონების დროებით დაკარგვას შემდეგი ფაქტორები იწვევს:

- ✓ სხეულის მდგომარეობის ცვლილება — მწოლიარე ან მჯდომარე მდგომარეობიდან ვერტიკალურ პოზიციაში გადასვლა;
- ✓ გაუნწყლოვნება;
- ✓ არტერიული წნევის დამწვევი (ჰიპოტენზიური) პრეპარატები;
- ✓ ხანდაზმულებში ქვედა კიდურის სისხლძარღვების დაავადებები;
- ✓ დიაბეტი;
- ✓ პარკინსონის დაავადება.

● სისხლის მოცულობის შემცირება და ან ქვედა კიდურების სისხლძარღვების ცუდი მდგომარეობა ფეხებში სისხლის არაპროპორციულ გადანაწილებას იწვევს. მაშინ, როცა ადამიანი ვერტიკალურ მდგომარეობაშია, ეს თავის ტვინის სისხლის არასაკმარისი რაოდენობით ამარაგებს.

● გონების დროებითი დაკარგვის მიზეზი შეიძლება, გულთან კავშირში არმქონე მიზეზებიც იყოს: ტვინიდან სისხლის გაღინება, მაგალითად — ემოციურ ნიადაგ-

ზე; ან ხველის, მოშარდვის და დეფეკაციის შემდეგ. ეს ხდება ნერვული სისტემის რეფლექსის გამო, რაც გულის რიტმის შემცირებას, ფეხებში სისხლძარღვების გაფართოებას და არტერიული წნევის დაქვეითებას იწვევს. შედეგად კი ტვინს მიეწოდება მცირე რაოდენობის სისხლი (და ჟანგბადი), რადგან სისხლის ნაკადი ფეხებისკენაა მიმართული. ხშირად გულის წასვლის წინ, პაციენტები გულისრევის შეგრძნებას და ოფლიანობას უჩივიან. ტვინში სისხლის ჩაქცევა (ინსულტი ან პრედინსულტი) და შავიკი ასევე შეიძლება, გონების დროებითი დაკარგვის მიზეზი გახდეს.

● გულისმიერი ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება, გონების დროებითი დაკარგვა გამოიწვიოს: გულის რიტმის პათოლოგია (ძალიან სწრაფი ან ძალიან ნელი გულისცემა), გულის სარქველების ანომალია (ე.წ. გულის მანკები, მაგალითად, აორტული სტენოზი...), არტერიული წნევის მატება იმ არტერიებში, რომლებიც სისხლს ფილტვებს აწვდის (ფილტვის არტერიის ჰიპერტენზია), აორტის რკალის განშრევა და გულის კუნთის ფართოდ გავრცელებული დაავადება — კარდიომიოპათია.

გონების დროებითი დაკარგვის მიზეზის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ პაციენტის გულდასმით გამოკითხვისა და მისი გამოკვლევის ნიადაგზე.

თავბრუსხვევა ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურ მდგომარეობაში გადასვლის შემთხვევაში, მოწმობს ორთოსტატიულ ჰიპოტენზიაზე; მოშარდვის, დეფეკაციის ან ხველის შემდეგ გონების დროებითი დაკარგვა ვაზოდეპრესიულ ფაქტორებზე მიუთითებს. თუ ადამიანს აქვს აორტარული სტენოზი ან კარდიომიოპათია და განუვითარდა გონების დროებითი დაკარგვა,

მაშინ მიზეზი გულისმიერი ყოფილა. გონების დროებითი დაკარგვის პარალელურად თუ აღინიშნება სხეულის რომელიმე ნაწილის სისუსტე, მაშინ შესაძლებელია, ეს ინსულტის ბრალი იყოს.

ავადმყოფს პულსი უნდა შეუმომწდეს ფეხზე მდგომ, დამჯდარ და მწოლიარე მდგომარეობაში. წნევა ორივე ხელზე უნდა იქნას გასინჯული. ექიმმა გულისცემას სტეტოსკოპით უნდა მოუსმინოს, დაუკვირდეს, ხომ არ აქვს პაციენტს შუილები (ეს გულის მანკზე მიუთითებს). აუცილებელია ელექტროკარდიოგრამის გადაღება. კარგად უნდა იქნას შესწავლილი ნერვული სისტემა, შეგრძნებები, რეფლექსები და მოტორული ფუნქცია. შეიძლება, საჭირო გახდეს ექოკარდიოგრაფია, გულის რიტმის მონიტორინგი და გულის მუშაობის ელექტროფიზიოლოგიური კვლევა.

გონების დროებითი დაკარგვის შემთხვევაში, მკურნალობა დამოკიდებულია გონების დაკარგვის გამომწვევ მიზეზზე. გონების დროებითი დაკარგვა, რომელიც გულთანაა დაკავშირებული, სპეციალურ მკურნალობას არ საჭიროებს. პაციენტი როგორც კი დაჯდება ან დაწვება, გონება თავისთავად დაუბრუნდება. გონების დაკარგვის შემდეგ ადამიანი უნდა ერიდოს ასეთი მდგომარეობის გამომწვევ სიტუაციებს, მაგალითად — დაძაბულობას, სწრაფად წამოდგომას. ხველის დროს უნდა ეცადოს, დაჯდეს ან წამოწვეს.

ხანდაზმულებს სულ თან უნდა ჰქონდეთ ექიმის მიერ დანიშნული პრეპარატების გარდა ამისა, სხეულის მდგომარეობის შეცვლისას, სიფრთხილედ უნდა გამოიჩინონ, სკამიდან და საწოლიდან ნელ-ნელა წამოდგნენ. მოხუცი პაციენტები უნდა ერიდონ გაუნწყლოვნებას. ■



**სასარგებლო თუ მავნებელი  
ძილი ჭამის შედეგ?**

ბევრ ჩვენგანს შეუძრწევია, რომ ჭამის შემდეგ ძილი ერევა. თურმე ეს, ყველა ცოცხალი არსებისთვის არის დამახასიათებელი და სრულიად ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესი ყოფილა.




ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი და დასკვნეს, რომ საკვების მიღების შემდეგ, სიფხიზლეზე პასუხისმგებელი ტვინის უჯრედების აქტიურობა მნიშვნელოვნად კლებულობს. ადამიანს სწორედ ამიტომ ახალ ნაჭამზე ძილი უნდება. გარდა ამისა, ნელდება რეაქციის სიჩქარე და აზროვნების პროცესი.

ამიტომ, მეცნიერები არ ურჩევენ ადამიანებს ახალ ნაჭამზე ინტელექტუალური სამუშაოს დაწყებას. საქმე ის არის, რომ საკვებთან ერთად, ადამიანის ორგანიზმს გლუკოზა მიეწოდება, რომლის მომატებული დონე ნერვულ უჯრედებში იმპულსების გადაცემის პროცესს არღვევს. სპეციალისტები ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით, ნარკოლეფსიის (დღის განმავლობაში ძილიანობა) და სიმსუქნის სამკურნალო პრეპარატების შექმნას გეგმავენ.

**მეხნიერება ხელოვნური კანი შექმნას**

ჩინელმა სპეციალისტებმა შეძლეს, ხელოვნური კანის საფარვლის შექმნა. იგი დიდხანს ძლებს და აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება, ლაბორატორიაში იქნას გამოზრდილი. პროექტის ხელმძღვანელის თქმით, ხელოვნური კანის საფარველი ორი შრისგან შედგება: ეპიდერმისისა და დერმისგან. ადამიანის იმუნური სისტემა არ უარყოფს ხელოვნური კანის საფარველს, რადგან მასში ცოცხალი უჯრედებია. მეცნიერების თქმით, ხელოვნური კანი შეიძლება, გამოიყენონ, როგორც მასშტაბური ტრანსპლანტაციების, ისე კანის მცირე ნაწილის გადნერგვის შემთხვევაში. აქამდე, პაციენტებს, რომელთაც კანის ტრანსპლანტაცია ესაჭიროებოდათ, უნერგავდნენ დონორის ან საკუთარ კანს.



**ჩინელაზა ნიტროგლიცერინი არ მოქმედებს**

სტატისტიკის მიხედვით, აზიელების დაახლოებით 50%-ს მუტაციური გენი აღმოაჩნდა, რის გამოც სტენოკარდიის შეტევის დროს, ნიტროგლიცერინი ნაკლებად ეფექტური ხდება ან საერთოდ უეფექტო. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 111-მა ჩინელმა. გაირკვა, რომ ნიტროგლიცერინის მიღება სტენოკარდიული შეტევის დროს, 31 პაციენტს არ უხსნიდა ტკივილის გრძნობას. მეცნიერების აზრით, ნიტროგლიცერინის ეფექტის დაქვეითება ან არარსებობა, გამოწვეულია ALDH2 ფერმენტის სინთეზზე პასუხისმგებელი გენის მუტაციით. ეს ფერმენტი აუცილებელია ორგანიზმში ნიტროგლიცერინის სისხლძარღვების გამაფართოებელი ეფექტის უზრუნველმყოფი შენაერთების გამოსათა-

ვისუფლებლად. ALDH2-ის მაკოდირებელი გენის ნაცვლად აზიელებს ხშირად აქვთ მუტაციური ნაირსახეობა (Glu504Lys), რომელსაც ეს ფერმენტი არააქტიური მდგომარეობაში გადაჰყავს, რის გამოც ნიტროგლიცერინი ვეღარ ავლენს სასურველ ეფექტს. გენის ნორმალური ვარიანტის არსებობის შემთხვევაში, ნიტროგლიცერინის ენის ქვეშ დადება ძალიან სწრაფად მოქმედებს, მაგრამ მისი ეფექტი 10-15 წუთი გრძელდება. აღსანიშნავია, რომ არ არის რეკომენდებული ნიტროგლიცერინის აბების დღეში 6-ზე მეტად მიღება.

**ზაფრანა გონების დაკარგვისგან მისნით**

მეცნიერებმა ესპანური, იტალიური, ინდური და ქართული კერძების შემადგენლობაში შემავალი ზაფრანის ახალი სასარგებლო თვისება აღმოაჩინეს.

კვლევამ აჩვენა, რომ ზაფრანა ხელს უშლის გონების დაკარგვის განვითარებას. ამ სუნელის რეგულარული გამოყენება, თვალის მგრძობიარე უჯრედებს სხვადასხვა დაავადების მიმართ გამძლეობას მატებს. მეტიც, ზაფრანა ანელებს თვალის გენეტიკური დაავადებებისა და დაბერებით განპირობებული პათოლოგიების განვითარების პროცესს. ადრე ჩატარებული კვლევებით დადგენილი იყო, რომ ზაფრანა წარმოუდგენლად სასარგებლოა ქალის ჯანმრთელობისთვის, იგი მნიშვნელოვნად ასუსტებს მენსტრუაციის წინა (პრემენსტრუალურ) სიმპტომებს.

**ხვრინვა — ზაფრანი წონის მიზანი**

ხვრინვა ბევრი ადამიანისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. სწორედ ამის გამო, ამერიკელმა მეცნიერებმა გადამწყვიტეს, გაერკვიათ, თუ როგორ მოქმედებდა ხვრინვა ადამიანის ჯანმრთელობაზე და მივიდნენ მოულოდნელ დასკვნამდე. ჩატარდა ექსპერიმენტი ძილის სხვადასხვა დარღვევის მქონე 212 მამაკაცისა და ქალის მონაწილეობით. მათი ნაწილი მთელი ღამის განმავლობაში, გააუმჯობესებდა ხვრინავდა, სხვები — იშვიათად. ამასთან, ისინი, ვინც გააუმჯობესებდა ხვრინავდნენ, 2000 კალორიას წვავდნენ, ხოლო იშვიათად მხვრინავები — 1600 კალორიას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვინც ხვრინავს, სხვებთან შედარებით, ტანადები არიან. მეტიც, აღმოჩნდა, რომ მხვრინავ ადამიანებს, არამხვრინავებთან შედარებით, უფრო ხშირად ჭარბი წონა აქვთ. საქმე ის არის, რომ ხვრინვა ხელს უშლის გამოძინებას, რაც ფიზიკური აქტიურობის დაქვეითებას იწვევს, ზრდის ადვილად დაღლას და არღვევს კვების ნორმალურ რაციონს. მხვრინავი ადამიანები, ძირითადად, მაღალკალორიულ საკვებს მოიხმარენ და ნაკლებს მოძრაობენ, რაც მათი გასუქების მიზეზი ხდება.


**აირჩიე და შეიძინე სასლიდან გაუსვლელად**  
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები  
[www.elva.ge](http://www.elva.ge)

გაზეთების დასახელება	1 კვ. დები	3 თვე
1. GEO / GEO	5.00	27.99
2. LMSA	2.50	32.58
3. 188 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ	5.00	65.99
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8.00	24.99
5. СЕМЬ ДНЕЙ	2.50	32.58
6. HELLO! / ХЭЛЛО!	4.00	52.99
7. ОТДОХНИ	2.00	26.99

არასის და ნიშნავის გააჩვენების სააპანტო „ელვა.ჯი“  
ქ. თბილისი, თბილისის ქ. 74/49  
ტელ: 38-26-73; 38-26-74  
ფაქსი: 38-26-74  
E-mail: elva@kivrispaltva.com



# იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



## როგორ მოვიროთ პროთეზი

პროთეზი თქვენ არ უნდა მოირ-  
გოთ – ის ექიმმა უნდა მოგარგოთ.  
აუცილებელია, მოსახსნელი პროთეზი  
ზუსტად იყოს დამზადებული. მცდა-  
რია მოსაზრება, რომ პაციენტის პირის  
ღრუს ლორწოვანი გარსი თვითონ  
მოერგება პროთეზს.

## პატარას ქავილი აწუხებს

როცა დედა პაბილომავირუსით არის  
ინფიცირებული, შვილიც ინფიცირებუ-  
ლი იბადება. თანდაყოლილ ინფექციას  
ახალშობილის უცნაური საქციელი გვ-  
აეჭვებინებს: ჩვილს შორისის მიდამო  
ექაება, რის გამოც უცნაურ მოძრაობებს  
ასრულებს – ფეხებს ხრის და ჭიმავს.

## რკინის დეფიციტი გავშვავში

რკინის ხანგრძლივი დეფიციტის  
დროს მოსალოდნელია მადის, ყნოსვის  
გაუკუღმართება (ბავშვი ჭამს ცარცს,  
ტალახს, საღებავებს, ყინულს, მოსწონს  
ბენზინის, საღებავების, ლაქის, მასტიკის  
მკვეთი სუნი), სმის წასვლა (გლოსიტი),  
ფრჩხილების მტვრევადობა (კეილონიქია).







დაინყო ჩვენი ურთიერთობა, შემდეგ კი დიდ გრძნობაში გადაიზარდაო.

ირმას ნაამბობიდან: „სოფოს და შალვას განქორწინებამ კიდევ ერთხელ ჩაგვაგდო შოკში. სხვა ქალის არსებობას თავი რომ დავანებოთ, შალვას იმ სახლის წილზე პრეტენზიაც კი გაუჩნდა, რომელიც ანდერძით ბებიამ სოფოს დაუტოვა, მამამ კი თავიდან ბოლომდე გაურემონტა. შალვა კი აცხადებდა, დიდი ხანია ცოლქმარი ვართ და მეც ბევრი რამ გავაკეთე ამ ბინაშიო...“

**აპაპი პორა**

**შუფერბული კაცი**

როგორც ირმამ მითხრა, ეს

დავა კვლავ გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ მამას შვილების ნახვის უფლება დაუტოვა, სოფო კვლავ თავისაზე დგას: შალვა უღირსი ადამიანი აღმოჩნდა და ასეთი მამისგან შვილები ვერაფერს ისწავლიან, ამიტომაც ვუკრძალავ ბავშვებთან მიახლოებას, სადაც უნდა, მიჩივლოსო...

— დღემდე ვერ ვარქმევ სახელს შალვას საქციელს. რა შეიძლება მას კაცმა უნოდოს? შალვას ხომ სიგიჟემდე უყვარდა ჩემი და? განა რა სიყვარული „იპოვა“ მოგვიანებით, რომ ყველაფერს ხაზი გადაუსვა ამ გრძნობასაც, ჩვენების ამაგსაც, ამდენ პატივისცემასაც? ვიცი რომ სოფოს არ აქვს უფლება,

შვილებს მამასთან ურთიერთობა აუკრძალოს, მაგრამ უკიდურესად შეურაცხყოფილია და ასე მწვავედ გამოხატავს თავის ემოციებს.

დრო აღბათ, სოფოს რისხვასაც გაანელებს, მაგრამ შალვას უღირს საქციელს არასოდეს ექნება გამართლება.

**— ისევ იმ ქალთან ცხოვრობს?**

— კი, ისევ იმასთანაა და ღმერთმა ტკბილად შეაბეროთ. შალვასნაირებს სიყვარულიც და სიკეთეც მანამდე ახსოვთ, სანამ „დიდ მიზანს“ შეისრულებენ, მერე კი იოლად ავინყდებათ ყველაფერი. ჩემი და კი იმიტომ დაისაჯა, რომ შეუფერებელ კაცს გაუყადრა თავი.

მადლი

# სალონიკიდან წერილები, ანუ შორეულიდან გადმოგზავნილი მადლი

ჩვენი ურთიერთობა ერთი ზარით დაინყო... როცა ქალბატონმა ლიანა დვალისვილიმა მითხრა, სალონიკიდან გირეკავ, მუდმივი მკითხველი ვარ და მინდა, ვიმეგობროთო, მაშინვე დავთანხმდი. შარშანდელი აგვისტოს შემდეგ აცრემლებულმა დამირეკა, ტირილს ვერ იკავებდა, აქაურმა ქართველებმა რალაც-რალაცები შევკრიბეთ დევნილებისთვის, გვინდა, „კვირის პალიტრის“ სახელზე გამოვაგზავნოთ, იმედი გვაქვს, ადრესატამდე მიაღწევსო. მოგესხენებათ, იქიდან ტვირთის გამოგზავნა საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. მაშინ, ქართული სათვისტომოს ოფისში კარგა ხანს ენყო ფუტები. ბოლოს, ისევ აქედან შევვხვდით იქაური ოფისის ხელმძღვანელებს და ჩვენს სათვისტომოს. როგორც იქნა, „კვირის პალიტრის“ სახელზე გაჭრა. ფუტები მივიღეთ და სკოლა-ბალებში დევნილებზე გადავანაწილეთ. გავიდა დრო და ქალბატონმა ლიანამ სხვა ქართველებთან ერთად, ისევ მოაგროვა გამოსაგზავნი ტვირთი. მას ამ კეთილ საქმეში გვერდში ამოუდგნენ დარეჯან ჯვლაძე და მერაბ სექანია. ისინიც კარგა ხანია, საბერძნეთში ცხოვრობენ. სალონიკში, როგორც კი „თრიალეთი-ტურის“ ოფისში მიიტანეს გამოსაგზავნი ფუტები და იქაურებმა გაიგეს,

რომ ეს ჰუმანიტარული აქცია იყო, თანაც ამ საქმეში „კვირის პალიტრის“ მთელი საგამომცემლო სახლი იყო ჩართული, რამდენიმე დღეში უსასყიდლოდ დაიტვირთა ფუტები. ჩვენმა თანამემამულეებმა 11 ფუტა გამოუგზავნეს დევნილებს — ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჩანთები, სათამაშოები, საბნებიც კი. ქალბატონი ლიანას თხოვნით, ჩვენ ეს ყველაფერი წეროვანში მცხოვრებ დევნილებს გადავეცით. აქვე გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ „თრიალეთის“ და „მეტრო-ტურის“ ხელმძღვანელებს (საქართველოში და საბერძნეთში მყოფთ) რომლებმაც უსასყიდლოდ (და უყოყმანოდაც) გააკეთეს ეს მადლიანი საქმე და თან ისიც დაამატეს: როცა კი დაგჭირდებით, თქვენს სამსახურში გვიგულეთო.

მინდა ორიოდ სიტყვით გაცნოთ ქალბატონი ლიანა, ის ხელოვანია, არაჩვეულებრივად ხატავს. სანამ საქართველოში იმყოფებოდა, დაკავებული იყო ხალხური მედიცინით და ჰყავდა უამრავი მადლიერი პაციენტი. იგი ძველი ხალხური რეცეპტებით ამზადებდა სამკურნალო სითხეს, მალამოებს და მკურნალობდა ხალხს. რამდენიმე წელია, რაც საბერძნეთში იმყოფება და ბერძნების დიდი სიყვარულიც დაიმსახურა; ემი-

გრანტი ქართველებისთვის ხომ პირველი „სასწრაფო დახმარება“ გახლავთ. ვისაც კი რაიმე გაუჭირდება, უმალ ლიანას მიაშურებს, რადგან ყველამ იცის, მისგან განბილებული არავინ ბრუნდება.

ქალბატონმა ლიანამ გვთხოვა, „გზის“ ფურცლებზე მოკლედ გაგვაცანით წეროვანში ჩასახლებულთა ცხოვრებაო. ჩვენც ვასრულებთ ამ კეთილი ადამიანის და მისი მეგობრების სურვილს.

## ცხოვრება გრძელდება

გავცდით თუ არა ნატახტარს, სოკოსავით ამოზრდილი და ჩამწკრივებული სახლები უმალ თვალში გვეცა. დასახლების ერთი ნაწილი ვარდისფრად იყო შეღებილი, მეორე — მწვანედ. სხვათა შორის, როცა წეროვანისა და სხვა დასახლებები გაჩნდა (ე.წ. „გოროდოკები“), ხშირად გამიგონია თანამგზავრების მწარე ნათქვამი: „სასახლები დაკარგეს ამ საცოდავებმა და მთავრობამ ხუხულა ქოხებში შეყარაო. ზაფხულის ხვატი ტრიალ მინდორში კიდევ უფრო იგრძნობოდა. მასპინძლობა აჩაბეთელმა ექიმმა (ამჟამად უკვე წეროვანში მცხოვრებმა) მარი ხმი-ადაშვილმა გაგვინია. სწორედ მან მიგვატანინა ადმინისტრაციულ შენობაში ფუტები. შენობასთან





— „ჩვენ იქ გვერ-  
ჩინა, სადაც დავი-  
ბადენით და გავი-  
ზარდენით. სადაც  
ჩვენი შრომითა  
და ჯაფით სახლ-  
კარი მოგვიწყია.  
მაგრამ რახან არ  
გაგვაჩერეს იქ და  
აგვყარეს, რაღა  
გვექნა?! წამოვი-  
შალეთ დედაბუ-  
დიანად და ღვ-  
თის იმედად აქეთ  
წამოვედით. რაც

შეეძლო, მაქსიმუმი გააკეთა  
აღბათ მთავრობამ, რამდენიმე  
თვეში სახლებიც აგვიშენა, მი-  
წის ნაკვეთებიც მოგვცა. ავეჯი,  
ტელევიზორი და ჭურჭელიც  
კი დაგვახვედრა ახალაშენებულ  
სახლებში. გავა დრო და თუ  
არ გვეღირსა ჩვენს მშობლიურ  
კუთხეში დაბრუნება, აქ მოვი-  
კიდებთ ფეხს, აბა რა ვქნათ?“  
მარის მამა, ანზორ ხმიადაშვილი  
იქვე იჯდა. ნაჯაფარ ხელებზე  
ეტყობოდა, რომ შრომა აქაც  
კარგად უწევდა, მაგრამ იქაუ-

რებს მიწის გარეშე არ შეუძ-  
ლიათ, — კიდევ კარგი, მიწის  
ნაკვეთები დაგვირიგესო, —  
თქვა ძია ანზორმა და თავისი  
შრომის შედეგი რომ ჩვენთვის  
ენახვებინა, სახლის უკანა ეზო-  
ში გაგვიყვანა, სადაც ბოსტანი  
გაეშენებინა. მესიამოვნა რომ  
არც მარის და არც მოხუცების  
საუბარში უიმედობის ნამცეცი  
არ შემინიშნავს. წამოსვლისას  
საბერძნეთში მყოფი ჩვენი თა-  
ნამემამულეთა თხოვნა გამახ-  
სენდა, — ჰკითხე, რა უფრო  
სჭირდებათ, რომ სამომავლოდ  
გავითვალისწინოთ და გამოვუგ-  
ზავნოთო; ამაზე უხერხულად  
გაელიმათ დინჯ ქართლელებს:  
ჩვენ ყველაფერი დაკვარვით და  
ცხოვრებაც თავიდან დავიწყეთ.  
ასე რომ, ყველაფერი გვესაჭი-  
როება. მადლობა ჩვენს თანამე-  
მამულეებს, რომ უცხოეთშიც არ  
ვავიწყდებით და ჩვენზე ზრუნა-  
ვენ. რასაც გამოაგზავნიან ვიცით  
რომ, ეს კეთილი გულით ხდება  
და ყველაფერს სიხარულითა და  
მადლიერებით მივიღებთო.

ქურთის გამგობის წარმომადგენ-  
ელი ზვიად კასრაძე შემოგვეგება.  
მან საწყობიც დაგვათვალაიერებინა  
და არ ვამეტებ, ამოვისუნთქე  
და დავმშვიდდი, რადგან საწყობი  
გადაესებული დაგვიხვდა. გაეროს  
ჰუმანიტარული მისიით შემოტა-  
ნილი იყო მაკარონი, ფქვილი,  
ზეთი და ის აუცილებელი  
საკვები, რაც ადამიანს ყველაზე  
ხშირად სჭირდება.  
მარი ხმიადაშვილმა თავისი  
მშობლების სახლში მიგვიყვანა,  
ოთახებიც დაგვათვალაიერებინა  
და კარგადაც გაგვიმასპინძლდა.

მკითხველის წერილები

დუმიდისაჲ სმწკჳართი აქვს

„მე და დათო ერთ კლასში  
ვსწავლობდით. ერთხელ გამო-  
მიცხადა, შეყვარებული მყავს  
და რაც უნდა მოხდეს, თავს  
არ დავანებებო. ცოტა არ იყოს,  
გამიკვირდა. მე რა შუაში ვიყავი,  
ვერ გამოვლო. გავიდა დრო, წამო-  
ვიზარდეთ და დათომ ხელახლა  
გამიმხილა — ის გოგო, რომ-  
ელსაც დღემდე შეყვარებულად  
მივიჩნევ, შენ ხარო. გავბრაზდი,  
რადგან ვმეგობრობდით და ვერ  
წარმომედგინა მეგობრობაში  
ასეთი რამ. ამის მერე სულ ვკა-  
მათობდით (უფრო სწორედ, მე  
ვეჩხუბებოდი), ის სიყვარულზე

სიტყვას აღარ ძრავდა, ჩემი  
„რეაქციის“ შემდეგ თითქოს და-  
კომპლექსდა. მერე, სხვა სკოლაში  
გადავიდა, მაგრამ გაკვეთილებს  
ხშირად აცდენდა და ისევ ჩვენ-  
თან მოდიოდა... დათოს კი არა,  
საკუთარ თავსაც ვერ ვუტყდე-  
ბოდი, რომ მიყვარდა. ახლაც  
ასე ვარ, მაგრამ დათოს გამო  
„ქრონიკულად“ ვნერვიულობ.  
თუ ეს გრძნობა არ არის, მაშინ  
რატომ განვიცდი მის პრობლე-  
მებს, ვერ გამიგია?! ჩვენ უკვე  
საკმაოდ დიდები ვართ, თუმცა  
დათო სიყვარულზე ლაპარაკს  
ვეღარ მიბედავს. არადა, ჩვენს

საერთო მეგობრებთან არაერ-  
თხელ უთქვამს, ნინიმ თუ მიბ-  
რძანა, შეუძლებელს შევძლებო...  
ამას წინათ, ამბავი მომიტანეს,  
დათომ სმა დაინყო. ის ისედაც  
მორიდებული ბიჭია, ჩემთან კი  
საერთოდ მუნჯდება. რა ვქნა,  
რით ვუშველო, აღარ ვიცი.  
თუკი, ადრე მისმა სიყვარულში  
გამოტყდომამ გამაღიზიანა, ახლა,  
ამდენი ხნის შემდეგ მისი დუმი-  
ლი მიშლის ნერვებს. არ მინდა,  
მორიდებულობის, დუმილისა  
და სიყვარულის გამო თავგზააბ-  
ნეული დადიოდეს. ბოლოს და  
ბოლოს, იმედია დათო ამ პატარა  
წერილს წაიკითხავს და რაიმე  
გამოსავალს მოძებნის.  
ნინი, თბილისი“

იქვე ჩომბატოქის შედეგი ჯი არა, ერთგვართი სენია

„წავიკითხე წინა ნომერში  
გამოქვეყნებული წერილი „სიმა-  
ხინჯის კომპლექსი“, რომელიც  
თქვენმა მკითხველმა ვიქტორიამ  
გამოგიგზავნათ საბერძნეთიდან  
და მომინდა მისთვის პასუხი  
დამეწერა. თუმცა არც სხვებს  
ანყენთ ჩემი მონათხრობი. თუ

გაითვალისწინებენ ეჭვიანი ქა-  
ლები, კარგი იქნება:  
ერთი ძმაკაცი მყავს, სანდრო  
ძალიან კარგი ადამიანია, იშვია-  
თად ეშლება რაღაც-რაღაცები,  
ყველას დამხმარე ეგაა. როცა  
სუფრას მივუსხდებით ხუთ კაცს  
გადაწონის, იმისთანა მოლხენა

იცის. რა გასაკვირია, რომ ასეთ  
კაცს მუდამ ბუზივით ეხვევიან  
ქალები? მაგრამ თავს დავდებ  
და ღვთის წინაშეც დავიფიცებ,  
რომ მას 7 წლის მანძილზე ცო-  
ლისთვის არ უღალატია. მისმა  
ცოლმა კი, შეიკლა კაცი, წინოს  
ეჭვიანობას საზღვარი არ ჰქონ-



და. ისეთ რამეს მოიგონებდა, გააცოფებდა ხოლმე. ერთხელ, თავის დაქალზე იეჭვიანა, სხვანაირად გიჟუჟუნებს თვალეზსო. სანდრო დასაბმელი გახდა, — ან იმას როგორ კადრებ მაგისტანა რამეს ან — მეო. სერიოზული ჩხუბი მოუხდათ მაშინ, ამის შემდეგ ცოტა ხანს წყნარად იყო ნინო, მერე ისევ აუშვა აფრები.

სანდრომ შემომჩვილა, დავილაღე აღარ შემიძლია, ამის მოთმენა ჩემს ძალებს აღემატებაო. გავიდა რალაც პერიოდი და სანდრო სხვა ქალთან წავიდა. ნინო იმ ქალს მიუხტა (ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით) ორივე მიაღანძლა, სანდროს უთხრა, — ახლაც ტყუილა ვეჭვიანობო? სანდრომ კი — სანამ შენი ერთგული

ვიყავი, ვერ დაგაჯერე. იმდენი მეძახე, მოლაღატე ხარო, რომ მოთმინების ფიალა ამევსო და მართლა გილაღატე. მე შინ აღარ დავბრუნდები, ამ ქალთან ვაწერ ხელსო. იქ ამბავი დატრიალდა, მტრისას, მაგრამ მოსახდენი მოხდა და ნინომ ქმარი სამუდამოდ დაკარგა. გურამი“.

სტუმარი

# ტყუილება აგებულდი სიყვარულდი

**სალი 18 წლისაა და როგორც საუბრის დასაწყისშივე გამომიტყდა — უგონოდ შეყვარებული. მისი და ნოდის (სალის შეყვარებული) ურთიერთობაში ბზარია გაჩენილი...**



— მობილურით, სრულიად შემთხვევით გავიცანი დათო. ისე თბილად და თავაზიანად მელაპარაკებოდა, სურვილი გამიჩნდა, გამეცნო. როგორც კი შეხვედრა შემომთავაზა, მაშინვე დავთანხმდი. ვერ ვიტყვი, რომ მიყვარდა, მაგრამ მასთან ურთიერთობა მომწონდა. თავი გამაცნო როგორც სამშენებლო ბიზნესში ჩართულმა და საქმიანმა კაცმა. მეუბნებოდა, რომ 26 წლის იყო და უსაზღვროდ ვუყვარდი, მაგრამ ჯერ მაინც არ ჩქარობდა ცოლის შერთვას... ერთხელაც, თავისი ძმაკაცი გამაცნო, ნოდარი. ის ბიჭი საჭესთან იჯდა, დათო — მის გვერდით. მეუბნებოდა, რომ მოძრაობის წესების დარღვევის გამო ჩამოართვეს მართვის უფლება, ამიტომაც მეგობარი იჯდა მისი მანქანის საჭესთან. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის მანქანაც და ფირმაც ნოდის ეკუთვნოდა, მე კი თავის ჭკუით, თავბრუს მახვევდა. შევატყვე, ნოდის ძალიან მოვეწონე. მეორე დღეს დათომ მითხრა, ჩემი ძმაკაცი შენით აღფრთოვანებულია. გაფრთხილებ, არაფერი გაბედოთ, თორემ მოგკლავთო. გადავწყვიტე, დათო გადაემეგონებინა. მამაჩემის ძმაკაცის შვილს დავანახვე დათო და ნოდის და კინალამ გაგიჟდა, — ამათთან როგორ გაქვს საქმე დაჭერილი, ორივე

თაღლითია. დათოს კი ცოლ-შვილი ჰყავსო. ის მთავაზობდა — ერთად ვიყოთ, ხომ იცი, მაინც ჩემი უნდა გახდეს ადრე თუ გვიანო. უარი ვუთხარი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მე ის არ მიყვარდა, მეორეც, ჩემთვის მიუღებელი იყო, ქორწილამდე მეცხოვრა კაცთან. მე კი ნოდის შემთხვევითი მეგობრის შვილმა მასაც რომ ნაძირალა და თაღლითი უნდა, ვერ ავიტანე.

— კი, მაგრამ დათოს არ მოსთხოვე იმაზე პასუხი, რომ კარგა ხან გატყუებდა? ის ხომ ცოლ-შვილიანია და ამას გიმალავდა?

— ამის გამო ძალიან ვეჩხუბე, მაგრამ მომიბოდიშა, — რა ვქნა შემთხვევითი და ვიცოდი, რომ ახლოს აღარ გამიკარებდი, ამიტომ გიმალავდი სიმართლესო. მე ის

არასდროს მყვარებია, თანაც, რად მინდა სხვისი ოჯახის დანგრევა?

— შენი და ნოდის ურთიერთობა გარკვეულია?

— მთლად არ არის გარკვეული. გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ ვამბობთ.


— რატომ? დათოსი გერიდებათ?

— დათო ღირსია, რომ ორივემ ზურგი ვაქციოთ, რადგან მატყუარა კაცია. ნოდის ავარიში მოჰყვა. ვიცი, რომ ერთ კვირაში მოხსნიან თაბაშირს და გარეთ გამოვავ. მერე დავჯდები და ყველაფერზე დაველაპარაკებო. როცა გამოჯანმრთელდება მის „ძმაკაცზე“ სიმართლეს ვეტყვი და მერე თავად გადაწყვიტოს, როგორ გააგრძელოს მასთან ურთიერთობა...

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ  
ტელ: 899.27.25.61  
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com



**რ**ვენ ერთი გზის სხვადასხვა მხარეს ვიდექით. ერთმანეთს არც ვუყურებდით. ისე ვიქცეოდით, თითქოს ერთმანეთს არც კი ვიცნობდით ან ვერ ვხედავდით. არ ვიცდი, ასე რატომ ვიქცეოდით. უბრალოდ, ვიდექით: ის ერთ მხარეს, მე — მეორე. ორივე გზის შუაში გავლებულ თეთრ, უწყვეტ ზოლს დავეყურებდით, თვალგამტერებული. ირგვლივ უამრავი ადამიანი მიდი-მოდოდა. მას ვარდისფერი ბლუზა და ლურჯი ჯინსის შარვალი ეცვა. ისეთი ნაზი იყო, მოფერება მომინდა. ის ისეთი ახლობელი და შორეული იყო... მზერაც კი არ მაღირსა. იქნებ ასე იყო საჭირო? იქნებ ასე უნდა მოვიქცეთ?



# რომანი

მარი ჯაფარიძე

## მხდელი

ერთმანეთს ყოველდღე ვხედავდით და ყოველდღე ასე ვიქცეოდით. მაშინ მხოლოდ ერთხელ მომიახლოვდა და ლოყაზე ხელი შემავლო... დუმდა.

უბრალოდ, ხელი შემახო და მეც უბრალოდ, ტუჩებით შევეხე მის ხელისგულს. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე... ორივე ვდუმდით. ვიდექით და ერთმანეთს არ ვუყურებდით. ვერ გავუძელი მისი ცრემლების ყურებას და შევბრუნდი.

მაშინ შემეშინდა... მრცხვენია, რომ ჩემი შიში ვალიარო. მე ხომ მამაკაცი ვარ.

ის ძალიან ულამაზო იყო, როცა ტირილობდა, მაგრამ მაინც ლამაზად მეჩვენებოდა. მის სილამაზეს მხოლოდ მე ვხედავდი. ღანჯებზე შავი საღებავი ჩამოედვარა, მაგრამ ამას არ გავუღიზიანებოდა. ტუჩის კუთხეზე ვაკოცე. თვითონაც მიპასუხა. მაშინ ჩვენ გზის ერთ მხარეს ვიდექით და გვერდით მანქანები მოძრაობდნენ, მაგრამ სულ ერთი იყო, ვინ ისხდნენ იმ მანქანებში და გვიყურებდნენ თუ არა. ჩვენი ოფისი ჩვენგან საკმაოდ შორს იყო... კოლეგები ვერ გვხედავდნენ...

აი, ახლა კი ვდგავართ ერთმანეთის პირისპირ, გზის სხვადასხვა მხარეს და ერთმანეთს არც კი ვუყურებთ. არც კი ვსუნთქავთ...

ის სამსახურიდან მეორე დღესვე წავიდა... უბრალოდ, წავიდა

მეორე დღეს ერთმანეთს შემთხვევით შევეჩხეთ. რატომ?

იქნებ მან იცოდა ან გრძნობდა, რომ ეს ყველაფერი არასერიოზული იყო? მე ვერ გავხედავდი წასვლას...

მთლიანად მაქვს შეგნებული ჩემი მნიშვნელობა და ფასი სამსახურისთვის და ვერ გავრისკავდი. მე მამაკაცი ვარ და არ შეიძლება, ასეთი შეცდომები დავუშვა.


ახლა კი ვდგავართ გზის ერთ მხარეს და თავის მართლებას ვცდილობ. რატომ ვერ ვუყურებთ ერთმანეთს თვალში? რაში ვართ დამნაშავე? ან საერთოდ, დავაშავეთ თუ არა რამე? არსებობს რაიმე პუნქტი ხელშეკრულებაში,

რომელიც თანამშრომლებს ერთმანეთთან ახლო ურთიერთობას უკრძალავს? იქნებ ახლა მას მხდელი ვგონივარ? იქნებ უნდა გამეჩერებინა და წასვლის უფლება არ მიმეცა?

მინდა, ახლოს მივიდე და ვკითხო, როგორ არის, როგორ ცხოვრობს, ვისთან ერთად, სად?..


რატომ არ მოდის ჩემთან, რატომ აღარ სურს, რომ ისევ მომადოს ხელისგული ლოყაზე და ატირდეს, რატომ აღარ ჩამკიდებს ხელს და მეგობრის სახლში არ წამიყვანს, როგორც მაშინ? იქნებ მე მივიდე?

არ ვიცდი, რა ჯობია...



და მორჩა! მე ამას ვგრძნობდი იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა სართულზე ვმუშაობდით.

2 თვე გავიდა. ახლა ვდგავართ და ერთმანეთს არ ვუყურებთ. ღირდა კი ამაღ? იქნებ, მე უნდა დამეტოვებინა სამსახური? ერთმანეთს არც კი შევხედეთ, როცა



ყველაფერი  
შესაძლებელია  
იმეორისთვის ამ ამის



# გაუჩივანობის 11 წელი

„ბევრჯერ გადამინყვეტია ამ წერილის დაწერა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ დამეწყო, რა მომეწერა და როგორ მეთქვა. ჩემი ოჯახური ცხოვრების შესახებ ყველაფერი რომ გითხრა, შეიძლება, არ დაიჯერო, ხოლო თუ დაიჯერებ, შესაძლოა, გული დაგწყდეს. მე კი ეს არ მინდოდა ისევე, როგორც არ მინდოდა, შეგცოდებოდი. რომ მომეტყუებინე, უფრო არ დაიჯერებდი, რადგან ძალიან კარგად მიცნობ. თანაც, არ მინდა, მოგატყუო. ჩვენ ხომ ერთმანეთს მხოლოდ სიმართლეს ვუბნებოდით ხოლმე.

დღეს კი მტკიცედ გადავწყვიტე, რომ წერილი აუცილებლად უნდა დაწერო და გამოგიგზავნო. ეს შენი ძველი მეგობრის პირველი და უკანასკნელი წერილია. იცი, მაინცდამაინც დღეს რატომ? იმიტომ, რომ სწორედ ამ დღეს გავიცანით ერთმანეთი, წლების წინ. უფრო სწორად, 11 წლის წინ! შემთხვევით მოხვდი ჩემთან, კონსულტაციაზე და მთელი 10 წელი დადიოდი. იმედი მაქვს, ეს ყველაფერი გახსოვს! 10 წელი ბევრია თუ ცოტა? ბევრია სიყვარულისა და მეგობრობისთვის, მაგრამ ცოტაა სიცოცხლისთვის. მე კი მადლობელი ვარ შენი ამ წლებისთვის.

ეს ყველაზე ბედნიერი ხანა იყო, ჩემს ცხოვრებაში, თუ რამდენიმე წერილმანს ყურადღებას არ მივაქცევთ.

ამ დროის განმავლობაში მაინც ვერ გავიგე (და ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებ), ვინ ვიყავი შენთვის? შენი გაგება გამიჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პროფესიის წყალობით, სხვებს იოლად ვუგებდი. შენ გამოცანად დარჩი ჩემთვის (ან იქნებ მე მოვიგონე?). ჩვენს შეხვედრებს, რომლებიც მკაცრი განრიგით ხდებოდა, კიდევ უფრო დიდი გაუგებრობა მოჰქონდა. მე მხოლოდ ამ შეხვედრებით ვცხოვრობდი, თითქოს ქვეყნად სხვა არაფერი არსებობდა. ვცხოვრობდი და ველოდი, როდის მოხდებოდა რამე. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ძალიან ახლობლები ვიყავით

და სადაცაა, ერთ მთლიან არსებად გადავიქცეოდით, მაგრამ რამდენიმე წამში ეს ყველაფერი ინგრეოდა. შენ იცოდი, როგორ უნდა აღგემართა ბარიერი. ყოველთვის გვერდით იყავი, მაგ-



რამ ახლოს — არა; ყოველთვის შორს, მაგრამ თოკზე გამობმული... ხშირად მძულდი კიდევ, ამის გამო. ჩემი თავიც მძულდა... მაგრამ გამოჩნდებოდი და სამყარო მშვენიერი ხდებოდა, შენ კი — შეუდარებელი. არასოდეს გვიჩხუბია. ან კი რა გვექონდა საჩხუბარი? მე მწყინდა, მაგრამ შენ ვერ გრძნობდი. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჩვენ ერთმანეთი გვჭირდებოდა. როდესაც ერთ-ერთ ჩვენგანს რამე გაუჭირდებოდა, ერთმანეთის საშველად მივიჩქაროდით, დღისა და ღამის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ამინდში და შეხვედრა არასოდეს გადაგვიდია. ეს ყველაზე წმინდა იყო. ჩვენ ამას ვგრძნობდით და ყველა შეხვედრას ბოლომდე ვიყენებდით. თავს ყველაფრის უფლებას ვეძლევდით... ერთმანეთს ვხვდოდით, ვკოცნიდით და ხშირად დილაშუალებამდე ვმამუნობდით. დილით კი ტაქსის

გამოიძახებდი და შინ მიშვებდი. ხანდახან ყვავილებსა და საჩუქრებსაც მიძღვნიდი. ასე იყო ყოველთვის! შენი საჩუქრები მუდამ სასურველი იყო, რადგან ძალიან დახვეწილი გემოვნება გაქვს. ამასთან, მეხვეოდი და ყურში ჩამჩურჩულებდი: „შენ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი ხარ“. მე კი არ ვიცოდი, ეს როგორ უნდა გამეგო ან როგორი რეაქცია უნდა მქონოდა. ნეტავ შენ თუ გახსოვს ეს ყველაფერი? რა თქმა უნდა, გახსოვს! ასეთი რამ არასოდეს ავინყდებოდა. ყოველ შემთხვევაში

— ასე მალე. თუმცა, ის კი არ ვიცი, ნიშნავს ეს ყველაფერი შენთვის რამეს თუ — არა.

ბოლოს და ბოლოს, მე ხომ პირველმა გავწყვიტე ურთიერთობა. უბრალოდ, მეტის ატანა აღარ შემეძლო. შენი საყვარელი გამოთქმა წლების განმავლობაში არ იცვლებოდა: „ჩვენ მეგობრები ვართ და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია“. მე კი ვერ გამეგო, რატომ იყო ეს ყველაზე მნიშვნელოვანი, „ყველაზე ძვირფასი ადამიანისთვის“. ალბათ რაღაცას არასწორად ვიგებდი. განსაკუთრებით იმას, რაც ჩვენს ურთიერთობას ეხებოდა. როდესაც ჩემი მოთმინების ძაფი განწყდა (მაგრამ არა — სიყვარულის), დასასრულის მოახლოება ვიგრძენი და შენგან შორს — სამყაროს დასალიერში გადავიკარგე. გავთხოვდი, რომ შენთვის „მაგარი საჩუქარი“ მომეძღვნა. იმისთვის ნავედი, რომ არასოდეს მენახე და არც შენი ხმა გამეგონა. დამევიწყებინა ყველაფერი, რაც შენთან მაკავშირებდა ამ წლების განმავლობაში. უბრალოდ, თავიდან და გულიდან რომ ამომეგდე. თუმცა, როგორც ხედავ, ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა.

შენ კი ჩემი გაქრობაც ვერ შენიშნე. მე კი ისევ ვიტანჯები და გწერ...

ეს ბოლო ამოსუნთქვა, ბოლო ამოკვნესა... სულ ბოლო, რაც სულში დამრჩა. ამით დამთავრდა ყველაფერი...

მაინც შენი ნატალია...



გამოხმაურება

# „იყავი საზაჩთლიანი, ძაღვი, სოფა ბეტიას და აჩსილაგლად შეწყვიტე“

„გზის“ №28-ში დაიბეჭდა 17 წლის მარიტას მესო-ჯი, რომელიც მეგობრის ნათესავს რალაც პეროოდის განმავლობაში ემესიჯებოდა, მერე ერთმანეთს მეგობრობა შეჭფიცეს, ახლა კი „მის მესიჯებში სხვანაირ სიტბოს ვგრძნობ. ის, ცოტა მარტოსული ვარ და ზოგჯერ მგონია, რომ რალაცები მეჩვენება... თავიდან არ მეგონა, თუ გამეცნობოდა და ძალიან გამიხარდა, როცა მეგობრობა შემომთავაზა“. მარიტა აშკარად დაბნეულია და ამიტომაც, რჩევა „გზის“ მკითხველებს გთხოვთ. ის გეკითხებოდათ: ჩვენ შორის განსხვავება 4 წელია და ვითომ, შეიძლება, რომ შევუყვარდეთ?..



„გრძნობებს ტყუილად არ აჰყვე, თორემ დაიტანჯები“

## ლიპა ქაჩია

### ნათი-ნათი:

„გამორიცხული არაფერია, მაგრამ ოცნების კოშკებსაც ნუ ააგებ. ჩემო კარგო, მოვლენების განვითარებას დაელოდე. მგონი, შენ პირველად ელაპარაკები ბიჭს და ასე ამიტომაც ფიქრობ. მითხარი, მარტოსული რატომ ხარ? გალადდი, შენთვისვე აჯობებს. აბა, ბედნიერად, ჩემო კარგო“.

### მნარა:

„მე 17 წლის ვარ, ჩემი შეყვარებული კი 21-ის გახლავთ. მოკლედ, ადვილი შესაძლებელია, მას შეუყვარდე. აქვე გეტყვი, — ილუზიებს არ აჰყვე! ბიჭებს თბილი სიტყვების თქმა სჩვევიათ და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შეუყვარდი. თუ შენ მიმართ მსგავსი გრძნობა გაუჩნდება, ამას თავადვე გეტყვის. გრძნობებს ტყუილად არ აჰყვე, თორემ დაიტანჯები“.

### სოფიო:

„ეჰ, მარიტ, მარიტ, საკუთარ თავს ძალიანაც ნუ დააიმედებ. მეც შენსავით ვფიქრობდი და მეგონა, რომ ერთ ბიჭს მოვწონდი, რადგანაც ის თბილად მექცეოდა. ჰოდა, მე კი შემიყვარდა, მაგრამ მას... მოკლედ, რეალობა მკაცრი და საზარელი აღმოჩნდა. მკითხა, — ჩვენ მხოლოდ მეგობრები რომ ვართ, ეს არ გახსოვსო? ამ სიტყვებით გული ძალიან მატკინა. არ მინდა, შენც ასე დაგემართოს“.

### მისტარ:

„პირადად ჩემთვის, ძალიან საინტერესოა ეს ფაქტი. იმ

შემთხვევაში, თუ მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იქნებოდა ასაკით უფროსი, თქვენი ურთიერთობა მეგობრობის ფარგლებს რთულად თუ გასცდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში პრობლემას ვერ ვხედავ. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ მდედრობითი სქესის ძალზე საინტერესო და ამასთანავე, ცოტათი უცნაური ინტუიციის მჯერა და თუ გრძნობ, რომ თქვენი ურთიერთობა მეგობრობის ფარგლებს მისი მხრიდან გასცდა, „ზნაჩიტ“, ასეა! დროა, საკუთარ თავს ბოლომდე გაუმხილო, რომ თქვენი ურთიერთობა მეგობრობაზე მეტია“.

### ნიკო:

„ჩემო პატარა დაიკო, თუ შენთან ურთიერთობა სიამოვნებს და ერთად კარგად ხართ, გამოირიცხული არაფერია. ჰოდა, თუ სიყვარული გესტუმრება, ხელი რატომ უნდა ჰკრა? ბედნიერებას გისურვებ!“

### იკუშკავი:

„საერთოდ, ტელეფონით ურთიერთობა მხოლოდ ილუზიაა და ჩემი აზრით, მსგავსი „სმს“-მეგობრობა და სიყვარული დაკომპლექსებულ ხალხს ახასიათებს. შენ უკვე კომპლექსი გაქვს და საკუთარი თავის რწმენა დაკარგე. რატომ ამბობ, — არ მეგონა, თუ გამეცნობოდაო? ამით ხომ შენს პიროვნებას ეჭვქვეშ აყენებ?! თუ თავად არ გჯერა იმის, რომ შენი შეყვარება შესაძლებელია, მაშინ ჩვენს რჩევას რა აზრი აქვს?.. რადგანაც ის ადამიანი

გამეცნო და გემეგობრება, ე.ი. მოსწონხარ და შენი პიროვნებით დაინტერესებულია. სიყვარული ცოტა არ იყოს, რთული ცნებაა და ასე ზედაპირულად ვერ განსაზღვრავ, შეუყვარდები თუ არა. თუმცა, დამერწმუნე, იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ თავს შეიყვარებ და დააფასებ, ისიც შეგიყვარებს. თქვენი ურთიერთობა ვირტუალურს რომ გასცდეს, სრულყოფილ გრძნობამდე მისვლის, ერთმანეთის თავდავინყებით შეყვარების მეტი შანსი გექნებათ. დარწმუნებული ვარ, ლამაზი და მშვენიერი გარეგნობის გოგო, ლამაზი სულის პატრონი იქნები. ამიტომაც, შენს შეყვარებას ნებისმიერი ბიჭი ისურვებს. წარმატებებს გისურვებ! იცოდე, სხვა დროს საკუთარი თავი არც ერთ ბიჭზე დაბლა არ დააყენო“.

### სარკინია:

„ამბობ, — რალაცები მეჩვენება, მგონიო და ნეტავ, რას გულისხმობ? იცოდე, რაც არ უნდა იყოს, იძულებით თავი არაფერში შეიზღუდო. თუ გული რაიმეს გიგრძნობს, ეჭვი მაქვს, რომ თქვენი „შეთანხმება“ მართლა დაინგრევა :)). მაგრამ იცოდე, სწორად და აუჩქარებლად უნდა მოიქცე“.

### დათო:

„სიყვარული მეგობრობიდან იწყება. იმისათვის, რომ ქალმა და მამაკაცმა ოჯახი შექმნას, მათ შორის ასაკობრივი სხვაობა — 4 წელი არაფერს ნიშნავს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იმ ბიჭს სატრფო ჰყავს, ხელს ნუ შეუშლი



და კარგ მეგობრებად დარჩებით. ეცადე, მას მეგობრულად შეხედო. კეთილის მსურველი“.

**სორციული ანგალოზი:**

„რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია! შენ ალბათ, ძალიან მოსწონხარ და თუ შენც გიზიდავს, სადაო რაღაა? ყველა ბიჭი ასეთია — შეგაპარებს, შეგაპარებს და მერე, უეჭველად გეტყვის: მიყვარხარო. მიუწვდომელი, აკრძალული ხილი იზიდავთ“.

**უცნობი:**

„მერე რა, რომ შენზე უფროსია, მთავარი ისაა, რომ გიყვარს და თუ მასაც მოსწონხარ, ურთიერთობა არ განწყვიტო. ნუ გეშინია, ხალხი არ გაგაკიცხავს და ასეც რომ მოხდეს, სხვების აზრი რაში გაინტერესებს? ისინი ცოტას იჭორავენენ, ერთ თვეში კი ყველაფერი დაავინყდებათ. თუ თავად არ დაუხვამ წერტილს, შენი ბედნიერება არ დასრულდება!“

**სვანის ასული:**

„იმედია, არ გეთამაშება. ალბათ, ისიც შეგეჩვია და ადამიანურ სიტბოს ამჟღავნებს, შენ კი ეს ნამდვილად გჭირდება და გსიამოვნებს კიდევ. შესაძლოა,

არასდროს შეუყვარდე, მაგრამ ეს მხოლოდ სანყისი ეტაპია და მოვლენებს ნუ გაუხსნებ. შეეცადე, ისე მოიქცე, რომ იმედი არ გაგიცრუვდეს... რა ვიცი, იქნებ, ეს დიდი სიყვარულის დასაწყისიცაა, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ერთ დღეს ის შენი ცხოვრებიდან გაქრეს და უიმისობას უნდა შეეგუო... ახლა კი დატკბი იმით, რაც გაქვს“.

**ირმა 91:**

„ამაში ცუდი არაფერია. იცოდე, ყველაფერი მეგობრობით იწყება და თუ საწინააღმდეგოს ვერაფერს ხედავ, ურთიერთობას გასაქანი მიეცი. წარმატებები!“

**ლუნა:**

„იმ ბიჭთან ურთიერთობის შენარჩუნება თუ გინდა, პირველად შენ ნუ გაუმხელ, რომ მის მიმართ თბილი გრძნობა გაქვს. მერწმუნე, ბიჭებს არ უყვართ ადვილად დასამორჩილებელი გოგონები. ჰოდა, თავი დაიფარე და დაელოდე, თუ როდის გაერკვევა თავის გრძნობებში. შეიძლება, გითხრას, — მიყვარხარო, მაგრამ მის პირველივე სიტყვას ნუ ენდობი — ბიჭები

ერთს ამბობენ და მეორეზე ფიქრობენ (მაპატიეთ, ბიჭებო, ეს სიმართლე). თუ გულით შეუყვარდი, შენს მოსაპოვებლად სიცოცხლის ბოლომდე იბრძოლებს. მარტოსული ნუ იქნები, გენაცვალე და ნურც იმას იფიქრებ, რომ რაღაცები გეჩვენება. მერე რა, რომ მასზე პატარა ხარ? სიყვარულის უფლება ყველას გვაქვს. იყავი სამართლიანი, ქალური, მოსიყვარულე, ბავშვური, საყვარელი, ცოტა ბუტიაც და აუცილებლად შეუყვარდები. ლალ და სიყვარულით სავსე ცხოვრებას გისურვებ!“

**ბრუზინა:**

„საკუთარ თავში ეჭვი რატომ გეპარება? თუკი მის „ესემესებში“ სიტბო იგრძნობა, უეჭველად უყვარხარ. ეცადე, დაელაპარაკო და გაარკვიო, თუ რას გრძნობს შენ მიმართ“.

**სასი:**

„შესაძლებელია, შეუყვარდე კიდევ, მაგრამ დასკვნებს ნაჩქარევად ნუ გამოიტან. მასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა გქონდეს, შემდეგ კი ყველაფერს დრო გიჩვენებს და გიკარნახებს“.

## „დედამ სახლიდან გამომაგდო... არც თავშესაფარი მაქვს და არც — ფული“

**ყველასგან მიტოვებული გოგო, 20 წლის:**

„თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. ისე საშინლად ვარ, შეიძლება, სათქმელი აბდაუბდად ვთქვა, მაგრამ იმედია, მომიტყევებთ. უკვე 1 კვირაა, ქუჩაში ვარ — რაღაც უაზრობის გამო დედამ სახლიდან გამომაგდო. ვიცი, დამნაშავე ვარ, მაგრამ ასე სასტიკად როგორ მომექცა? ბედის ანაბარად ქუჩაში როგორ გამომაგდო? სულიერად განადგურებული ვარ და სიკვდილი მინდა. არ ვიცი, რა გავაკეთო ან რა გზას დავადგე. მე არც თავ-

შესაფარი მაქვს და არც — ფული. ჰოდა, ხან ვის შევკვდილე და ხან — ვის. არ ვიცი, ასე როდემდე გაძლებ... თან, დედამ ისე გააკეთა, რომ მისასვლელი გზა ყველგან მომიჭრა — ხალხს საშინელებებს ეუბნებოდა ჩემზე და რასაკვირველია, მათ ჩემი თავი შეაძულა. უკვე სიკვდილზეც დავინყე ფიქრი. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? იქნებ ვინმემ შეძლოს ჩემი დახმარება? გთხოვ, ლიკ, ეს მესიჯი უახლოეს ნომერში დამიბეჭდე, ახლა ჰაერით მჭირდება თქვენი მხარში ამოდგომა. წინასწარ გიხდით მადლობას“.

## „მეშინია, შეყვარებულის გამო ყველა არ დავეკარგო“

**პატარა პრინცესა:**

„გამარჯობა, მგზავნელებო. თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. სულ დავიბენი და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. პირველ შეყვარებულს მშობლების გამო დავშორდი, რადგან მათ ჩემი რჩეულის ეროვნება არ მოსწონდათ და კიდევ იყო რაღაც მიზეზები, რაშიც ახლა მათ ვეთანხმები... ამჯერად, უფრო რთულ სიტუაციაში ვარ: სიგიჟემდე შემოყვარდა იმავე ეროვნების ადამიანი და მასთან ძალიან ბედნიერი ვარ, მაგრამ

ამას ოჯახში ვერ ვამხელ. მეშინია, შეყვარებულის გამო ყველა არ დავკარგო. არ ვიცი, როდემდე შევძლებ ამ გრძნობის დამალვას... ჰო, კიდევ ერთი პრობლემა მაქვს: ჩემმა რჩეულმა რაღაც ბიზნესი წამოიწყო და ჩვენი თავისუფალი დროც ვეღარ ემთხვევა ერთმანეთს. მესიჯებსაც იშვიათად მწერს მას შემდეგ, რაც ახალი

საქმე წამოიწყო, თავს კი იმით იმართლებს, რომ ძალიან იღლება და ამისთვის ვერც იცლის. არადა, თან სიყვარულსაც მეფიცება. მიყვარს და უიმისობას ვერ ვეგუები. რა ვქნა, კატეგორიულად მოვთხოვო, რომ ჩემთვის მოიცალოს? გთხოვთ, ჩემთვის რჩევების მოცემა არ დაგეზაროთ“.

**P.S. მაშ ასე თუ ყველასგან მიტოვებული გოგოსა და პატარა პრინცესას წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.**



# „ექვიანობა დიდმა სიყვარულმა იცის“

„გზის“ №28-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. შეგახსენებთ, ის გვწერდა: „ჩემი შეყვარებული ექვიანი იყო, მე კი ვიფიქრე, როცა ცოლად გავყვები და თავისად დამიგულეებს, გამოსწორდება-მეთქი, მაგრამ შევცდი — ის უსაფუძვლოდ, ყველაფერზე და ყველაზე ექვიანობს, გამუდმებით რალაცები ელანდება. არადა, ღმერთია მოწმე, მის გარდა არავინ მაინტერესებს“.



## „ეს ისეთი ავადმყოფობაა, რომელსაც ვერანაირი წაგალი ვერ კურნავს“

### ბრუზინკა:

„ექვიანობა პათოლოგიაა! უკეთესი იქნებოდა, ცოლად არ გაჰყოლოდი. ახლა არ ვიცი, რა უნდა გირჩიო. იქნებ ჯობია, ცოტა ხნით ცალ-ცალკე იცხოვროთ და როცა შენი დაკარგვის ფაქტის წინაშე დადგება, შეეცდება მაინც, რომ ეს გრძნობა მოთოკოს (სიმართლე გითხრა, ამის თავადაც არ მჯერა). წარმატებები! უფალი გვარავდეს“.

### ლუნა:

„სამწუხაროა!.. შენ თავიდანვე უნდა გცოდნოდა, რომ ადამიანები არ იცვლებიან და არც შენი შეყვარებული შეიცვლებოდა დაქორწინების შემდეგ. შეეცადე, აუხსნა და დაარწმუნო იმაში, რომ მისი ერთგული ხარ. ისე კი, ექვიანობა დიდმა სიყვარულმა იცის“.

### ირმა 91:

„ექვიანობა საშინელი სენია. ბავშვობაში ვამბობდი: ადამიანს საექვიანო არ უნდა მისცე და ისიც არ იექვიანებს-მეთქი. თურმე, სადა ხარ, მოიცა, რა... არ ვიცი, რა უნდა გირჩიო. ის კი არა, მგზავნელების რჩევას მეც გავითვალისწინებ (ჩემს შემთხვევაში, ის სიმთვრალეში ავლენს თავის სენს). გამძლეობას გისურვებ!“

### სვანის ასული:

„ასეთი ქმრების არ მესმის და მომკალით... თუ არ გენდობა და მოლაღატე ჰგონიხარ, რა აჩერებს შენთან? მთელი ცხოვრება ერთმანეთს ნერვები უნდა უშალოთ? იარეთ ერთად და გაკონტროლოს ბატონო. არ გენდობა, გასაგებია, მაგრამ ალბათ, საკუთარ თავსაც სათანადოდ ვერ აფასებს და შესაბამისად, თავდაფერებულობაც აკლია. ჩემი მეზობლის ახალგაზრდა ვაჟი თავად უსაქმურია, ცოლს კი ამუშავებს და თან, მასზე ექვიანობს. ჰოდა, ამას წინათ ერთმა ურჩია, დილით მეუღლე სახლიდან ისეთი კმაყოფილი სახით უნდა გაუშვა, რომ სხვისკენ არც გაიხედოს, საკუთარ თავში დარწმუნებული იყავიო. ამის მერე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ ზრდასრული ადამიანის გამოსწორება ილუზიაა, არავინ

შეიცვლება. ამიტომაც, ვიდრე შეყვარებულები გქვიათ, სჯობს, ნაკლებ თვალი არ დახუჭოთ...“

### ნინიკო:

„მე ექვიანობა ისეთი ავადმყოფობა მგონია, რომელსაც ვერანაირი წაგალი ვერ კურნავს. არ ვიცი, რა გირჩიო. მგონი, ორი არჩევანი გაქვს: ან უნდა დაშორდე, ან მის ექვიანობას შეეგუო. ყოველ შემთხვევაში, წარმატებებს გისურვებ!“

### ლი ჰარპი ოსვალდი:

„შენი ქმარი ავადმყოფია!..“

### აპიზარა:

„ძალიან მეცოდები. ექვიანი ქმრის გვერდით ცხოვრება მართლაც, რთული და აუტანელია. მას აუცილებლად უნდა დაეღაპარაკო და უთხრა, რომ მისი გაძლება შეუძლებელი ხდება და თუ უსაფუძვლო ექვიანობას არ მოიშლის, დაგკარგავს. სამწუხაროდ, არ ამბობ, რამდენი ხნის შეუძლებულები ხართ და გყავთ თუ არა შვილი. დარწმუნებული ვარ, შენს ქმარს ზედმეტი სიყვარულის გამო მოსდის ასე, მაგრამ ის მაინც უნდა ეცადოს, საკუთარი თავი მოთოკოს და ამაში შენც უნდა დაეხმარო. უფალი გვარავდეთ!“

### იკუშკავი:

„ჩემო კარგო, მგონი, ვხვდები, თუ როგორ უნდა გადააჩვიო ქმარი ექვიანობას. შენთან რამდენიმე პირადული კითხვა მაქვს: თქვენი ინტიმური ცხოვრება ჩვეულებრივია, კარგია თუ სუპერმაგარია? რას სთავაზობ ქმარს სანოლში? მისთვის მხოლოდ ცოლი ხარ? გათხოვილ ქალს ჩემგან არ გესწავლება, მაგრამ როცა ერთმანეთის ალერსით იქნებით დაკავებული, შეეცადე, ცოტა მეტად მოეფერო და ისეთი სასიყვარულო სიტყვები უთხრა, რომელიც აქამდე არ გთქვამს; მოულოდნელად, როცა ის შენთან დანოლას არც კი გეგმავს, შხაპი მიიღე, სველ ტანზე პირსახოცი შემოიხვიე და აცდუნე. ჩემი აზრით, თქვენს ინტიმურ ცხოვრებას მრავალფეროვნება და სიახლეები აკლია. კაცებს უყვართ, როცა სიყვარულში უპირატესობას ფლობენ.

ჰოდა, შენი საქციელით აგრძნობინე, რომ ის ერთადერთი და განუმეორებელია, ხშირ-აშირად გაუმეორე, რომ ის შენი ცხოვრების მამაკაცია, რომ მის გვერდით თავს ნამდვილ, სრულყოფილ ქალად გრძნობ და ბედნიერებას მხოლოდ მის ძლიერ მკლავებში ყოფნა განიჭებს. ჩემი აზრით, ასეთი საქციელით ის იგრძობს, რომ შენი, როგორც ქალის და ცოლის ერთადერთი ბატონ-პატრონია და ექვიანობაც გაუვლის. ზოგჯერ, კაცები იმისთვის გვიბრაზდებიან, რომ მათდამი საკმარის ყურადღებას და სითბოს არ ვიჩენთ. ისე, ჩემმა რჩევამ თუ არ გაჭრა, აჯობებს, დაშორდე (ცოტა ხნით მაინც)“.

### სოფიო:

„შენი მეუღლე ფსიქოლოგთან მიიყვანე. აბა, ასეთი უსაფუძვლო ექვიანობა ვის გაუგონია? მერწმუნე, ფსიქოლოგი აუცილებლად დაეხმარება ამ სენის დაძლევაში. თუ არაფერი გამოგივა და მას ექიმთან ვიზიტზე ვერ დაიყოლიებ, მაშინ თავადვე უნდა შეძლო, რომ ქმარს ერთგულება ყველანაირად დაუმტკიცო“.

### მისტარი:

„გაკვირვებული ვარ შენი საქციელით. გადანყვტილება მარტივად მიგიღია, როდესაც პატარა იმედს ჩაებლაუჭე და საკუთარი ბედი დაუკავშირე ადამიანს, რომელსაც კი არ ახასიათებს, არამედ ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ექვიანობა. ჩემო კარგო, დაოჯახება სულაც არაა წინდების გამოცვლა. ისე, არ დაგავინყდეს, ის ხომ მაინც ადამიანია და იქნებ, მისი არასასიამოვნო თვისებების განეიტრალებას „გზის“ ამ ნომრის ნახვამ მაინც ჩაუყაროს მცირეოდენი საფუძველი“.

### მზარი:


„არა მგონია, ამ შემთხვევაში ჩემი რჩევა გაითვალისწინო, მაგრამ მაინც გეტყვი: ასეთ ქმარს ან უნდა გაეყარო, ან სახლში დაჯდე და თუ სადმე ნახვალ, ისიც თან უნდა იახლო. დამიჯერე, მას ექვიანობას ვერაფრით მოაშლევინებ. ღმერთი გვარავდეს“.



# ახალი თხზულებები

მარი ჯაფარიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №№22-28



ამჯერად დათოს და კატოს ურთიერთობას აქ დავასრულებთ. თუმცა, შეპირებისამებრ, მომდევნო კვირაში ინტერვიუს შემოგთავაზებთ და ვეცდებით, გაგარკვიოთ, რა გახდა მათი ურთიერთობის ასეთი განვითარების მიზეზი...

დათოს და კატოს ურთიერთობის გამომზეურებამ სხვა მკითხველებსაც აუშალა საღერღელი, რომ თავისი ინტერნეტურთიერთობა სახალხო და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადოს... ასე რომ, მომავალი კვირიდან ახალი წყვილის ურთიერთობას ვადავსრულებთ თვალის...

**დათო:** დარწმუნებული ხარ, რომ ამბის გაგრძელება გინდა?

**კატო:** კი, დარწმუნებული ვარ.

**დათო:** კარგი, მაშინ მომისმინე... ჩვენ თითქმის ერთდროულად გადმოვდივართ მანქანებიდან თავსხმა წვიმაში ისე, რომ თითქოს ვერც კი ვამჩნევთ მას...

**კატო:** გალუშპულები, ნელი ნაბიჯით ვუახლოვდებით ერთმანეთს...

**დათო:** ჩვენ ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ... შენ მთლად დასველდი და ეს სისველე აბაზანიდან ახალგამოსულის ეფექტს ქმნის. ხელებს გკიდებ ხელებზე და მანქანების შუაში გაყენებ ისე, რომ ოდნავ ეხები შენივე მანქანის კაპოტს. ირგვლივ საოცარი არომატია, გაზაფხულის... წვიმის სურნელება მეტ სიმძაფრეს მატებს გრძნობებს...

**კატო:** ჩემს, შენს, ჩვენს გრძნობებს...

**დათო:** თითქოს რაღაც სიგიჟემ მოგვიარა... თმაში გკიდებ ხელს ძლიერად. თითქოს ცოტა მტკივნეულადაც, მიგიკრავ სხეულით და ტუჩებზე ჩაგეკონები...

**კატო:** ლამაზი სიუჟეტია...

**დათო:** შენ კოცნაზე კოცნით მპასუხობ გამაგებით და...

**კატო:** რატომ მაგდებ ასეთ დღეში?

**დათო:** მოულოდნელად წვები შენივე მანქანის კაპოტზე და მიხმობ შენსკენ... ისე, რომ ხელებს არ მიშვებ...

**კატო:** ეს — ქუჩაში???

**დათო:** არა, გზიდან მოფარებულ ადგილზე და ისე, რომ ჩვენ ვხედავთ მიმავალ მანქანებს, ისინი ჩვენ ვერ გვხედავენ, მაგრამ რომც გვხედავდნენ, ეს ჩვენთვის სულერთია.

**კატო:** მერე?

**დათო:** ჩაგეკონები კისერში... შენ თმაში მკიდებ ხელს და მესმის შენი მსუბუქი კვნესა... გრძნობ, ჩემი ხელი შენი კაბის ქვეშ როგორ შემოცურდა...

**კატო:** ახლა გავგიჟდები! გაჩერდი... თუ არ გინდა, რომ გული წამივიდეს...

**დათო:** გკიდებ წელში ხელს და ცოტა მაღლა აგწევ, შენსავე მანქანაზე დაგვამ...

**კატო:** გაჩერდი, თორემ გავთიშავ კომპიუტერს და წავალ.

**დათო:** და შენ ამის გაკეთების საშუალება იმ დღეს არ მომეცა.

**კატო:** და შენ ამას იმ დღეს გააკეთებდი? არა მგონია... ფანტაზიორი ხარ, ნამდვილი...

**დათო:** მაგას ვნახავთ, ვინ არის ფანტაზიორი და რა შემისლიდა ხელს, როგორ ფიქრობ?

**დათო:** თუ ატყობ, რომ შეურაცხყოფა მომაცენ? ამას არ ველოდი. სიბრაზე მიპყრობს... სულელივით ვიქცევი, მეტის ღირსი ვარ... ვერ ვმშვიდდები. თავს ძლივს ვიკავებ, რომ...

**კატო:** რატომ ბრაზობ, სიხარული?

**დათო:** არც კი ვიცი, რა გითხრა.

**კატო:** მითხარი, რომ გიყვარვარ...

**დათო:** დანა პირს არ მიხსნის.

**კატო:** რატომ, ამიხსენი... შენ ნამეტანი მოგდის, მგონი.

**დათო:** თავს იდიოტად ვგრძნობ. შენი გავლენის ქვეშ მოვექეცი და სისულელებს ვაკეთებ. საკუთარ თამაშში ჩამითრიე.

**კატო:** ეს ყველაფერი რას ნიშნავს? მე არ ვთამაშობ... და ამიხსენი, რამ გამოიწვია შენი ასეთი რეაქცია? თუ გგონია, რომ მე განგებ ვაკეთებ რამეს, მაშინ მიიღე გადაწყვეტილება და მეც მაცნობე. თან, რა არის სისულელე, ისიც მითხარი ბარემ. რას ვაკეთებ ასეთს?

**დათო:** სისულელეა, როცა საკუთარ სურვილს და გრძნობას გააშიშვლებ... ასეთ დროს ყოველთვის დაცინვის ობიექტი ხდები. ეს ძალიან კარგად ვიცოდი, მაგრამ რატომღაც შენთან ამას მაინც ვაკეთებდი.

**კატო:** და ვინ დაგცინა? არ მითხრა, რომ ჩემი სიტყვები დაცინვად მიიღე... ეგ ძალიან დამწყვეტს გულს...

**დათო:** „და შენ ამას იმ დღეს გააკეთებდი არა მგონია... ფანტაზიორი ხარ, ნამდვილი“... — ეს ვისი სიტყვებია? მაინტერესებს, როგორ უნდა მიმელო?

**კატო:** ეს ჩემი სიტყვებია და რაც მაშინ მომწერე, ეს ყველაფერი რეალურად წარმოვიდგინე, მივხვდი, რომ ქუჩაში ამის გაკეთება შეუძლებელი იყო... ეს იყო ის, რაზეც შენ ფიქრობდი, რაც მე ძალიან მომეწონა და რისი სურვილიც ორივეს გვექონდა... თუმცა, თბილისში ამის რეალურად გაკეთება, მართლაც წარმოუდგენელია... უნდა



გეფიქრა, რომ მე შენი ფანტაზიით აღვფრთოვანდი... და მაშინ, როცა იმ უცნაურ შეხვედრაზე ვთანხმდებოდით, რატომ მაშინ არ გითხარი, რომ ეგ შეუძლებელია-მეთქი? იმის შესრულება რეალურად შესაძლებელი იყო და იმიტომ...

**დათო:** სურვილი მომენტალურად იბადება და თუ გრძნობ, რომ თანმხვედრია და ორ ადამიანს დაუოკებელი ვნება ამოძრავებს ერთმანეთის მიმართ, მაშინ ამის გაკეთებას ვერაფერი შეუშლის ხელს. P.S. მე არ მითქვამს, რომ ეს ქუჩაში უნდა მომხდარიყო.

**კატო:** შენ საოცარი ადამიანი ხარ... გაქვს უზარმაზარი ფანტაზიის უნარი და ნამდვილი გიჟი ხარ, რადგან ამ ფანტაზიის რეალობად გადაქცევა შეგიძლია (ესეც არ გენყინოს ახლა)... მე ძალიან მინდა, რომ ჩვენი შეხვედრა მოხდეს...

**დათო:** შენ კი რთული ვითარებიდან ადვილად პოულობ გამოსავალს. ჩემი წყენა ძალიან ძნელია, გაბრაზება — ადვილი. ერთი კითხვა მაქვს და გამეცი ზუსტი პასუხი.

**კატო:** გისმენ... გულწრფელი ვიქნები, გპირდები.

**დათო:** „კატოს“ „სიკვდილის“ ვერსიის არ-გუმენტები გასაგები და მისაღებია. რაც შეეხება „კატოს“ „მკვდრეთით აღდგომას“, ეს უბრალოდ, ძველი კონტაქტების არდაკარგვის სურვილია და მეტი არაფერი?

**კატო:** არა. ძველ კონტაქტებში თუ სხვა მამაკაცებს გულისხმობ, ვინც საიტზე ჩემთან ურთიერთობდა, ასე არაა... უბრალოდ, წინა დღეს რომ მითხარი, „კატო“ მიყვარდაო, მაშინ გადავწყვიტე, „გამეცოცხლებინა“... იქ არავის ვეკონტაქტები... და საერთოდ, საიტზე შენ გარდა არავის ველაპარაკები... არ ვიცი, ძნელი დასაჯერებელია თუ ადვილი, მაგრამ ასეა... შენს მეტი არავინ მაინტერესებს...

**დათო:** მჯერა.

**კატო:** მიყვარხარ... უკვე დიდი ხანია, ამ სიტყვას მხოლოდ ოჯახის წევრებს ვუბნები და მამაკაცისთვის არ მითქვამს.

**დათო:** მინდა, რომ ეს ყველაფერი რეალურ ცხოვრებაშიც გრძელდებოდეს.

**კატო:** მეც მინდა, მაგრამ ამაზე როცა ვფიქრობ, რაღა დაგიმალო და შენი რიგით მესამე მესიჯი მახსენდება ხოლმე...

**დათო:** გამახსენე.

**კატო:** „რაღა დროს ჩემი ბიჭობაა? თუმცა, სულით უფალს ვეკუთვნი, გულით ოჯახს, სხეული კი შემეძლია, გავანაწილო“. გახსოვს ეს მესიჯი?

**დათო:** მახსოვს. დასკვნა?

**კატო:** შენს სულსა და გულში ვაკანსია არ არის...

**დათო:** შენ შენი ადგილი გაქვს ჩემს გულსა და ცხოვრებაში. სხვისი ადგილის დაკავება არა მგონია, შენს ან ჩემს სურვილებს ემთხვეოდეს. ჩვენ ერთმანეთს ცხოვრება უნდა გავუღამაზოთ და არა — ვალდებულებები ვიტვირთოთ.

**კატო:** გეთანხმები... სხვისი ადგილი მართლაც არ მინდა. მე ყველგან ჩემი საკუთარი ადგილი მაქვს — სახლშიც, სამსახურშიც, მეგობრებშიც... რაც შეეხება ვალდებულებას, მაგამი რას გულისხმობ, თუ განმარტავ, გაცილებით გამიოლდება პასუხის გაცემა...

**დათო:** ეს გრძნობა დაკავშირებულია ყოველდღიურობასთან. ვალდებულება ოჯახის, სამსახურის, ქვეყნის, მეგობრების, ნათესავების მიმართ. მე კი მინდა, შენთან მხოლოდ სურვილი, ვნება, მონატრება მაკავშირებდეს და არ ვგრძნობდე, რომ ჩვენი შეხვედრა წინა ურთიერთობების და სურვილების ვალდებულებაა. მინდა, რომ ეს გრძნობა, რომელთან ერთადაც ვიძინებ და ვიღვიძებ, მუდამ თან სდევდეს ჩვენს ურთიერთობას, ყოველდღე ვგრძნობდე შენს შიშშილს...

**კატო:** ვალდებულებები შესაძლოა, 2 კატეგორიად გავანაწილოთ — რთულ და მარტივ კატეგორიებად. მაგალითად, რთული ვალდებულებებია — მეორე მხარის ფინანსური პრობლემების მოგვარება, საშინაო საქმეებში ჩარევა, გადწყვეტილებების მიღება მის მაგივრად და ასე შემდეგ. მეორე, მსუბუქი კატეგორიაა, უბრალოდ, მოკითხვა და იმის გაგება, როგორ გრძნობს თავს... დღესასწაულის ან დაბადების დღის მილოცვა, უბრალოდ, ყურადღების გამომუყავნება (ისეთის, როგორც იმ დღეს შენ იჩენდი, როცა პრობლემები მქონდა, დედასთან დაკავშირებით). ვალდებულება იმის გამო, რომ როცა შენ გვერდითაა ადამიანი, თავი კარგად იგრძნოს, უსაფრთხოდ და მშვიდად... და ერთი გაურკვეველი საკითხი: მაინტერესებს, როგორ მიიჩნევ, ვიქნები თუ არა ვალდებული, გიერთგულო?

**დათო:** ვერ დაგეთანხმები. „მარტივი“ და „რთული“ ვალდებულება სიტყვების თამაშია.

მე კი არ უნდა ვგრძნობდე თავს ვალდებულად, დაბადების დღე მოგილოცო, არამედ უნდა მქონდეს სურვილი შენთან ერთად ვიყო დაბადების დღეზეც და ნებისმიერ კალენდარულ დღეს და თუ ეს არ ხდება ობიექტურ მიზეზთა გამო, რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია. თუმცა, მომავალი შეხვედრის სურვილი ხომ უფრო მძაფრდება. შენ მიერ ჩამოთვლილი მიზეზები არა ვალდებულება, არამედ — ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება უნდა იყოს. შენი ბოლო შეკითხვის პასუხიც ზევით მინერია. ანუ, თუ შენ გიყვარს და მასთან ერთად ყოფნა სიამოვნებას განიჭებს, სხვასთან როგორ უნდა წახვიდე? ეს ალბათ ბოზობაა (უკაცრავად), რომელსაც ადამიანი დამოუკიდებლად წყეტს და არა — ვალდებულებების გამო.

**კატო:** შენც მართალი ხარ... მედალს ხომ ორი მხარე აქვს. ვეთანხმები შენს „გამოსვლას“. მაშ, სურვილების სადღეგრძელო უნდა შევსვათ, აუცილებლად...



თუ ვინღა, რომ საყოფარღო  
სახე ღამდრო, ჭიხაში მოძველო  
უნდა ვამხვიღე



**დათო:** მედალს კი აქვს ორი მხარე, თუმცა თუ მედალი შენს ხელშია, რომელი მხარეც განწყობს, იმას დაანახებ. რაც შეეხება სადღეგრძელოს, მე კი დავლევ დღეს, მაგრამ შენ?

**კატო:** შენ დალევ რას ჰქვია? ერთად უნდა დავლიოოოოოოოოო!

**დათო:** მე ვიგულისხმე — დღეს, ძვირფასო.

**კატო:** მაგ სადღეგრძელოს დალევის უფლება მარტოს არ გაქვს... ეს ხომ ჩვენი თანმხვედრი სურვილებია...

**დათო:** შენთან ერთად სადღეგრძელოს კი არა, შხამსაც შევსვამ.

**კატო:** ჩემს ბაგეთაგან, მხოლოდ...

**დათო:** მაგარი სიტყვებია!!! მიყვარხარ!!!

**კატო:** მე მთვარემდე მიყვარხარ.

**დათო:** ეს მაშინაც გკითხე, იქნებ ამიხსნა?

**კატო:** მართალია, სიყვარული მეტრებითა და სანტიმეტრებით არ იზომება, მაგრამ პირობითად, თუ ერთ მეტრს ჩავთვლით სიყვარულის საზომ ერთეულად, ისე მიყვარხარ, როგორი მანძილიც მთვარემდეა...

**დათო:** ეს შენი თეორიაა სიყვარულის საზომის? აბა, არ არსებობსო?! ე.ი. მე რა ვქნა დღეს? „მონატრებისას“ მარტოს არ მალევიან...

**კატო:** „მონატრებისას“ სწორედაც რომ მარტომ უნდა დალიო... მე ვთქვი, სურვილების სადღეგრძელო უნდა დავლიოთ ერთად-მეთქი.

**დათო:** გაასაგებია.

**კატო:** სურვილების სადღეგრძელოს სანამ არ დალევ, თითსაც ვერ დამაკარევევევევე!

**დათო:** თითსაც დაგაკარებ და ტუჩებსაც ყურის ბიბილოს ქვეშ...

**კატო:** ჰმმ...

**დათო:** მაშინებ თუ კრუსუნებ?

**კატო:** უფრო — ვკრუსუნებ...

**დათო:** მდაა... არ დავინწყოთ, თორემ აქედან ვეღარ წავალ.

**კატო:** ნუ წახვალ, იყავი. სად აპირებ წასვლას?

**დათო:** შენ უნდა ჩაგიკრა... მეგობარს აქვს დაბადების დღე.

**კატო:** ე.ი. დღეს დამირეკავ... :)))

**დათო:** ჩემს სიმთვრალეს გულისხმობ?

**კატო:** ჰო, როცა წასვამი ხარ, აუცილებლად მირეკავ და საათობით მელაპარაკები.

**დათო:** გინდა, დაგირეკო?

**კატო:** მაგას კითხვა უნდა, შე სულელო?

**დათო:** სამწუხაროდ, ვერ დაგირეკავ (ახლა არ მკითხო, რატომ).

**კატო:** გასაგებია... მარტო არ იქნები.

**დათო:** მინდა, რომ გიკბინო...

**კატო:** კბენას, ღრენას და თვალში თითის ტაკებას არ ვიყოთ...

**დათო:** არა, მაინც უნდა გიკბინო.

**კატო:** კარგი... საკბენი ადგილი კი მაქვს...

**დათო:** მაგალითად?

**კატო:** სადაც გაგიხარდება...

**დათო:** ერთი პირობით — რასაც მე გავაკეთებ, შენც იგივე უნდა გაიმეორო.

**კატო:** მაგალითად, ცხვირზე რომ მიკბინო, მეც ცხვირზე უნდა ვიკბინო?

**დათო:** ჰო, ოღონდ ჩემს ცხვირზე.

**კატო:** აააა... კარგი.

**დათო:** პირობა მიღებულია, ვნახოთ, ცხოვრებაში როგორ განახორციელებ.

**კატო:** ააა... შენ ცხოვრებაში გულისხმობდი? მე მეგონა, აქააა...

**დათო:** აქ მეყო უკვე.

**კატო:** ჩვეემი ცხოვრება ვინაა?

**დათო:** ჩემო სიცოცხლე...

**კატო:** ჩემო სიხარულო...

**დათო:** აღარ მინდა უშენოდ ცხოვრება.

**კატო:** ძალიან დიდი ხანია, ასეთი განცდა არ მქონია, რასაც შენ მიმართ განვიცდი და მგონი, საერთოდაც არ მქონია, არასდროს...

**დათო:** 10-ჯერ მაინც წავიკითხე.

**კატო:** შენი ანკეტიტ და ჩვენი საუბრის პირველი ეტაპით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ ცივგულა და ახლო ურთიერთობების მიმართ გულგრილი ადამიანი ხარ... რამ გაგილლო გული ასე?

**დათო:** „ძალიან დიდი ხანია, ასეთი განცდა არ მქონია, რასაც შენ მიმართ განვიცდი... და მე მგონი, საერთოდაც არ მქონია, არასდროს“.

**კატო:** მე არ ვიცოდი შენი სახელი, შენი თვალების და თმების ფერი, მაგრამ ვიგრძენი, რომ წვეთებივით, ჰგავდნენ ერთმანეთს ჩვენი ფიქრები, გათავდა, აღარ ჩამოგეხსნები, არც მახსოვს, ვის რა ვუთხარი გუშინ, და ვაფათურებ სიცხიან ლექსებს, შენს თმებზე, თვალებზე, ტუჩებზე, სულში...

**დათო:** შენ მართალი ხარ, ასეთი არასოდეს არავისთან არ ვყოფილვარ და ასეთი შენ გამხადე, შენმა სიყვარულმა და შენმა ალერსმა.

**კატო:** მაგას ვხვდები... თუ გავითვალისწინებ იმას, რომ შენ ტყუილი და ფარისევლობა არ გიყვარს (იმედია, ასეა და ამას რომ ვამბობ ნუ გენყინება), მაშინ გამოდის, რომ შენი გულის სიმები შევარხიე. შთაბეჭდილება მრჩება, რომ შენ ქალებში (და ალბათ მაგარ ქალებში) სიარული არ გაკლდა, მაგრამ ამას აკეთებდი მხოლოდ ცხოველური ჟინის მოსაკლავად... ივსებდი იმას, რაც შინ გაკლდა ან უბრალოდ, მრავალფეროვნება გინდოდა... ახლა კი, თუ შენი გრძნობაც ისეთივე ძლიერია, როგორც ჩემი, წინ სიყვარულით ტკობა გელის... გრძნობაზე დაფუძნებული ფიზიკური ურთიერთობა სულ სხვაა — როცა შეხებას, კოცნას და სურნელსაც კი სულ სხვა განცდა მოაქვს... შესაძლოა, შენ ეს გინდოდა კიდევ და საკუთარ თავსაც არ უტყდებოდი... არ ვიცი... ეგ შენ უფრო გეცოდინება.

**დათო:** ზედა ნააზრევში გარკვეული უზუსტობებია. რაც შეეხება მესიჯის მეორე ნაწილს, სრული სიმართლეა. ჩემს სულში ზიხარ. როდის ვგეგმავთ შეხვედრას?

**კატო:** ამ კვირაში აუცილებლად...

**დათო:** უნდა წავიდე, ჩემო სიყვარულო.

**კატო:** კარგი, ჩემო კარგო... ხვალამდე... კარგი დრო გაატარე და ხანდახან მაინც იფიქრე ჩემზე, ვიგრძნობ და გამიხარდება.

**დათო:** დროებით. გკოცნი ბევრს. P.S. ხანდახან კი არა, მოსვენებას აღარ მაძლევ, დღედაღამ. მიყვარხარ ძალიან, ძალიან...

**28 მაისი, 11:23**  
**დათო:** სად ხარ? უკვე ძალიან ვნერვიულობ. სად ხარ?



# ფოტო, როგორც ნაწილი დაქორწინება

• „დაგაჯდა სიკვდილის ბუზი, ძვირფასო?“ ჩუპი.

• „რომლით დავასაჩუქრო, „მესამე თვალის“ თუ საჯდომზე მეორე გვირაბით?“ მისტიკა.

• „რა უნდოდა? რომ არ ეღალატა იმ ქერა ნაშასთან, ხომ გვექნებოდა მზურვალე სექსი?“

• „ყურების გახვრეტა დაავინყდა და თოფით გაიხვრეტს“.

• „სვანი საპატარძლო ქორწილის პირველი ღამის მერე სისხლს აიღებს“. უკარება.

• „დედიკოს“ პირდაპირ შუბლში ვესროლო თუ გულში? იქნებ დილით ყავაზე ჯობია, ტორტზე დავაკლა? მაგრად გაასწორებდა“. ენე.

• „არ უნდა მომეკლა“.

• „იარაღით ხელში ვზივარ, თეთრი კაბა მაცვია, უკვე ამდენმა ქორწინებამ ნახეთ, რა გზა მაჩვენა“. და-კე.

• „უპ, რა გაუძლებდა ამას“.

• „ქორწილის დღეს მიმატოვა. თავი მოვიკლა? არა, რა დროს ცრემლებს ღვრა არის, კაცების მეტი რა არის?“ სოფიო.

• „მოვკლა? არ მოვკლა? საფიქრალი აი, ეს არის“. მარიტა.

• „ეჰ, კი ვიცოდი, ამას რომ ჩავიდნენდი, მაგრამ ასე უცებ? არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი. ისე, ჩემს თავს რას ვერჩი? არ ჯობია, მეორე ნახევარი გავასალო?“

• „საწყალი, კარგი კაცი იყო“. სიკვდილა.

• „არ უნდოდა წყნარად ყოფნა?“ სიკვდილა.

• „გაბოროტებული პატარძალი“. ლუნა.

• „არის რაიმე განსხვავება თვითმკვლელობასა და ქორწინებას შორის? არაფითარიო“ ენდი.

• „ჯერ დედამთილი? თუ მამამთილი?“ ენდი.

• „აბა, რა გეგონა, რომ თხოვდებოდი? ქმრისთვის თუ გინდა, გეფიცები, მეც დაგეზმარები“. ინა.

• „ველოდები, როდის მოვა სიძე-მეფე ბატონი. ეჰ, მგონია მიმატოვა. ალბათ მასაც არ უნდოდა სახლში ცოლი აგენტი, მე კი ველარ გავისხენე მის შემდეგ თუ ვინ იყო“. ფლამინგო.

• „ვაი, შენს საქმროს, უბედურს“.

• „ან დახვრეტა ან სამუდამო პატიმრობა“. მეგრელო.

• „არადა, მიყვარდა“



• „ვერ გადამინყვეტია, თავი უნდა მოვიკლა, თუ ჯერ ის უნდა მოვკლა“.

• „აბა, რა ეგონა, ჩემ სისხლს შევარჩენდი?“ GREEN GIRL

• „უცებ მოვკლა თუ ცოლად გავყვე?“

• „პატარძალი დამბაჩით ამას გვერდით სიძე ელოდება „კალაშით“. პუტზა.

• „არ გინდოდა ხომ, ჩემი ცოლად შერთვა?“ ნინკო.

• „ახლა ჩემი დროა, ბიჭუნავ“.

• „ისე, მკვდარიც რა საყვარელია, ეს ოხერი“

• „შენ მოვკლა თუ დედაშენი? ამაღამ გადავწყვეტ“. გურული ზგიპო.

• „მშვენიერო პატარძალო, იარაღი რად გინდა? აღარ უნდათ „ცელკა“ გოგო, მოდიდან გადავიდა, გული რატომ გაგიტყნავს? მიდი, გავარდეს ნავსი, ქალიშვილობას შექალო, უკვე აღარ აქვს ფასი“.

• „სვანი ქალის პირველი ღამე: „ეჰ, კაი ბიჭი იყო, მარა, ჩემს სისხლს არ შევარჩენდი“ უცნობი.

• „სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს“.

• „გამეცეცი, არა? მე შენ დუელში გინვევ“ ლა-ლოლა.



# ფრანკი, კრავაძეაძე ნენეკა დაჯანსაღა



ამ ფრანკისთვის შესაბამისი  
საქმიანი უფრო გამომავალს  
ბაზრისთვის ნენეკა:  
**8.77.45.68.61**  
ჩვენთვის ვინცინ 50 ასეთი:

„ - დადავიტა ვი, ვი  
თითვა ბრინადაზს...“





დასაწყისი — „გზა“, №38-28

## მარი ჯაფარიძე

ფიქრებიდან ქალის ხმამ გამომარკვია. ქსიუ-შა იყო. თავზე დაგვდგომოდა და ისე მილი-მოდა, მივხვდი, დღეს თავს ვერ დავალწევდი მის კლანჭებს.

— ქსიუ, გამარჯობა, — მივესალმე, გავუ-ლიმე და წამოვდექი.

— გაგიმარჯოს, — გადამკოცნა.

— შენ ისევ აქ ხარ? არც დაბერებულხარ, ისევ ისეთი ხარ, — მართლა გამიკვირდა.

— შენ კი გაცილებით უკეთ გამოიყურები,

ყველა ჩემმა ყოფილმა  
ქალმა იცოდა, ამ დღოს  
ხას ვამბობდი ხოლმე

ვიდრე წინათ. უფრო სიმპათიური და ლამაზი ხარ...

— ლამაზი? — გულიანად გამეცინა, — იცი, ლამაზებს რას უშვრებიან?

— რას? — გადაიხარხარა ქსიუშამ, რადგან ჩემი პასუხი უკვე იცოდა.

ყველა ჩემმა ყოფილმა ქალმა იცოდა, ამ დროს რას ვამბობდი ხოლმე.

— ლამაზებს ჟიმავენ, — თვითონ თქვა ჩემი სათქმელი.

თავი დავუქნიე მხოლოდ.

— დაჯექი, — ხელით სკამი გამოვწიე და ვანიშნე, რომ დამჯდარიყო.

— შენ ჩემი ადრინდელი ვალი რომ არ გაგისტუმრებია, არ გახსოვს? — შემახსენა ძველი ვალი.

— მახსოვს, ზუსტად მახსოვს, რომ 230 მანეთი მაქვს შენთვის მოსაცემი.

— მერე? — დოინჯი შემოირტყა.

ჯიბეში ხელი ჩავიყავი, ასდოლარიანების შეკვრა ამოვიღე, რამდენიმე ცალი კუპიურა ამოვადრე და გავუწოდე.

— ეს ბევრია, — თვალით გადათვალა ქალმა.

— არა უშავს, ახლა ამის საშუალება მაქვს, — ვუთხარი და ხელი ავუქნიე იმის ნიშნად, რომ ფული გამოერთმია, წასულიყო და თავი დაენებებინა.

ამ შემთხვევამ გუნება გამიფუჭა და შინ წასვლა მომიინდა.

ოფლმა დამასხა. ოფლის წვეთების დანახვაზე ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს მდინარის პირას მჯდარი მეთევზე ჩემი დახვრეტილი სულის წვიმის წვეთებით ამოვსებას აპირებდა.

წვიმა მომიინდა.

— შეუძლია ვინმეს, წვიმა მომიტანოს? — ვიკითხე და იქ მყოფთა გაცეცხული მზერა კიდევ ერთხელ „დავიმსახურე“.

— კი, როგორ არა, — თავი

დამიქნია ვიღაცამ.

ეს ალბათ ჩემს დასამშვიდებლად უფრო გააკეთა.

— შენ ხომ არაფერი მოგიწევია? — მკითხა მეორემ.

მან არ იცოდა, რომ კარგ „მოსაწევს“ ცუდი პორტვეინი, ონკანის წყალი ან სუფთა ჰაერი მერჩინა.

თუმცა, ერთხელ მეც გავსინჯე აკრძალული ხილი...

ნასვამს „ოტხოდნიაკი“ დამეწყო და საკუთარ თავთან გულითადი ლაპარაკის სურვილი გამიჩნდა. ჩემი მეორე „მე“ მსაყვედურობდა, რომ ცხოვრება ისე არ მიდიოდა, როგორც მას სურდა.

— გადაიღე ჩემი ცხოვრება ფირზე, — მითხრა მან, ცოტა ხანს დაფიქრდა და დაამატა, — ნუთუ ყველაფერი ასე ცუდადაა?

ამ „მორალურ არეულობას“ რომ ვუყურებ-



დი, მომინდა, ჩემი „მეს“ აზრები გაცილებით პოზიტიურ კალაპოტში გადამეგდო.

— გახსოვს ის მორცხვი გოგონა? — ვკითხე საკუთარ თავს.

— პოლონელი? — შემიბრუნა კითხვა.

— ჰო, პოლონელი, — ვუპასუხე სწრაფად და არ მივეცი საშუალება, რომ ეროტიკული მოგონებები აშლოდა...

აზრი აქ გამიწყდა, რადგან მაგიდას ქსიუშა მოუახლოვდა და მხარზე ხელი შემახო.

შევხედე. მივხვდი, რომ უაზრო გამოხედვა მქონდა.

— ეს ზედმეტია, — მითხრა და მაგიდაზე რამდენიმე კუპიურა დადო.

— მერე რა? მე ახლა წვიმას ვყიდი, ფული მაქვს, — ჩავილაპარაკე ჩემთვის, — გინდა, გასწავლო, წვიმა როგორ უნდა გაყიდო?

— როგორ? ამისთვის რა უნდა გავაკეთო?

## აქ დავუხატე ძალიან ლამაზი სუხათი, ხოგოხ გაკმდინებოდიტ ოხიკე

— მკითხა სხვებზე არანაკლებ გაცეხულმა ქსიუშამ.

— დავარეგისტრირებთ ფირმას, დავარქმევთ „წვიმის გაყიდვის მსოფლიო კორპორაციას“ და წვიმით ვივაჭრებთ.

აქ დავუხატე ძალიან ლამაზი სურათი, როგორ გავმდინებოდიტ ორივე, რადგან დედამინაზე ყოველთვის მოიძებნებოდა ისეთი ადგილი, სადაც წვიმა სჭირდებოდათ.

— იმას სჭირდება, შენ — მიუტან! — წერტილი დავსვი.

— ჰო, მართალი ხარ, — უცებ დამეთანხმა ქსიუშა და გამეცალა.

— ისე, იცით, რა მინდა? — ვკითხე ჩემს მეგობრებს.

— ვიცით, წვიმა გინდა, რომ გაყიდო.

— არა, მინდა, მზე გავხვრიტო, თოკი შევაბა და გულზე დავიკიდო, მაგრამ ამას ვერ ვახერხებ. ეს რომ ვინმეს ვუთხრა, გიჟი ვეგონები. ამიტომ, დუმილი მიჩვენია, დუმილი ხომ ოქროა. წარმოიდგინეთ, რომ გულზე მზე მაქვს თოკით ჩამოკიდებული და წვიმას ვყიდი.

ერთმანეთს გადახედეს. მივხვდი, ჩემი ნათქვამი ვერავინ გაიგო.

ჩემთვის სულერთი იყო, რას იფიქრებდნენ ან რას იტყოდნენ ხვალ ეს ადამიანები. ახლა შინ მინდოდა წასვლა და მორჩა!

არა, შინ კი არა, ნიცასთან მინდოდა წასვლა. ნიცას ნახვის სურვილმა მომიარა.

— ნავედი, მადლობა ამ საზოგადოებას, რომ შემიფარა და გამიგო, — თავი დავაქნიე და იქაურობა დავტოვე.

ხიდზე ფეხით გადავედი და ის იყო, მარჯვნივ გახვევას ვაპირებდი, რომ

იქვე მამაკაცი შევნიშნე... მოვბრუნდი და მივუახლოვდი.

— მე წვიმას ვყიდი, — ვუთხარი და თვალებში ჩავხედე.

— შენ იცი, რა არის ბედნიერება? — მკითხა მან და მივხვდი, რომ მას ახლა ჩემზე მეტად უჭირდა და იქნებ სწორედ ამიტომ იდგა ხიდის ბოლოში და დაფიქრებული წყალს დაჰყურებდა.

— ეს კითხვა ხშირად დამისვამს საკუთარი თავისთვის, — ვუპასუხე მამაკაცს.

ცოტა ხნის შემდეგ ორივენი ბორდიურზე ვისხედით და გულახდილად ვსაუბრობდით.

ეს საკითხი, ბედნიერებასთან დაკავშირებით, უკვე დიდი ხანია, მანვალედა და მტანჯავდა. მეჩვენებოდა, რომ დროთა განმავლობაში ამ კითხვაზე პასუხს საერთოდ ვერ ვიპოვიდი ან თუ ვიპოვიდი, აზრი აღარ ექნებოდა.

მე რომ მეღანო მიყვარდა, ეს ბედნიერება იყო, მაგრამ ცხოვრებამ მე აქეთ გადმომიხროლა, ის კი წელში გატეხა.

ცხოვრების ორომტრიალში ისევ შევხვდით ერთმანეთს. 2 მარტოხელა და ყველასგან მიტოვებული ადამიანი. 1 მთლიანის 2 ნახევარი, რომელიც ოდესღაც ღმერთმა დააცალკევა. ახლა ერთმანეთს ვჭირდებით. უფრო

სწორად, მას ვჭირდები. მე მისი გული ვარ.

ცხოვრება უცებ გაფრინდება, წარსულსა და აწმყოს შორის ზღვარს წაშლის და მხოლოდ მოგონების მცირე ნაწილს დატოვებს, რომელსაც ნიავის მსუბუქი დაქროლვაც კი გაფანტავს.

ჰოდა, მნიშვნელობა აღარ ექნება, რა დღე იქნება ხვალ, იქნება მზე თუ არა, წვიმას ვაყიდი თუ არა.

დრო ყველაფერს წაშლის!

როცა ახალი სიცოცხლე ისახება, ახალი ადამიანი იბადება. ახალი ქალაქები შენდება, ახალი კანონები დგება...

მხოლოდ გრძნობები რჩება იგივე.

უდავოა, რომ სწორედ გრძნობები თამაშობენ მთავარ როლს, ცხოვრებაში. ის გვანიჭებს ბედნიერებასაც და უბედურებასაც. მთავარი ის არაა, რა დრო გავა და რამდენი თაობა შეიცვლება. მთავარია, რომ ვიღაც გიყვარს.


„ბედნიერება!“

მაინც, რა დიდი აზრია ამ სიტყვაში....


ზოგიერთი ფიქრობს, ბედნიერი მაშინ ხარ, როცა უბედური არ ხარ. ადამიანი სულ მუდამ ბედნიერი არ უნდა იყოს. მას ბედნიერების მხოლოდ წამები უნდა ჰქონდეს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მაცამცი ჩემს  
სხაყში უყვე წლის  
მყვდამი იყ







16.07.- 22.07.2009

# მუსიკანტები

მარი ჯაფარიძე

## საზაფხულო თავგადასავალი



გამარჯობა, ჩემო ძვირფასებო. როგორ ხართ? სიცხემ ხომ არ შეგანუხათ? ჩვენი Sweet-Girl-ი ბათუმში ისვენებს, ვერმასტთან და მეესტროსთან ერთად. მეც ვიყავი ბათუმში რამდენიმე დღით, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ შევხვდი „ბალნებს“. ჰოდა, მეც დამწყდა გული და მათაც, მაგრამ აბა, ამას რაღა ეშველება? იმედია, ყველანი ისვენებთ და „გზას“ მაინც კითხულობთ. ახლა კი თქვენს მესიჯებსა და საზაფხულო თავგადასავლებს გავეცნოთ.

სინიკოსი კავაძეანი, ღირი ზიორაზი და „ერთოვნელები“



### ცინიკოსი კავალერი

„ერთ ჩვეულებრივ დილას, ჩემი ტელეფონის, მართლაც რომ ყურადღების მიმპყრობი და შემზარავი მესიჯის ხმამ დამირღვია მშვიდი მდგომარეობა, მაგრამ წამებში გამონწვეულ და წამიერ გაბრაზებას განეიტრალებაში ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ უცხო ნომერი იყო და თანაც, გაცნობის მართლაც რომ მოძველებულ მეთოდს მიმართავდა.“

„ზურა მალე მოდი, ძალიან მოენატრე შენს ფუმფულას“. რა თქმა უნდა, გამელიმა, ცნობისმოყვარეობამაც მძლია და დავუკავშირდი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, აღმოჩნდა ვინმე 16 წლის სოფო, მცხოვრები ქალაქ თელავში.

ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ მესიჯებით შემოიფარგლა და სულ რამდენიმე საათს გასტანა, რადგან ის თბილისში ფიზიკურად ვერ ჩამოვიდოდა და ჩავთვალე რომ მასთან ურთიერთობა არაფრისმომცემი და დროის ფუჭად კარგვა იყო. ამიტომ ვეცადე, მისით მცირეხნიანი სიახლოვება და გართობა მაინც მიმეღო. ზოგიერთი მესიჯით მართლა ვიხალისე და იქნებ თქვენც მოგეწონოთ. მამ ასე, ვეკითხები: „მუსიკის რა მიმდინარეობას ანიჭებ უპირატესობას?“

პასუხი: „ბუტილკას“ თავგადაკლული ფანი ვარ.

აააუუჰ, ვერაფერს იტყვი, ფანტასტიკური გემოვნება ჰქონია.

მინდა აღვნიშნო, რომ ეგ რუსი შემსრულებლები პირადად მე არ მომწონს და თანაც სწორი ფორმა „ბუტირკაა“ და არა — „ბოთლი“.

შეკითხვა: „ბიჭებს რა მოსწონთ შენს გარეგნობაში?“

პასუხი: თელავის ბიჭების უმრავლესობა გიჟდება ჩემს თვალებზე. ყველა მეუბნება, შენმა თვალებმა „დამბლოკაო“. წარმომიდგენია, რა თვალები ექნებოდა. ალბათ ხალხს აჰიპნოზებს და ავტომატურად იბლოკებიან. კიდევ კარგი, ჩვენი შეხვედრა ვერ შედგება. იქნებ, მისი მორიგი მსხვერპლი გავმხდარიყავი?

კითხვა: „თელავში რით ერთობით?“

პასუხი: „ჩვენ აქ პარკი გვაქვს და მთელი დღე იქ ვართ. მერე გოგონები ვწუნაობთ, ხანდახან მუსიკალურ ცენტრს ჩავრთავთ და მაგარს ვაჯახებთ“.

WOW! თქვენი ძალიან მშურს, მაგრად ერთობით, თქვენს „სასტავში“ შემოსვლაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვოდი. ეგ ყველაფერი კარგია და კარგადაც ერთობით, მაგრამ ნახირის უმეთვალყურეოდ დატოვება როგორ შეიძლება? მასაც ხომ უნდა მოვლა-პატრონობა? ეს იყო ჩემი პასუხი, რომელიც ჩემდა სამწუხაროდ, მისი დუმბილის დასაწყისი და შესაბამისად, ჩემი გართობის დასასრული აღმოჩნდა. მისტერ“.

### ლენჩი

„მარიამო ულ, როგორ ხარ? ჩემი საზაფხულო თავგადასავალი ჯერ დანყების

● სტადიაშია მიუხედავად იმისა, რომ უკვე შუა ზაფხულია. მოკლედ, წინა Week End-ზე დაქალ-თან ერთად, ცოტა ხნით სოფელში წავედი. თავს არ შეგანყენთ ბუნების სილამაზეზე საუბრით, ისედაც ყველამ ვიცით, როგორი ლამაზია ჩვენი ქვეყანა. ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ. მოკლედ, ჩავსხედით თუ არა „ჩემი ოცნების „მარშრუტკაში“, მაშინვე მივიპყარიტ მგზავრების ყურადღება, რომლებსაც სულაც არ ესიამოვნათ ის ფაქტი, რომ ჩემი და მარის გამო, კიდევ უნდა შევიწროებულიყვნენ ამ სიცხეში, მაგრამ მალე ჩვენი წარმომავლობის დადგენით დაკავდნენ და საუბარში გაერთნენ.

— ნენა, ვისი ბადიშები ხართ თქვენ? — მოგვიტრიალდა მოხუცი.

— ოლიას შვილიშვილი ვარ.

— რომელი ოლიასი? ნასტავლი შვილი რომ ჰყავს, გიორგი? — ამ დროს საუბარში კიდევ ერთი მგზავრი ჩაერთო.

— ნენა, მამაშენი ელჩია, ხომ, ელჩი?

— დიახ, — უპასუხა მარიმ და ჩამჩურჩულა, გესტაპო იწყებს დაკითხვასო.

— აა, გეიგეთ, ელჩი ყოფილა ოლიეს ბიჭი, აგი კიდო მისი ბადიში ყოფილა, — გასძახეს უკანა რიგში მჯდომ მოხუცს (რომელსაც მე და მარიმ მოგვიანებით ჭორბიუროს თავმჯდომარე დავარქვით).

ამ დროს მოხუცმა სათვალის ზემოდან, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული სახით გამოგვხედა და მერე ხმამაღლა თქვა:


— გიორგიზე ჩივით მაგას? ლენჩი რავა იქნება, ნასტავლი ბიჭია, რაც სკოლა დაამთავრა, თბილისში სტავლობს მას მერე, ლენჩები სახლში გიზიენ!

დედაა, იქ ხარხარი ატყდაა... ისედაც კუსავით „სწრაფმავალმა“ „მარშრუტკამ“ კინალამ წერილი წაიღო მიქელასთან. აი, ასე მხიარულად ჩაიარა ჩვენმა მგზავრობამ და ასეთი დასაწყისი აქვს ჩემს საზაფხულო თავგადასავალს. TO BE CONTINUED. ჩუპი“.


### დაბნეული მიმტანი

„აუ, დღეს მაგრად ვიცინე. ყავაზე გავედი კაფეში, ჩემებთან ერთად. ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ მიმტანები. ვილაც 4 ტიპი იჯდა ერთ მაგიდასთან, — 2 გოგო და 2 ბიჭი. ეტყობა, დაქორწინდნენ. გოგოს თეთრები ეცვა. გოგო კი არა, დინოზავრი იყო. ჰოდა, ჩვენც მივედით. მოკლე კაბა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და ზურგმოღებული ზედა მეცვა. ერთ მიმტანს დავევასე და ახალდაქორწინებულებთან შეკვეთა რომ მიიტანა, მე გამომხედა. ხელიდან დაუცურდა ყველაფერი და პატარძალს ლამის ძუძუებში ჩააყარა „მაროჟნიანი“ ჭიქები.“

მამსყაცვები ოქლობე  
ამ ლაქამსყობენ.  
მამსყაცვებს ოქლოი აქვთ







ჯერ სად ხართ? მალე სხვებიც მოვიდნენ და იქაც იგივე განმეორდა. ამჯერად წყლიანმა ჭიქებმა დაიწყო „ცვენა“. მოკლედ, დამნაშავე ვარ, მე კი ვიხალისე. უკარება“.

### იმერელი მთხრობელი

„ახლა ვფიქრობდი და ჩემი საზაფხულო თავგადასავლები იმდენია, რომელი მოგწერო, ვერ ავარჩიე და მოდი, ჩემი ჯგუფელი ბიჭის თავგადასავალს მოგიყვებით, რომელიც „გაქანებული“ იმერელია და ისე უცნაურად უქცევს (ნუ კილო აქვს, რა), მარტო მაგის ლაპარაკზე გადაფიჩინდები. ჰოდა, ბოლო გამოცდისთვის ვემზადებით, ვართ ერთ განამანიაში და მოაფრინა დავითამ პირი და დაიწყო: ამ ზაფხულს დეიდაჩემთან მივალ სოფელში დასასვენებლად (თვითონ მყავს რა, „კარენოი“ ქალაქელი). შარშან ვიყავი და რავა მამეწონა იცი გოგო, შენეო (თან მიჯიკა, ვაი თუ არ მისმენსო)?! არ ვიცი-მეთქი, ვუთხარი. — დეიდა, მოგიყობი, რა უნდა მაგასო. მივედი „მარშრუტკასთან“ და რომ დევინახე, იმნაირი უბედური იყო, მძლოლს ვუთხარი, იარეთ და ფეხით დეგენვეითო, მარა ვერ გავრისკე ამხელა გზაზე ფეხით წასვლა და ევედი სამარშრუტო ტაქსიში თუ რავა ქვია ახლანდელ ენაზეო (ისევ მიჯიკა, ოღონდ პასუხს აღარ დაელოდა და


გააგრძელა)? ჰოდა, ევედი გოგო, გავთავსდი ჩემთვის იქანე, თან გოუთოებული შარვალ-კოსტუმი მიმქონდა, სოფელში ქორწილი იყო მეზობლად და ქე ვიყავი დაპატიჟებული მეცე... ეს ტანსაცმელი ფანჯარასთან რომ რაცხა გამოსადები იყო, იმაზე ჩამოვკვიდე და დეველოდე, სანამ შეივსებოდა, რომ გავსულიყავით. ჰოდა, გვეიდა რამდენიმე წუთი და არ ამობრდღვიალდა კაი, უღვაშებგადანკეპილი გოგო? თან ჩემ გვერდით განთავსდა. მეც მეტი რა მინდოდა? იმდენი ვიგლახავე გზაში, ქე გადავრიე ი გოგო. ბოლოს „მუსკულებზე“ რო დეიხედა და უღვაშებზე გედვისვა ხელი, მივხვთი, თუ არ მოვმუნავდი პირს, ჩამიტანდნენ დაშლილ-დალენილს იქანე და ამ დოუთოებულ შარვალ-კოსტუმსაც ბოლო გზაზე გასაცილებლად ჩამაცმევდნენო. მერე ცოტა ხანს გაჩუმდა და ვიფიქრე, მეშველათქო, მაგრამ ბოლოს როგორც მივხვდი, ფიქრებში იყო წასული და რომ გამოერკვა, სინანულით დაამატა: არა, ქორწილშიც კი მყუჟეს კაი მაგრად, მას მერე რომ დავდივარ, ძვლები მეფშვნება, მარა, მაინც ნამეტანი კარქათ მახსოვს ის ზაფხულიო. დავაიმედე, წელს აღარავინ გცემს-თქო და რა ვიცი, აბა... P.S. აუ, ბავშვებო, ნუ, რალა ბავშვებო, III კურსელო ხანდაზმულებო, არ მეგონა, ასე თუ მიყვარდით და ასე თუ მომენატრებოდით! მარად თქვენი ფეშენა“.

### გაგებული ბებია

„საზაფხულო თავგადასავალთან დაკავშირებით ჩემი ბავშვობა გამახსენდა. ერთ დღეს მე და ჩემს შეყვარებულს სეირნობაში ლამის დაგვათენდა. სახლში რომ მივედი, ლამის 3 საათი იყო. ჩუმად შევიპარე ბებოს ოთახში და გვერდით მივუწექი. მშობლები მთელი ღამე მეძებდნენ, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რო სახლში ვიყავი? დილით ბებოს ვთხოვე, ეთქვა, თითქოს მეც მასავით 9 საათზე დაწექი დასაძინებლად. ასე გადამარჩინა ჩემმა საყვარელმა ბებიამ, საზაფხულო ცემა-ტყეპას და საიდუმლოც ჩაიტანა მინაში. ალინა“.

### შერცხვენილი

„დაახლოებით 10 წლის წინ სერიოზულ სამედიცინო დაწესებულებაში ვმუშაობდი, ექიმად. როცა ტუალეტში შევდიოდით, მხოლოდ მაშინ ვანთებდით შუქს. მაშინ ასეთი მრიცხველები არ იდგა და ახლა ვფიქრობ, ალბათ იმიტომ, რომ გაგვეგო, დაკავებული იყო თუ არა. ერთხელაც დამეზარა შუქის ანთება, თან სინათლე ფანჯრიდანაც აღწევდა. შევედი ბედნიერად და რომ ავდექი, სანამ გასწორებას მოვრჩებოდი, ელვისებური სისწრაფით შემოვარდა ვილაც, აანთო შუქი და შემომიგლიჯა კარი... დავრჩი ასე ჩახდილი... აღმოჩნდა ჩვენი განყოფილების ყველაზე მორიდებული ექიმი... ჩვენი ყოველი შეხვედრა, სახეზე სინითლით მთავრდებოდა... ძალიან შევრცხვი... კაკტუსა“.



ერთადერთი, ყველაზე სმოვიან და ახალი ჯმოდოქვი, მოძიქოსაც ადამიანები იყენებენ, დროს



### გულშეღონებული

„ზაფხულის ცხელი დღე იყო. ვასომ ტაქსი დაიქირავა. სახლს რომ მიუახლოვდნენ, მძღოლს უთხრა: — არიქა, გააღე კარი, სული მეხუთება.“

— რა ვქნა, ღია კარით ვერ წავალ, — დაამუხრუჭა მძღოლმა.

— რას ჰქვია ვერ წახვალ? ფული ხომ გინდა? სული მეხუთება და ამის გამო შუა გზაში უნდა დამტოვო?

— ჩადი ძმაო, ღია კარით ვერ ვივლი, ასეთი არც ფული მინდა და არც შარი.

ხუთი წუთი იდავეს. ბოლოს, მძღოლმა იძალავა და ჩააგდო მანქანიდან. ვასომ ქუჩა გადაჭრა და... იქვე, თავის სახლში შევიდა. ოლეგარიო“.

### გატეხილი

„ამ ცხელ ზაფხულს რას არ მოიფიქრებს კაცი, მაგრამ არ ვიცი, ვის მოუვიდა აზრად, ჩემი „ოდნობები“ გაეტეხა. გატეხა რა, ბანკი იყო ეგეც და მილიონები იდო? მაგრამ არ სძინავს ეშმაკს და ჩემი სახელით, ჩემი საიტოდან უცნობ დამპყრობელს კანიბალკასთვის და კიდევ რამდენიმე ლამაზი გოგოსთვის ისეთი მესიჯები მიუწერია, მიმონერა რომ წავიკითხე, სერიოზულად შევშფოთდი. ჩემივე სქესის მოყვარულად ვიყავი ქცეული და ამ გოგოებს „ვკერავდი“. ამ ყველაფერს ვერც მივხვდებოდი, ლანკას რომ არ ეთქვა. თან მოაყოლა — თავიდან მეგონა ხუმრობდი, მაგრამ მერე ეჭვი შემეპარა, რომ ვილაცამ გაგიტეხა საიტო. ჰოდა, მეც გავბრაზდი და „საკეტები“, უკაცრავად, პაროლი გამოცვალე, მაგრამ რა იცი, რა ხდება? იქნებ ვინმემ იხულიგნოს კიდევ და როგორღაც თუ გავიგე, სერიოზულად დავსჯი. ასეთი საზაფხულო თავგადასავალი მაჩუქეს! ელისო“.

### „ეროვნულების“ ამბები


„ეროვნულებს“ ვაბარებ და იქ ამბები ხდებააა?! ჯერ იყო და რეგისტრაციის დროს გამოაცხადეს, გოგოები — მარჯვნივ, ბიჭები მარცხნივ წადითო. ერთი გრძელთმიანი მარცხნივ წავიდა. გაეკიდა კურატორი, გოგონი, მარჯვნივო. ისეთი შეულრინა ამ აბიტურიენტმააა... ბიჭი ყოფილა და... როგორც იქნა, მივედი სექტორამდე და იქ მაგიდები იდგა, მტრისას! ისე ირყეოდა, თავი აკვანში მეგონა. კალმები ჰქონდათ გადასარევეეეე! მელანი გასდიოდა წყალივით (ყვითელი კაბით თუ შევდიოდი, შავით უკან ვბრუნდებოდი). თუ მელანი არ იღვრებოდა, მაშინ არ წერდა. რომ წავინუნუნეთ ამის გამო, მეთვალყურემ იმხელა იკივლა, შეზანზარდა მთელი თბილისი. რა გვითხრა, იციით? ეგ კალამი თუ არ წერს, ჩვენი კი არა, თქვენი ბრალია, კარგი კუთხით არ გიჭირავთ და მაგიტომ არ წერსო. აჰა, ანუ 90-

● გრადუსიანი კუთხით თუ დაიჭერ, დაწერს. ● თუ არადა, გეტყვიან: წერა შენ არ გცოდნია ● შვილო და რას მორბოდი გამოცდაზეო? ● ქართულის გამოცდაზე გვერდით ერთი ბიჭი ● მეჯდა. არაფერს წერდა. პასუხების მიტანის ● დროს დავინახე იმ ბიჭის ფურცელი, დიდი ● წარწერით: „შე ვირო, ხომ გეუბნებოდნენ, ● ქართული კარგად ისწავლეო?“ გავოგნდი. ● ერთი ბიჭი არც შეხებია პასუხების ფურცელს: ● ჩემები ზღვაზე არ მიშვებენ და სამაგიეროს ● ვუხდი დედაჩემს, გამოცდების არჩაბარებითო ● (ა, ესაა „კარენოი“ შტერი). აი, ასე მიდის ● ეროვნული გამოცდები. მარ, თუ დაბეჭდავ, ● ვიმედოვნებ, რომ ამის გამო, არც მე დამი- ● ჭერენ, არც შენ და არც ტრიფონას. გენაცვა- ● ლოთ თქვენი აბიტურიენტი დამავოი“.

### გულჩვილი და მტირალა

„ანა სამეგობროში ყველასგან განსხვავებუ-  
ლი გოგოა. გულჩვილი, მტირალა და ძალიან  
პრანჭია. ამიტომ ყველა თბილად ექცევა.  
ზოგჯერ აბრაზებენ კიდევ. მისი გაბრაზება  
ამქვეყნად ყველაზე ადვილია. მეგობრების  
ერთი სიტყვა იმის შესახებ, რომ თმა აეჩეჩა  
ან ფრჩხილი მოსტყდა, საშინლად აბრაზებს  
და შეიძლება პატარა ბავშვივით ატირდეს  
კიდევ. მათ სამეგობროს ამ ზაფხულს რაიო-  
ნიდან ახლად ჩამოსული დათოც შეუერთდა.  
დათო დიდი ვერაფერი ბიჭია, მაგრამ მაგარი  
„ზმანია“, თანაც გულში ჩამწვდომი ხმა და  
დამატყვევებელი თვალები აქვს. გაცნობის  
დღიდანვე დაიმსახურა გოგონების სიმპათია.  
თითქმის ყველა გოგო მასზე აფანატებდა.  
ბიჭებს კი ნამდვილად არ ესიამოვნათ მისი  
გამოჩენა. დათოს ყურადღება მხოლოდ ანამ  
დაიმსახურა. ხედავდა, როგორ ეფერებოდნენ  
მეგობრები თმაზე, როგორ აბრაზებდნენ და  
როგორ უფრთხილდებოდნენ. რა არ სცადა,  
მასთან დასაახლოებლად, მაგრამ ეს ჩვენი  
ანჩაჩო მეტისმეტად უკარება აღმოჩნდა. მე შენ  
გიჩვენებ სეირსო, გაიფიქრა ყმანვილმა და  
სიყვარულით სავსე ხმით ჩასჩურჩულა: გოგო-  
ნა, „პრიჩო“ დაგეშალაო. ანამ დაიმორცხვა და  
ის იყო, ტუჩები სატირლად მოამზადა, რომ  
დათომ თავზე ხელი გადაუსვა და სიცილით  
უთხრა, გეხუმრე ლამაზოო. უცებ ორივეს  
გაეცინა და ასე დაიწყო მათი ურთიერთობა.  
მალე სიყვარულიც აუხსნა, სასიყვარულო სი-  
ტყვების გამგონე გოგოს, თავიდან ფეხებამდე  
მთელი სხეული აუთრთოლდა. ერთ დღეს  
სამეგობრო და მათ შორის ანა და დათოც,  
საქეიფოდ წავიდნენ. 1-2 ჭიქა დალიეს და  
გულახდილობის ხასიათზე დადგნენ. სწო-

აჯადმოიომბა მოგანიზმის  
ძღვძამოგობა,  
მოცა ისიც ყი ამ ვინდა,  
მაც ექიმმა ავიმძალა





რედ ამ დროს წამოიჭრა ერთი, ჭორაობაზე შეყვარებული გოგო და სახეგაბრწყინებულმა კმაყოფილებით განუცხადა ანას, ვიცი, შენ და დათოს ერთმანეთი რომ გიყვართო. გაოცებისგან თვალები შუბლზე აუვიდა შეყვარებულ წყვილს. ამ დროს კი დანარჩენი ჭორიკანები ნიშნისმოგებით ჩურჩულებდნენ ერთმანეთში. თურმე, ნუ იტყვი და ყველას სცოდნია ეს ამბავი და მალულად გადაჰქონდ-გადმოჰქონდათ აქეთ-იქით (დაეზარებოდათ თუ რა?!). დათო გოგონებთან ერთად ცეკვავდა, ანას კი ყურადღებას აღარ აქცევდა. გოგონას სახეზე სიხარულის გამომხატველი იერი სევდამ შეცვალა. ქეიფის დასასრულს, დათოს გოგოები შემოეცალენ. მხოლოდ ანა იყო მის სიახლოვეს. დათომ თავისკენ მიიზიდა, ხელი მოხვია და სასმლისგან გაბრუებულმა, ორი სიტყვა ძლივს ამოიღულღულა: შენ ჩემი პატარა ქალი ხარ!... თუმცა, ძველებურად სიყვარულით აღარ გაღიმებია ამ სიტყვებზე, გულგატეხილ გოგოს. თავი ჩალუნა და აღელვებულმა, სიტყვის თქმა ძლივს მოახერხა — რომ მოკვდე, გულიც კი არ დამწყდებაო... დათო გაოცდა, ველარაფრის თქმა ველარ მოახერხა, ანას ხელი გაუშვა და მანქანისკენ გაემართა. გოგონა მიხვდა, რომ აწყენინა. უკან გაჰყვა. ის იყო, მანქანა უნდა დაეძრა და ამ დროს ანამ ხელი გულზე მიიძო, მეორე ხელი დახურულ მინას შეახო, სევდიანად გაუღიმა და ათრთოლებული ხმით უთხრა: — გულით არ მითქვამს, დედას გეფიცებიო. თუმცა, ამ სიტყვებმა ველარ დააბრუნა დათო. წავიდა და სულ მარტო დატოვა მტირალა გოგო, რომელსაც ჯერ კიდევ გულზე ედო პატარა ხელი. არ მიყვარს, აბმის თხრობას სევდიანად რომ ვამთავრებ, მაგრამ მართლა ასე მოხდა. ლუნა“.


**მეძროხე**

„ჰოდა, ვარ სოფელში ბებიასთან და ყოველ საღამოს ბავშვები ვიკრიბებოდით ე.წ. ბირჟაზე. იქ ამოდიოდა ერთი ძაან „სვეცკი“, თბილისელი ბიჭი. ჰოდა, თვალების იგრე შემოფეთება იცოდა, გულში ჩამივარდა. ჰოდა, მეც საღამოსთვის მზადებას დილიდან ვიწყებდი და ბირჟაზეც ძაან მაგარი გოგოს როლს ვთამაშობდი. ერთ დილასაც ბებიაჩემის წნევისა და დიდი ჯუჯლუნის მერე იძულებული გავხდი, ძროხები საბალახოდ მე წამეყვანა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ნაცნობი არავინ შემხვდებოდა, რადგან ძროხებს სოფლის ბოლოს, ე.წ. მეურნეობაში ვაბალახებდით და მეც თამამად წავედი. როცა

● უკვე ძროხებიც მაღიანად იცოხნებოდნენ და ● მეც გართობის მიზნით მათ ველაპარაკებოდი ● და როცა მულამშიც შევედი, მესმის ბიჭების ● ხარხარი. როცა განითლებულ-გამწვანებულმა ● მიხედვა გავბედე, ეს ჩემი მოწონებული რომეო ● და მისი ძმაკაცები ხის ქვეშ, „პივით“ ხელში ● ხარხარებდნენ და ჩემს ძროხებთან დიალოგს ● თვალს ყურადღებით ადევნებდნენ. მერე ეს ● ყველაფერი ნაადრევად ქალაქში დაბრუნებითა ● და დარჩენილი დროის სიცხეში ამოხრუკვით ● დამთავრდა. პუმ-სიკა“.

**თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები.**

● „აი მარი, ჩვენ ვართ, შენი გვრიტები... ● ხომ ვართ ასევე? იმ ლამაზ დღეებსაც შენ ● უნდა გიმადლოდეთ, რომლებსაც ერთად ლა- ● მაზად და მხიარულად ვატარებთ... ჩვენ ხომ ● შენი საშუალებით გავიცანით ერთმანეთი. ეს ● ფოტოც მთელი დღის ბორიალის შემდეგაა ● გადაღებული და უკვე შენს ლოდინში ვართ. ● ხედავ, რა სიფათები გვაქვსს? გვიყვარხააა- ● არ... Sweet-Girl“.




● „მამალი ქალი? ალბათ, ● ქმრის ნათესავეები ფიქრობენ ● ასე ჩემზე. სიტყვა დამთავრე- ● ბული არ აქვთ, რომ უკვე ● ჩემსას ვამბობ. ზოგჯერ ისე ● ჩავუნისკარტებ ხოლმე, ლაპა- ● რაკის სურვილი ეკარგებათ. ● ამიტომაც სალაპარაკო თემას ● დიდი სიფრთხილით არჩე- ● ვენ, რომ ჩემი დეზებისა და



● *თუ სცოქმად ყოივნის დროს ● ყველას წესს დაიცავ, ● მინ ვაშმავებოლი, ოხიზელი ● და მშიერი დაშმონდები*





ნისკარტის მსხვერპლნი არ გახდნენ. ენე“.

„ისევ გამარჯობა. მართალია, ცოტა ხანი გავიდა, მაგრამ თავს ახალი ამბავი გადამხდა: გუშინ დილით ბებომ მალაზიაში გამგზავნა (დასასვენებლად სოფელში ვარ წასული). მეზობლის ბაღში რაღაც შრიალმა მიიქცია ყურადღება. სოფელი კარგად არაა დასახლებული და ამიტომაც „იმათ“ იქ რაღაც... გამიკვირდა, რაღა ეს ადგილი შეარჩიეს-მეთქი. თურმე ნუ იტყვი, იმ შეცდენილებს ფიქრში გართული შევუმჩნევივარ და უცებ თავები წამოყვეს. გული გამისკდა. თან სირცხვილისგან ანითლებული გავვარდი სახლში. ალბათ იმ საწყლებს სამუდამოდ დაამახსოვრდებათ ეს საზაფხულო ცოდვა. დიდი გოგო“.

„მამალ ქალზე ჩემი ახლობელი ქალბატონი მახსენდება. ძაან ცელქი ვინმეა... ერთხელ მე და ჩემმა რძალმა ქუჩაში დავინახეთ, როგორ ჰყავდა ორი ბიჭი ქურთუკის საყელოთი დათრეული და ერთმანეთს „ურტყამდა“ იმიტომ, რომ მათ ჩხუბი წამოუწყიათ. მაგრამ ახლა ცოტა ასაკშია და ისე ველარ მამლობს... კიდევ ვიცი ერთი მამალი ქალი. ადრე მომიყვა თავის ამბებს. ბანკები რომ ფულებს ჭამდნენ და მერე გარბოდნენ... ავტომატით მივარდნია და ყველა ვალი ამოუღია. მიყვარს ასეთი ქალები. ყველაფერს აღწევენ ცხოვრებაში... მე ასეთი არ ვარ, მაგრამ თავსაც არავის დავაჩაგვრინებ... კაკტუსა“.

„საზაფხულო თავგადასავლები ვიცი, ბლომად მექნება, რადგან სამარგალოში ვაპირებ დასვენებას და იქ ისეთი ამბები ხდება... არც წლევანდელი ზაფხული იქნება გამონაკლისი. დაგაინტრიგეთ? :) თქვენ ალბათ არ გინახავთ, როგორ ეჯიბრება ადამიანი ცხენს სირბილში... ბავშვს, რომელიც კომფორტულად არის მოკალათებული მაგიდის ქვეშ და სძინავს, მთელი სოფელი რომ ფარნებით ეძებს... როგორ დასდევს ბიძა დისშვილებს მახრით, შესაშინებლად ან ღამით უცხოპლანეტელებს რომ გაჩვენებენ და დილით ბაღში ქვეშ მაკრატელს და სარკეს რომ აღმოაჩენ ხოლმე, ლოგინის ქვეშ — წყლიან ჯიქას, ან შუალამით სულებს რომ დაგალაპარაკებენ და დღე გველებზე სანადიროდ წაგიყვანენ. თუ ამ მესიჯს ეღირსა დღის სინათლე, ხუთშაბათს უკვე მათთან ვიქნები.“

გაკოცეთ, მეგრელო მგზავნელებო. გეფანატებათ თქვენი დეიდა ფლამინგო“.

„ნინა წელს წალვერში ვისვენებდით მე და დედა. იქ მუავე წყლები იყო. ერთ ადგილს „ბუყბუყას“ ეძახდნენ, სადაც სამკურნალო ჟანგი იყო და უნდა გენახა, ხალხი რა მონდომებით ისვამდა სახეზე. ძნელად შორდებოდა და დადიოდნენ ზაფრანასავით გაყვითლებულები. თავი ზიმბაბვეში მეგონა. ჰოდა, ეს ყველაფერი მონასტრის ბიჭს ისე საინტერესოდ აღვუწერე, მეორე დღესვე ჩამოვიდა, დაიკოსთან ერთად და მინდა გითხრათ, ულამაზესი დღე გავატარეთ. პავლიკ, ცხვირზე რომ ჟანგი წაგისვი, მოგშორდა? თუ კიდევ ყვითელი დადიხარ? Green Girl“.

„მარ, სალამი, როგორ ხარ? მე ახალი ჩამოსული ვარ საქართველოში. არ გეგონოთ, დამავინწყდით. ერთი უცნაური რამ უნდა გაგიმხილოთ. მოკლედ, რაც ჩამოვედი, ჩემს მალლა ბინა იყიდებოდა. ძალიან უცნაურმა ხალხმა იყიდა. ყოველდღე, კვირაში შვიდი დღე აივანზე ზამთრის ჯემპრებს, „კურტკებს“, კაბებს, შარვლებს ფენენ და მათ შემყურეს, ხანდახან მგონია, რომ მალე თოვლი მოვა. ან მე ვგიჟდები, ან — ახალი მეზობლები. გოცნით ბევრს, თქვენი პუპსიკა“.

„მაგარი ამბავი გადამხდა თავს ამ ზაფხულს. ჩემს სახლში ერთი ბიჭი ისვენებს, თავის დასთან ერთად. ლექსო ჰქვია, 15 წლისაა. მალალია და სიმპათიური. მაგრად ცხელოდა და წყალი გადავასხი. მითხრა, გაჩერდიო, მაგრამ არ დაუფუჯერე და იგივე გავიმეორე (აი, დებილი რომ ვარ, მანდ გამოვამყლავნე). აილო წყლით სავსე, 10-ლიტრიანი ვედრო და დამიჭირა, რომ არ გავქეუულიყავი, მხარზე ხელი მომხვია, ჩამიხუტა და ეს ვედრო თავზე ჩამომამხო. მაინც არ მოვისვენე. ჰოდა, ეზოში წყლით სავსე აბაზანა იდგა. ეს მძიმე ბავშვი ამიტაცა ხელში და შიგნით ჩამაგდო. იმ დღეს ძაან მაგრად გავერთე. Rock Smile“.

„ჩემს კლასში შეყვარებული გოგო და ბიჭი იყო. ერთ დღეს ეს ბიჭი მეორე ბიჭმა სცემა. გაეკიდა ეს გოგო და სულ პანლურები ურტყა. მას მერე იმ ბიჭს შერცხვა და სხვა სკოლაში გადავიდა, მაგრამ მოგონებებს რა გამოგვიღევს და დღესაც მაგრად ვხალისობთ ამ ამბავზე. გიო“.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „დაუპატიუბელი სტუმარი“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „სად და ვისთან ერთად დავისვენებდი?“



# სიბეხის ჟამს მოსყდრი სიეკახყდრი და ახდენიდი ოცნება

## პატივცემულ რედაქციას!

თქვენი ჟურნალის მუდმივი მკითხველი ვარ. მინდა, ის ამბავი მოგიყვებო, რაც ჩემს ერთ მეგობარს შეემთხვა. არჩილი ჩემზე თითქმის 15 წლით უფროსი იყო. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩემთან განსაკუთრებულად მეგობრობდა. სწორედ მან წამიყვანა და მანახა ის უმშვენიერესი ქალი, რომელსაც შორიდან ეტრფოდა და ტკბებოდა მისი უზადო სილამაზით.

ეს ამბავი გარდაცვალებამდე 5-6 თვით ადრე მიაშბო. მაშინ 73 წლის იყო, ხოლო ქალი, თუ არ ვცდები, 28-30 წლის.

მაპატიებს ალბათ მისი სული, რომ წერილის საშუალებით მოგიხსრობთ იმას, რაც მას თავს გადახდა. იმედია, მოგეწონებათ და გამოაქვეყნებთ. სახელები შეცვლილია და ვერავინ მიხვდება, ვისზეა საუბარი.

პატივისცემით, ლევან ჭუმბურიძე.  
ქ. ქუთაისი  
2 ივლისი. 2009 წელი.

90-იანი წლების საქართველო... „შევარდნაძის შავბნელი პერიოდი“ და არა — შუქი, არა — გაზი... უმუშევრობამ წალეკა ქვეყანა. სწორედ ამ პერიოდში დარჩა უმუშევარი არჩილიც, რომელიც ათეული წელი მოღვაწეობდა სკოლაში. შიმშილითა და ცოლის საყვედურებით შეწუხებულმა, სად არ იარა, ვინ არ შეაწუხა, მაგრამ სამსახური ვერსად იპოვა. მისი ოჯახის ერთადერთი შემოსავალი პედაგოგი მეუღლის მწირი ხელფასი გახლდათ.

ერთ დღესაც, დაბოლმილი და იმედგაცრუებული მიდიოდა ქუჩაში. უეცრად თვალი მოჰკრა თავისი სკოლის მეგობარს, თენგიზს. ერთმანეთს მიესალმნენ, მოიკითხეს... გაირკვა, რომ თენგიზი ერთ-ერთ ისეთ ფირმაში მუშაობდა, რომლებიც სკოლებით მრავლდებოდნენ იმ პერიოდში.

არჩილმა ყოველი შემთხვევისთვის ყასიდად ჰკითხა მეგობარს, შეეძლო თუ არა, დახმარებოდა სამსახურის შოვნაში. თენგიზი წუთით ჩაფიქრდა და სთხოვა, ახლავე გაჰყოლოდა მას. არჩილს გული სიხარულით აევსო. მგონი ბოლო ეღებოდა მის უმუშევრობას.

თენგიზმა არჩილი თავის სამსახურში წაიყვანა. თურმე იქ კარისკაცი სჭირდებოდათ. მუშაობის პირობები, რომელიც კანცელარიაში აუხსნეს, მისაღები იყო მისთვის. მართალია, ხელფასი არ იყო ისეთი, როგორც უნდოდა, მაგრამ რას დაეძებდა? ხუმრობა ხომ არ იყო, სამსახური იპოვა?!

კუდრაჭა, მოკლეკაბიანმა მდივანმა არჩილი მმართველის კაბინეტში შეიყვანა. სამუშაო მაგიდასთან ულამაზესი ქალი იჯდა. ქალი წამოდგა, მიესალმა და გაეცნო. არჩილი მოხიბლული იყო ქალის სილამაზით. ძალიან შეენოდა შავი, ჩამოშლილი, ტალღისებური თმა, თლილი თითები...

მეგამ არჩილის დანიშნის ბრძანებას ხელი მოაწერა და წარმატებები უსურვა.

ამ ერთმა დღემ თითქმის მთლიანად შეცვალა კაცი. თუ ადრე წვერის გაპარსვა სიკვდილივით ეზარებოდა, ახლა თითქმის ყოველ მეორე თუ არა, მესამე დღეს იპარსავდა. დაიწყო უფრო აკურატულად ჩაცმა. თითქმის მთელი საათით ადრე მიდიოდა ხოლმე სამსახურში, რათა არ გამოჰპარვოდა მეგის მისვლა, სამსახურში, რათა დამტკბარიყო მისი სილამაზით.


მეგი ქალური გუმანით ხვდებოდა არჩილის თვალთვალს და გულის სიღრმეში სიამოვნებდა კიდევ, შუახანს გადაცილებული, ჭაღარა მამაკაცის ყურადღება.

— გამარჯობა, ძია არჩილ! — მიესალმებოდა ხოლმე და ყელმოღერებული, სწრაფი ნაბიჯით აუყვებოდა კიბეს.

დრო გადიოდა, არჩილი შეეჩვია სამსახურს, თანამშრომლებს. ყველანი ძია არჩილს ეძახდნენ. ერთ საღამოს, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, მამაკაცებმა გადაწყვიტეს, პატარა პურის ჭამა მოეწყოთ. მოიტანეს სასმელი, კიტრი, პომიდორი, მწნილი, ყველი, პური და სუფრაც გაიშალა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა. შეჭიკჭიკდნენ „ბიჭები“. საღერლელი აეშალათ. დაიწყეს ქალებივით ჭორაობა. ხან ვინ გაჭორეს, ხან — ვინ. ბოლოს მეგიზე ჩამოვარდა ლაპარაკი. მამაკაცები ერთსულოვნად იყვნენ მოხიბლულნი მეგის უზადო სილამაზით. განსხვავებული სასმისით შესვეს მეგის, როგორც ულამაზესი ქალბატონის სადღეგრძელო. არჩილი ჩაფიქრებული იჯდა,







თითქოს არც კი ესმოდა გამხიარულებული მამაკაცების უდარდელი სიცილი.

— ა, ძია არჩილ, ხომ ლამაზია ჩვენი შეფი?  
— ჰკითხა მეგობარმა.

— კი, ლამაზია, ძალიან ლამაზი, არაფერს ვნატრობ ამ ქვეყანაზე, ერთის გარდა: ერთი ეს ქალი მანახა შიშველი და მომკლა მერე, — ამოიოხრა შეზარხოშებულმა არჩილმა და უმაღ დააჭირა კბილი ენას, მაგრამ სიტყვა გაფრინდა ჩიტივით და რალას დაიჭერდა?

ამ სიტყვას უდიდესი მხიარულება მოჰყვა. შეიქმნა ერთი სიცილ-ხარხარი. არჩილი შეცბუნდა, მაგრამ მერე თვითონაც გაეცინა, უნებურად წარმოთქმულ სიტყვაზე.

მეორე დღეს არჩილს არც კი ახსოვდა, რა მოხდა. დღე დღეს მისდევდა.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, იმ მოკლევადიანმა, კუდრაჭა მდივანმა გოგონამ აუწყა არჩილს, მეგი გეძახისო.

არჩილს კი გაუკვირდა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა და კაბინეტისკენ წავიდა. კარზე დააკაკუნა და შესვლის ნებართვა ითხოვა. მეგი შეეგება არჩილს და სკამზე მიუთითა.

თვითონ კი კარი ჩაკეტა, თავის ადგილს დაუბრუნდა და დაჯდა. არჩილს გამომცდელად შეხედა, ჩაფიქრდა და ჰკითხა:

— ძია არჩილ, რამდენი ხანია ჩვენთან მუშაობ?

— თითქმის ათი თვე იქნება, ქალბატონო მეგი. — უპასუხა გაკვირვებულმა არჩილმა.

— მერე, მოგწყინდა ჩვენთან მუშაობა?

— მაგას რას ბრძანებთ? — დაიბნა არჩილი.

— გულახდილად მითხარი ძია არჩილ, მართლა თქვი ჩემზე, ნეტავ ეს ქალი შიშველი მანახაო? — ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაუსვა კითხვა მეგიმ.

არჩილი მიხვდა, რომ „ჩაშვებული“ იყო და თავს ვერაფრით იმართლებდა.

— ა, ძია არჩილ, გისმენ! თვალეში ჩახედა მეგიმ.

არჩილმაც უკან აღარ დაიხია და აღიარა ნათქვამი.

— დიახ მეგი, — რატომღაც მარტო სა-

ხელით მიმართა ქალს, — დიახ ვთქვი, უნებურად წამომცდა.

— მერე, არ გრცხვენია? ასე უნდა გეთქვა ჩემზე? — უსაყვედურა მეგიმ.

არჩილმა თავი ჩაქინდრა.

— არა, მე ცუდი გაგებით არ მითქვამს. უბრალოდ, თქვენმა სილამაზემ მაცდუნა, — წაილულ-ლულა არჩილმა.

უსერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

მეგი წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა. თავჩაქინდრული არჩილი გულში უკვე ეთხოვებოდა სამსახურსა და თავის ულამაზეს უფროსს.

მეგი მალე დაბრუნდა. არჩილმა თავი ასწია და კინალამ გული გაუჩერდა: მის წინ შიშველი მეგი იდგა.

ოფლმა დაასხა. არჩილს აღარც კი ახსოვდა, როგორ დაიჩოქა სათაყვანო ანგელოზის წინაშე.

მეგიმ ფრთხილად წამოაყენა ფეხზე ცოცხალმკვდარი არჩილი.

კაცმა მეგი ათრთოლებული ხელებით თავისკენ მიიზიდა და შუბლზე ეამბორა.

მეგიმ არჩილი სკამზე დასვა, ესეც არ აკმარა გაბრუებულ მამაკაცს და თითქოს პოდიუმზე იყო, თეძოების რხევით კიდევ ერთხელ გაიარ-გამოიარა არჩილის ცხვირწინ და მეორე ოთახში გავიდა.

არჩილი ისევ შოკში იყო. წარამარა ინმენდ-და ოფლს ცხვირსახოცით.

მეგი მალე დაბრუნდა ჩაცმული. მიუჯდა მაგიდას და თითქოს არაფერიო, ჰკითხა:

— რაო, ძია არჩილ, აგისდა ოცნება? მაინც როგორი ვარ, მოგეწონე?

მეგი ეშმაკურად ილიმოდა. შემდეგ წამოდგა, მაცივრიდან გამაგრილებელი სასმელი გამოიღო, თვითონაც დაისხა და არჩილსაც მიანწოდა. არჩილს ეამა გამაგრილებელი სასმელი. სული მოითქვა.

— კარგი, ძია არჩილ, ახლა წადი და გააგრძელე მუშაობა. ნურავის ეტყვი, აქ რაც მოხდა, სულ ერთია, არავინ დაიჯერებს და სამსახურს მართლა ნუ დაკარგავ.

მეგიმ კარამდე მიაცილა არჩილი, ლოყაზე ეამბორა და კარი გაუღო.

არჩილი ფოიეში ჩავიდა. თანდათანობით დაუბრუნდა ნორმალური აზროვნება. თავი სიზმარში ეგონა. ჯერ კიდევ არ სჯეროდა თავს გადახდენილი ამბავი.

ამ ამბის შემდეგ კიდევ სამი წელი იმუშავა არჩილმა. სამი წლის განმავლობაში ესმოდა სანატრელი ხმა:

— გამარჯობა, ძია არჩილ!

შემდეგ კი ჯანმრთელობის გაუარესების გამო, სამსახურს თავი დაანება, ხოლო ორი-ოდე წლის შემდეგ გარდაიცვალა.

...დაკრძალვის დღეს შეკრებილი ხალხის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეზოში აშოლტილი მეგი შემოვიდა, ულამაზესი თაიგულით ხელში. მეგი თავის დახრით გამოეთხოვა ძია არჩილს, შემდეგ სწრაფი ნაბიჯებით გავიდა ეზოდან და თან გაიყოლა გაკვირვებული ხალხის მზერა.





# მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ფრცვლი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

პ  
ა  
ა  
ა  
ა  
ა  
ა



- ვარ 43 წლის ქალი. დროებით ვცხოვრობ ათენში. სურვილი მაქვს, გავიცნო ათენში მყოფი, ჩემი ასაკის შესაფერისი ქართველი მამაკაცი, რომელიც შემომსუბუქებს აქ ცხოვრებას. დარეკეთ საღამოს 9 საათის შემდეგ.
- მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო გულთბილი, მოსიყვარულე მამაკაცი. ვარ კრისტინა, 24 წლის.
- მყავს 23 წლის მეგობარი. ნესიერი, ზრდილობიანი, პატიოსანი გოგონა. გაიცნობს 28-35 წლამდე ასაკის მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვინც იცის სიყვარულის ფასი.
- ვარ 35/165/70. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ნორმალური გარეგნობის, 40 წლამდე ასაკის მამაკაცს, რომელსაც არასდროს ჰყოლია ცოლ-შვილი.
- გავიცნობ სიმპათიურ, ყურადღებიან, მატერიალურად შეძლებულ მამაკაცს, 40 წლამდე, რომელიც შეძლებს დახმარებას.
- ახლა ძალიან მარტოსული ვარ. თუ ვინმეს სურს, აღარ ვიგრძნო თავი მარტო, გამოემხმეაუროს 20-35 წლამდე ასაკის, სერიოზული პიროვნება.
- როგორც კი დაქალის ტელეფონი ჩაგვივარდება გო-

გონებს ხელში, რა თქმა უნდა, ჩუმად ვგზავნით მისი ნომრიდან მესიჯს, მისი გაბედნიერების მიზნით. იმედია, გვაპატიებს, ჩვენ ხომ მისი გაბედნიერება გვსურს. არის 40 წლის, სერიოზული, სიმპათიური და საქმიანი ქალბატონი. ქორწინებაში არ გაუმართლა. გვსურს გამოემხაუროს შესაფერისი მამაკაცი.

8. გავიცნობ შვილიან მამაკაცს, 40-46 წლისას, ოჯახის შექმნის მიზნით.

9. ვარ ქვრივი. გამოემხმეაუროს 35 წლამდე ასაკის, ნორმალური, დამოუკიდებელი მამაკაცი, ვისაც ნამდვილად უნდა ოჯახის შექმნა.

პ  
ა  
ა  
ა  
ა  
ა  
ა




- ვარ 47/185/100/ და-ოჯახების მიზნით გავიცნობ შესაბამისი მონაცემების მქონე მანდილოსანს, 38 წლამდე. ვარ დასაქმებული.
- მინდოდა გამეგო „გზა“ №28, 1-ლი მესიჯის ავტორის ნომერი და მივიღე პასუხი, დაუდგენელიაო. დამიდგინეთ და მომწერეთ, მე სწორად ავკრიფე.
- ოჯახის შექმნის მიზნით გამოემხმეაუროს 32-35 წლამდე ასაკის ქალბატონი, დასავლეთ

საქართველოდან. დანარჩენი — პირადად.


13. გავიცნობ ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელ, ინტელიგენტ, 35 წლამდე ასაკის ქალბატონს, ბავშვის გაჩენის მიზნით, მისთვის გვარის მიცემისა და ერთობლივად აღზრდის პერსპექტივით.

პ  
ა  
ა  
ა  
ა  
ა  
ა



- ვეძებ მეგობარს, კახეთში. ხვიჩა ჯალიაშვილს. ხვიჩა, შემეხმინა. ინა, თბილისი.
- მოგესალმებით. ვეძებ თამრიკო კოლელიშვილს. თამრი, ძალიან გვენატრები. მაია, გორიდან. დამირეკე ან ჩამოდი. მენატრები, დამიკოცნე შვილები. ყველა მიყვარს. მინდა, მესტუმრო.
- ვეძებ მზევინარ კაკრი-აშვილს, მცხოვრებს ჭიათურაში, ბაქრაძის ქუჩაზე. ვთხოვ, გამოემხმეაუროს. 25 წლის უნახავი მეგობარი.
- ვეძებ ჩემს ნათლიას, ლალი გაგლოევას. ცხოვრობდა სოლოლაკში. მის ძმას ჰქვია გოგიტა, დას — ნანული. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, გამოემხმეაურეთ ყურნალის მეშვეობით. ოსი ლია.

პ  
ა  
ა  
ა  
ა  
ა  
ა



• პრივეტ მარი, როგორ ხარ, გენაცვალე? რა ცუდი გოგო ვარ, არა? მთლად დავიკარგე... მინდა, ყველა მოვიკითხო, ვისაც ვახსოვარ. განსაკუთრებით კი უკარება და რიცა. კახელო.

• საღამო მშვიდობის, მარიკუნა. იმედია, კარგად ხარ და ყველა შენი ერთგული მკითხველიც კარგადაა. ძალიან მინდა ათენი23-ის გაცნობა. ალინა.

• მარი, გამარჯობა. მე ნატალია ვარ, ლაზვიაშვილი. ჩვენ ერთმანეთი ქალთა კოლონიაში გავიცანით. მე პატიმარი ვიყავი, თუ გახსოვს. ამ რამდენიმე ხნის წინ შენი



სტატია წავიკითხე, სადაც ვი-  
ლაციის ისტორიის მოყოლის  
დროს გამიხსენე (ან ძალიან  
ჰგავდა ჩემს ამბავს). გუშინ  
გზას ვკითხულობდი, ნომერი  
ამოვწერე და გადავწყვიტე,  
მომეკითხე.

● დღეს „გზაა“, „გზაა“  
დღეს, დღეს „გზაა“, „გზაა“,  
„გზაა“, „გზაა“ დღეს! სულ  
გავრეკე. აი, მართალი ხარ  
მარ, არ მძინავს და განუხებ  
შენ. არ წავილე ტვინი? ეგ  
იფიქრე, ხომ?

● ეგ ამბავი გრეტაზე კა-  
ხეთში მოხდა და რომელ სო-  
ფელში, რა მნიშვნელობა აქვს?  
ყოველ შემთხვევაში, ქართლში  
არ მომხდარა და გორელი  
თეა, რაში გაინტერესებს?

● მენატრებით ძალიან, ვერ  
გავუძელ ცდუნებას, მე თქვენს  
გარდა ვერაფერი, ვერ მი-  
ხიბლავს გუნებას, ეს რა კარ-  
გი ლექსი გვიძღვენ, ჩემო დაო  
ლიმონა, რა ძვირფასი ჭკუა  
გაქვს, რომ ლექსი გამოიგო-  
ნა. გესალმები ჩემო ლუნა,  
რა ლამაზი რამ ხარო, შენს  
უდიდეს და წრფელ გულთან  
მინდა თავი დავხარო, ბერბი-  
ჭაც რომ მენატრება, ძლიერ  
ვწუხვარ, რა ვქაო? წავიდა  
და დაგვივიწყა, ლამპიონიც  
ჩაქრაო. იდუმალო ქალო,  
გკოცნი, სევდიანო გეფერები,  
მთელ მგზავნელებს შემოგე-  
ვლეთ, ვინც არა მყავს ნაფერე-  
ბი. გრუზი, დაო, მოგიკითხავ,  
ტკბილი გრძნობით, სავსე  
გულით, ვინც რომ შეხვდით,  
დამეგობრდით, მე ამაზე ვს-  
კდები შურიტ. რად დაგვტოვე  
და წახვედი, ჩემო კარგო კა-  
მელია/ და ასეთი დაკარგული  
გზავნილეთში რამდენია. დაო,  
ლიმონ, გეთანხმები, მჭიდროდ  
ჩავჭიდოთ ხელები, მარის  
ტახტზე ჩვენ ვიბრძოლოთ და  
ვადიდოთ სახელები. მუდამ  
თქვენთან ერთადა ვარ, არ  
გვიწყნებთ არასდროს, ერთი  
დღეც რომ არ მეფიქროს,  
გუნებაში არ მახსოვს, თქვენ-  
თან ერთად სულ ყოველთვის  
ლამაზდება ბუნება, ყველას  
ერთად გეფერებათ, თქვენი  
ქალი ცდუნება!

● გაიხარე მარი, ახლა  
უკვე აზრზე ვარ, როგორ  
მოვხვდე თქვენთან. ლიმონა,  
ძალიან საინტერესო მესიჯე-  
ბის ავტორი ხარ, იუმორიც  
არ გაკლია. შმაგი, ათენიდან,  
რალაც მეცნობი. მინდა, შე-  
მეხმიანო „გზის“ საშუალებით.  
დაქსი-ათენი.

● მარ, იცი? გუშინ „ოდ-  
ნოკლასნიკებით“ ნიკოლი და  
ათენი-23 გავიცანი. ნიკოლი  
ძან სიცოცხლე გოგოა. მისი  
დამსახურებაა, სხვა მგზავნე-  
ლებიც რომ ვნახე. თუმცა, ჯერ  
არ გამიცნია. რაც მთავარია,  
შენც გნახე, მარი. დიდი მად-  
ლობა, რომ არსებობთ. ყველა-  
ნი მიყვარხართ... ნიკოლს და  
ათენ-23-ს მოვიკითხავ, დიდი  
სიყვარულით. პია.

● მეოთხე თვე დაიწყო, რაც  
იტალიაში ვარ და საქართვე-  
ლო უკვე სიგიჟემდე მენატ-  
რება. მენატრება 2 პატარა  
ანგელოზი, ლიკუნა და ელე,  
მენატრებიან ჩემი ოჯახის  
წევრები, მეგობრები, ახლობ-  
ლები და საერთოდ ყველა  
მენატრებით. რა საშინელება  
ყოფილა შორს ყოფნა. ჩემო  
საყვარელო ადამიანებო, გეტყ-  
ვით, რომ სიგიჟემდე მენატრე-  
ბით და მიყვარხართ. დე, ძან  
მენატრები. შორიდან გკოცნი  
უამრავს. სალომე გამილალ-  
დიშვილი.

● მარი, სიხარულო, ახლა  
ჩამოვიდა „გზა“ და ვიყიდე.  
ვნახე ენიგმას მესიჯი, და-  
მიკავშირდით. როგორ და-  
ვუკავშირდე, რომ არ ვიცი?  
ჩემს ნომერს ნამდვილად ვერ  
დავტოვებ და მისი ნომერი  
როგორ გავიგო? იქნებ შენ  
დაგიკავშირდეს და მისცე ნო-  
მერი. თუ არადა ნამდვილად  
არ ვიცი, როგორ დავუკავ-  
შირდე. დამეხმარე, რა...

● სოფი19, ირმა91, იდუ-  
მალო ქალო, Sweet-Girl, მე-  
ნატრებით და ძალიან მინდა  
თქვენი გაცნობა. კამი, გრუ-  
ზი, მოხუცო, მიყვარხართ!  
გაცოცხლებულს თოჯინავ,  
მპაჩებიი. ლუნა.

● გამარჯობა, მე ახალი ვარ  
და იმედია, მიმიღებთ თქვენს  
სამეგობროში. მწვანეთვალეა  
ანგელოზი. ძალიან მიყვარ-  
ხართ ყველა.

● კრიტიკი დათო გორდაძეს  
(აბრესას) მინდა ვუთხრა, რომ  
ძალიან მომენატრა (შენ გაგიხ-  
მა ეგ თავი). გაკოცე მურიან  
ცხვირზე. დაია თამო.

● რამაზი ზაზაძე, ვიტალი  
ჩოჩიევო, ედო ქოქოლაძე,  
ბექუნა ქიზილაურო, ძმებო  
ქილიტაურებო, პაატა დოლუ-  
აშვილო, აბრესა, მომენატრეთ.  
თამო.

● ვითო, დე, მენატრები,  
მიყვარხარ. დათო კრიტიკი  
წაიყვანეს, იქნებ დამირეკო,  
გახსოვს? რაი, რაი კატერი.

გკოცნის შენი დედიჯანი.  
„მობილი-ზაციაში“ ერთ მე-  
სიჯს რომ გაგზავნის, იმას  
მგზავნელად არ ვთვლი. დუჩი,  
სხვის მაგივრად ტიკტიკს  
მორჩი. ნათათო, უცხო ხომ არ  
გგონივარ? რეალშიც გიცნობ.  
რალაც, არა მგონია, შენი  
მზერის პატრონმა ვინმე გაა-  
ოცო, თუ არ გაასაზიზღრე. რა  
პასუხიც მომწერე, პასუხადაც  
იგივე მიიღე, ვითომ ერთ-  
გულო მეგობარო. პარიზის  
შვილი. რად მინდა ფიქრები,  
თუ შენ არ იქნები ან კიდევ  
ხელები, თუ არ მეფერები,  
რად მინდა თვალეები, შენ  
თუ არ გიხილე, რად მინდა  
სიცილი, თუ არ გამიღიმე,  
რად მინდა სიცოცხლე, შენ  
თუ არ იცოცხლე. მიყვარხარ  
იცოდე, ჩემო სიცოცხლე, რად  
მინდა მზის სხივი, შენ  
თუ არ გათბები, ან კიდევ ის  
სახლი, შინ თუ არ დამხვდე-  
ბი. ან კიდევ ის კუთხე, შენ  
თუ არ აკურთხე. მიყვარხარ,  
მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე,  
იცოდე. გკოცნის შენი თამო.  
ჩქარა დამიბრუნდი, რა...

● პრივეტები მგზავნელებს!  
როგორ ხართ? მე ახალი  
ვარ... ჩემი ნიკია პუსკი. ვარ  
11 წლის. პუსკი. P.S. მარი,  
ერთი შეკითხვა მაქვს: ნების-  
მიერ დღეს შემიძლია, მესიჯის  
გამოგზავნა?

● ნიბუ, ქსანში ჩავდიოდით  
და ჩავალთ კიდევ, არა? :-)  
დუჩი, ბუნჩულა ბიჭს ჩემგანაც  
გადაეცი მოკითხვა. რაოოო,  
ზაგარიო?! ეეე, მეც მინდა  
ტო. მის რეალ, როგორ ხარ?  
სიკვდილა.

● ლიმონ, შენი არა მარ-  
ტო პოეტური ნიჭით, არამედ  
პატრიოტული სულისკვეთე-  
თაც ვარ მოხიბლული. კარგი  
ლექსი იყო. აქ მგონი ბევრს  
უყვარხარ და არც უსაფუძვ-  
ლოდ. :) სარვიეტა.

● ჩემი ოცნების იდუმალი  
ქალი დაბრუნდა და მეც მო-  
ვედი. მსოფლიო კრიზისმა  
ჩემს მცირე ბიზნესს პრობლე-  
მა შეუქმნა. სწორედ ამიტომ  
ვერ ვამესიჯებდი, რადგანაც  
საქართველოდან გასული ვიყა-  
ვი, ბელორუსიაში გახლდით.  
ჩემს საქმეებსაც მივხედე და  
რაც მთავარია, ახლა თქვენთან  
ვარ. ჩემს დაიკოს, სევდიან  
ქალს მინდა ვუთხრა: მძიმე  
მდგომარეობაში ყოფილხარ,  
მაგრამ მაინც გეტყვი, სულით  
ნუ დაეცემი და მჯერა, მალე  
შეიცვლება შენი მდგომარეობა



უკეთესობისკენ. მე თუ რამე შემიძლია, შენ გვერდით მიგულე. იდუმალ ქალს კი ვეტყვი: სანატრელო, სულ მალე შენთან ვიქნები. ვიცი, ვინც ხარ და სადაც ხარ. გეფერები ბევრს. ტეხასისშტატელი ჩორნა.

● ნიბუ, საყვარელო, ჩემი ნომერი გაიკითხე ბავშვებში და შემეხმიანე, O.K.? საიდუმლოდ დავგეგმოთ რუსების ჩასიკვდილება. მის რეალ, ძვირფასო, გილოცავ დაბადების დღეს. დუჩი.

● მარი, მე ახალი ვარ. დიდი ბოდიში, გვიან რომ გწერ. ამ ცხოვრებაში რამდენი ტანჯვა გამოვიარე. ვერ ვნახე სატრფო, სიყვარულით ჩემებრ დამწვარი. დოდო.


● ყველას დიდი მადლობა, რჩევისთვის. გაიხარეთ, უფალმა დაგლოცოთ, მიყვარხართ ყველა და გეფერებით, თქვენი Lady.

● შემიძლია, ჩემი ლოვეს კოორდინატები მოგანოდო. ის უფრო კომპეტენტურ და საინტერესო პასუხს გაგცემს. ისე კი, ნიკს ვერ ამართლებ, მისტერ. იკუშვები.

● ცუნცულ, სად დაიკარგე? გამაგებინე, ვინ ხარ, O.K.? ჩორი, მიყვარხარ, მენატრები. ჰო, ქორნილი როდის მაქვს, ბევრი დაინტერესდა და შემოდგომამზე დაგპატიყებთ, უკლებლივ. დუჩი.

● სიცოცხლე ქრება სიკვდილის ზღვარზე, თუმცა ის სადღაც იქვე იწყება... ხშირად დავფრინავთ ხოლმე მიწაზე და ცის არსებობა გვაინფინდება. გჩუქნით ყველას! დათო.

მ  
ი  
ლ  
ი  
-  
ზ  
ა  
ც  
ი  
ა



● ანუკა კუხალაშვილს 15 ივლისს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერ ბავშვობას, ლამაზ მომავალს, უღვე სიხარულს, სიყვარულსა და სიკეთეს. ანუკა, მიყვარხარ ძალიან და ვამაყობ შენით. გკოცნი უამრავს. შენი ნათლია, მაიკო.

● დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ ადამიანს, ია კოტორეიშვილს, 22 ივლისს. ვუსურვებ გახარებას და ლამაზ ცხოვრებას, ქმარ-

შვილთან ერთად. გკოცნი და მენატრებით. ლელა.

● ჩემს პატარა, მონატრებულ შვილს, ნინო გელაშვილს 19 ივლისს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ უღვე სიხარულს და ღმერთის წყალობას.

● ლაშა და გოგი ჩიტოშვილებს და ლევან მარტიაშვილს სულით და გულით მინდა მიულოცო დაბადების დღე. გისურვებ, ჩემო საყვარელო ადამიანებო ჯანმრთელობას, სიყვარულს და უღვე სიხარულს. მრავალს დაესწარი, თქვენს ახლობლებთან ერთად. ზოია ბიცოლა.

● ჩემო ვაჟაკებო, გილოცავთ დაბადების დღეს. 18 ივლისს თოკო ჩაღელიშვილს, 19 ივლისს — სანდრო ჩოჩინაშვილს, 20 ივლისს — ბექა ტოკლიკიშვილს. იყავით გახარებულები. თქვენი ესმა ბაბო და ბიცოლა.

● 19 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ზღარბუნიას, რომელიც დედას ტკივილამდე ენატრება და უზომოდ უყვარს. ვერ ეფერება ახლოდან, რადგან შორსაა. ღმერთმა ჯანმრთელობა და წყალობა არ მოგაკლოს, ცხოვრების გზაზე. კარგ ბედსა და ბედნიერ მომავალს გისურვებ. გამიმრავლდი, იხარე და იბედნიერე, ჩემო თბილო და ტკბილო ნიკა. გკოცნი ბევრს, შორიდან. შენი დედიკო.

● ხვიჩა ყანჩაველს ვულოცავ 19 ივლისს, დაბადების დღეს. ღვთის წყალობა და მაღლი არ მოჰკლებოდეს, საყვარელ მეუღლესთან ერთად. გამრავლდით და გაიხარეთ. ეკა და ჟუჟუნა.

● 22 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს სიხარულს და ჩემს სიყვარულს. ვაკო, მრავალს დაესწარი. გისურვებ ყოველივე კარგს. სიხარულო, მაგრად მენატრები. გკოცნი, გეფერები ბევრს. რამდენი წელია, არ მინახავხარ. მიყვარხარ ძალიან, ძალიან. შენი პატარა ეჭვიანი.

● ჩემს საყვარელ მეგობარს, ლეილა ნიქაბაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და უღვე სიხარულს ვუსურვებ. ბევრ ემიგრანტს დახმარებისხარ და მაღალმა ღმერთმა დაგლოცოს, დაო. ოსი ლია.

● 19 ივლისს, ათენში დროებით მცხოვრებ თამუნა

კოლეიშვილს დაბადების დღეს ვულოცავ. ჩემო თამო, გილოცავ ამ ლამაზ დღეს. იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი. გისურვებ შენი ჩანაფიქრის განხორციელებას და ლამაზ მომავალს. გაგეზარდოს გიო. მიყვარხარ. კატო.

● ჩემს მეგობარს, ვალერი კუპრაშვილს 22 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავ. ვუსურვებ წინსვლას, ცხოვრებაში. ვაკო, მაგრად გვიყვარხარ, გკოცნით ბევრს. შენთან ვართ, მთელი გულით. ეკა.

● ჩემს დეიდაშვილს, რეზიკო აბრამიშვილს ვულოცავ იუბილეს. დიდი და სასახელო ბიჭი გაიზარდე, ჩემო პატარავ. ყველაფერი საუკეთესო შენთვის და შენი დაიკოსთვის ყოფილიყოს. გკოცნით ორივეს. ნინო.

● ტიკარაძე დოდო, მინდა მოგილოცო დაბადების დღე და ზედ დავურთო ათასი კოცნა. შენი ცხოვრების მეგზური იყოს, წმინდა მარიამ ქალწულის ლოცვა. დოდო, მიყვარხარ და გაფასებ. ნესტანი.

● ოზურგეთელო ნანა ელიაძე-დარჩია, გილოცავ დაბადების დღეს. მანამ გისურვებ ჯანმრთელ სიცოცხლეს, სანამ დიოდეს რიონი, სანამ არ დაინგრეოდეს, დიდი მთა, კავკასიონის. ნესტანი.

● ჩემო ერთადერთო შვილო, ზაზა კეთილაძე. გილოცავ დაბადების დღეს. შენს ცოლ-შვილში გისურვებ გახარებას და გამრავლებას. მალე დაბრუნებას, საქართველოში. ძალიან მიყვარხარ, შვილო. რაც მე ვერ დაგლოცო, მაღალმა ღმერთმა დაგლოცოს. შენი დედა მზია.

● დაბადების დღეს, 15 ივლისს ვულოცავ ლალის. გისურვებ შვილო ჯანმრთელობას და ლამაზი დღეებით ტკბობას ბესოსთან, მარიამთან და გიორგისთან ერთად. მიყვარხართ და მენატრებით, ჩემო ლამაზებო. მაია.

● ნანი ფანცულაიას ვულოცავ 23 წლის იუბილეს. ჯანმრთელობა, სიხარული და სიყვარული არასოდეს მოგკლებოდეს, ჩემო კარგო. ძალიან მიყვარხარ და მინდა, მუდამ ბედნიერი იყო. ღვთის წყალობა არასოდეს მოგკლებოდეს. დიდი სიყვარულით, დოდო ბენიძე.

● ჩემს საყვარელ და მონატრებულ მეუღლეს, გია



ობოლადეს ვულოცავ დაბადების დღეს, 15 ივლისს. ვუსურვებ ყოველივე კარგს. გკოცნი. ფიქრია.

● უსაყვარლეს ქალბატონს, ინგა ჩუბინიძეს 20 ივლისს დაბადების დღეს ულოცავენ ნინო, ნესტან და სოსო ცხადაძეები. ღმერთი გფარავდეთ მუდამ. მრავალს დაგასწროთ ღმერთმა.

● ბაღდათში, სოფ. წითელხევში დაბადების დღეს ვულოცავ სოსო მეფარიშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და გაბედნიერებას. უფალი გფარავდეს. მზია.

● ჩვენს პატარა ანგელოზს, თეკლა გიორგიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 14 ივლისს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უღვევ სიხარულს. შენზე მონატრებული დედიკო და მამიკო, ათენიდან.

● ჩემს დედიკოს, ლალი დემეტრაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 14 ივლისს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და უფლის წყალობას. შენზე უზომოდ მონატრებული შვილი.

● ჩემს უცნობ შვილიშვილს, მამუკა ზიბაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალი ბედნიერი დაბადების წლები გაგიტენოს უფალმა. გაიზარდე ბებო, ჯანმრთელი და სასახელო ბიჭი. 7 ივლისს 2 წლის გახდი, შენ გენაცვალოს შენი უცხოეთში გადმოკარგული ბებიამაია.

● დიდი სიყვარულითა და მონატრებით, ჩემს საყვარელ ძმას, შალვა ფერხულს ვულოცავ დაბადების დღეს, 20 ივლისს. ჯანმრთელი და გახარებული იყავი, შენს ცოლ-შვილში. მენატრები. თინა.

● დედას შვილს, დედას სიხარულს ვულოცავ დაბადების დღეს, 9 ივლისს და ვუსურვებ ყველაფერს კარგს, რაც ქვეყანაზე არსებობს. მრავალს დაესწარი, ჩემო თვალხატულავ, შენს ქმარ-შვილთან ერთად. მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. გფარავდეს ღმერთი. გკოცნის შენი დედიკო.

● მინდა, დაბადების დღე, 8 ივლისი მივულოცო ჩემს საყვარელ სიძეს, აფრიამაშვილ თამაზს. ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული და ბედნიერი დღეები არ მოგაკლოს ღმერთმა, შენს ოჯახთან ერთად. ძალიან მენატრებით. გკოცნის შენი სიდედრი, თინა.

● ქეთი ჯანგირაშვილს მსურს მონატრებული სიყვარულით დაბადების დღე მივულოცო, 12 ივლისს. ჯანმრთელობა, სიხარული და სიყვარული, წელთა სიუხვე არ მოგაკლოს ღმერთმა, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად, ჩემო სიხარულო. ძალიან მიყვარხარ. გეფერება და უამრავ კოცნას გიგზავნის შენი ემიგრანტი თინა დეიდა.

● ზესტაფონში ფატი ჩუბინიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 16 ივლისს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, გახარებას და ღვთის წყალობას, დიდ ოჯახთან ერთად. ულოცავენ დედა და დები.

● ინგას ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, გახარებას და ღვთის წყალობას, შვილებთან ერთად. ულოცავენ დედა და და.

● ციცი ხუსკივაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, გახარებას და ყოველივე კარგს, თავის ოჯახთან ერთად. ულოცავენ გვიყვარხარ ხონდრულა.

● უსაყვარლეს ქალბატონს, ფატი ჩუბინიძეს 16 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავ. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ოჯახთან ერთად. ციცი.

● ჩემს უძვირფასეს დაიკოს, ინგა ჩუბინიძეს 20 ივლისს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთი გფარავდეს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. გისურვებ ყველაფერს კარგს. ციცი ხუსკივაძე.

● კრისტინა ასლანიკაშვილს დაბადების დღეს, 16 ივლისს ულოცავენ ბიძაშვილები, ნური და ეთო ასლანიკაშვილები, ბიძა-ბიცოლა, აბესა და ელისო. ღვთისმშობლის კალთა გფარავდეს.

● დაბადების დღე მინდა მივულოცო ჩემს საყვარელ მეუღლეს. ბებერო, გილოცავ. გისურვებ ყოველივე კარგს, პირად ცხოვრებაში. გკოცნი. მიყვარხარ ძალიან.

● ქუთაისის გრანდიოზულ მამაკაცს, დათო სოფრომაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მიყვარს ძაან ეს ბიჭი.

● გვანცა ივანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გვანც, მრავალს დაესწარი, ჯანმრთელად და ბედნიერად, შენ საყვარელ მეუღლესთან ერთად. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ. ნანა კიკაძე.

# ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესაჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესაჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესაჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. უურუნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესაჯის ფასია: 50 თეთრი.



დასაწყისი იხ. გვ. 10

**კატო:** აქ ვარ, ახლა შემოვედი, ამ წუთში... გულმა მიგრძნო და შენც გიგრძნო, ეტყობა.

**დათო:** როგორ ხარ? რამდენი ხანია, არ „მინახავხარ“.

**კატო:** ჰო, ვერ მოვიცალე... გადარბენაზე ვიყავი. შენ როგორ ხარ? მე მომენატრე. შენ?

**დათო:** აღარც კი ვიცი, ამას რა ჰქვია. „მომენატრე“ ვერ გამოხატავს შენს შიმშილს.

**კატო:** შევეჩვიეთ ერთმანეთს...

**დათო:** დედა როგორ გყავს?

**კატო:** ახლა არა უშავს... კარგადაა უკვე, მაგრამ ჯერ კიდევ უნდა მოერიდოს გარეთ დიდხანს ყოფნას.

**დათო:** მომაკლდა შენი სიტბო.

**კატო:** ვაპირებდი რაღაც თბილის თქმას, მაგრამ სხვა კალაპოტში გადაიყვანე ლაპარაკი.

**დათო:** დამძიმებული ვარ, ყურადღებას ნუ მომაქცევ, ნამეტანი მომივიდა ეს დღეები.

**კატო:** დალევას გულისხმობ?

**დათო:** ჰო. შენელებული მაქვს რეაქცია.

**დათო:** მინდისხარ.

**კატო:** მეც.

**დათო:** როდის?

**კატო:** შაბათს.

**დათო:** ველარ ვითმენ. ასეთ დროს შენთან ჩახუტება მინდება. წარმოიდგინე, რომ ზურგზე ვწევარ და შენ — ჩემს მარჯვენა მკლავზე გვერდულად. ისე, რომ ჩამძვრალი ხარ ჩემს ყელში და ნაზად მკოცნი. ცუდად ვარ, შენთან მინდა. შენ ჩემი უნდა იყო.

**კატო:** შენი შეხების დაუოკებელი სურვილი მაქვს...

**დათო:** განსაკუთრებით სად გინდა, რომ შეგეხო?

**კატო:** სიმართლე გითხრა?

**დათო:** ჰოოო...

**კატო:** ყველაზე მეტად შენს ტუჩებზე მინდა შეხება ტუჩებით... კოცნა მინდა ყველაზე მეტად.

**დათო:** გაბუტული ტუჩებით?

**კატო:** ჰო, ბუნჩულა ტუჩებით... წარმოვიდგენ ხოლმე, სულ პირველ კოცნას, როგორ შეხები ნაზად, ნელა, დაგემოვნებით და მერე, როცა კოცნაზე კოცნით გიპასუხებ... გაშმაგდები.

**დათო:** მეტი აღარ შემიძლია, მოკვკვი. შაბათს ავისრულებ მაგ ოცნებას...

**კატო:** ხომ მპირდები?

**დათო:** აუცილებლად. რომელი საათისთვის?

**კატო:** დანარჩენი ყველაფერი შენზეა დამოკიდებული... ველი შენს განკარგულებებს.

**დათო:** OK.

**კატო:** საღამო მირჩევნია, ისე...

**დათო:** ვნახოთ, შაბათს წესით ვმუშაობ, თან სტუმრები გყავს. იმედია, ხელს არაფერი შეგვიშლის.

**კატო:** ჰოოოოო... ჰოოოოო... მე მგონი ვილაცამ ჯადო გაგვიკეთა...

**დათო:** ყველაფერი კარგად იქნება. ისე, მაინც ტერესებს, ლამაზი ფხეები გაქვს? :)

**კატო:** სურათს გამოგიგზავნი და თვითონ ნახე.

**დათო:** ეს მინდოდა? ისედაც შენთან ერთად ვიძინებდი და ვიღვიძებდი?! ღმერთო ჩემო!

**კატო:** რა იყო... ჩემთან გინდა?

**დათო:** ახლავე!!!

**კატო:** არა, სიხარულო, ახლა მნიშვნელოვან შეხვედრაზე მივდივარ და ვერ დავაგვიანებ... გკოცნი... იცოდე, რომ ძალიან მიყვარხარ... მაკოცე და წავალ.

**დათო:** აღარ მინდა სიცოცხლე (უშენოდ).

**კატო:** სიცოცხლე ერთად გავაგრძელოთ! ჰოდა... გეხუტები და ვერ მივდივანააააააარ-რრრ!

**დათო:** შენთან მინდა...



**კატო:** წავედი, სიცოცხლევ... ბევრს გკოცნი.

**დათო:** ვერ გემშვიდობები.

**კატო:** დამიტოვე მესიჯი, საღამოს წავიკითხავ... 2-სიტყვიანი არა, ოღონდ... არც სამიანი... ბევრი მომწერე. წავედი, მაგვიანდება.

**დათო:** არ მინდა, რომ წახვიდე. აუტანელია ნეტარების განცდის მოლოდინი... რა, გინდა, რომ ჭკუიდან გადამიყვანო?

29 მაისი, 07:17

**კატო:** მიყვარხარ... შენ იცი, ეს სიტყვა რას ნიშნავს?

**კატო:** რაღაც ხდება ალბათ... ბოლოს 9-ის ნახევარზე შემოსულხარ საიტზე და პასუხიც არ მოგიწერია... რა ვიცი... რა ვიცი... რით იმართლებ თავს? ჯობია, დამაჯერებელი არგუმენტები მოძებნო...



**დათო:** ველარ მოვითმინე, დრო შევარჩიე ისეთი, რომ კომპიუტერის ოთახში არავინ ყოფილიყო და სახლიდან შემოვედი. შენი სმს დავათვალიერე, მხოლოდ. პასუხს ვერ მოგწერდი. ნუ ხარ საძაგელი ეჭვიანი.

**30 მაისი, 11:24**

**დათო:** როგორ ხარ?  
**კატო:** კარგად, გული ამიჩქარდა, შენ რომ დაგინახე.  
**დათო:** რომ დამინახე თუ ჩემი ხმა რომ გაიგე?  
**კატო:** შენი ნომერი რომ დავინახე ტელეფონზე, მეც ელეთ-მელეთი მომივიდა...  
**დათო:** რა დღეში ვართ?!  
**კატო:** რა დღეში? გულის ფანცქალში?  
**დათო:** გეთანხმები. რატომ ხარ ასეთი ეჭვიანი?  
**კატო:** სხვისთვის არ მემეტები და იმიტომ...  
**დათო:** მე შენ გეკუთვნი.  
**კატო:** ჯერ — არა!  
**დათო:** იმედია, დღეს ხელს არაფერი შეგვიშლის. საღამოს სულმოუთქმელად ველოდები.  
**კატო:** ე.ი. დღეს ვხვდებით?  
**დათო:** რა იყო, ხომ არ გადაიფიქრე?  
**კატო:** არა... მე არა...  
**დათო:** ჰოდა, ახლა გავდივარ და 2 საათზე დაგირეკავ, შეხვედრის თაობაზე.  
**კატო:** აქ აღარ მოხვალ?  
**დათო:** ვნახოთ, მე მგონი, კი.  
**კატო:** მაშინ დროებით.  
**დათო:** დროებით.

**14:51**

**დათო:** მოვედი, გელი.  
**კატო:** ბუმ-ბუმ-ბუმ-ბუმ... ასე ფეთქავს გულიიიი!  
**დათო:** თვე ნახევარია!!!  
**კატო:** 22 აპრილიდან...  
**დათო:** 39 დღეა და 38 ლამე...  
**კატო:** ჰო, ასეა...  
**დათო:** დავაზუსტოთ შეხვედრის დეტალები.  
**კატო:** გისმენ.  
**დათო:** შენ როცა მეტყვი, იმ დროს შევხვდეთ. მე უკვე მცალია.  
**კატო:** ნ-ზე.  
**დათო:** კარგი. ახლა მითხარი, რომელი ვარიანტი გირჩევნია:

1. ჩვენი პირველად დაგეგმილი შეხვედრა ყველა ნიუანსით, ოღონდ სხვაგან (ყველაზე რომანტიკული). ამ დროს მე უწყვეტად ტელე-

ფონზე ვარ და გკარნახობ, სად და როგორ უნდა მიხვიდე.

2. ჩვენ ვხვდებით სადმე ორი მანქანით და მივდივართ დანიშნულების ადგილზე.

3. ჩვენ ვხვდებით ერთი მანქანით და მივდივართ დანიშნულების ადგილზე.

**კატო:** პირველი ვარიანტი, თვალების ახვევის გარეშე, ოღონდ...

**დათო:** მაშინ რა აზრი აქვს 1-ელს?

**კატო:** მაშინ მე-2.

**დათო:** და რატომ არა — 1-ლი?

**კატო:** ძალიან მინდა, რაღა დაგიმალო...

**დათო:** ჩვენ ტელეფონზე ლაპარაკს არ შევწყვეტთ, სანამ მე არ შემოვალ ოთახში.

**კატო:** ჰო, მაგრამ მინდა, რომ დაგინახო.

**დათო:** კარგი, ოღონდ ორიოდ ნუთი მაცალე, კონიაკი დავლიოთ და მერე აგიხელ თვალებს. ჭიქას მე მოგანვდი.

**კატო:** არ ვიცი, მაგის პირობას ვერ მოგცემ. შეიძლება, ბოლო ნუთში გადავიფიქრო.

**დათო:** კარგი, შევთანხმდით.

**კატო:** მერე?

**დათო:** შენი სამსახურიდან გამოუყვები გზას. ზუსტად მესამე შესახვევში შეუხვევ. დაინახავ ორსართულიან სახლს, წინ ავტოფარეხებით. გააგრძელებ გზას. მარჯვნივ, დიდ ჭიშკართან გააჩერებ. დაცვა კარს გაგიღებს. შეხვალ მანქანით, მაგრამ არ გადმოხვალ. დაცვა შემდეგ მეორე რკინის კარს გაგიღებს, მერე დაკეტავს გარედან და შენს მეტი შიგნით არავინ იქნება. გადმოხვალ მანქანიდან და აუყვები კიბეს.

**კატო:** ეგ სახლია თუ სასტუმრო?

**დათო:** სასტუმრო.

**კატო:** გასაგებია.

**დათო:** რომ შეხვალ, დაათვალიერე, არ იჩქარო. პირველზე ჯაკუზია, მეორეზე — მისაღები, მაგიდასთან ხილი და კონიაკი იქნება. შენ სადაც გესიამოვნება, იქ მოთავსდები და რომ მეტყვი, მაშინ შემოვალ.

**კატო:** შენ იქ იქნები უკვე?

**დათო:** მე შორიასლოს ვიქნები და გაკონტროლებ. რომ შემოუხვევ, დაგინახავ. კარგი, დროა, გამოხვიდე... მეც გავდივარ, გელოდები ადგილზე. ტელეფონი ჩართული მაქვს...

**კატო:** ვაი, გულიიი! კარგი, დროებით...

**1 ივნისი, 16:02**

**დათო:** როგორ ხარ? ახლახანს მოვიცალე კომპიუტერთან დასაჯდომად. ახლა მოვედი.

აქ ვარ და გელოდები. მე მომენატრე...

**კატო:** მეც მომენატრე უკვე...

**დათო:** კიდევ მინდოდა შენთან.

**კატო:** რომ ვიხსენებ, მაჟურ-ჟოლებს...

**დათო:** მიყვარს, ქალი რომ იღებს თავის თავზე ინიციატივას...

**კატო:** ჰო, მაგრამ დაძაბული ვიყავი და მრცხვენოდა... ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ ყველაფერი უკეთესად გამოვიდოდა...

**დათო:** :))) ინტრიგით სავსე ხარ... ყველაფერი ისედაც ძალიან კარგად იყო... რა დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად?



*წამყვანის მიწვევისას ყველაზე ძნელია მოძებნი ისეთი ადამიანი, რომელსაც ვიღონაოვლად გასუბამდეზა*



**კატო:** პირველი შეხება... კოცნა...

**დათო:** საოცარი განცდა იყო...

**კატო:** ოთახში რომ შემოხვედი, ლამის გული წამივიდა...

**დათო:** მეც ძალიან ვლელავდი, მაგრამ მამაკაცი ვიყავი და ინიციატივა საკუთარ თავზე უნდა ამელო...

**კატო:** იმიტომ იყო, რომ მაშინვე თავი ჩამიდე კალთაში?

**დათო:** ჰო... თან კონიაკიც მოვიყიდე 2 ჭიქით, რომ დაძაბულობა ორივეს მოგვხსნოდა...

**კატო:** თვალეში რომ შემომხედე, უზომოდ დიდი სიყვარული და სურვილი დავინახე.

**დათო:** გაგიკვირდა? სურვილების სადღეგრძელო ხომ დავლიეთ ერთად? ასრულებული და ახდენილი ოცნებებისაც...

**კატო:** არა, არ გამიკვირდა...

**დათო:** მიყვარხარ... უნდა დაგემშვიდობო ძვირფასო... ყველაფერი გადასარევად გამოვიდა და ამის მერეც ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. არ ინერვიულო, მიყვარხარ...

**კატო:** ძალიან კარგი ადამიანი ხარ... ეგ ყველაფერი შენი დამსახურებაა...

**დათო:** დარწმუნებული ვარ, სხვა დროს მეტად გახსნილი იქნები...

**2 ივლისი, 06:12**

**კატო:** ეს მესიჯი გახსოვს? „ჩემს უამრავ ფიქრს შენზე ფიქრიც დაემატა, ამ ბოლო დროს...

არ ვიცი, ამას რა ჰქვია... შენ სიყვარულს ეძახი და შეიძლება, ასეცაა. თავისებური, უცნაური და ალბათ უპერსპექტივოც, მაგრამ მაინც — სიყვარული... იქნებ სწორედ ამიტომაც ასე საინტერესო და ტკბილი... შენ შეავსე რაღაც სიცარიელე, რომელიც არსებობდა... თუმცა, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ შეიძლება უეცრად აორთქლდე და ეს სიცარიელე ისევ დარჩეს...

ხანდახან ვფიქრობ, მჭირდება კი ის, რასაც ასე ვნატრობ... მჭირდება კი, შენი სიყვარული, ალერსი? ალბათ მჭირდება, რადგან გული ასე ითხოვს... რაც შეეხება ყოფით წვრილმანს, რომელსაც ჩემი ტელეფონის ნომერი ჰქვია და რომელმაც გუშინ შენი ასეთი გაოგნება გამოიწვია... ეს უბრალოდ, კომუნიკაციის საშუალებაა და მეტი არაფერი... ნუთუ შეხვედრის შემდეგაც არ იქნება საჭირო ეს წვრილმანი??? თუმცა, მერე უფრო აღარ იქნება საჭირო... ერთადერთი შეხვედრა გაცილებით რომანტიკული იქნება, ვიდრე რამდენიმე... ყველაფერი სიზმარია და სიზმრად დარჩება“...

**06:48**

**კატო:** არ ვნანობ... არ ვინანებ... თავისუფალი ხარ... მორჩა!!!!

**11: 29**

**დათო:** საოცარი ადამიანი ხარ! დიდ პატივს გცემ! არ მინდა, რომ ჩვენი ურთიერთობა განწყდეს...

**კატო:** არ ვიცი, რამდენად გონივრული იქნება ჩვენი ურთიერთობის გაგრძელება... ჭკვიანი ადამიანი ხარ და ვენდობი შენს აზრს, ამასთან დაკავშირებით.

**დათო:** შენი იმედი ყოველთვის მექნება!!!

**კატო:** ჩვენ ხომ ძმაკაცები ვართ... ძმაკაცის იმედი ყოველთვის უნდა გქონდეს... მზად ვარ, შენ გამო ტანკს შევუვარდე... :)

**დათო:** ფამილიარობას ჰგავს...

**კატო:** უფრო ხუმრობა იყო...

**17 ივნისი**

**დათო:** როგორ ხარ? იმედია, არ მეზუტები... შენი შემწეობით „გზის“ მკითხველი გავხდი... „ჩვენს ამბავს“ დიდი ინტერესით ვეცნობი... ასე მგონია, ეს ჩემი და შენი კი არა, სხვისი საუბარია. სხვა თვალთ ვკითხულობ. ვის გამოც „გზის“ კითხვა დავიწყე, იმედია, კარგად მყავს. შენ ჩემი ოცნებები გააცოცხლე. არასოდეს დამავიწყდება ჩვენი მიმონერა და შეხვედრა. ბედნიერი ვარ, რომ შენ არსებობ...

**კატო:** რა დაგავიწყებს მაგას, ისტორიას შემორჩა სამუდამოდ... თურმე იმდენი მკითხველი ჰყავს, გაგიჟდები... ინტერესით კვდება ხალხი და გვგულშემატკივრობენ. ბოლოს, იმედი რომ გაუცრუვდებით, რა მოხდება, ნეტავ?

**დათო:** იმედის გაცრუება? მე მგონი, პირველი შემთხვევაა, რომ ვერ გიგებ.

**კატო:** გადამეჩვიე?

**დათო:** შეიძლება... რაღაც დათრგუნული ვარ. ძალებს ვიკრებ ეტყობა, წინ სერიოზული გამოცდა მელის...

**22 ივნისი, 23:43**

**დათო:** როგორ ხარ?

**კატო:** ვაა... სალამო მშვიდობის... ახალი ინტერესი გაგიჩნდა, როგორც ვხედავ... ასე გვიან, — აქ?! :)))

**დათო:** ჰო, ჩემო მონატრებავ, სამსახურში ვარ, მაგრამ არა — ახალი ინტერესის გამო.

**კატო:** ვიცი, რომ გულწრფელი ადამიანი ხარ და ტყუილი და ფლიდობა არ გიყვარს... ნუთუ როცა „ჩემო მონატრებას“ ამბობ, გულწრფელი ხარ მაშინაც?

**23 ივნისი**

**დათო:** ეს დაუვიწყარია!

**24 ივნისი**

**დათო:** ნუ დაიკარგე... მომწერე, 2 სიტყვა მაინც...

**25 ივნისი**

**დათო:** ახლა მომეცა საშუალება, ამ კვირის „გზის“ წაკითხვის. საოცარი გრძნობაა... მგონი ეს ძალიან რომანტიკული ადგილი იყო... მინდა, შენი დანერვილი თითოეული სტრიქონი გადავიკითხო. იმედია, ხელს არ შემეშლიან!

**27 ივნისი**

**დათო:** მომწერე როგორ ხარ, ნუ დამივიწყე...


**7 ივლისი**

**დათო:** იცი, ვერ გივიწყებ და სიმართლე გითხრა, არც მინდა, დაგივიწყო!

დასასრული



# 10 ფაქტი საკვებებს შესახებ



რი არ უნდა მიირთვან! მათში შემავალი ბეტა-კაროტინი, რომელიც ჩვეულებრივ, უჯრედებს ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნისგან იცავს, მწველებზე საპირისპიროდ მოქმედებს. ის კონცეროგენულ ნივთიერებებთან რეაქციაში შედის (მათ თამბაქოს კვამლი შეიცავს) და თავად გარდაიქმნება კონცეროგენად.

VI ფაქტი: ხველებამ დაგტანჯა? შოკოლადი მიირთვი და კაკაო დააყოლე. ალკალოიდი თეობრომინი, რომელსაც კაკაოს მარცვლები შეიცავს, გაცილებით ეფექტურია ხველებისგან თავის დასალწევად, ვიდრე კოდეინი.

VII ფაქტი: მწვანე ჩაი გაბდომაში დაგეხმარება, თუნდაც ზომაზე მეტ საკვებს მიირთმევდე. კალიფორნიელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტის გზით დაადგინეს, რომ ძალზე ეფექტურია ჩაი „ოოლონგი“, რომელიც უკვე დიდი ხანია, ჩინურ მედიცინაში გამოიყენება.

VIII ფაქტი: შაქრისა და თაფლის გამოყენება შიშის დათრგუნვაში დაგეხმარება. ექსპერიმენტი ვირთხებზე ჩატარდა. ამასთან, თაფლი მეხსიერებას აუმჯობესებს. კარგია მხედველობითი მეხსიერებისთვისაც.

IX ფაქტი: გარუჯვის მოყვარულებმა დიდი რაოდენობით პიცა უნდა მიირთვან. გერმანელმა მეცნიერებმა პიცაში ისეთი კომპონენტები აღმოაჩინეს, რომელიც კანს მზის დამწვრობისგან იცავს. 1 პიცის „დაცვითი ეფექტი“ 2 კვირის განმავლობაში მოქმედებს.

X ფაქტი: ინგლისელმა სტუდენტმა, რობინ საუსგეიტმა გამოიგონა ტოსტერი, რომელიც პურის ნაჭრებზე ამინდის პროგნოზს „ბეჭდავს“. ტოსტერი მიერთებულია კომპიუტერთან. დილით ადრე კომპიუტერი ინტერნეტიდან „იგებს“ მთელი დღის ამინდის პროგნოზს და პურის ნაჭერზე გადააქვს მზის, ღრუბლის, წვიმის ან თოვლის სიმბოლო.

I ფაქტი: კამათი იმის გამო, თუ ვინ გამოიგონა მაკარონი — იტალიელებმა, არაბებმა თუ ჩინელებმა, მეცნიერული გზით გადაწყდა. ჩინეთში იპოვეს თიხის ჯამი, რომელზეც ნახევარ მეტრამდე სიგრძის, სპაგეტის მსგავსი, გაქვავებული მასა აღმოაჩინეს. მონაპოვარის ასაკი 4 ათასი წელია. ეს ყველაზე ძველი „მონუმობაა“ მათ შორის, რომლებიც ადასტურებენ, რომ მაკარონი ევროპაში წარმოიშვა.


II ფაქტი: ძველი ბერძნები სწორად იქცოდნენ, როდესაც სხეულზე ზეითუნის ზეთს იცხებდნენ. მართალია, გაუცნობიერებლად, მაგრამ ასე კანის კიბოს გაჩენისგან თავს იზღვევდნენ. იაპონელმა მეცნიერებმა ზეითუნის ზეთში ისეთი ნივთიერება აღმოაჩინეს, რომელიც ულტრაიისფერი სხივების შედეგად წარმოქმნილი თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზებას ახდენს.

III ფაქტი: გარდა ზემოთ თქმულისა, ზეითუნის ზეთში ნაერთი — ოლეოკანტალი აღმოაჩინეს, რომელსაც ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო ქმედება აქვს. თუმცა, ზეითუნის ზეთის 50 მლ 10-ჯერ უფრო სუსტი ტკივილგამაყუჩებელია, ვიდრე იბუპროფენის ჩვეულებრივი დოზა. სამაგიეროდ, გვერდითი მოვლენები არ აქვს.

IV ფაქტი: ავსტრალიელმა მეცნიერებმა რძეში კარიესის გამომწვევი ბაქტერიის გამანადგურებელი ნივთიერება აღმოაჩინეს. შესაძლოა, სულ მალე რძიანი პასტა გამოუშვან. კბილის კარიესი, სურდოს მერე გავრცელების მხრივ, პირველ ადგილზე გახლავთ.

V ფაქტი: მწველებმა სტაფილო და პომიდო-

ავსტრალიელი მეცნიერებმა





# დიღოს ჰარამხანა...

## ინგა ჩაყელი

გაჭირვებული კაცი რას არ მოიფიქრებს, მაგრამ ის, რაც ცოტა ხნის წინ ერთ ქუთაისელზე მიაბნეს, მართლაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

ახლა 40 წლისაა და უკვე იმ ასაკშია, სიღინჯეც და პასუხისმგებლობაც გაორმაგებული დოზით რომ მოეთხოვება. თანაც, ძველი დროც წაუვიდა და გამოეცალა ხელიდან — როცა 20 წლის ასაკში, ვაჭრობით გამდიდრებულ ბიჭიკოს ერთადერთი ქალიშვილი მოსტაცა და კარგა ხანს იცხოვრა მის ხარჯზე, უდარდელად.

ბიჭიკომ მალე შეატყო, რა ხვითო და ჭრიჭინობლაც იყო მისი სიძე, მაგრამ მაინც შეუშვა სახლში: ბოლოს და ბოლოს, გარეგნობა ჰქონდა ბიჭს ისეთი, ამერიკაში რომ ეცხოვრა, ჰოლივუდის ვარსკვლავი გახდებოდა უეჭველად: ანტონიო ბანდერასიც უბადრუკ ჭიაყელად გამოჩნდებოდა მის გვერდით და წერა-კითხვაც განთქმულ ტომ კრუზზე გამართულად იცოდა მართო ქართულად კი არა, რუსულადაც. რუსეთში რომ გაიყოლებდა „რეისში“, თავად ხომ აგოებდა რუსის ნაშებს და არც სიმამრს ტოვებდა გულდანყვეტილს: იაფფასიანი სასტუმროს ნომერში მისთვისაც იმისთანა ფთიქინა ქალები მიჰყავდა, რომ ქუთაისში დაბრუნებული ბიჭიკო ცოლს კაი ხანს ვეღარ ეკარებოდა.

მოკლედ, შვილსაც ატყუებდა და ლალატობდა სიძეზე ბრმად შეყვარებული ბიჭიკო: ფულსაც უყოფდა, კაი ჩაცმას და ჭამა-სმასაც არ აკლებდა და იმას რომ ეცოცხლა, რა გაუჭირდებოდა დიღოს — არც კომუნისტების დაქვეყნულ ქვეყანას იდარდებდა და არც ახალი დემოკრატიული მთავრობისგან წყლისთვის გატანებულს...

უსამართლობაც იყო ბიჭიკოსნაირი კაცის სიკვდილი — ფრჩხილიც არასდროს წამოსტკივებია. იმ საღამოსაც კაი ნაქეიფარი და ნასვამ-ნაჭამი დანვა დასაძინებლად, დილით რომ გაცივებულ-გაცივებული იპოვეს საწოლში. ცოლმაც ის დაატირა, პირველ რიგში:

— რას დაგპირდა ამფერს მიქელ-გაბრიელი, რა დაგანახვა, ასე ბედნიერი რომ გექვიდე მოუსავლეთში?!

ცოლმაც იდარდა ბიჭიკო, ქალიშვილმაც და შვილიშვილებმაც, მაგრამ დიღო ლამის საფლავში ჩაჰყვა, რადგან კარგად იცოდა, რაც დაკარგა მისი სახით..

ბიჭიკოს დანატოვართ კიდეც 2 წე-

ლინადი აცხოვრა დიღომ ოჯახი, მერე კი... ჯერ სიდედრი იქცა ავ დედინაცვლად და ბუნწულა ცოლიც მჩხავანა კატას დაემსგავსა.

ეს ის დრო იყო, ქვეყანა პირველად რომ აირია და ვინც შეძლო, საზღვარგარეთ გაიქცა. დიღომაც შეკრა ბარგი და რუსეთს მიაშურა, სადაც უამრავი გალია-ვალა-ნადია ეგულებოდა. ტყუილად არც ჰქონია მათი იმედი: გალიას აფთიაქი გაეხსნა ომსკში, ვალიას — საუნა ტომსკში, ნადიას — მალაზია ტულაში. ახალი მფარველიც გაიჩინა ტულაში — ნატამა, რომელსაც „პრიანიკების“ ფაბრიკის აქციები ჩაეგდო ხელში... ოთხივე ქალმა მიიღო სამსახურში და სოლიდური ხელფასიც დაუნიშნა. მის მოვალეობაში რა შედიოდა... თავადაც ვერ გეტყვით ზუსტად: ერთი თვე რომ გალიასთან იყო, მეორე თვეში ვალიას ჩააკითხავდა; არც ნადიას და მით უმეტეს, ნატამას სწყვეტდა გულს: მათ ოფისებში კოსტიუმში გამოწყობილი ტრიალებდა, მათ საწოლებში კი — შიშველი...

ცოლ-შვილიც კმაყოფილი ჰყავდა საქართველოში, რადგან მათ ყოველთვიურად სოლიდურ თანხას ურიცხავდა და ალბათ, კარგა ხანს გაგრძელდებოდა ეს იდილია, რომ არა ნატამას ფეხმძიმობა. ქალმა ბიჭი მამინ გაუჩინა, როცა საქართველოში სტუმრობდა ცოლ-შვილს და საბედისწერო დეპეშაც მამინ მოუტანეს, როცა თავად ძმაცაცებში ქეიფობდა... ისეთი მთვრალი დაბრუნდა შინ, ვერც მიხვდა, რომელ ნატამასა და შვილზე ელაპარაკებოდა ცოლი და რატომ აპუტავდა სიდედრი თმას...

მოკლედ, რუსეთისკენ გახედვაც აუკრძალეს დიღოს და დღემდე არ უნახავს თავისი ბიჭი, რომელიც ახლა, 13-14 წლისა მაინც იქნება...

სამაგიეროდ, თურქეთში გაიკვალა გზა და იქაურ ქართველ ქალს დაუახლოვდა, რომელსაც რესტორანიც ჰქონდა და კარგა ბლომად ფულიც. ჰოდა, ამჯერად იმ ქალის საწოლში კოტრივალთ არჩინა ცოლ-შვილი, 2 წელი მაინც, მერე კი საბერძნეთში გადავიდა და არც იქ დარჩენილა დიდხანს „უმუშევარი“ — მდიდარი ბერძენის ქვრივის „ნუგუმის ცემაში“ გაატარა 3 წელიწადი, ვიდრე იმან მოსამსახურესთან (სხვათა შორის, ქართველთან) არ წაასწრო და ორივე კინისკვრით არ გამოყარა სახლიდან... საბერძნეთიდან იტალიაში გადაინაცვლა და იქაც ქართველმა ქალმა შეიფარა, იმას ფული ჰქონდა და ქართველზე გათხოვებაზე ოცნებობდა — დიღომ კი



კარგა ხნის წინ დაკარგა ნაშუსიც და ერთგულების გრძნობაც... ის-ის იყო, იტალიაში ბიჭი შეეძინა, რომ საბერძნეთიდან მოუვიდა შეტყობინება იმ მოახლისგან, რომელთან ერთადაც გამოაგდეს თუ ამოაგდეს „ქერის ორმოდან“: 2 დღის წინ ქალიშვილი გაგიჩინე, დროა, დაბრუნდე და გვიპატრონოო!.. თითქოს, ეს არ იყო საკმარისი, ორ საათში ცოლმა შეატყობინა: შვილიშვილები შეგვეძინა ტყუპი ქალ-ვაჟი და იქნებ ცოტა მეტი ფული გამოგვიზავნო, ხომ იცი, ბავშვებს რამდენი სჭირდებათო!..

დაჰკრა დამფრთხალმა თურმე ფეხი და პირდაპირ ამერიკაში გაექცა ცოლებს პრეტენზიებს. სამუშაოს შოვნა არც იქ გასჭირვებია, თუმცა, ჭკუა იხმარა და ლიად დაიწყო ალფონსობა — მდიდარ ქალბატონებს ემსახურება და საკმაოდ სოლიდური გასამრჯელოს საფასურად მათ მარტოობას უღამაზებს... თავადაც უსაფრთხოდაა და ცოლ-შვილიც ისეთი კმაყოფილი ჰყავს, გადარია ქუთაისელი ძმაცაცები. ურეკავენ და ეხვეწებიან: — ე, ბუჯო, დროზე გამოგვიგზავნე ვიზა და წაგვიყვანე, სანამ კიდო გვაქვს ქალის ინტერესი და რამის თავიო!..



# ჩეკობრაქი „სამომხლოს წარსულიდან“

## წერილი პირველი

### ორმა ხარშილაძე

ტაო-კლარჯეთის ნახვა ბავშვობიდან ოცნებად მქონდა ქცეული და როდესაც ახალციხელმა მეგობრებმა კლარჯეთში მოგზაურობა შემომთავაზეს, ლამის სარეისო მიკროავტობუსს ჩავასწარი ახალციხეში. ყველაფერი კი ჩემთვის უსაყვარლესი ამ ქალაქის ერთ-ერთი სკოლის წყალობით მოხდა, რომელსაც ძალიან კარგი დირექტორი — ზაზა თამარაშვილი, ასეთივე პედაგოგები და მოსწავლეები ჰყავს (VI საჯარო სკოლაზე ვლაპარაკობ). თურმე, თურქეთის ქალაქ ართვინშიც ყოფილა ასეთივე, ძალიან კარგი სკოლა, „ვაკიფ ბანკის“ სკოლის სახელწოდებით ანუ ამ ბანკმა დააფინანსა სკოლის მშენებლობა და ამიტომაცაა მისი სახელობის (საერთოდ, იქ თურმე მხოლოდ სახელობითი სკოლებია, ნუმერაცია არ არსებობს). მოკლედ, იმ სკოლასაც ძალიან კარგი დირექტორი — ჯევათ უნალი, პედაგოგები და მოსწავლეები ჰყოლია. ახალციხელებმა, თურქეთის საელჩოს დახმარებით, ერთ-ერთ იქაურ სკოლასთან დამეგობრების სურვილი გამოთქვეს და ერთ მშვენარ დღეს, ართვინელებისგან დასტურიც მიიღეს. მერე „დასაზვერავად“ თითოჯერ ესტუმრნენ კიდევ ერთმანეთს და ცოტა ხანში, ართვინის „ვაკიფ ბანკის“ სკოლამ ახალციხის VI საჯარო სკოლის პედაგოგები „კავკასიურ ფესტივალზე“ მიიწვია. სამდღიანი ფესტივალის კულმინაცია თურმე, ართვინის მხარის „კავკასიურ არენაზე“ ხარების ორთაბრძოლა ყოფილა. სწორედ ამ უჩვეულო, საინტერესო და აზარტული სანახაობის ნახვას ვეშურებოდი ახალციხელ პედაგოგებთან ერთად, თუმცა შეძლებისდაგვარად, კლარჯეთის ძეგლების დათვალიერებაც უნდა მოგვესწრო. მთავარი მიზანი კი ყველა ქართველისთვის საოცნებო — ხანძის მონასტრის ნახვა იყო.



„ქორთა მონასტერი“, „ჯოჯოხეთის ხარიბჯა“ და აზობ ჯურაქალაქის დასჯის ადგილი

წითელი ვარდებით მორთული ვაღეს საბაჟო მშვიდობიანად გავიარეთ და ბატონი ოთარის თეთრი მიკროავტობუსით, ჩემთვის უცნობი საქართველოს გზას დავადექით. ჩვენმა არაჩვეულებრივმა და დაუზარელმა მთხრობელმა მეგი ბერიძემ (სამი დღის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მას წლების წინ ვიცნობდი) მოგზაურობის მარშრუტი გაგვაცნო და მოკლე ისტორიული ექსკურსიც ჩავგიტარა.

**მეგი ბერიძე, ჯგუფის გიდი:**

— ვაღეს საბაჟოს გავლის შემდეგ, კვლავ მდინარე ფოცხოვს გაუფუყვებით, გადავივლით ერუშეთის ზეგანს, იქ კი გზა იყოფა — კოლა-არტაანის გზა მიდის ტაოსკენ, შავშეთ-კლარჯეთისა კი — კლარჯეთისკენ. ჩვენ კლარჯეთით ნავალით და იმავე გზით დავბრუნდებით უკან. კლარჯეთისკენ არსიანის ქედით გადავალთ. ჯერ ვნახავთ არდაგანის ანუ ისტორიული არტაანის ციხეს, მერე — შავშეთის ციხეს, მერე — ტბეთს... მურვან ყრუს შემოსევებისა და ჟამიანობის შედეგად აოხრებული ტაო-კლარჯეთის აღორძინება წმინდა მამებმა, გრიგოლ ხანძთელის ხელმძღვანელობით, კლარჯეთიდან დაიწყეს, თუმცა მამინ მასშტაბური მშენებლობების საშუალება არ იყო, ამიტომ კლარჯეთის ძეგლები უფრო მოკრძალებულია; X საუკუნიდან კი გაძლიერდა ტაოს ბაგრატიონთა შტო და გრანდიოზული ძეგლები აშენდა — ოშკი, იშხანი, ხელახლა ააშენეს და შეამკეს ბანა, ხახული, რომელიც დღესაც მოქმედი მქვითია და ამან გადაარჩინა. ნეტავ, ოპიზაც მეჩეთად ექციათ, ხომ არ ააფეთქებდნენ და

შევიწარჩუნებდით... ადგილობრივი ქართველები ამბობენ, რომ ძეგლი, რომელსაც ჩვენ ხანძთად ვიხსენიებთ, ხანძთა სულაც არ არის. თურქულ ენაზე „მადენად“ წოდებულ მათ ქართულ სოფელ ბაზგირეთში შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც იქაური მოხუცები დღესაც „ქორთა მონასტირს“ — „ხანძთას“ უწოდებენ. იქვე თურმე წყაროც არის. არადა, ექვთიმე თაყაიშვილმა სწორედ ადგილმდებარეობით ივარაუდა, რომ ოპიზასთან ახლოს მდებარე მონასტერი, რომლის მახლობლად წყარო აღმოჩნდა (ცნობილია, რომ ხანძთასთან გაბრიელ დაფანჩულის წყაროც უნდა ყოფილიყო) — ხანძთაა. ამის დამადასტურებელი წარწერაც კი არ უპოვიათ მონასტერში, თუმცა... არავინ იცის. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ეს მონასტერი ხანძთა იყოს, ამიტომაც ვირწმუნეთ ექვთიმე თაყაიშვილის ვარაუდი...

ზეგანზე ჭუჭყიანი ანუ „მატიანი თოვლი“ გვხვდებოდა — მართლა მატლებით სავსე ყოფილა და ამიტომ ჩანდა მუქად. მეგი გზადაგზა, თურქული ფრაზების წარმოთქმაში გავარჯიშებდა — მასპინძლებთან ურთიერთობისას აუცილებლად ნავადგებოდა. პირველ რიგში, „გამარჯობა“ — „მერაბა“ (რას წარმოვიდგენდი, რომ თურქული „გამარჯობის“ წყალობით, ყველა ახლობელი მერაბი მ დღის განმავლობაში ვირტუალურ თანამგზავრად გადამექცეოდა..) და „დიდი მადლობა“ — „თეშეიურ ედერ“ — დავისწავლეთ. განსაკუთრებული მადლიერების გამოსახატავად, ბედნიერ ღიმილთან ერთად, ამ ორი



სიტყვისთვის „თოქ“ უნდა წაგვემძღვარებინა და „ძალიან დიდი მადლობით“, თურქების გულსაც მოვიგებდით... მხიარული „მგზავრულით“, შავ-შავი ხალხით დასახლებულ ქალაქ არდაგანში შევედით, მდინარე მტკვარი რუსების აშენებული ხიდით გადავიარეთ, არდაგანის ანუ არტაანის ციხეც დავინახეთ, გადავიღეთ და გზა განვაგრძეთ შავშეთისკენ. მივაღვეით შავშეთის ციხეს, რომელზეც ამაყად ფრიალებდა თურქეთის სახელმწიფოს დროშა; იქიდანვე, ღამით, ნათურებით ანყობილი, თურქეთის აღმშენებლის — ათათურქის პროფილი გვიმზერდა, ციხის კედელს კი სახელმწიფო გერბი ამშვენებდა. რა თქმა უნდა, ციხეზე ავძვევრით, ფოტოებიც გადავიღეთ, მერე ართვინისკენ მიმავალ გზას გადავუხვიეთ და შავშეთის წყლის გაყოლებით, ტბეთისკენ (X საუკუნის საკათედრო ტაძარი) წავედით. მწვანეში, უმეტესწილად კი კაკლის ხეებში ჩაფლულ ტბეთში, უფრო სწორად — ტბეთის ტაძრის გადარჩენილ ნაწილში სანთლები დავანთეთ და ვილოცეთ... თურქი ბავშვების გარემოცვაში. ჩემი პატარა მეგობრის, მეოთხეკლასელი გიორგი თამარაშვილის შემდეგ (სხვათა შორის, გიორგი დიდი მიხეილ თამარაშვილის პირდაპირი შთამომავალი!), გიორგის მამიდაშვილის, 24 წლის ნინიკო ბეგიშვილის მიბავებით, ბალახზე ფეხშიშველი დავდექი და ლოცვებიც ისე წავიკითხე. თურქი პატარები არ

მოგვცილებიან და თვალს არ გვაშორებდნენ. ჯგუფის წევრებს შეეშინდათ, ვაითუ, დანთებული სანთლები ჩააქრონ და გადაავადონო, მაგრამ ბავშვები ნანგრევებიდან გამოსულებს უდში გამოგვეყენენ — აშკარად ხალისობდნენ ჩვენი სტუმრობით და ვფიქრობ, არც სანთლების განადგურებაზე უფიქრიათ. დამშვიდობებისას მეგობრულად ვუქნევდით ხელს და გულიანად ვუღიმოდით — მათდამი კეთილგანწყობილების გამოხატვით, ალბათ ქვეცნობიერად, დანთებული სანთლების დაცვას ვცდილობდით... ამის შემდეგ, „ჯოჯოხეთის კარიბჭის“ გავლით, არტანუჯის ციხისკენ გავენით.

**მაგი:**

— „ჯოჯოხეთის კარიბჭის“ ერთი ლეგენდა უკავშირდება: თურმე, ამ ადგილას თურქ-სელჩუკთა ათათასიან ჯარს რამდენიმე ქართველი მეომარი ჩასაფრებია. ქართველებს მტრისთვის ისეთი სასაკლავო მოუწყვიათ, სისხლის ტბები დამდგარა. მას შემდეგ, თურქებს ამ ადგილისთვის „ჯოჯოხეთის კარიბჭე“ უწოდებიათ.

ვიდრე ლეგენდას მოვისმენდი, „ჯოჯოხეთის კარიბჭის“ კლდეში უცნაური სანახაობა აღმოვაჩინე — ორი კლდის შესართავი, მამაკაცისა და ქალის ამბორად აღვიქვი: იმწუთას მეგონა, რომ ლეგენდა ჯოჯოხეთად ქცეულ სიყვარულს უკავშირდებოდა — იქნებ, ჩემეულ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება (აშკარად ვთავსებდობ)?..


გზა განვაგრძეთ. არტანუჯის ციხის ძირში მდებარე სოფლის მცხოვრებლები ღიმილით შემოგვეგებნენ. ინსტინქტურად, ქართული „გამაჯობით“ ვესალმებოდით და ისინიც იმავეს გვპასუხობდნენ. ციხეზე, რა თქმა უნდა, თურქეთის დროშა ფრიალებდა. მეგობ ამიხსნა, რომ თურქებს, რომლებმაც საუკუნეების მანძილზე სხვათა ტერიტორიების მიტაცებით შექმნეს სახელმწიფო, სახელმწიფო დროშები სასაფლაოებზეც კი აქვთ აღმართული. ამით ყველას გვეუბნებიან: თქვენი იყო, მაგრამ ახლა — ჩვენიაო...

მთის ციცაბო კალთა შემართებით ავიარეთ, რკინის კიბეზეც მარდად ავედით და... ეს მართლა ზღაპარი-მეთქი! — ინსტინქტურად, ხმამალა წარმოვთქვი.

**მაგი:**

— არტანუჯის ციხე V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობისას

აშენდა, მურვან ყრუს შემოსევებისას კი მთლიანად აოხრდა და ფუნქცია დაკარგა. შემდეგ, IX საუკუნეში მეფე აშოტ კურაპალატიმ აღადგინა და ციხე-ქალაქად აქცია. ამ პერიოდში არტანუჯი ძალიან გაძლიერდა. ამ ციხის ტერიტორიაზე პეტრე-პავლეს ეკლესია იყო. დღეს, როგორც ციხის, ისე ამ ეკლესიის მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი. ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ აშოტ კურაპალატი პეტრე-პავლეს ტაძრის მიდამოებშია დაკრძალული, თუმცა მისი საფლავ-



არტაანის ციხე



ტბეთის კედლები



შავშეთის ციხე

ისთვის დღემდე ვერ მიუკვლევიათ. სიკვდილით კი მეფე აშოტი დოლისყანის ტაძრის საკურთხეველს დააკლეს. ამბობდნენ, დღესაც ატყვია დოლისყანის კედლებს აშოტის სისხლიო...

დოლისყანაში მოგვიანებით მოვხვდებით, არტანუჯის სიდიადით გაოგნებულებმა კი ვიფიქრეთ, რომ ამაზე დიდებულს ველარაფერს ვნახავდით... კვლავ ციხის ძირში მცხოვრებთ შევხვდით, ორი ახალგაზრდა ჩვენს მთავარ ჯგუფს „მონყვეტილ“ წევრ-ქალებს კლდეზე ჩამოსვლაში დაეხმარა, ერთმა ოჯახმა ეზოშიც შეგვიპატიჟა და მონყურებულებს ცივი წყლით გაგვიმასპინძლა. ულამაზესი ახალგაზრდა ქალი გვემსახურებოდა, „შველივით ქალს“ ვუწოდებდი, ნათელი და ღიმილიანი გამომეტყველება ჰქონდა და თურქსაც არ ჰგავდა — შერწყმული წინადადება გამაახსენა, ყველაზე პოეტური, რაც კი წამიკითხავს...

ჭოროხის ხეობას გავუყევით. ზაზამ თქვა, — კარგად ჩაიბეჭდეთ, რასაც დაინახავთ, რადგან ალბათ, უკანასკნელად ხედავთო. გული გაგვისკდა — ცხადია, სიკვდილს არ ვაპირებდით. მერე ნალეღიანი სიცილით დავგვამშვიდა: მალე ჭოროხზე გიგანტური კაშხლის მშენებლობას დაასრულებენ და ამ ადგილებს წყალი დაფარავსო. ჰოდა, ჩვენც გაფაციცებით ვაკვირდებოდით და ვიბეჭდავდით ყველაფერს. ასე აღმოვჩნდით შებინდებისას, კლდეზე შეფენილ ქალაქ ართვინში — ართვინის მხარის დედაქალაქში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# ერთი ვინმე ყავროანი ძვილი



## პაპა გიგაშვილი

ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება  
შეგიძლიათ გაგვიზაროთ ელფოსტით  
gza.fantazia@gmail.com

რამდენიმე დღე გავიდა ნაშინდრიდან დაბრუნების შემდეგ და იორამს არც გახსენებია იქიდან წამოღებული ფუთები... ყვირთვით ქალაქში შეხვეული და კნაფით გადაკრული ფუთები იქვე, დერეფანში, საკიდებლის გვერდით ეწყო და ყოველ გავლა-გამოვლაზე ლამის ფეხიც წამოკვრა, მაგრამ თითქოს ვერცა ხედავდა... მერე, ერთ დღეს ზეინაბმა იკითხა:

— ნეტა რაებია ამ ფუთებში? ხომ არ გინახავს, იო?

— არი, რა... — უხალისოდ თქვა იორამმა. — ძირითადად, სულ ძველი გაზეთებია... მგონი, ტყუილად წამოვართიე... — ორ ფუთას ჩაავლო ხელები და მამამისის ოთახში შეიტანა. კნაფი დაჭრა, ქალაქდები შემოაცალა და მიჭმუჭნა... დასტები დაბალ, გრძელ მაგიდასთან, სავარძლის გვერდზე დააგროვა... მერე ორი დღე ახარისხებდა, ცალ-ცალკე აგროვებდა „ივერიის“, „კვალის“, „მოამბეს“, „იმედის“, „თეატრის“, რუსული „ნივის“, „კაკაზის“ და სხვა, საუკუნის დასაწყისის ცნობილი თუ უცნობი გამოცემების ნომრებს, რუსულიც ბევრი იყო, ფრანგულიც საკმაოდ... ბავშვივით ჩაითრია ილუსტრირებული გამოცემების თვალთვლივით... პორ-

დასაწყისი იხ.  
„გზა“ № 18-28

ტრეტები, პანორამები, ქალაქების ხედები, ფოტორეპორტაჟები ევროპის ფრონტებიდან, ავტომობილებისა და ავიასალონებიდან, მოგზაურთა ეგზოტიკური ფოტოები აფრიკიდან თუ ინდოეთიდან, თეატრალური დასები, მსოფლიო პოლიტიკოსთა სამიტების ჯგუფური პორტრეტები და სხვა... საუკუნის წინანდელი სამყარო...

ამ თვალთვლივით დიდი დრო წაიღო და კარგადაც დალადა... ამიტომ მეორე დღეს მხოლოდ დახარისხება გააგრძელა... უცნობი გამოცემებიდან ყველაზე ბევრი ნომერი დაგროვდა ერთი ქართული მჭლე გაზეთისა, სახელწოდებით „კლდე“...

ამ გაზეთის დამფუძნებელ-გამომცემლად და აგრეთვე მთავარ რედაქტორად მოიხსენიებოდა თავადი თეიმურაზ ხევისთავი...

ძველისძველი პრესის ამ უზარმაზარი გროვიდან თავად საქმისათვის საჭირო მასალის (დოკუმენტები, ხელნაწერები, ფოტოები) ფრიად მწირი ნადავლი ამოიკრიბა...

...ერთადერთი ოფიციალური საბუთი იყო ნოტარიუსის მიერ დამოწმებული აქტი ნაჩუქრობისა... თავადი თეიმურაზ ხევისთავი ჩუქნით, ესე იგი უსასყიდლოდ, უმტკიცებდა თავის ყოფილ მოურავს, გლეხ პეტრე დევდარაშვილს პირად საკუთრებად ერთ დღიურ სახნავ მიწას ნაფუზერების მამულში... ეს საბუთი იორამმა გაზეთ „კლდის“ ნომრების კომპლექტს დაადო

და ცალკე გადადო... სუფთა თაბახზე დიდი ასოებით დაწერა: „თეიმურაზ ხევისთავი(?)“ — და „სკრები“ იმ კომპლექტს მიაბნია...

იყო რამდენიმე ფოტოც... ერთი — ახალგაზრდა კაცის პორტრეტი მთელი ტანით, გამხდარი, ძალიან ელევანტური, ინგლისურ კოსტიუმში, ხელში წვრილი ხელჯოხით, რაღაც დეკორატიული, პალმისმაგვარი მცენარეებისა და მარმარილოს მაგიდის ფონზე... იორამმა გადააბრუნა: მხოლოდ ფოტოატელიეს საფირმო შტამპი და წელიწადი — 1901... არავითარი მინაწერი... შემდეგ ფოტოზე დიდშლაპიანი მთლად ყმანვილი ქალი იყო გამოსახული... მუყაოს უკანა მხარეს ეწერა — „სახსოვრად ჩემს განუყრელ მეგობარს, მარგოს — სოფიო კავთელიშვილი“ და თარიღი — 1907... შემდეგ ფოტოზე იორამმა იცნო ნაშინდრის სათავადო სახლი... მხოლოდ აქ აივანი სრულიად მთელია, სახურავიც მხოლოდ კრამიტითაა დახურული... მოაჯირზე ნოხია გადმოფენილი, ზედ გადმოყუდებული ორი ლამაზი ჭაბუკი, კარგად მორგებულ ევროპულ ტანსაცმელში, პაპიროსებს ეწევიან და ილიმებიან... ერთ-ერთში წელანდელ ფოტოზე აღბეჭდილი ახალგაზრდის ამოცნობა შეიძლება, თუმცა აქ კოკობი, კოპნია უღვაშები აქვს მოშვებული, მაგრამ კოსტა, ჯიშინი თავკისრის დამახასიათებელი სილუეტი სხვაში არ შეგეშლება... კიდევ რამდენიმე ფოტო, სულ ჯგუფური პორტრეტებია, და თანაც სულ მამაკაცებისა... მამაკაცები სხვადასხვა ასაკისა არიან, ძირითადად, ევროპულ სამოსში გამოწყობილები, მაგრამ ხშირია ჩოხა-ახალუხიანებიცა და სამხედრო მუნდირებში გამოჯგიმულნიც... მხოლოდ ერთი ფოტოსურათია, სადაც მანდილოსნები და ბავშვები ჭარბობენ... ალბათ, საოჯახო პორტრეტი... არც ერთს წარწერა არ ახლავს, ისე, რომ ეს ფოტომასალა ჯერჯერობით იორამისათვის არაფრის მთქმელია... იმედია, შემდეგში გამოჩნდება ამათზე შუქისმომფენი რამეები... ფაქტია, რომ იმ სხვენში დაგროვილი ფუთების მთლად გადაჩითვა მოუწევს იორამს, ვინ იცის, სად რა არის გაბნეული...

ახლა ხელნაწერები... ერთი აშკარად წერილია... ასე იწყება: „ჩემო მარად სანატრელო, დო მარგო!“

— და! აი, ისევ მარგო... — ჩაიდუღუნა იორამმა... ხელი ეცნო, ყმანვილი ქალის ფოტოზე წარწერის ხელია... წერილი გადმოაბრუნა და ხელმოწერას ჩახედა: „მარად შენი სოფიო კავთელიშვილი“, თარიღი — 1909. აგვისტო...

— ასეა! — დაამტკიცა თავისთვის იორამმა და წერილს თვალი გააყოლა. კითხულობდა:

„...გიგაზანი გაზეთიდან ამოჭრილს ამ წერილსაცა... ქალთა თავისუფლებზედ, უფლებებზედ... უსათუოდ ძალიან მოგეწონება, როგორა სწერს! და რო იცოდე, როგორა ლაპარაკობს! მოუუსმინე კიდევაც პარასკევსა, „კულტურის საზოგადოებაში“, მიხაილოვზედ... ისე ლაპარაკობს, ყურს ვერ მოსწყვეტ! თანაც ზოგჯერ ცოტა ენას



უკიდებს, მაგრამ მე მგონი უფრო უხდება კიდევცა... როგორღაც, თითქოს უკეთეს გაგებინებს სათქმელსაო... რაღაც ეშმაკად, ჩემთვის გავიფიქრე კიდევ, იქნება საგანგებოდაც აკეთებს-მეთქი... იცის, რომ უხდება? შესახედობითაც შესანიშნავი, დახვეწილი ჭაბუკია... ჩვენი გოგონები (ტასო იყო, ლიზა და ნატოცა) სულ „ახ! ახ! ახ!“-ს იძახდნენ და დამთავრების შემდეგ წაესივნენ და დააყარეს შეკითხვები... მე კი არაფერი მიკითხავს... ნეტავი შენცა ყოფილიყავი! ცნობილი ოჯახის შვილია, ხევისთავებისა... როგორ მინდა, ეგ წერლი შენც მოგეწონოს!

— გროვდება „დოსიე“ ამ ხევისთავეზე, აი... — თქვა იორამმა და ეს წერილიცა და ნაშინდრის სახლის სურათიც „ხევისთავეს“ დასტას დაადო...

შემდეგი ქალაქი რაღაც ჩანანერი იყო სამახსოვრო გეგმისა... სულ ორი პუნქტი:

„...1. — ორშაბათს განვიხილოთ ბანკის სხდომაზედ ფინანსური სახსარის საკითხი ორი სტუდენტისა: ა) სანაიასი — ბერლინის უნივერსიტეტში, ბ) ნინიშვილისა — კიევის უნივერსიტეტში.

2. — სასწრაფოდ (ამ ნომრისათვისვე) გავაკეთო სტატია ზანზიბარის მოწყობაზედ (დიდი დებატებია ევროპაში, ბევრი რამ ანალოგიურია და ჩვენთვის ფრიად საგულისხმო. ამიტომ, საჭიროა, სათქმელი დროზედ ითქვას)“.

ეს ქალაქი იორამმა, ჯერჯერობით, გვერდზე გადადო, მომდევნო თაბახი მთლიანად შევსებული იყო წერილი, მჭიდრო და მკვეთრი ხელწერით, ერთი დახედვითვე ცხადი იყო, რომ „სამახსოვროს“ დამწერს ეკუთვნოდა... არც სათაური ჰქონდა, არც თარიღი... ტექსტი იწყებოდა შექცხილით: „ესაა! ვნახე!“

— ბიჭოს! რა ნახა ნეტავი? — ჩაილაპარაკა იორამმა. წაიკითხა: „...ესაა! ვნახე! მაგრამ თავიდან, დალაგებულად ჩავეწერ სათქმელსა...“

...რედაქციაში ვიყავ და გაცხარებული ვწერდი საჩქარო წერილს ინტენსიური და ექსტენსიური მეურნეობის შესახებ... ავიხედე და თავს მადგას უცნობი, ლამაზი ყმაწვილი ქალი და რაღაც ბილეთებს მანვდის... „გთხოვთ, იყიდოთ! წარმოდგენას ვმართავთ ლარები მოსწავლე ქალების სასარგებლოდ...“ მამნივე ვიყიდე და კიდევ სუთიც გავასაღებინე ჩვენს რედაქციაში... არ ვიცი, რამ ამიტაცა და წერილი მივატოვე და ესლა ჩვენს ბანკშიაც გადავიყვანე და იქაც გავაყიდვინე ბილეთები... მერე „დრამატულ საზოგადოებაშიცა“, მერე წერა-კითხვის საზოგადოებაშიცა... გზაში თუ ვინმე ნაცნობი შეხვდა, ყველას ვაყიდვინე... სულ გავასაღებინე, რაც ჰქონდა...

ვინაობა ვკითხე და აღმოჩნდა მარგარიტა ყაფლანიშვილი, ასული დავითისა...“

— სტოპ! აი, რაღაც დაიწყო! — თქვა იორამმა. გადააბრუნა ხელწაწერი, ჩათვალიერა. — ვისი ნაწერი? არსად არაფერია მიწერილი... ყაფლანიშვილი კი გამოჩნდა, მაგრამ... — განაგრძო კითხვა...

„...ჩემთვის საკვირველი იყო ესა... რადგანაც ვიცოდი, რომ დავითის ოჯახი, მისი საგვარეულო, ერთადერთ ასულზედა მთავრდება... ჩვენი საგვარეულოც ხომ ეგრევეა მიღებული... ერთი მელა დავრჩი...“

— დალოცული! შენი გვარიც გესხენებინა ბარემ! ნეტავ რომელი ხარ? — ბუტბუტებდა იორამი...

„...მერმე მითხრა, მე თქვენს წერილებს ყველასა ვკითხულობო, ძალიან მომწონსო! მხოლოდ გუშინდელ წერილზედ შენიშვნა უნდა გაკადროთ, მეტად კაპასი ტონითაა დაწერილი და თქვენ ეგ ტონი არ შეგფერითო... დიახ, ჭორი მომიგონეს და ცოტა გაცხარდი-მეთქი... მითხრა, თქვენის მკითხველის თვალში ჭორი ვერ გაჭრის, ჭორიანს პასუხი არც კი უნდა გასცეთ და თუ უპასუხებთ, არ გაჰყვეთ იმის კილოსაო... მე ასე მგონია და ბოდიშს კი გიხდითო...“

იორამმა თვალის მოუწყვეტლად მოაფათურა სიგარეტი, გააბოლა...

„...აი, ღირსეული შენიშვნა ჭკვიანი ქალისა! მომწონს, ძალიან მომწონს! დაკვირვებული თვალი უმაღ შეატყობს ამ ქალს ჯიშა და აღზრდას... სადა და სუფთა ტანისამოსი, მარტივი და ბუნებრივი მიხრამოხრა, თავდაჭერილი სიტყვა-პასუხი, ზომიერი თავმოყვარეობა, მოკრძალებული მორცხვობა, თავით ფეხებამდე ჩატარებული ნატიფი გემოვნება და... ცუდლუტი, ოდნავ დასანახი არშიყება, მხოლოდ თვალებით... ის არის! სწორედ ის არის, ვისაც ვეძებდი! ეს არის ჩემი საბედო და

ამის იქით მე გზა არა მაქვს!“

ხელწაწერი მეორე გვერდის შუაში წყდებოდა და სხვა არავითარი მიწაწერიც არ ახლდა...

იყო კიდევ ერთი ფურცელი, ეტყობა, მობრდილი ფორმატის ცალხაზა რვეულიდან ამოხეული, მკრთალი, მოცისფრო ხაზებით დახაზული... ხელწაწერი — გაკრული, მსხვილასოებიანი, ხშირ-ხშირად გადაჩხაბილ-გადამულილი სიტყვებით... ამის გამო იორამმა ივარაუდა: ვინმესთვის მიწაწერი ბარათის შავი პირი უნდა ყოფილიყო და ამკარად ქალს ეკუთვნოდა...

„...ჯავახიშვილებისას ვიყავით... ლიზას ის ახალგაზრდა პოეტი ჰყავდა მონვეული, ბოლო დროს რომ ლაპარაკობენ, ლელიკო ავსაჯანაშვილი... ერთი განურული, საბრალო ვინმეა... სულ მტირალა ლექსებსა კითხულობდა, მაგრამ ერთი-ორჯერ ისეთები გამოურია, რომ ტანში გამცრა, კინაღამ მეც ამატირა... ალბათ, უიმედოდაა შეყვარებული...“

ნეტავ გამაგებინა, მართლა არსებობს ეგეთი გაგიჟებული სიყვარულები? თუ მხოლოდ პოეტების თავშია ეგეთები?

...აი, ფაბრიციო და კლეოპა... ფრანჩესკა და რიმინი (სტენდალს ვკითხულობ ქნლა)... რანაირი ვნებების ქარაშოტია, ქალო! თავგზას აგებნევს, ლამის გული გაგისკდეს! ნუთუ მართლა მხოლოდ პოეტების თავში ტრიალებს ეგ ქარაშოტი? ფრანჩესკასა და რიმინის ამბავი ხომ სინამდვილეში მომხდარია და... ალბათ, ეგ ქარაშოტები სინამდვილეში მაშინა ტრიალებს, როცა სიყვარული ტრაგიკულია... გინდა რო, ტრაგიკული სიყვარული?

...რა ვიცი? ისე, ალბათ, საინტერესო კია, მაგრამ... არაა! არ მინდა! აბა მაგისი გაძლება იქნება?! არა! მე ეგეთი სიყვარული მირჩევნია, როგორცა მაქვს! ოღონდ სულ იმის ნატვრაში ვარ, ეს ჩემი რჩეული მალე დაბრუნდეს-მეთქი თავისი საქმეებიდან... ცოტა თუ შეავკინა და, გული საგულეს ვაიკ მიდგება...“

იორამმა ღვინო მოსვა, სავარძელზე გადაწვა და გააბოლა... ფიქრობდა:

— გამოცანები, გამოცანები... მხოლოდ პირობებში ბევრი აკლია... აქა-იქ თითქოს რაღაცა ჭიატობს, მაგრამ ხელჩასავლები არაა... ჯერ სადა ხარ, იმოდენა გროვები გადასაქეცია... ეკლესიის დავთრები მოსაძიებელი... გორის არქივები მოსაქეცი... ხალხი გამოსაკითხია...

გაახსენდა ნინიკას ნათქვამი ოთხმოცდაშვიდი წლის ბიძამისზე: „უყვარს ძველი ამბების მოყოლა... ოღონდ ერთსა და იმავე ამბავს ერთხელ რო ასე გიამბობს, მეორეჯერ ისე გეტყვის“...

— ჰოდა, მიდი და გაარკვიე! — გაიც...





ინა იორამმა. ღვინო მოსვა, ფიქრში გააგრძელა გეგმის დალაგება:

— მომიწევს ამ „კლდის“ კომპლექტის დანვრისგან გადარჩოვა. უეჭველად ამოიკრიფება ნამცვეები ხევისთავის გარშემო. აქ ერთი ნომერია, ასმეცხრე, 22 წლის, ბოლო ნომერია. რედაქცია და რედაქტორი ეთხოვებიან მკითხველს, სრული უსახსრობის გამო წყდება გაზეთის გამოშვება, მაგრამ იქვე მოსდევს უსაფუძვლო ფახიფუხი: მკითხველს აღუთქვამენ, რომ ორ თვეში გამოსწორდება ფინანსური მდგომარეობა და გაზეთი აღდგება... ნეტა, ერთი, ვინ ელოდებოდა მის აღდგენას? სასაცილო დაქადება! ალბათ, ამ დროს უკვე გაცამტვერებული თავადისაგან... სრული გაუგებრობა დროისა და სიტუაციის... ნეტა, სულაც დახვრეტას თუ გადაურჩა? მა-



გრამ ყაფლანიშვილები? ჯერჯერობით, ერთი ინფორმაციაა: საგვარეულოს ერთადერთი ნაშვირი, ასული მარგარიტა ყაფლანიშვილი შემორჩენია... მამ, ვინ იყვნენ ნაშინდარში? ნოდარმა მითხრა, სასამართლო დავასთან დაკავშირებით გივი ვაშალომიძეს აქვს მთელი რიგი საბუთები მოძიებული. თვითონ გივიმ კი რაღაც მიმიკიბ-მომიკიბა, სასამართლო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ ადრეა მაგ საბუთებში ჩაკირკიტებაო, ბევრი რამე დასადგენიაო და რაღაცა... ვერ გავიგე! ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი მეჩქარება... ჯერ სხვა საქმე მაქვს... დასაწყისი... ჯერ მთლიანად ამ საგვარეულოს ისტორია დასადგენი... ისტორიულ წყაროებშია მოსაძებნი ყველა მაგათი მოხსენიება... ააუჰ, ბევრია სამუშაო! მერეღა მივადგები კერძოდ ამ შტოს... ყაფლანიშვილთა ბოლო ნაშვირი, ასული მარგარიტაო... ჰმ! ჰმ! რაღაც არ გამოდის! მაგრამ რა იცი, რომ არა ცდება ის, მარგარიტასაგან მოხიბლული ვაჟბატონი?!

იატაკზე დარჩენილი რამდენიმე „ივერია“ დაინახა და ნაშუშაო! მერეღა მივადგები დიდი ფორმატის ფოტო გადმოვარდა...

— ვაჰ! ეს რა კარგი რამეა! — ხმაძალა წამოსცდა, ფოტოს რომ დახედა...

...სურათის ცენტრში ოთხი ჭარმაგი, უღვაშიანი მამაკაცი იჯდა. ერთს, თეთრ-ფენვამიანს, თავზე მაღალი „ნიკოლაესკი“ გუნერლის კარტუზი ესურა, დანარჩენებს — კრაველის ფაფახები. ეცვათ კარგად შეკერილ-მორგებული ქურქები და ჯუბები, ორლულა თოფები ორს ფეხებშუა ედგა, ორსაც, გადახსნილები ეწყო მოკეცილ მკლავებზე... მათ ფეხებთან, თოვლიან ლილოჭრელზე, ორი დიდი ტახტი, ერთი ნეზვი და ერთიც დიდრქებიანი ხარ-ირემი ეყარა... უკან რვაკაციანი მომრეკების ჯგუფი იდგა ბოხობიან-ჩოხიანებისა, მხოლოდ ორი

სალდათიც ერთათ, ყველანი თოფებითა და აკიდებული ფალასკებით... კუთხეში მოჩანდა ენაგადმოგდებული, ზორბა მადე-ვარი ძაღლების გუნდი, რომლებიც ერთ საბელზე გადაბმული საყელურებით ეკავა ერთ-ერთ მსახურს... არც ამასა ჰქონდა წარწერა...

— ნეტა ვინ არიან? ეს კარტუზიანი კი გენერალია და თანაც, ნაღდად რუსია...

იორამმა ფოტო მაგიდაზე დადგა, გაზეთების დასტას მიაყუდა და დაიძახა:

— ზეინაბ! ერთი წუთით მოდი!

— ვერ მოვალ! შენ მოდი! — მოისმა ზეინაბის ხმა.

— რა მოუვიდა?! — ნაიბურტყუნა იორამმა და გასძახა. — რა იყო?!

— მოდი და ნახავ!

იორამმა ხელი დაავლო მონადირეების ფოტოს და დერეფანში გავიდა.

— სადა ხარ? — დაიძახა მიზეზიანად, თუმცა მშვენივრად ესმოდა, რომ ხმა სამზარეულოდან მოდიოდა.

იქ შესულმა დაინახა: დიდ სასადილო მაგიდაზე ზეინაბს სუფრა გადაუძვრია, მუშაობა გადაუფარებია და ზედ ცელოფანში შეხვეულ რაღაც დიდ რულონს აგორავებს. იქაურობა სველია... თვითონ ზეინაბსაც მუშაობის ფართო წინსაფარი ჩამოუცვამს, სახელოები აუკაპინებია, ხელებზე კი რეზინის ხელთათმანები აცვია, თავიც, რატომღაც, მჭიდროდ ნაუკრავს ხილბანდით. ღონიერი მოძრაობით უღვლემა, ყყლეტა და აგორავებდა რულონს... იორამი თვალებდაჭყეტილი მიაჩერდა, მაგრამ იატაკზე დაყრილი ფერადი მატყლის ფთილები დაინახა და მიხვდა, რაშია ც იყო საქმე? მინც იკითხა:

— რას შვრები?

— აი! — ცელოფანი გახსნა ზეინაბმა და მოხარული, სხვადასხვაფრად შეღებილი მატყლის ერთმანეთში შეზეილი

მასა დაანახა. — ვთელავ! ვაკეთებ, ასე ვთქვათ, „სადილომომ ნამუშევარს“...

იორამს ხმა არ ამოუღია და ზეინაბმა გააგრძელა:

— თვის ბოლოსა დაცვა... ჩემი თემაა კედლის ნოსი, იგივე გობელენია, რა... თუმცა ისე, ტახტზე გადასაფარებლადაც გამოდგება... მე მხოლოდ ფრაგმენტს ვთელავ, მთელი ნოსის მეექვსედს, ოთხმოცი სამოცდაათზე... ვისაც უნდა, მთელი ნოსის დამზადებაც შეუძლია, მაგრამ მასალა ფული ჯდება... სერტიფიკატზე წარსადგენად კი ეს ფრაგმენტი-ნიმუში და მთლიანის ესკიზი საკმარისია დასკვნის გამოსატანად... ესკიზები, აგე, ბუფეტზე აწყვია... ნახე!

იორამი ძველებურ, სასახლესავით აგებულ ბუფეტთან მივიდა, ფოტო ზედ მიაყუდა და თახჩაზე შეყრილი „ვატმანის“ რულონები გაშალა...

— ოლონდ ეგ მუყაოს პლანშეტზე უნდა გადავიტანო წარსადგენად... მოგონს?! — თქვა ზეინაბმა და მოიხედა, ფოტო დაინახა და შესძახა:

— ვაიძე, რა კარგი ფოტოა! — შემობრუნდა და ხელი სტაცა... იორამმა გამოგლეჯა დააპირა, მაგრამ ვერ მოასწრო და უკმაყოფილოდ ნაიჯჯაღანა:

— მოიცა! ნუ დასველ!

— ესენი ვინ არიან? რა მაგარი ტიპები არიან! ეს რაები უწყვიათ? ეს ირემია, ხომ?! — ყვიროდა ზეინაბი... იორამმა ფოტო გამოართვა, სახელოთი გაწმინდა დასველებული ადგილი და ისევ ბუფეტზე მიაყუდა...

— ეს იმ არქივიდანაა, ხომ?! რა საინტერესოა! მართლა კარგი რამეებია ხომ, იორამ? მე ძალიან მომწონს!

— ჯერჯერობით, ბევრი არაფერი... — თქვა იორამმა.

ზეინაბი უცებ ისევ თავის პრობლემაზე გადაერთო.

— ...პატარა გამოფენასაც მოვანყობთ, შარდენზე, მანანას სტუდიაში... სერტიფიკატების გადაცემა საზეიმო ვითარებაში... პატარა ალა-ფურშეტიც... მხოლოდ შამპანურები იქნება, ნამცხვრები და ხილი... ნამცხვრებს ქალები გამოაცხოვენ, მოიტანენ... მე რისი გამოცემა ვარ! არაფერსაც არ მივიტან! მერე რა მოხდა?! — რატომ? — თქვა იორამმა. — მაგ დროისათვის სწორედ პირველი თვის ჰონორარს მივიღებ ნოდარისაგან... ერთი-ორი ბოთლი შამპანური და ხილი შენც უნდა მიიტანო...

— აააუჰ! რა კარგია! — შესძახა ზეინაბმა და იორამს გადაეხვია. — შენც ხომ მოხვდა, იორამ? აუცილებლად უნდა მოხვიდე!

— მე რატომ?

— როგორ?! არ გაინტერესებს შენი ცოლის „პოზიცია“? როგორ გამოიყენებ





სხვების ნამუშევრების ფონზე? გამოფენაზე, ხომ იცი, სულ სხვანაირად ჩნდება ყველაფერი...

ისევ ნაშინდრის გზაზე გარბოდა ყაფლანიშვილის ჯიპი... საჭესთან ჯოტო იჯდა, გვერდით ნოდარი, უკანა სავარძელზე — ზეინაბი და იორამი...

გრუნტის გზას ხრემის დიდი გროვები მისდევდა გასწვრივ, თითქმის ზედიზედ, გადაბმულად. გზადაგზა ჯიპმა სამ თვითმცლელს გადაუსწრო. ორს ხრემი მოჰქონდა, ერთს — ცხელი-ცხელი ასფალტი. მერე მუშათა ბრიგადასაც მიადგნენ. ხრემს შლიდნენ გზაზე, ასწორებდნენ. მოშორებით, სამას მეტრში, უკვე ასფალტიც მოეზიდათ, აგებდნენ, დალოლავენდნენ მძიმე მტკუნავეები. ნიჩბებიან მუშებში შავი კოტე და კიდევ რამდენიმე ნაშინდრელი გლეხი დანინახეს. ნოდარმა მანქანა შეაჩერებინა, დაუძახა:

- გაუმარჯოს ჩვენებურებს!
- გლეხებმა ქუდები მოიშვლიეს, ილრიჭებოდნენ გახარებულები, ყვიროდნენ:
- გაუმარჯოს! გაუმარჯოს!
- გაგიმარჯოს, შენი ჭირიმე!
- მიდის საქმე?
- მიდის, მიდის, მამ შენი ჭირიმე!
- ნოდარი შავ კოტეს ჩაეკითხა:
- რას გისიძინა?
- დღეში ათ ლარს, ნოდარის ჭირიმე! — თქვა შავმა კოტემ...
- კმაყოფილები ხართ?
- მამ, მამ! ნეტავ სულ იყოს ეგეთი სამუშაო!

ჯიპმა გზა გააგრძელა. ნოდარი იორამს მოუბრუნდა, გაიცინა:

— ხედავ ამ ვირიშვილებს? თავისივე გზის გაყვანაში ისევე თვითონ იღებენ ფულს! როგორია? არა, ეგ არაფერი! გაუშვი, კაცო, ისეირონ! მაგრამ ამათი ზედმეტი გაგულავებაც არ ივარგებს!

მიბრუნდა და ისე განაგრძო ლაპარაკი: — გლეხი ნუნკია და მანაკი... განსაკუთრებით უყვარს წვრილმანი ხეირი... აი, ახლა, ეკლესიისათვის რო მასალას მოუზიდავენ.....

— მაგაზე ხომ შეუთანხმდი? — თქვა იორამმა. — შენი მასალა და მაგათი მუშაობა... მამითადი...

— ჰო, ჯამაგირს მაგამი არ იღებენ, მაგრამ მე რას ვამბობ: აქედანვე ვანგარიშებინე მასალა პრარაბს და მესამედი ნავამატე... ეგ მესამედი უნდა მაგათ მოიპარონ... გესმის? იქნება ზიდვა დღეს-ხვალეობით თითო ვედრო ცემენტის, სამიოთხი ბლოკისა და აგურის და ეგრე... როცა ეს წვრილმანი ხეირი აქვს, გლეხი კმაყოფილია, ხალისიანი და თან მორჩილიც... არ უნდა, ეგ საქმე გაუსკდეს, თან შერცხვეს და თანაც საქმე დაკარგოს... გესმის? ოღონდ არ უნდა გააგულავო, გაქსუების, გადამალაშების საშუალება არ უნდა მისცე! თან სულ უნდა ეშინოდეს! თუ გაგულავდა, შიში დაკარგა, მაშინ ხალისსაც კარგავს და საქმეც ფუჭდება... გესმის?

— ჰო, მესმის, მესმის! — გაიცინა

იორამმა. — ეგ რალაც სტალინური თეორიებისა თუ მეთოდებისმაგვარი რამე გამოდის...

— სტალინურია თუ ლენინური, მე არ ვიცი, მაგრამ სტალინამდეც ეგრე იყო და სტალინის შემდეგაც ხო ეგრეა და ეგრე... ადამიანის ბუნება ეგეთია...

ზეინაბმა ჩაურთო: — ადამიანის ბუნება ხომ იცვლება, ვითარდება...

— არ დაიჯერო! ეგ ფანტაზიორების, გიჟობების, დემაგოგი პოლიტიკოსების მოგონილია! ადრე თუ გამოქვაბული და კოცონი ჰყოფნიდათ, ახლა სასახლე — ელექტრონით, ცენტრალური გათბობით, ტელევიზორით — არა ჰყოფნიდათ... როგორც მაშინ იბრძოდნენ კბილებით მაგეების მოსახვეჭად, ისე იბრძვიან ახლაც... მა რა ქანა?! მოხვეჭის ხოში და დილიხორი არ შეცვლილა... მოსახვეჭის ასორტიმენტი კი სულ იზრდება... ვა-ჰა-ჰა-ჰა! მამ როგორ!

იორამი ნაშოიყავა და ცოტა განინმატებულად შეედავა:

— მამ, შენ რომ გკითხონ, არც თავდადება ყოფილა ქვეყანაზე, არც თავგანწირვა, არც უანგარობა! არც ალალი სიკეთე! ამდენ მაგალითს, ამდენ ნიმუშს რალა ვუყოთ ისტორიაში?

— აბა, მე რა ვიცი? ამბებდა მეც ბევრი გამიგონია, მაგრამ სინამდვილეში არ მინახავს... ისე, ალბათ, მაგ ამბებსაც თუ ძირამდე მოჩხრეც, მანდაც ყველგან რამე მოსახვეჭელს აღმოაჩენ! ცხოვრებაში ეგრეა და აბა!

იორამმა შეპასუხება დააპირა, მაგრამ უცებ ისევ ჩაქრა, სახეზე გულგრილობისა და გაბნეუბების ულობის გამოხეტყველებამ გადააურა. ეეჰო, ერთი ამოიოხრა, ხელი ჩაიქნია და ისევ საზურგეზე მიეგდო...

ჯიპი უკვე სოფელში შევიდა...

სათავადო ეზოში ერთ-ერთი ცალკე მდგომი ქვითკირის შენობა მთლად გადასხვაფერებული დაუხვდათ: დიდი ფანჯარა იყო გამოჭრილი, ხის ლამაზი კარი ჩასმული, წინაც ტერასა დაგებული... შიგნით, ერთი მოზრდილი ოთახი სუფთად და კოპნიად იყო გალესილი და შეღებილი, მხოლოდ ერთი კედელი ქვის ნიკობაშივე დაეტოვებინათ და შიგ ბუხარი დაეტანებინათ, იატაკი იტალიური ფილებით იყო დაგებული, ეფინა ახალი ჩინური ჭილოფები... იდგა რბილი ავეჯი, თაროები, დიდი ტელევიზორი... მეორე მომცრო ოთახი, გვერდზე პატარა სააბაზანოთი, საძილედ იყო მოწყობილი... ზეინაბი, იორამი და ნოდარი ათვალიერებდნენ, ჯოტო კი მანქანიდან კოფრებსა და ყუთებს ეზიდებოდა...

— აბა, ბატონო! თქვენს თბილისურ ბინას ვერ შეედრება, მაგრამ სააგარაკოდ არა უშავს, ჰა? — თქვა ნოდარმა.

— მშვენიერი! გადასარევი! — გაიძახოდა ზეინაბი.

— აგერ, იორამის სამუშაო ადგილიც... — მიუთითა ნოდარმა ფანჯარასთან, ნიშაში შედგმულ ფართო მაგიდასა და თარო-

ბზე, — ტერასაზედაც შეუძლია იმუშაოს. ზეინაბი უკვე შემფოთებით უყურებდა და უცებ დაიწყო:

— კი მაგრამ, ნოდარ, ამოდენა ხარჯი! ჩვენი გულსათვის... აბა, რანაირად...

— ჰოჰ! — გაანყვეტინა ნოდარმა, — აბა, რას ამბობ? თქვენ რა შუაში ხართ? თქვენ რო ნახვალთ, აქაურობას თან ხო არ წაიღებთ? ისევ მე არა მრჩება? მაინც ჩემი გასაკეთებელი არაა? წინ ნაგებული საქმე გამოვა და ეგაა...

— ისე ლაპარაკობ, გეგონება, ეს სახლი უკვე დამტკიცებული გეონდეს... სასამართლო წინაა და... რა იცი? — თქვა იორამმა.

— ვიცი, ვიცი, ჩემო იორამ, — გაიცინა ნოდარმა, — მე ტუფტა სტავკას არ ვაკეთებ! ჩემი სტავკა ყოველთვის მომგებიანია! მამ, აბა როგორ! ახლა აქეთ მოდიო! — ღმერთმა გიმშველოს! — ჩაიბურტყუნა იორამმა და გარეთ გასულ ნოდარსა და ზეინაბს მიჰყვა...

ტერასაზე გავიდნენ და ნოდარმა აჩვენა ამავე შენობაში გვერდით გამოთავისუფლებულ-გამოსუფთავებული სათავსი. ერთ კედელთან გრძელი, სიში ქვის მაგიდა იდგა, მეორესთან — წყლიანი ავზი და ბალონიანი გაზის ქურა, შუა კედელზე თაროები იყო ჭრამდე და ზედ ოთხი, ხამი მატყლით გატენილი ტომარაც ედგო. შუახნის გლეხის ქალი იატაკს ჰგვიდა...

— ესეც შენი ცეხი, — თექის საამქრო, ჩემო ზეინაბ! — გამოაცხადა ნოდარმა. — ეს კესო! გაიცანით ერთმანეთი! შენთან იმუშავენ... თექის თელვაც იცის...

— ვაიმე, ეს რა... — ენა დაება ზეინაბს, უცებ შემობრუნდა, ნოდარს გადახვია და გადაკოცნა. — აუჰ! აქ რაებს გავაკეთებ! მერე ხელად საქმიან კილოზე გადავიდა:

— აქ კი უკვე, მართლა ჰოჰოჰ, ჩემო ნოდარ! მატყლის ფასი და კესოს ჯამაგირი ჩვენ უნდა გადავიხადოთ!

— გადაიხდით, გადაიხდით, მამ როგორ! გამოგბრით იორამის ჰონორარში... ანდა, მოდი, ასე ვქნათ: ჩათვალე, რო წილში შემოვიდი შენს საქმეში, ჰა? ეს ჩემი პაი იქნება... პროცენტებზე მერე მოვილაპარაკოთ, ჰა?

...მერე ნოდარმა დაიბარა, გამგეობაში გავალ და მალე მოვალო, ზეინაბი კი დაბზრიალდა დიდ ოთახში, კოფრებიდან ამოალაგა სუზანეები, ფარდები, გადასაფარებლები, ფერადი ბალიშები, სხვადასხვა საოჯახო წვრილმანი... დაქროდა აქეთ-იქით, — ზოგან ჩამოკიდა, ზოგან მიაფარა, ზოგან გადააფარა, მიანყ-მოანყო რალაცები და თვალსა და ხელს შუა ოთახმა სიმყუდროვასა და შინაურობის იერი მიიღო. მერე ჯოტოს შემოზიდული ყუთები დახსნა. ერთში საფირმო ღვინის ბოთლები ენყო, მეორეში — საფირმო ლუდის ქილები, მესამეში — დელიკატესი კონსერვები, სოკო, ორაგული, ხიზილალა, შებოლილი ძეხვები, სალამი, შაშხი, ზეთისხილი და სხვა...



# ჟონაჟონ სპაზაჟონ

## „გზის“ ერთგული მართხვალისათვის (აითხვავი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

### „პასუხების“ სვაბისაჟარ გაგაქვით თვალი

1. რამდენსართულიანი იყო მანჭტენზე მდგარი თითოეული „ტყუპი“; რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად დაინგრა?
2. მოხვევის მანიშნებლად, თავდაპირველად ავტომობილზე რა იყო დამაგრებული?
3. დაასრულეთ ინგლისელთა გამონათქვამი: „უმოკლესი გზა ყოველთვის...“
4. რა არის სახუნდარი?
5. ფრანგმა ოფიცრმა ფრეიემ ჩილეში არაჩვეულებრივად ტკბილი და მსხვილი მარწყვის ჯიში აღმოაჩინა. მან 5 ძირი სამშობლოში ჩამოიტანა, მაგრამ ნაყოფი ვერ მიიღო მანამ, ვიდრე ადგილობრივ ჯიშთან არ შეაჯვარა. რატომ?
6. რა არის ძაბუტონი?
7. ვინ არის განათლებით პუტინი?
8. დასახელეთ მხატვრული ფილმი, რომელშიც რობერტ დე ნირო მხოლოდ იტალიურად ლაპარაკობს.
9. რა არის ვაკისი?
10. ყველაფერი გერმანულის მოყვარულმა რუსეთის იმპერატორმა, პავლე I-მა თავისი მეფობის დროს ბრძანება გაცა, პეტერბურგში ფრანგული მოდის მხოლოდ 7 მაღაზია-სალონი დაეტოვებინათ. რატომ მაინცდამაინც შევიდა?
11. დაასრულეთ ოლეგ ტაბაკოვის სიტყვები: „დურაკამი ნე რაჟდაიუტსა, დურაკამი ნას დელაიუტ კრასივიე ჟენშინი, კაგდა უ ნის იესტ...“
12. დაასრულეთ მიგელ სერვანტესის სიტყვები: „მეგობრისათვის სიცოცხლის განირვა არ არის ძნელი, ძნელია...“
13. რა არის ბრინჯა?
14. რა არის „ახორი“?
15. გერმანელმა და კელტმა მეომრებმა, რომელთაც სპარტაკის საუკეთესო მეგობარი და მარჯვენა ხელი, კრიქსი მეთაურობდა, მაროდორობის გემო გაიგეს და ძირითად არმიას ჩამოშორდნენ. ისინი რომელმა მთავარსარდალმა, კრასუსმა დაამარცხა და ერთიანად ამოუღიჭა. რა მოიმოქმედა მომხდარით გამწარებულმა სპარტაკმა?

# ანეკდოცენი

\* \* \*

გურული ტილების წამალს ყიდის.



— რაფრა უნდა მეიხმაროს კაცმა ეს? — ეკითხება რაჭველი.  
 — რაფრა და დაიჭერ ტილს, შეყერი თვალებში და გააცხებს სულს.  
 — თუკი დავიჭირე, გაცქყელტ, ბარემ!  
 — კი, მასეც შეიძლება!

\* \* \*

საბჭოთა ჯარში გურული, რომელიც რუსულ ენასთან ცოტა არ იყოს, მწყრალადაა, ასეულს სამწყობრო სიარულში ავარჯიშებს:

— როტააა, შაგორომ მარშ! რას, დვა, ტრი! — ასეული მწყობრი ნაბიჯით დაიძრა.  
 — როტააა, ნალევევო! რას, დვა, ტრი! — ასეული როგორც ერთი, მარცხნივ შეტრიალდა.  
 — როტააა, ნა პრაავო! რას, დვა, ტრი! — ასეული, მარჯვნივ შეტრიალდა და სიარული განაგრძო. გურული ხედავს, ერთ მხარეს დიდი უფსკრულია და ასეული სწორედ ამ უფსკრულისკენ მიაბიჯებს. გურულმა მათი შეჩერება დააპირა, მაგრამ დაავინყადა, როგორაა რუსულად „სდექი“!  
 — მეიცა, როტა!.. მაქეთ ნუ მიხვალ, როტა!.. დაყრუვდი, როტა? როტა!.. როტა!!! — ასეული უფსკრულში გადაემშვა, გურულმა კი თავში იტაცა ხელები: — გედირიე, როტა?!

\* \* \*

გურული თანამშრომლის დაკრძალვაზე კახეთში ჩავიდა. მშობლიურ კუთხეში მწირ ქელეხებს მიჩვეული, სადაც ხალხს ძირითადად, ფხალით, სოკოთი, მწნილითა და ლობიოთი უმასპინძლდე-

ბიან, გაკვირვებული დასცქეროდა სუფრაზე დახვევებულ ხორაგს. ქელეხის დასასრულს კარგად გამაძღარმა და კახური ღვინით შეზარხოშებულმა გურულმა ჩაილაპარაკა: — ა, ძამა, სად უნდა კვდებოდეს ხალხი!..

\* \* \*

ავადმყოფი ქმარი ცოლს ეუბნება:  
 — სარა, შემომფიცე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ არავის საკუთრება არ გახდები!  
 — თუ გამოჯანმრთელდი?..

\* \* \*

ორი დაქალი საუბრობს:  
 — ვერ წარმოიდგენ, რა საინტერესოა, იყო მხატვრის ცოლი. ის ხატავს, მე სადილს ვამზადებ, ბოლოს კი ერთად ვმარჩიელობთ, ვის რა გამოგვივიდა!

\* \* \*

— როცა ახალდაქორწინებულები ვიყავით, ყოველ დილით ქმარს კოცნით ვალვძებდი.  
 — ახლა?  
 — ახლა მალვიძარა იყიდა.

\* \* \*

დედა სანდროს ალვიძებს:  
 — ადექი, მამალმა რა ხანია, იყივლა!  
 — მერე მე რა, დედალი ვარ?!





\* \* \*

ცოლი ქმარს ეუბნება:  
 — ძვირფასო, მე ფული მჭირდება.  
 — როგორ, ისევ?!  
 — კი, თითქმის აღარაფერი დამრჩა.  
 — იცი რა, შენ ჭკუა უფრო გჭირდება, ვიდრე ფული.  
 — კი, მაგრამ მე ხომ ისეთ რამეს არ გთხოვ, რაც შენ არა გაქვს?!

\* \* \*

მისომ ლოტოში მილიონი მოიგო და შინ გახარებული დაბრუნდა:



— მარო! მარო! ლოტოში მილიონი მოვიგე და ბარგი ჩაალაგე!  
 — ეძახის ცოლს.  
 მარო აივანზე კეკლუცად გადმოდგა და ეკითხება:  
 — ზამთრისა თუ ზაფხულისა?  
 — ორივე და დაახვიე აქედან, შენი...

\* \* \*

— მამი, ამდენს მუშაობ და სიმდიდრე მაინც ვერ დააგროვე! — საყვედურობს მისოს შვილი.  
 — ეჰ, შვილო, მუშაობით სიმდიდრე რომ გროვდებოდეს, ჩვენი ვირი მილიონერი იქნებოდა!

\* \* \*

ქალი კაცს ეკითხება:  
 — უკაცრავად, რამდენი წლის ბრძანდებით?  
 — 72-ის.  
 — უი, რას ამბობთ, არც კი მოგცემდით...  
 — ამას ვეღარც შევძლებდი.

\* \* \*

სვანმა ბაღში ისეთი საფრთხობელა დადგა, რომ ჩიტებმა შარშანდელი მოსავალიც უკან დააბრუნეს.

\* \* \*

ილუზიონისტმა მაცურებელთა დარბაზში მჯდომი ბიჭუნა სცენაზე მიიწვია და უთხრა:  
 — ჩემო პატარავ, გააგებინე ხალხს, რომ ჩვენ პირველად ვხედავთ ერთმანეთს.  
 — დიახ, მამიკო.

\* \* \*

ქერა ნაშა კაზინოში შედის და „რულეტკას“ თამაშობს. ყველა ფსონი 22-ზე დადო და მოიგო. მოგებული თანხა ისევ 22-ზე დადო. კრუპიერ ჩუმად ანიშნა, — გადაანაცვლე, მოგების შანსი არ არისო. ქალი გაჯიუტდა:  
 — მე თამაშის ჩემი სისტემა მაქვს და ვიცი, რასაც ვაკეთებ.  
 დაჯდა ისევ 22 და ასე გამეორდა სამჯერ. კაზინო გაკოტრდა. გადარეული დირექტორი ქალს ეკითხება:  
 — ამისხენით, რა სისტემა გაქვთ ამისთანა?  
 — ყველაფერი მარტივია: ქალაქში ჩამოვედი 7-ში, ვცხოვრობ სასტუმროს №7 ოთახში და სასტუმროდან კაზინომდე 7 კმ-ია.  
 — მერე რა?! — დაიბნა დირექტორი.  
 — რა და 7X3 ხომ უდრის 22-ს?!

## გონებას სავსაქოთ

### „გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პასუხები)

1. 110-სართულიანი.
2. მექანიკური ხელი.
3. „...დანაღმულია“.
4. ადგილი, სადაც მონადირე ნადირს უსაფრდება.
5. ჩამოტანილი ხუთივე ძირი მდებრობითი სქესის აღმოჩნდა.
6. ასე ეძახიან იატაკზე დასაჯდომ რბილ ბალიშს იაპონიაში.
7. იურისტი.
8. „ნათლია“.
9. რკინიგზის ყრილს, რაზედაც შპალებია დანყობილი და რელსებია დაგებული, ვაკისი ეწოდება.
10. მაღაზიათა რიცხვი იმპერატორმა მომაკვდინებელ ცოდვათა რიცხვს შეუსაბამა.
11. „...სვაბოდნოე ვრემია“.
12. „...იპოვო ასეთი მეგობარი“.
13. რუმინული ყველი.
14. „ახორი“ და „თავლა“ სინონიმებია.
15. მან 400 რომაელი გლადიატორი არენაზე გაიყვანა და კრიქსისა და მის მეომართა სულის განსანმუნდად, მათ ერთმანეთი დაახოცვინა.

## რეანიფორსო მადანა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: [gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com), „კვირის პალიტრის“  
 („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიანერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.







# როგორ შევბრჩიოთ სასურბო კოსტიუმი

ზაფხულია, შვებულებების და არდადეგების პერიოდი და დამსვენებელთა უმეტესობა ზღვისკენ მიისწრაფვის. როგორ შევარჩიოთ ჩვენთვის მისაღები საცურაო კოსტიუმი? იდეალური სხეული იშვიათობაა, თუმცა სრულყოფილებისკენ ქალი მუდამ უნდა მიიღტვოდეს. როგორ მოვიქცეთ, თუ ჩვენს ნაკლს დიეტა არ შევლის? ერთადერთი სწორი გამოსავალი — საცურაო კოსტიუმის სწორად შერჩევაა. საცურაო კოსტიუმს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ტანსაცმელს, შეუძლია თქვენი გარეგნობის მომგებიანად წარმოჩენა, ანდა პირიქით — ნაკლის გამომზეურება...



## განიერი მხრები

არც იმდენად დიდი პრობლემაა, თქვენ რომ გგონიათ: ეს ნაკლი საცურაო კოსტიუმში თითქმის შეუმჩნეველია. და მაინც, თუკი გეჩვენებათ, რომ ზედმეტად განიერი მხრები გაქვთ, გირჩევთ ატაროთ V-ს ფორმის ან მრგვალად გულამოჭრილი საცურაო კოსტიუმი, რომელიც თქვენს მხრებს გაცილებით ვიწროს წარმოაჩენს. ასეთივე საცურაო კოსტიუმი უპრიანია ტანსრული ქალებისთვისაც. განიერმხრებიან ქალებს არ ვურჩევთ ფართობრეტელებიან საცურაო კოსტიუმს.



## დიდი მკერდი

მართალია, დიდი მკერდი ნაკლი არ არის, მაგრამ თუკი თქვენ მინიატიურული და ზომაზე მეტად ნელწვრილი მანდილოსანი ბრძანდებით, დაგეხმარებათ ფართობრეტელებიანი, ოდნავ ზემოთ ანეული ფორმის ბიუსტჰალტერი. კოსტიუმის ზედა ნაწილი ქვედაზე მუქი უნდა იყოს და სასურველია, ჰორიზონტალური ხაზები ჰქონდეს.

## მოკლე წელი

კატეგორიული უარი თქვით ბიკინიზე. აქცენტი თქვენთან ღრმად ამოჭრილ, მთლიან საცურაო კოსტიუმზე. გირჩევთ ვერტიკალური ხაზებითა და და დეტალებით დამშვენებულ საცურაო კოსტიუმს — ეს გარეგნულად დაამშვენებს ტორსს, მკერდსაც მაღლა „ასწავს“ და პროპორციულობის შთაბეჭდილებას შექმნის.



რომლებიც მუცელს ან თეძოებზე შეერთდება. გირჩევთ, უპირატესობა მიანიჭოთ ლაიკრის საცურაო კოსტიუმს, რომელიც „შეისრუტავს“ მუცელს. არ შეიძინოთ რბილი და ბაცი ფერის ქსოვილისგან შეკერილი საცურაო კოსტიუმი, ერთიც და მეორეც თქვენს ნაკლს ხაზს გაუსვამს.

## სიმაღლე


თუ ტანდაბალი ხართ და მოკლე ფეხები გაქვთ, ნურასდროს ჩაიცვამთ თეძოებზე ამოჭრილ საცურაო კოსტიუმს. თქვენთვის შესანიშნავი ვარიანტია კოსტიუმი ვერტიკალური ხაზებითა და ღრმად ამოჭრილი ტრუსით. მაღალი და გამხდარი ხართ? მაშინ თქვენთვის ბიკინია ზედგამოჭრილი — იგი თქვენს ფიგურას ორად „გაყოფს“. ბიუსტჰალტერი შეიძლება ბრტყელბრეტელებიანიც იყოს და უბრეტელოც, ტრუსი კი — შორტის სტილში, ანდა ერთმანეთზე გადადებული კალთებით.

## მოკლე კისერი და ლაბანი

იდეალური ვარიანტია V-ს მსგავსი გულამოღებული საცურაო კოსტიუმი. თუ თქვენ ზედმეტად დიდი მკერდი არ გაქვთ, შეგიძლიათ შეიძინოთ უბრეტელო საცურაო კოსტიუმიც.

## ვიწრო მხრები

ამ პრობლემის მოგვარებას მართივად შეძლებთ, თუ ფართობრეტელებიან საცურაო კოსტიუმს ჩაიცვამთ. მით უმეტეს, თუ კოსტიუმის ზედა ნაწილი უფრო ბაცი ფერის იქნება, ვიდრე ქვედა; ხოლო ნახატები ან დეტალები — დიაგონალური.



## განიერი თეძოები და დიდი მუხრული

ქალბატონებს, ყველაზე ხშირად ეს ნაკლი აწუხებს, მაგრამ არც ამის დაფარვაა ძნელი. პროპორციული ფიგურის შექმნის საიდუმლო უმარტივესია: აქცენტი უნდა გადაიტანოთ საცურაო კოსტიუმის ზედა ნაწილზე, მაგალითად, იგი უნდა იყოს მკვეთრი ფერის და ნახატისანი, ხოლო ქვედა ნაწილი — ვერტიკალური და მონოქრომული დეტალებით შემკული. კარგია ასევე დიაგონალური ხაზები,

## მსუქანი ხელები

რა თქმა უნდა, ამ ნაკლის შენიღბვა საკმაოდ რთულია, მაგრამ ყურადღების გადატანა კი შესაძლებელია. ამიტომ გირჩევთ, ჩაიცვათ საცურაო კოსტიუმი, რომელსაც მკერდზე უხვად ექნება ნაქარგი ან სხვადასხვა დეტალი. ასევე ურიგო არ იქნება, თუკი მაჯებზე სამკაულს წამოიცვამთ, ყელს დაიტოვებთ.

მომსხო კი ღიად



## სიმსუქნე

მსუქან ქალებს არ ვურჩევთ ტანზე მჭიდროდ შემოტმასნილი კოსტიუმის შექმნას. ასეთი სამოსი თქვენს სიმსუქნეს მეტად წარმოაჩენს. ნურც ბიკინის დაადგამთ თვალს. უმჯობესია, ლაიკრის, ფართობრეტელებიანი, ბაცი ქსოვილისგან შეკერილი მთლიანი საცურაო კოსტიუმი ჩაიცვათ. კარგი იქნება, თუკი კოსტიუმი ვერტიკალური დეტალებით იქნება დამშვენებული.

ზღვაზე ნასვლის წინ, საცურაო კოსტიუმთან ერთად შეიძინეთ მისი შესაფერისი საპლაჟე აქსესუარებიც — შლაპა, შარფი, ჩანთა, სათვალე და სანძღები.



გრძელი და აპრელი ნამნამები თვალს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას მატებს, მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორ მოუაროს მათ. თუ ნამნამების ასაპრესად ტუშს ყოველდღე იყენებთ, მალე დაგჭირდებათ კოსმეტოლოგის კონსულტაცია — თუ რა მოუხერხოთ ნამნამების ორად გაყოფილ ბოლოებს. უხარისხო საღებავმა შესაძლოა, ქუთუთოების წვა და ქავილიც გამოიწვიოს, რასაც საბოლოოდ ნამნამების ცვენა მოჰყვება. ამიტომ, ქუთუთოს სულ უმნიშვნელო შეწითლების შემთხვევაშიც კი აუცილებელია ნამნამების მოვლაზე იზრუნოთ.

დილით გაკეთებული მაკიაჟი, ძილის წინ აუცილებლად მოიცვილეთ კოსმეტიკური რძის საშუალებით.

## სშირი და ლამაზი წამნამები რომ გქონდეთ...

ნამნამების მოვლა ზეითუნის ზეთის რეგულარული გამოყენებით დაიწყეთ. ჯერ კარგად ამოიბანეთ თვალები თბილი წყლით, შემდეგ კი ნამნამებზე ზეითუნის ზეთი წაისვით — ნამნამები გახშირდება, გაშუქდება და ბზინვარება მოემატება. თუ ძილის შემდეგ თვალის კუთხეებსა და ნამნამებზე ლორწოვანი გამონადენი გიგროვდებათ, თვალები გვირილის თბილი ნაყენით (1 ჩ/კ გვირილა, 1 ს ჩ/ჭ წყალ-



ში) უნდა ამოიბანოთ. შეგიძლიათ საამისოდ ჩაის ნაყენიც გამოიყენოთ.

ნამნამების სამკურნალოდ საკმაოდ ეფექტურია აბუსალათინის ზეთი. სპეცი-ალური, ბამბადახვეული ჩხირი დაასველეთ ზეთში და თხელ ფენად წაისვით ნამნამებზე. ჩამოიბანა საჭირო არ არის. ეს პროცედურა სასურველია, საღამოობით, მაკიაჟის მოცილების შემდეგ ჩაიტაროთ.

## სასიყვარულო ურთიერთობაში ჰარმონიას რომ მიაღწიოთ...



1. უნდა გჯეროდეთ თქვენი პარტნიორის;
2. პატივი ეცით მის სურვილებს, მაგრამ არც საკუთარი დაივიწყოთ;
3. უნდა შეგეძლოთ მისი ყურადღებით მოსმენა.
4. გამოავლინეთ მის მიმართ მზრუნველობა.
5. გამოიჩინეთ ინტერესი მისი გატაცებების მიმართ, იქნებ ეს თქვენთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს.
6. სიყვარული არა მხოლოდ სიტყვებით, საქციელითაც გამოხატეთ.
7. ისწავლეთ არა მხოლოდ მიღება, არამედ გაცემაც.
8. არასდროს გამოცადოთ მისი ერთგულება, თორემ შემდეგ სანანებელი გაგხდებათ.
9. არ მოუწყოთ ნებისმიერ წვრილმანზე სკანდალი.
10. არ დაუსვით სულელური შეკითხვები და არც ისეთი — რომელ-

ბზე პასუხის მოსმენაც თავადვე არ გსურთ.

11. არ მოუყვეთ თქვენს ყოფილ რომანებზე.
12. არ ესაუბროთ საკუთარ ნაკლოვანებებზე.
13. შეეცადეთ, დაუთმოთ მეტი დრო, თუკი ეს შესაძლებელია.
14. არასდროს უსაყვედუროთ, თუკი გარკვეული მიზეზების გამო, თვითონ სათანადო დროს ვერ გითმობთ.
15. იყავით გულწრფელი მასთან.
16. არ გამოამჟღავნოთ ეჭვიანობის გრძნობა (ის ძირითადად უმნიშვნელო ფაქტორებითაა გამოწვეული).
17. გამოიჩინეთ მოთმინება.

## გარგარის კოქტეილი



**მასალა საჭიროა:** 1/2 ჩ/ჭ გარგარის წვენი, 100 გ ნაღების ნაყინი, 1 ლიმონი.  
**მოზადების წესი:** წვენი და ნაყინი მიქსერით ათქვიფეთ. შემდეგ მალაღ ქიქებში ჩამოასხით და ლიმონის წვენი მოასხით.

**აირჩიე და შეიძინე სასიძვან გაუსვლელად**  
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები  
[www.elva.ge](http://www.elva.ge)  
 არასის და ნიგვანიის რეკლამის

გამოცემის დასახელება	1გზ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИИ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

საბანდო „ელვა.ჯი“  
 ქ. თბილისი  
 თბილისის ქ. 74/48  
 ტელ: 38-26-73; 38-26-74  
 ფაქს: 38-26-74  
 აბრეშვი ნებისმიერ სხვა გამოცემა  
 E-mail: elva@kvipspal7a.com





არა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მით მეტად უნდოდა, საღამოს ახვლედიანს არ სტუმრებოდა. ერთი სურვილი ჰქონდა, მისთვის თვალბეჭედი ჩაეხედა და ეთქვა, ასეთი თამაში ჩემთან არ გაგივაო. თუმცა, რაღა დროსია? მოსახდენი უკვე მოხდა, დროს უკან ვერ დააბრუნებს. იქნებ ჯობს, უთხრას, რომ მეგობარი მამაკაცი ჰყავს?... მაგრამ ტყუილის თქმა რომ არ შეუძლია? არასდროს არავინ მოუტყუებია, თავის გადასარჩენადაც კი... ასე რომ, რაც არის, არის... ნავა იმ შეხვედრაზე და გიგი კარს გაუღებს თუ არა, ეტყვის, რომ სტუმრად დარჩენა გადაიფიქრა... ვითომ ამის სათქმელად მივიდა. არადა, ერთი სული აქვს, როდის ნახავს, როდის ჩახედავს მომწუხრებულ თვალბეჭედში.

ამის გაფიქრებამ ცოტათი დაამწვიდა და, სკოლიდან მობრუნებული, საღამოსთვის მზადებას შეუდგა. ძალიან არ გამოპრანჭულა, სპორტულად ჩაიცვა — ჯინსის შარვალსა და ბოტასში გამოეცხყო. ასეთ ფორმაშიც ხომ უნდა ნახოს ერთხელ ახვლედიანი?

იმის გამო, რომ გიგის მძღოლს არ მოეხსრო, ნახევარი საათით ადრე გავიდა სახლიდან. რატომ უნდა შეეწუხებინა უცხო ადამიანი, როცა იქ მაინც არ აპირებდა დარჩენას?

ფეხით დაუყვა ტროტუარს, მაგრამ მცირე მანძილი გაიარა თუ არა, მოულოდნელად მოიჭურჭრა, ელვის უსწრაფესად განვა ცაზე ღრუბლები და ქარი ამოვარდა. ნიამ ცას ახედა. კიდევ რამდენიმე წუთი და წვიმა დასცხვებდა. ახია მასზე? დალოდებოდა მანქანას, კაცმა პატივი სცა, მძღოლის მომსახურება შესთავაზა, თვითონ კი... ეს არათავაზიანი საქციელი იყო მისი მხრიდან, სხვა არაფერი...

— მოხვედი? — აღერსიანად ჰკითხა გიგიმ, როცა ზღურბლზე ნია დაინახა.

— მოვედი, მაგრამ დარჩენას არ ვაპირებ... იმის სათქმელად გამოვიარე, რომ ამ საღამოს შენთან ვახშობა გადავიფიქრე... მაპატიე...

გიგიმ დაეჭვებით შეხედა. მის სანუკვარ პატარას იასავით ლურჯი თვალბეჭედი საღამოს ბინდბუნდში უფრო გამუქებოდა, წვიმის წვეთები კი უცნაურად უბრწყინავდა თმაში. განხიზვლა და სიბრანვე ერთდროულად დაეფულა მამაკაცს — როგორ ელოდა ამ მომხიბვლელ ჯადოქარს მთელი დღის განმავლობაში, ისეთი აღსავსე იყო მასთან შეხვედრის სურვილით... და ახლა რას აკეთებს? უარს ეუბნება? და მერე ვის, ახვლედიანს? არა, ის ასეთ რამეებს მიჩვეული არ არის. არასდროს არც ერთ ქალს არ უთქვამს უარი მისთვის ახლო ურთიერთობაზე... და ნია არ იქნება პირველი, ამას არ დაუშვებს!

— ნუ დგახარ წვიმაში, შემოდი, — ისე თქვა გიგიმ, თითქოს მისი სიტყვები

ვერ გაიგონაო, განზე გაინია და გოგონას გზა დაუთმო, — არ დასველდე.

ნია უხალისოდ დაემორჩილა და ჰოლში შევიდა... მდიდრულად მოწყობილმა გარემომ უარესად გაუფუჭა ხასიათი, თითქოს სხვა, სრულიად მიუჩვეველ და უცხო სამყაროში მოხვდა.

მამაკაცი მისკენ შეტრიალდა და ისე შეათვალა, თითქოს აუქციონზე გამოტანილი ძვირფასი ნახატი ყოფილიყო.

— ჩემს მეგობრებს ძალიან აინტერესებთ შენი გაცნობა, — თქვა და ხელი სასტუმრო ოთახისკენ გაიშვირა, — ნუთუ იმედი უნდა გაუცრუო?

— მეგობრებს? — აღელვებისგან ნიას თავბრუ დაეხვა. — მეგონა, მარტონი ვიქნებოდი... არ გითქვამს, რომ სტუმრები გვეყოლებოდა, — დაამთავრა და გაფითრებულმა ენაზე იკბინა, თავისი გულისნადები ასე იოლად რომ გასცა.

— იმედოვნებდი, რომ მარტო მე და შენ ვიქნებოდი? — მამაკაცის ხმა მსუბუქად ჟღერდა. — ეს კი არ მიფიქრია... დარწმუნებული ვიყავი, რომ გაგაფრთხილებ.

და გიგი ძალიან ახლოს მივიდა მასთან. ნიას გააფრთხილა. გული ისე უცემდა, თითქოს საგულედან ამოვარდნას ღამობსო... მისგან ისეთი სასიამოვნო სურნელი მოდიოდა...

— არა! — აღმოხდა მისდა უნებურად. — არაფერსაც არ ვიმედოვნებდი. მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ დარჩენაზე უარი მეთქვა...

— მე მინდა, რომ დარჩე, — მისმა ხმამ მბრძანებლურად გაიჟღერა.

არა, არავითარ შემთხვევაში! შანსი არ არსებობს! მას არ სურდა, გიგის მეგობრებს შეხვედროდა, თანაც ასეთ ფორმაში. ნორმალურად მაინც ჩაეცვა! რას იფიქრებდა, თუ ასე შეტრიალდებოდა სიტუაცია.

— მართლა არ შემოიძლია. დიდი მადლობა, რომ მომიწვიე და კიდევ... შენი მძღოლი ტყუილად რომ შევანუხე...

— მძღოლი? რა, მან არ წამოგიყვანა? აბა, რითი მოხვედი? — თვალბეჭედი მამაკაცმა და გვერდულად გახედა მობუზულ ქალს.

— ჩემით მოვედი... არ დაველოდე... მისი შენუხება არ მინდოდა.

— აჰა, გასაგებია... ალბათ ისევე შენს სახლთან დგას და გელოდება, როდის გამოჩნდები.

— რას ამბობ! ეგ არც მიფიქრია... მაპატიე, ცუდად მოვიქცეი.

— არა უშავს, ახლავე დავურეკავ და წამოვხე. შემო, შემო.

გიგის აღაფრთოვანებდა ნიას სიჯიუტე და მტკიცე ბუნება, მაგრამ უარის თქმას არ იყო მიჩვეული. გარდა ამისა, დარწმუნებული იყო, რომ გოგონა ისევე ილტვოდა მისკენ, როგორც თავად.

— არა... ხომ გითხარი, ვერ დავრჩები-მეთქი.

მამაკაცის გამჭოლი მზერა ნიას თებერ მისურზე შეჩერდა, რომელიც მალალ მკერდს უფარავდა, მერე ნელ-ნელა გა-

# წითალი უახსნასხალი

## სპება კვარაცხელია

წანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზაროთ ელფოსტით [gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com)

დასაწყისი  
იხ. „გზა“ №23-28

რა პრობლემური დღე გაუთენდა! დილიდან უკვე ორჯერ დაურეკა გიგის და ორივეჯერ ავტომომპასუხე დახვდა ჩართული. შეტყობინების დატოვება არ ისურვა, უნდოდა, პირადად დალაპარაკებოდა, რადგან მასთან შეხვედრაზე ნასვლა გადაიფიქრა. არა იმიტომ, რომ შეეშინდა... უბრალოდ, ცოტა გაპრანჭვა გადაწყვიტა, იქნებ უარის შემთხვევაში მამაკაცს ოდნავ მაინც მონატრებოდა იგი. ყოველ წამს ის საღამო უტრიალებდა გონებაში. რა ზღაპრული ღამე იყო... ამაზე უკეთეს ოცნებაშიც კი ვერ ინატრებდა... გუშინაც როგორი თბილი ხმა ჰქონდა?... მაგრამ ვითომ კარგად მოიქცა, მიპატიჟებაზე რომ დათანხმდა? არადა, უარი როგორ ეთქვა? თითქოს ჰიპნოზის ქვეშ იმყოფებოდა. როგორ გააბრუნა ამ კაცმა... ამ დროს, მისი შესაფერისი სულაც არ არის, სად გიგი და სად ის... მათ შორის ერთი დიდი, პირღია უფსკურულია... ან კი რას უნდა წარმოადგენდეს ასეთი მდიდარი მამაკაცისთვის? წარმოსადგებ ბიზნესმენს რაღაც ახალი მოუნდა მისი სახით და გადაწყვიტა, ერთ რიგით მოსამსახურე გოგონასთან გართობის საათი მოეწყო. სულ ეს არის...



დინაცვლა მის წვრილ წელზე და ჯინსის შარვლით დაფარულ თეძოებზე... მართალია, მისი ჩაცმულობა არც დიდებულ „ოტ კუტიურის“ კოსტიუმს წარმოადგენდა და არც ყველაზე ქალურ სამოსს, მაგრამ ქალი მაინც საოცრად მადისალმძკრელად გამოიყურებოდა.

— თან ისე არ მაცვია, შენს სტუმრებს რომ შეეფერება...

— არა უშავს. მათ რომ გაიცნობ, მიხვდები, რომ ამაზე ფიქრიც კი სისულელეა. აქ არავის აინტერესებს შენი ჩაცმულობა.

ნია პასუხი ვერ გასცა, ვერც წინააღმდეგობა გაუწია და მასთან ერთად სასტუმრო ოთახში გაუბედავად შეაბიჯა... უზარმაზარ ოთახში შევიდა თუ არა, რამდენიმე წყვილი თვალი ერთდროულად მიაშტერდა. ნია იმწუთასვე ზედმეტად იგრძნო თავი. რაოდენ თბილადაც უნდა შეხვედროდნენ მას ეს ადამიანები, მიხვდა, რომ ისინი მას თავისიანად არასდროს დაიგულებდნენ...

გიგამ ნიას წელზე მძლავრად მოხვია ხელი და ოდნავ წინ უბიძგა.

— მეგობრებო! ეს არის ნია და ჩვენთან იმის სათქმელად შემოიარა, რომ თურმე ვახშამზე დარჩენა არ შეუძლია. სამწუხაროდ, მე ვერ შევძელი მისი გადარწმუნება.

მსუბუქმა ხმაურმა გადაურბინა სუფრას. ნია ისე იყო დაძაბული, აღარაფერი ესმოდა, მხოლოდ სტუმართა სახეებს ხედავდა. ერთმა მამაკაცმა ადგილი გაუთავისუფლა თავის გვერდით, მეორემ შავი ღვინით სავსე ჭიქა მიანოდა... ცოტაც და, ალბათ გულიც წაუვიდოდა. ამ დროს იგრძნო, როგორ მოუჭირა გიგამ ხელზე ხელი... შეკრთა.

— მოდი, დაჯექი, — ხავერდოვანი ხმით ზედ ყურთან უჩურჩულა ახვლედიანმა.

ნია დაემორჩილა და უსუსური ბავშვივით ჩამოჯდა ვინრო სავარძლის კიდეზე.

— ნია... რა კარგი სახელი გქვიათ, ლამაზი და იშვიათი... დიდი ხანია, გიგის იცნობთ? — ჰკითხა შუახნის შავსათვლიანმა მამაკაცმა და სალათა მიანოდა.

— გმადლობთ... არც ისე დიდი ხანია, სულ რამდენიმე კვირა იქნება.

— სად გაიცანით ჩვენი მექალთანე ბიჭი? — არ ცხრებოდა უცნობი.

— ნიშნობაზე... — ნიას თავისი ხმა ძლივს ესმოდა.

— ოოოო! რა გაიძვერა ვინმეა ეს გიგი... რას საქმიანობთ, ნია?

— მასწავლებელი ვარ...

— მართლა? როგორ გამართლებიათ თქვენს მოსწავლეებს... ბედნიერებაა, როცა ასეთი მშვენიერება რაღაცას გასწავლის.

სუფრას სიცილმა გადაურბინა.

— რა საგანს ასწავლით? — საიდანაც ქალის წიკვინა ხმა მოისმა.

— ინგლისურს.

— ინგლისურს? რას ლაპარაკობთ, ვერაფრით წარმოვიდგენდი... ალბათ დაწყებით კლასებში, არა? — ცინიკურად გაიჟღერა იმავე ხმამ.

— არა, მერვეკლასელებს ვასწავლი, — ნიას ხმა აუკანკალდა, ცოტაც და თვალები ცრემლით ავესებოდა.

— ღმერთო ჩემო, ისეთი მორცხვი ხართ... მიკვირს, როგორ უმკლავდებით უფროსკლასელებს? არა ვარ მართალი, გიგი?

— მისი სიმორცხვე ნუ დაგაბნევთ, ანა, — მტკიცედ გაისმა გიგის ხმა, — ამ ცხვრის ტყავში, რომ იცოდეთ, ნამდვილი ვეფხვია გახვეული.

— შეიძლება, რაღაც გითხრა? — ალენილი ნია უცებ წამოდგა და მამაკაცს მიაჩერდა, — ცალკე მინდა დაგელაპარაკო.

— რა თქმა უნდა, — ახვლედიანმა იდაყვზე წავლო ხელი და განზე გაიყვანა, — რაშია საქმე?

გიგი უკვე მიხვდა, რომ გოგონას აღარც ეს ვახშამი სიამოვნებდა და არც მისი სტუმრები.

— მართლა არ შემიძლია დარჩენა, უნდა წავიდე.

— არ მოგეწონა საზოგადოება, არა? — თვლებში ჩახედა.

ისედაც აჭარხლებული ნია კიდევ უფრო განითლდა.

— მამაკაცი, მაგრამ შენი მეგობრების გარემოცვაში თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობ, — ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა, — თავადაც ხომ ხედავ, მე მათთან საერთო არაფერი მაქვს.

— სრულებით არ აფასებ საკუთარ თავს, პატარავ. შენ მასწავლებელი ხარ, განათლებული ქალი... ნუთუ არ შეგიძლია, თავი უფრო თავისუფლად იგრძნო? აქ არავინ იკბინება.

— მომისმინე, გთხოვ... ძალიან დავილაღე... რთული დღე მქონდა... ერთადერთი, ახლა რაც მინდა, შინ წასვლა და დასვენება. დიდი მადლობა, რომ მომიწვიე, თუმცა ვიცოდი, რომ ეს ჩემთვის ზედმეტი იყო, ამიტომაც არ მინდოდა მოსვლა.

მამაკაცს არ უნდოდა მისი გაშვება. საკმარისი იყო, მისი მოქნილი ტანისთვის თვალი შეეველო, მის დიდრონ ზღვისფერ თვალებში ჩაეხედა და... ვნებიანი სურვილის ნაპერწკლები საოცარი სიძლიერით უკრთებოდა თვლებში.

— როდის განხვ? — იღუშული ხმით უჩურჩულა და მასთან ერთად გასასვლელისკენ დაიძრა.

ნია წამით მოტრიალდა, სტუმრებს თავაზიანი ღიმილით დაემშვიდობა და სხეულის კვკლუცი რხევით გავიდა ჰოლში.

— რა ვიცი... შენ ხომ ძალიან დაკავებული ადამიანი ხარ...

— შენთან ჩემი დღის განრიგის განხილვას არ ვაპირებ. თუკი შენ თვითონ შეარჩევ დროს, როცა ჩემთან შეხვედრა მოგესურვება, ისე გავაკეთებ, რომ ის დღე მთელი ცხოვრება დაგამახსოვრდეს.

გოგონამ შეხედა... გიგის თვლებში ისეთი დაუფარავი ვენბა იკითხებოდა, სიამოვნებისაგან სხეული გაუხურდა. ნუთუ მისთვის ეს ასე მნიშვნელოვანია? რა ბედნიერებაა, თუ მართლა ასეა... რომელი დღე აირჩიოს? რა თქმა უნდა, როცა სკოლაში არ არის წასასვლელი... მაგალითად, პარასკევი...

— პარასკევი... პარასკევი საღამოს თავისუფალი ვარ...

— რომელ საათზე იქნები თავისუფალი?

— რა ვიცი, როცა შენ მოიცლი...

— მაშინ შემოგივლი. ექვსზე შეხვედრა მაქვს ერთ კარგ ადგილას, თან მინდა ლამისთვის დავრჩე. ვიფიქრე, შენც შემომიერთდებოდი...

სანამ მე ჩემს საქმეებს დავამთავრებ, შენ სასტუმროში დაისვენებ, გაისეირნებ, შემდეგ მეც მოვალ და... რას იტყვი?

რას იტყვის? ღმერთო, რა უნდა თქვას? თანახმაა, აბა რა! მაგრამ... ღირს კი? რომ არ არის ასეთ





შეხვედრებს მიჩვეული? ჯერაც სიზმარ-ში ჰგონია თავი. ვერ დაუჯერებია, რომ იგი ვიღაცის საყვარელია... რა უჩვეულოა ეს ყველაფერი. რატომ იღუპავს თავს, რა სჭირს სამაგიოსო? იქნებ აჯობებს, თავი შორს დაიჭიროს მისგან, სანამ გვიან არ არის და სანამ გული უფრო არ სტკენია?

— იცი, გიგი... დიდი მადლობა, მაგრამ...

— ახლა არ მითხრა, რომ უარის თქმას აპირებ...

არა, უარის თქმა ძალიან გაუჭირდება, თუმცა... რატომ მინცდამინც ის აარჩია ასეთმა მდიდარმა და მომხიზველმა მამაკაცმა? ვერც იმას დამალავს ნია, რომ სანოლში არაჩვეულებრივად შეწყვეტენ ერთმანეთს, მაგრამ ასეთი ილუზიებით თავს ვერ ინუგეშებს. მისნაირი მამაკაცისთვის ნიანსაირი ქალი ბევრს არაფერს ნიშნავს. მას მანამდეც ბევრი ლამაზი ქალი ჰყოლია ალბათ...

არა, ამით თავის ღირსებებს კი არ უსვამს ხაზს... ის მხოლოდ ფხიზელი თვალებით უყურებს ცხოვრებას და ეს-მის, რომ გიგისნაირი მამაკაცები მიჩვეული არიან ქალისგან თანხმობას, ფეხქვეშ გაგებას... და მისთვის ჩვეულებრივი მასწავლებლის დათანხმება პაემანზე დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. ან კი რატომ უნდა წარმოადგენდეს? ერთი ჩვეულებრივი ღარიბი გოგოა, სხვებისგან არაფრით გამორჩეული. ის არ ჰგავს იმ ქალებს, გიგის ცხოვრებას რომ ალაშქრებენ... მდიდრები, ელეგანტურები, ყოველდღე სალონებში რომ დადიან... ახალგაზრდული იერის შესანარჩუნებლად პლასტიკურ ოპერაციებს ცნობილ ქირურგებთან რომ იკეთებენ... და, მიუხედავად ასეთი „მყარი“ მიზეზებისა, ნია მინც მიხვდა, რომ მას უარს ვერასდროს ეტყობოდა.

— მართლა გამომივილი პარასკევს? — მოულოდნელად ჰკითხა და დაბნეულმა თმაზე ჩამოისვა ხელი.

— მე ყოველთვის სიმართლეს ვამბობ.

— არ ვიცი... რას იტყვიან ჩემი მეზობლები, შენს მანქანას რომ დაინახავენ.

— შენთვის სულერთი არ არის, სხვები რას იტყვიან?

ნია თავი ასწია და შეხედა. ღიმილმა ბაგე გაუპო.

— ჰო, სულერთია... ეს ხომ ჩემი პირადი ცხოვრებაა.

— ასე არ ჯობია?

— ახლა კი ნივალ.

— კარგი, — თქვა გიგიმ, თუმცა მის ხმაში სინანული იგრძნობოდა, თითქოს არ ეთმობოდა ქალი.

— ხუთის ნახევარზე მოგაკითხავ, რომ ექვსზე ადგილზე ვიყო.

გოგონამ თავი დაუქნია და კიდევ ერთხელ შეავლო მხერგს. რა არაჩვეულებრივი ვინმეა, განა შეიძლება ქალმა ასეთ მამაკაცზე უარი თქვას? როგორი ძალა იგრძნობა მასში...

პარასკევს დილიდან მოუსვენრობა დაეტყო. უნდოდა, რამდენიმე საათით მაინც გაედო მაღაზია, იქნებ რამე გაეყიდა, მაგრამ ბოლოს დაუნარა და შინ დარჩა. დიდხანს არჩევდა, რა ჩაეცვა. არც უკითხავს გიგისთვის, როგორ ფორმაში წამოსულიყო. ან კი რა გარდერობი მას აქვს? მაკასავით არ ეწყობს ასე წყვილი ამოსარჩევად! აი, ამ შავ კაბას ჩაიცვამს, სადაა და ლამაზი, თანაც, გიგის იგი ამ ფორმაში ჯერ არ უნახავს... რა სულელაა, თავის „ძონებში“ ვერ შეარჩია რამე ნორმალური? როგორ ვერაფერს იმეტებს საკუთარი თავისთვის!

ისე ნერვიულობდა, არც კი უსაუბრია, ამ დღეებში სრულებით გაუქრა ჭამის მადი. არადა, ისე კარგად გამოიყურება, ახლა გახდომა ნამდვილად არ მოუხდება. ყავის მაინც დალევეს, სანამ სტილისტთან თმას დაივარცხნის, გული რომ არ წაუვიდეს...

შუადღე გადასული იყო, სალონიდან რომ დაბრუნდა. ეთომ, ვარცხნილობის გარდა, მსუბუქი მაკიაჟიც გაუქვია. შინ მისულმა პირველად სარკეში ჩაიხედა... მოეწონა თავისი თავი, ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა. გიგის აუცილებლად მოეწონება იგი, აუცილებლად.

ახვლედიანი ზუსტად ხუთის ნახევარზე მოვიდა და სადარბაზოსთან გააჩერა მანქანა. არ დაუსიგნალეზია, ალბათ იმის შიშით, მეზობლები არ დავანტერესო. ნია ფანჯარაში გადაიხედა და ხელით ანიშნა, ახლავე ჩამოვალ, თუმცა დაბნეულმა მას მერე იმდენი იბოდილა ოთახიდან სამზარეულოში, მაინც დააგვიანდა ჩასვლა.

ის იყო, სადარბაზოდან გამოვიდა, რომ ქვედა სართლის მეზობელ მზიას შეეჩხა.

— საით, ნიაკო? — ცნობისმოყვარედ შეათვალა შუახნის მეზობელმა.

— მეგობრებს ვხვდები... როგორ ბრძანდები, ქალბატონო მზია? — ნაძალადევად გაუღიმა ყურებად განითლებულმა და ნაბიჯს აუჩქარა.

— შენ გელოდება, გოგონი, ეს მანქანა? — დაადევნა მეზობელმა და ახლა ლაპლაპა „აუდის“ მძღოლს დაასო მზერა.

— მაპატიეთ... მეჩქარება, — კითხვაზე პასუხი აირიდა გოგონამ და მანქანას წინიდან მოუარა.

ამასობაში გიგი მანქანიდან გადმოვიდა, ნიას უკან მიჰყვა და გვერდითა სალონის კარი გამოუღო. არა, აქ არ უნდა დაეპარებინა მამაკაცი. ახლა მთელი ქუჩა მასზე ალაპარაკდება. რა გულუბრყვილოა, როგორ ვერ იფიქრა?

— აგვიანებ, პატარავ, — მსუბუქი საყვედური გამოკრთა გიგის ხმაში.

რა, ბრაზობს? განა ასე რა დააგვიანა, ორი წუთი? დიდი ამბავი!

— მაპატიეთ... მეზობელმა შემაყოვნა... — თავი ამით იმართლა.

— იმედია, სერიოზული არაფერია...

— არა, უბრალოდ, გამაფრთხილა, შინ დროზე დაბრუნდიო.

გიგის გაოცება აღებუქდა სახეზე. ნია

ღიმილი ვერ შეიკავა.

— ვიხუმრე...

— მიხვდი... ცოტა უნდა ვიჩქაროთ, მაგვიანდება. — ცივად თქვა მამაკაცმა და კარი რბილად მიხურა.

რატომ ჰქონდა ასეთი ტონი? ნუთუ იუმორის გრძნობა საერთოდ არა აქვს? რა თქვა ამისთანა, ასე რომ მოიღუშა? ფიქრებიდან გიგის ხმამ გამოარკვია.

— აბა, როგორ ჩაიარა დღემ?

— ხმაურით, — ამოიოხრა ნიამ, — იმდენი ხალხი იყო სალონში, ერთი საათი მომიწია ლოდინმა. ასეთი რამ შაბათ-კვირასაც არ ხდება. დღეს კი... რალაც კომპარი იყო, ძლივს მოვასწარი თმის დავარცხნა, — ნია ცდილობდა, დაძაბულობა როგორმე მოეხსნა, მაგრამ არაფრით გამოსდიოდა. რას უშვრება ეს კაცი, როგორ უფორიაქებს გულს მისი ყოველი გამოჩენა!

— ლამაზი ვარცხნილობა გაქვს, გიხდება, — ეს ქათინაურს ჰგავდა.

ნია განითლდა და მადლობის ნიშნად რალაც ჩაიბურტყუნა, ისე, თავისთვის. გიგიმ კმაყოფილი სახით გამოხედა.

არა, ეს ქალი აგიჟებს. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მოსწონს... მოსწონს კი არა, ნდომისაგან ვერ ითმენს. დღეს მთელი დღე მასზე ფიქრობდა — ვაითუ, გადაიფიქროს და შეხვედრაზე უარი მითხრასო. არა, ამას არას დიდებით არ დაუშვებდა, მაგრამ ნიასგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო. ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში, გიგის ერთხელაც არ ახსოვს, რამეში თავდაჯერებული არ ყოფილიყო. ამ გოგომ კი მისი თავდაჯერებულობა შეხვედრის დღიდან უცებ სადღაც გააქრო.

არადა, საკუთარ თავში ყოველთვის ღრმად დარწმუნებული იყო. ხუმრობა ხომ არ არის, როცა ასეთ სერიოზულ ბიზნესს ჰკიდებ ხელს, ამდენ ხელშეკრულებას აფორმებ, ამდენ საქმიან ადამიანს ხვდები. თუ საკუთარი თავის რწმენა არ გაგაჩნია, საქმეს ვერასდროს ააწყობ. მით უფრო, როცა ქალებზეა ლაპარაკი... არ ახსოვს ქალი, მასთან შეხვედრაზე უარი ეთქვას. ამისთვის ორი განსაკუთრებული იარაღი ჰქონდა — მამაკაცური მომხიზველეობა და ფული, ძალიან ბევრი ფული. საკმარისი იყო, ხელი გაეშვირა მხოლოდ — ამაღამ, აი, ეს ლამაზმანი მინდაო... და შეხვედრა უპრობლემოდ გვარდებოდა...

თუმცა, ეს ყველაფერი ოდნავ შორეულ წარსულში ხდებოდა. ბოლო ორი წელია, გიგი ძველებურად ვეღარ იცლიდა ქალებისთვის, მხოლოდ შემთხვევითი კავშირებისთვის თუ გამოჩნახავდა დროს, მუდმივ პარტნიორზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო... და წამითაც არ ნანობდა ამას.

ახლა კი ირიბად გაჰყურებდა მის გვერდით მჯდომი ქალის ბერძნულ პროფილს და გრძნობდა, როგორ სურდა მისი ჩახუტება.

— სად მივდივარ? — სიჩუმე პირველმა ნიამ დაარღვია.

— ბაზალეთზე.



— სა-ად? — ნია ყურებს არ უჯერებდა.

— ბაზალეთზე-მეთქი, რატომ გაგიკვირდა?

— იქ... იქ რა ხდება?

— კაცი, რომელიც იქ მელოდება, ერთ-ერთი სერიოზული სასტუმროს მებატრონია. ღამეს მასთან გავათევთ. იქვე არაჩვეულებრივი რესტორანია, მაგარი მზარეული ჰყავთ. რა იყო, არ ელოდი, ასე „შორს“ თუ გაგიტაცებდი?

— არა, შორი სულაც არ არის, უბრალოდ, გამიკვირდა, — ხმადაბლა თქვა ნიამ და დარცხვენილმა თავი დახარა.

— ვინმე ხომ არ გელოდება შინ, გაფრთხილება ხომ არ არის საჭირო? — გამომცდელად გახედა მამაკაცმა.

— არა, არა, ვინ უნდა მელოდებოდეს, მე ხომ მართო ვცხოვრობ... — უცნაურად შეირხა გოგონა, უხერხულობის დასაფარავად გადაწყვიტა, ფეხი ფეხზე გადაედო, ამ დროს მუხლებზე დადებული ჩანთა ძირს დაუვარდა.

ორივე ერთდროულად დაიხარა მის ასაღებად... და წამით მათი ხელები ერთმანეთს შეეხო... მამაკაცის სიახლოვემ ქალს თავბრუ დაახვია. ეს ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე მომენტი იყო მის ცხოვრებაში.

გიგის მისი კოცნა მოუნდა. ამწუთას სხვაზე ვერაფერზე ფიქრობდა, გარდა მისი მხურვალე, ტკბილი ტუჩებისა. წარმოიდგინა, როგორ მორჩილად მიუშვერდა ეს საოცარი ქმნილება თავის ბაგეს ვნებააშლილ მამაკაცს. ისედაც უკვირდა, ამდენ ხანს როგორ შეიკავა თავი. ოღონდაც კი მანქანაში არ იყვნენ და... რა უნდა ქნას, ხომ არ გააჩერებს? სხვა გზა არ რჩება, როგორმე უნდა მოითინოს. არც ისე გრძელი გზაა გასავლელი.

ოცდაცხრა წლის განმავლობაში ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ნია ბრმად მიენდო მამაკაცს და სიყვარულის გარეშე მასთან დანოლას დათანხმდა.

ერთადერთხელ უყვარდა ცხოვრებაში, თვრამეტი წლის ასაკში, მაგრამ ის სიყვარული კრახით დასრულდა. ნუგზარი ერქვა იმ ბიჭს, მის პარალელურ კლასში სწავლობდა. ერთ საღამოს თავისთან მიიპატიჟა სახლში, ტკბილი სუფრა გაუშალა, ცოტა დალიეს და... გაგიჟებული ბიჭი პირდაპირ იერიშზე გადავიდა... დღესაც არასასიამოვნოდ ახსენდება ის მომენტი. რაღაც სასწაულით დაუსხლტა ხელიდან პირუტყვად ქცეულ კლასელს. ახლაც თვალწინ უდგას, ტანსაცმელზემოსული როგორ უაზროდ გარბოდა შუალამისას ქუჩაში... ახი კი იყო მასზე, სად მიჰყვებოდა, რომ მიჰყვებოდა? მაგრამ მაშინ



გამოუცდელი იყო, მიმდობი... იმ შეხვედრამ ისეთი ტკივილი დაუტოვა, წლების მანძილზე გული უწუნდა მის გახსენებაზე... თუმცა იმ შემთხვევამ ბევრი რამ ასწავლა.

მას მერე სათოფებე აღარ გაჰკარებია მამაკაცს. თითქმის შიში გაუჩნდა მათ მიმართ, ერთი-ორჯერ თუ იყო პაემანზე, ისიც... კაფეში. კინოში შესვლაზეც კი სასტიკ უარს ამბობდა, იმის შიშით, თავყანისმცემელმა გაუპატიურება არ დამიპიროსო.

ახლა კი... თვითონაც არ იცის, რა დაემართა. რომელ ცდუნებას ვერ გაუძლო — ახვლედიანის მომწუსხველობას, გავლენიანობას თუ სიმდიდრეს?.. იქნებ სამივეს ერთად? ამაზე ფიქრიც კი არ უნდოდა...

— აი, მოვედით კიდევ, — მხიარულად შესძახა გიგიმ და მანქანა რკინის დიდ ჭიშკართან შეაჩერა.

ორნამენტებიანი ალაყაფის მიღმა ფერად-ფერად ყვავილებში ჩაფლული თეთრი შენობა მოჩანდა, რომლის თავზე დიდი ასოებით ეწერა: სასტუმრო „გივრილა“. ნიამ გარემო შეათვალა, საღამოს ბინდებუნი ძალიან რომანტიკული ეჩვენა აქაურობა. გიგიმ მობილური მოიმარჯვა და ვილაცას დაურეკა.

— გივი, აქ ვარ, ძმაო!..

ცოტა ხანში ჭიშკარს თეთრ პიჯაკში გამოწყობილი ღიპიანი მამაკაცი მოადგა. გიგი მანქანიდან გადავიდა და დამხედურს ჯერ ხელი ჩამოართვა, მერე გადაეხვია. ნია მოთმინებით ელოდა, არ იცოდა, დალოდებოდა თუ გადასულიყო „აუდიდან“. მამაკაცებმა რამდენიმე წუთს ილაპარაკეს, მერე გულიანად გაიცინეს

და ნიასკენ დაიძრნენ. გოგონამ კარი გამოაღო და გადმოსვლა სცადა. გიგიმ ხელი შეაშველა.

— გაიცანი, ჩემი მეგობარი ნია... ნია, ეს გივია, ჩემი ძმა და საქმიანი პარტნიორი.

— სასიამოვნოა, ქალბატონო... — თავი მოწინებით დაუკრა თეთრპიჯაკიანმა და გოგონას ხელზე ეამბორო.

ნიამ მოკრძალებით გაუღიმა მასპინძელს.

— ნამობრძანდით, ახლავ დავასვენებთ, — თავზიანად წარმოთქვა გივიმ და სტუმრებს წინ გაუძღვა.

ჰოლში საოცარი სიმყუდროვე იგრძნობოდა. ისეთი სიწყნარე იყო, აფორიაქებული ნია უცებ დამშვიდდა. „რა კარგია აქ“, — გაიფიქრა და წამით გიგის მიაპყრო მზერა.

— ჰო, მართლა კარგია. სწორედ ამას გეუბნებოდი, — მის ფიქრს ხმამაღლა უპასუხა მამაკაცმა.

გივიმ ადმინისტრატორს დაუძახა. მალაღმა, სათვალ-იანმა გამხდარმა ქალმა სან-

დომიანად გაუღიმა ნიას და, პატრონის მითითებისამებრ, მეორე სართლისკენ გაუძღვა გოგონას, თქვენს ნომერს გაჩვენებთო. გიგი მასპინძელთან ერთად ჰოლში დარჩა.

— მონესრიგდი და ჩამოდი, ვივასმომოთ, — დაუძახა კიბეზე ამაღალს ახვლედიანმა.

გოგონამ მორჩილად დაუქნია თავი და ტანის ნაზი რხევით გააგრძელა საფეხურების ავლა.

ნომერი ორკაციანი აღმოჩნდა. აქ ყველაფერი თეთრ ფერში იყო, კედლებიც, ფარდებიც და ავეჯიც.

— აბაზანა იქ არის, — ხელი გაიშვირა ადმინისტრატორმა გვერდითა კარისკენ, — თუ რამე დაგჭირდეთ, ამ ლილაკს დააჭირეთ თითი და მოგესახურებინა. ამწუთას ხომ არ გჭირდებათ რამე?

— არა, გმადლობთ, არაფერი.

ადმინისტრატორი გავიდა თუ არა, ნია საწოლზე გულაღმა გაიშლართა. რა სასიამოვნო საღამო ელის! ახლა იბანავებს, ოღონდ ისე, რომ მაკიაჟი და ვარცხნილობა არ გაუფუჭდეს, მხოლოდ ტანზე გადაივლებს წყალს. მერე დაბლა ჩავა და თავის საყვარელთან ერთად ივასშმებს... ღმერთო, ყველაფერი ისე ხდება, როგორც ფილმებშია... მაგრამ რამდენ ხანს? იმედია, მისი ბედნიერების ეს წუთებიც, როგორც კინოსურათებში, საათნახევარს არ გასტანს და უფრო დიდხანს გაგრძელდება...

გაგრძელება შემდეგ ნომერში





განვლილი სეზონის დასაწყისში „ვესტ ჰემი-დან“ ალან კერბიშლის წასვლის შემდეგ, ლონდონელთა მესვეურები გუნდის თავკაცის პოსტზე 7 კანდიდატურას განიხილავდნენ და საბოლოოდ, არჩევანი 42 წლის იტალიელ ჯანფრანკო ძოლაზე შეაჩერეს, რომელსაც მანამდე მხოლოდ იტალიის ახალგაზრდულ (21 წლამდე) ფეხბურთელთა ნაკრებში მეორე მწვრთნელად ჰქონდა ნამუშევარი. აღსანიშნავია, რომ კლუბის არსებობის 113-წლიან ისტორიაში, ტანმოორჩილი აზენიელი — „ვესტ ჰემის“ პირველი უცხოელი დამრიგებელი აღმოჩნდა.

### ლამა თაბაბარი

ძოლა 1996 წლის 5 ივლისს კუნძულ სარდინიაზე, ქალაქ ოლიენეში დაიბადა და ფეხბურთის ანბანსაც იქ ეზიარა. პირველი პროფესიონალური კონტრაქტი მან 1984 წელს სარდინიის კლუბ „ნუორეზესთან“ გააფორმა, ხოლო 2 წლის შემდეგ, სასარის „ტორეს“ მი-აშურა. 1989 წელს 166 სმ სიმაღლის თავდასხმელი „ნაპოლიმ“ მიიწვია, რომლის რიგებში იმ პერიოდში დიეგო მარადონა ბრწყინავდა. 1990 წელს, როდესაც ნეაპოლელებმა სერია A-ში ოქროს მედლები მოიპოვეს, ძოლა დი-ადი არგენტინელის დუბლიორი იყო და სეზონში ორი გოლიც გაიტანა.

იტალიელ ფეხბურთელს არაერთხელ ხაზგასმით უთქვამს, რომ მის დაოსტატებაში მარადონას დიდი წვლილი მიუძღვის და საჯარო დარტყმების ოსტატურად შესრულებაც სწორედ დონ დიეგოსგან ისწავლა.

„ყველაფერი დიეგოსგან ვისწავლე. მას ყოველთვის ყურადღებით ვაკვირდებოდი და ვცდილობდი, საჯარო დარტყმები სწორედ ისე შემესრულებინა, როგორც ამას მარადონა აკეთებდა, — იხსენებს იტალიელი, რომელსაც მარადონასთან ერთად ვარჯიშის შემდეგ, არაერთი საათი დაუყვია მინდორზე, „სტანდარტულების“ შესრულების ტექნიკის დასახვეწად.

1991 წელს ძოლა იტალიის სუპერთასის მოგებაში დაეხმარა „ნაპოლის“ და არიგო საკიმ ის ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვია, რომლის შემადგენლობაშიც მისი დებიუტი იმავე წლის

# ჯანფრანკო ძოლა

## — „პატარა და ძალიან ჭკვიანი“

ნოემბერში, ნორვეგიელთა წინააღმდეგ მატჩში შედგა. ძოლამ 1989-1993 წლებში ნეაპოლელთა რიგებში 105 მატჩი ჩაატარა და 32 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც „პარმას“ მიაშურა. პარმელებთან ერთად, მან იმავე წელს ევროპის სუპერთასი მოიპოვა, ხოლო 2 წელიწადში უეფას თასის მფლობელი გახდა. 1995-1996 წლების სეზონის დასაწყისში, „პარმას“

სათავეში ჩაუდგა კარლო ანჩელოტი, რომელმაც ფეხბურთელს უთხრა, რომ იგი გუნდის ახალ სათამაშო სქემაში ვერ ჯდება და საბოლოოდ, ძოლა ტრანსფერზე დააყენეს. არადა, თავდასხმელისთვის აშკარად შეუფერებელი გაბარიტების მქონე სარდინიელმა პარმელთა შემადგენლობაში გამართულ 102 მატჩში 49-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი.

„პარმაში“ თამაშის დროს ძოლა სანაკრებო დონეზე კარიერაში პირველ დიდ ტურნირში — 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა. თუმცა აშშ-ში გამართულ მუნდიალს მისთვის წარმატებულს ნამდვილად ვერ ვუნოდებთ. ფორვარდმა მხოლოდ მერვედფინალში, ნიგერიის წინააღმდეგ შეცვლაზე ითამაშა და რამდენიმე წუთში მიღებული ნითელი ბარათის გამო, შეხვედრა ნაადრევად დაასრულა, მაგრამ საბოლოოდ, იტალიის ნაკრებთან ერთად, ვერცხლის მედალი მოიპოვა.

1996 წელს, ძოლა 4,5 მილიონი გირვანქა სტერლინგის სანაცვლოდ, ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდა, რომლის მთავარი მწვრთნელი — ჰოლანდიელი რუუდ გულიტი გახლდათ. პრემიერლიგაში მისი დებიუტი „ტოტენჰემთან“ მატჩში შედგა და პირველივე სეზონში იტალიელმა ინგლისში, როგორც სპეციალისტების, ასევე გულშემატკივრების სიმპათია დაიმსახურა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ძოლას „პატარა და ძალიან ჭკვიანი“ უწოდა.

სადებიუტო სეზონში ძოლამ, „ჩელსისთან“ ერთად, ინგლისის ასოციაცი-

ის თასი მოიგო; მაშინ ლონდონელებმა გადამწყვეტ შეხვედრაში „მიდლსბრო“ დაამარცხეს. ფინალამდე იტალიელმა პირად ანგარიშზე 4 ბურთი ჩაინერა, რომელთაგან განსაკუთრებით ეფექტური, „ლივერპულის“ კარში 25 მეტრიდან გატანილი გოლი აღმოჩნდა. სეზონის ბოლოს, ის პრემიერლიგის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და პირველად მოხდა, რომ მოთამაშემ ეს წოდება არასრული სეზონის ჩატარების შემდეგ მიიღო.

1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ძოლასთვის, მსოფლიო პირველობის მსგავსად, წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან იტალიის ნაკრებმა, რომელიც გერმანიასთან, ჩეხეთთან და რუსეთთან ერთ ჯგუფში მოხვდა, მეოთხედფინალში გასვლა ვერ შეძლო.

ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტ შეხვედრაში იტალიელები გერმანელებს დაუზავდნენ — 0:0 და ძოლამ პენალტი ვერ გაიტანა. სანაკრებო კარიერა იტალიელმა 1997 წლის ოქტომბერში რომში ინგლისის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრის შემდეგ დაასრულა. საერთო ჯამში, მან „სკუადრა აძურას“ მაისური 35-ჯერ მოირგო და 10 გოლი მიითვალა.





1997-1998 წლების სეზონში იტალიელი ფორვარდი „ჩელსის“ ერთბაშად 3 ტიტულის — ინგლისის ლიგის თასის, ევროპის თასების მფლობელთა თასისა და უეფას სუპერთასის მოგებაში დაეხმარა.

თასების მფლობელთა თასის ფინალში, ტრავმის გამო გერმანული „შტუტგარტის“ წინააღმდეგ მატჩში იგი გუნდის ძირითად შემადგენლობაში არ იმყოფებოდა, მაგრამ მოედანზე მეორე ტაიმში გამოსულმა, 21 წამში გაიტანა გამარჯვების გოლი.

იმავ სეზონში ძოლამ პრემიერ-ლიგაში პირველი ჰეთრიკი შეასრულა, როდესაც „ჩელსიმ“ საკუთარ მოედანზე „დერბი ქაუნთის“ 4:0 სძლია.

1999-2000 წლების სეზონში „ჩელსიმ“ ჩემპიონთა ლიგაში პირველად ითამაშა და მართალია, ძოლა გუნდის საკვანძო ფიგურად მიიჩნეოდა, ლონდონელთა თავკაცი ჯანლუკა ვიალი მას ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე თავის



გამოჩენის შანსს ნაკლებად აძლევდა. მიუხედავად ამისა, მან ლიგაში 3 გოლი მაინც მიითვალა, რომელთაგან გამორჩეული — ტურნირის მეოთხედფინალში „ბარსელონის“ კარში საჯარიმო დარტყმის შემდეგ გატანილი ბურთია.

2000 წელს ძოლამ მეორედ მოიპოვა ინგლისის ასოციაციის თასი და ფინალში „ასტონ ვილის“ კარი ასევე საჯარიმოდან აიღო. 2002-2003 წლების სეზონი, რომელიც იტალიელისთვის

ლონდონურ კლუბში ბოლო აღმოჩნდა, მაჟორულ ნოტაზე დაასრულა: ძოლამ 16 გოლი გაიტანა და კლუბის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. 7 სეზონის განმავლობაში სარდინიელმა „ჩელსიში“ 249 შეხვედრა ითამაშა და მეტოქეთა მეკარეები 89-ჯერ დაამწუსრა.

2003 წელს ძოლა სამშობლოში დაბრუნდა და სერია B-ში მოასპარეზე „კალიარის“ შეუერთდა. მისი დახმარებით, სარდინიელებმა სერია A-ს საგზური მოიპოვეს, ხოლო ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა.

საფეხბურთო კარიერა ძოლამ 2005 წელს, 39 წლის ასაკში დაასრულა. მან საერთო ჯამში, 619 მატჩი ჩაატარა და 222 გოლი გაიტანა.

„ვესტ ჰემის“ თავკაცად დანიშვნამდე, იგი იტალიის 21-წლამდელთა ნაკრებში, ასევე — იტალიურ სატელევიზიო არხებზე კომენტატორად მუშაობდა.

# საფიქსმო კროსვოქდი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100
---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	-----

**შემაჯავებელი წესი:** უბასუხეთ კროსვოქდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვოქდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გათუქვბულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**თ.** პატარა მღრღნელი ცხოველი; **ძ.** „გვადი ბიგვას“ ავტორი; **ზ.** თენგიზ აბულაძის ფილმი, რომელმაც „ნატურის ხესთან“ და „მონანიებასთან“ ერთად ტრილოგია შეადგინა; **ე.** დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **ვ.** რა ერქვა ლენინის ცოლს; **ბ.** რა ერქვა სიონის მგელთა ხროვის მეთაურს რედიარდ კიპლინგის ნაწარმოებში „მაუგლი“; **რ.** ებრაელთა ღვთისმსახური; **შ.** ხუთი კაპიკი; **ქ.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **მ.** გილმორი, უოტერსი, რაიტი... ვინ აკლია; **ც.** ქართველი მომღერალი ქალი, ... სეფიაშვილი; **ღ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ა.** მღვდელმთავარი; **გ.** გერმანელი მწერალი, „ნასესხები სიცოცხლის ავტორი“; **ს.** ვაჟა ფშაველას მოთხრობა „... ნიფელი“; **დ.** თვითმფრინავის სადგომი; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **თ.** ქართველი მომღერალი ქალი, ანსამბლ „ივერიის“ ყოფილი წევრი; **ბ.** სამხედრო ნადავლი; **გ.** სპორტის სახეობა, გუნდური თამაში, რომელშიც წინ მყოფი

პარტნიორისთვის ბურთის ხელით გადაცემა არ შეიძლება; **ჩ.** ქალის გრძელი, მსუბუქი მოსასხამი მუსლიმანურ ქვეყნებში, რომელიც სახესაც ფარავს; **ც.** რა ერქვა დათა თუთაშხიას დას; **ძ.** ბანქოს თამაშის დროს მთელი ბანკის მოთხოვნა; **ბ.** სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ვ.** მდინარე ეგვიპტეში; **შ.** უილიამ შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; **ი.** ფაშიზმის სამშობლო;

### „გზის“ №28-ში გამოქვეყნებული კროსვოქდის პასუხები:

- პასუხები:** **ბ.** გიბონი; **ზ.** ზნე; **ა.** ავდარი; **გ.** გეიზერი; **ფ.** ზესნახე; **ი.** იუმორი; **ს.** სკოტი; **თ.** თართი; **შ.** ვაჩნაძე; **ო.** ილიონი; **ს.** სილუეტი; **ა.** არიადნე; **ო.** ოსმალთა; **მ.** მაორები; **ქ.** კენტი; **ი.** იროკეზი; **თ.** თიბათვე; **ს.** ხვადაგი; **ვ.** ვიშვიში; **ე.** ეკიპაჟი; **ღ.** ლიმონა; **ი.** იპონი; **ს.** სოკრატე; **თ.** თავადი; **ვ.** ვედრება; **ი.** იკუბანა; **ს.** სიბილა; **ბ.** ათაბაგი; **ო.** ოლოლო;

### გაუთქავლ უჯრედებში იკითხება: ჰაღის მორჩილი მონობაში მოქცევა



# ჰოლივუდის ყველაზე ძვირად ღირებული ქალები

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ჰოლივუდში სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო — მსოფლიოში სახელგანთქმულ მსახიობ ქალთა ჰონორარი მათი კოლეგა მამაკაცების ჰონორარებს საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა. დღეისათვის სამართლიანობა აღდგენილია — მსახიობ ქალთა შრომა სათანადოდ არის დაფასებული. ავტორიტეტულმა ამერიკულმა გამოცემამ ხალხის იმ რჩეულ მსახიობ ქალთა სია გამოაქვეყნა, რომელთა ჰონორარი თითოეული ფილმისთვის 15-დან 20 მილიონ დოლარამდეა.



**რიზ უიზერსპუნმა** 2001 წელს ფილმში — „ქერთაშიანი ადვოკატი“ ნათამაშები როლით გაითქვა სახელი და მაშინვე ჰოლივუდის ვარსკვლავთა რიგს შეუერთდა. მსახიობს სურათში — „ზღვარს გადაბიჯება“ (2005) ნათამაშებმა როლმა კინემატოგრაფისტთა მთავარი პრემია — „ოსკარი“ მოუტანა. რიზი კინოში მოღვაწეობასთან

ვერ შეუშალა. პლანეტის ერთ-ერთი ულამაზესი ქალი რამდენიმე წლის განმავლობაში ზედიზედ სხვადასხვა რეიტინგის (ყველაზე მაღალანაზღაურებადი, ყველაზე გავლენიანი, პლანეტის ყველაზე სექსუალური ქალი) სათავეშია.

**კამერონ დიასმა** კარიერა მოდელობით დაიწყო. მას შემდეგ კი, რაც 1995 წელს კომედიაში „ნილაბი“ ლამის კლუბის მომხიბვლელი მომღერლის ტინა კარლაილის როლი ითამაშა, მისი სამოდელო კარიერა დასრულდა. სამაგიეროდ ფილმის პრემიერის მომდევნო დღეს კამერონ დიასმა ჰოლივუდის სუპერვარსკვლავად გაიღვიძა. მას შემდეგ იგი ცნობილი რეჟისორების ყველაზე წარმატებულ ფილმებში თამაშობს.

ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობთა სიის სათავეში **ნიკოლ კიდმანი** 2006 წელს აღმოჩნდა. მსახიობმა საკუთარი თავის შესახებ ხმამაღალი განაცხადის გაკეთება მხოლოდ ტომ კრუზთან განქორწინების შემდეგ შეძლო. მანამდე კრიტიკოსები, მაყურებელი და რეჟისორები მას სერიოზულად არ აღიქვამდნენ და მხოლოდ ვარსკვლავი ქმრის „დამატებად“ მიიჩნევდნენ. განქორწინების შემდეგ ნიკოლ კიდმანის კარიერამ სწრაფად აღმასვლა დაიწყო, ხოლო ფილმში საათი“ ნათამაშებმა როლმა მსახიობს სანუკვარი „ოსკარი“ მოუტანა.



სამართლიანობის აღდგენის პიონერად, **ჯულია რობერტსია** მიჩნეული. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მამაკაც ვარსკვლავთა ჰონორარის შესაბამისი გასამრჯელო მიიღო. მას შემდეგ, რაც ჯულია რობერტსმა ფილმში „ლამაზმანი“ მეძავი გოგონას როლი ითამაშა და სახელი გაითქვა, იგი მრავალი წლის მანძილზე ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი ქალი იყო. სამი შვილის დედა, 40 წლის „ოსკაროსანი“ **ჯულია რობერტსი** დღესაც თანამედროვეობის უსაყვარლესი მსახიობია.

ერთად, ორ შვილს ზრდის, საკუთარ კინოკომპანიას ხელმძღვანელობს და ფილმების პროდიუსერიცაა.

ექვსი შვილის აღზრდამ, საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ და საქველმოქმედო საქმიანობამ **ანჯელინა ჯოლის** წარმატებულ შემოქმედებით კარიერას ხელი





მაყურებელმა რენე ზელვეგერი ბრიჯიტ ჯონსის როლით შეიყვარა. ფილმმა — „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ რენე ზელვეგერს საშუალება მისცა, მთელი ქვეყნისთვის ეჩვენებინა, თუ რა მსხვერპლის გაღება შეეძლო პროფესიისთვის. იმისათვის, რომ ელენ ფილდინგს გახმაურებული რომანის გადაღებისას როლი მიეღო, რენე სნიკერსებისა და პიცის „დიეტაზე“ გადავიდა და 10 კილოგრამი მოიმატა! მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულმა „ოსკარის“ მფლობელმა მსახიობმა მიუზიკლში — „ჩიკაგო“ მაყურებელი სიმღერითა და ცეკვით მოხიბლა.



ფილმში — „სიჩქარე“ — მთავარი როლის შემსრულებელმა სანდრა ბალკომა ერთხანს მეგ რაინსა და ჯულია რობერტსს რომანტიკული კომედიის დედოფლის ტიტულიც კი ჩამოართვა. 44 წლის მსახიობზე დღესაც დიდი მოთხოვნაა — მისი სამუშაო გრაფიკი რამდენიმე წლით ადრეა განწერილი. „ჩარლის ანგელოზების“ ვარსკვლავი დრიუ ბერიმორი მაყურებელმა

პირველად 6 წლის ასაკში თავად სტივენ სპილბერგის ფილმში იხილა. გოგონამ რთული ცხოვრება განვლო, ნარკოტიკები და ალკოჰოლიზმი დაამარცხა და ახლა 33 წლის დრიუ ბერიმორი მაყურებლის ერთ-ერთი უსაყვარლესი მსახიობია. აღსანიშნა-

მარტინ სკორსეზეს ფილმში — „ტაქსისტი“ — ნათამაშები როლისთვის, მაგრამ პრემიის მფლობელი მოგვიანებით, ორჯერ გახდა — ფილმებში „ბრალდებულნი“ და „კრავთა დუმილი“ განსახიერებელი როლებისთვის. ჯოდი ფოსტერი, რომელმაც უნივერსიტეტი ლიტერატურათმცოდნის სპეციალობით დაამთავრა, პოლიეუდის ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური მსახიობია. იგი ხშირად საკუთარ როლებს ფრანგულ ენაზე თავადვე ახმოვანებს. ჯოდი ფოსტერი საკუთარ არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას არ მალავს, მაგრამ ამ თემაზე საუბარი არ უყვარს, რადგან



ვია, რომ ბოლო ხანებში ბერიმორი რეჟისორის რანგშიც ცდის ბედს. ჯოდი ფოსტერის სამსახიობო კარიერა 3 წლის ასაკში სარეკლამო როლებით დაიწყო. 14 წლისა უკვე „ოსკარის“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი,

მიაჩნია, რომ ეს ძალზე პირადული საკითხია... ყოფილი „მის ამერიკა“ და ჯეიმს ბონდის გოგონა პოლი ბერი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი აფროამერიკელი მსახიობი ქალია, რომელსაც ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის „ოსკარი“ მიანიჭეს. მსახიობს პოპულარობა ისეთმა ფილმებმა მოუტანა, როგორებიცაა: „ადამიანები იქსი“, „ხმალთევა“, „მოკვდი, მაგრამ ახლა არა“, „მონსტრების მეფლისი“, „ქალი კატა“ და სხვა.



ქალბატონი ლუიზა მურღულია ბუნებაზე სიგფემდე შეყვარებული გახლავთ და ისეთ რაღაცებს ამჩნევს, რასაც ჩვენ ხელის-გულზე დადებულს თუ მივაქცევთ ყურადღებას. მის სახლში შესულმა შეიძლება, გაიფიქროთ: დიასახლისს ვარდომანია და ფესვომანია ხომ არ სჭირსო? დიას, ასეა

# ქარი ფესვი, „ცოცხარი“ გვერი, ირემარი ვახრის ფუხცრები სახრი, ხომრის მოახებშიც ხეები ამოციოცა

და იქ მხატვრული (თუ ბუნებრივი) არეულობაც ამიტომია. როცა დივანზე დავეჯექო და მასპინძელს ველოდებოდი, შევნიშნე გველი, რომელიც გამტყვრებული მიცქერდა და ის იყო, ოთახიდან გამოქცევა დავაპირე, რომ მასპინძელი შემოვიდა, შემომცინა და დამამშვიდა: ეს ცოცხალი გველი არ გეგონოს, ფესვისა და ცვილის წყალობით გამოიყურება ასე კარგადო.

სახლს იმიტომ ყოდა, რომ სამზარეულოში, საბინებელსა და სხვა ოთახებშიც ხეები ამოდიოდა



რამდენიმე ბალიში შეეკერე და დარჩენილი ვარდის ფურცლების გადაყრა დამენანა

## ლიპა ქაჩია

— როგორც ვიცი, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გერმანიაში მყოფ ვარდის ორიგინალური საჩუქარი — ვარდის ფურცლებისგან დამზადებული ბალიშები გაუგზავნეთ.

— დიას, ასე იყო. რამდენიმე ბალიში შეეკერე და დარჩენილი ვარდის ფურცლების გადაყრა დამენანა. უცებ, ჩემდა უნებურად, ვარდის ფურცლები ჭურჭელში მოვათავსე, ღვინო დავასხი, ბნელ ადგილას შევინახე და ბოლოს, მივიღე სახის გამშენიდი ლოსიონი. დღემდე ასე ვარ — წინასწარ არაფერზე ვფიქრობ, იდეა მომდის და მას იმწამსვე ვმორჩილები. მაგალითად, ამას წინათ მაგიდაზე ვარდის ფურცლები და საკუთარი მეთოდით შექმნილი წებო მედო. ჰოდა, დავინყე რალა-ცის კუთება. საბოლოოდ, გამოვიდა ქუდი, რომელსაც მალე პატრონიც ეყოლება.

— ანუ?

— მე უნდა შევექმნა ვარდის თოჯინა,

რომელსაც ამ ქუდს მოვარგებ. ახლო მომავალში გამოფენის მოწყობას ვაპირებ და იქ უცილებლად ნახავთ ჩემს ვარდის თოჯინასაც. მერწმუნეთ, ჩემი ნაშუქვრების გამოფენა მთელი მსოფლიოს მოსახლეობას გააოცებს.

— საკუთარ თავში ასეთი დარწმუნებული რატომ ხართ? ისეთი რა უნდა გამოფინოთ, რომ მსოფლიო გააოცოთ?

— მე ყველაფერს — ტანსაცმლის საღებავი, ნებო, მელანი, ფესსაცმლის საცხი, თვალის ტუში და ა.შ. ქიმიური დანამატების გარეშე ვქმნი. ისინი მხოლოდ ბუნებრივი კომპონენტებისგან შედგება. და კიდევ, აქვე გაგიმხელთ, რომ თეთრი ვარდის ფურცლებისგან ვამზადებ ალბომს, სადაც ჩემ მიერვე შექმნილი შავი მელნით ჩაინერება წმინდა მამების გამონათქვამები. ეს ალბომი მხოლოდ ვარდისა და ნებოსგან დამზადდება.

— და ალბათ, მალევე გაფუჭდება, არა?

— ნურას უკაცრავად. ამ ალბომის შესაქმნელად წლებია, ვმზადებდი და მასზე დაკვირვებებს ვანარმოებდი. ის წლების განმავლობაში არ გაფუჭდება. სინესტეშიც დიდხანს მედო და მშრალ ადგილასაც. მას ვერც ჭია გაანადგურებს. სხვათა შორის, ჩემს გამოფენას „ხილის ხეიმი“ ერქმევა.

— ბავშვობიდანვე ასეთი უცნაური იყავით და ბუნებას ეტრფოდით?

— არა, და საოცარი სწორედ ესაა. მართალია, ტყეში სიარული და ლამაზ ბუნებაში ყოფნა ყოველთვის მომწონდა, მაგრამ იმას, რასაც დღეს ვამჩნევ და რაც ჩემთვის ძალიან ძვირფასია, გვერდს გულგრილად ვუვლიდი. პროფესიით ფილოლოგი გახლავართ და ხატვის ნიჭიც არასდროს მქონდა...

— ეს პატარა ქოთან ცვილისგანა დამზადებული?

— დიას და თქვენ წარმოიდგინეთ, წლებია, ფორმას ინარჩუნებს. მე ის მზებზე დიდხანს მედო, მაგრამ მცხუნვარე სხივებამაც ვერაფერი დააკლო (იციინის).

— თუ საიდუმლო არაა, მითხართ, თვალის ტუშს რისგან ამზადებთ?

— მისი ძირითადი კომპონენტი ისევ და ისევ ვარდის ფურცელია, შავ ფერს კი თუთა მძლევს. ასევე, მას ვუმატებ ცოტაოდენ ალკოჰოლურ საშუალებასაც. ტუში, პირველ რიგში, თვალისთვის უნდა იყოს უსაფრთხო. მე მას წლების მანძილზე ვინვეტებ თვალში და შემიძლია, მას თქვენ თვალწინ გემოც კი გავუსინჯო... — ქალბატონი ლუიზა წამოდგა, ფლაკონში ჩასხმული ტუშის ნიმუში გამოიტანა და შავი სითხე დაუფიქრებლად მოსვა: — აი, ასეთივე უსაფრთხოა ჩემ მიერ დამზადებული სუნამო, ფესსაცმლის საცხი, მელანი...

— და რამდენად მდგრადია თქვენ მიერ შექმნილი ტუში?

— ბევრად უფრო მდგრადია, ვიდრე ძვირად ღირებულ კოსმეტიკურ მალაზიაში ნაყიდი, ყველაზე ძვირად ღირებული, ქიმიური დანამატებით გაყვნილი ტუში. თუ მე ვიპოვი საონსორს, რომელიც მის შეფუთვაში დამეხმარება, საქართველოში ეს იქნება როგორც ნავთობის ბიზნესი — მისი დამზადება ძალიან იაფი ჯდება.

— თუ ასეა, თქვენით აქამდე რატომ არავინ დაინტერესდა?

— მყავდა სპონსორი, რომელმაც მითხრა: ქალბატონი ლუიზა, მე მაქვს ფული და დაინყით მუშაობა; 1 კვირაში ჩვენი პროდუქცია გაყიდვაში უნდა იყოს. მას უნდოდა, პროდუქციის წარმოება მალევე დაეწყო, მე კი ამას ვერანაირად ვერ შევძლებდი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თავდაც ბუნებაზე ვარ



**თავის დროზე ეს გველიც ჩვეულებრივი ხის ფესვი იყო**



დამოკიდებული. სხვა თუ არაფერი, უნდა მემოვა უამრავი ვარდის ფურცელი და თუთა, რომელსაც, მოგესხნებათ, წლის ნებისმიერ დროს ვერ იშოვი. ასევე, უკვე მზა სითხე გარკვეული დროის მანძილზე სიბნელეში უნდა შეინახო და ა.შ. მოკლედ, სერიული წარმოების სამზადისი სულ მცირე, 4-5 თვე მაინც გასტანს. ეს კი იმ ბატონს არ აძლევდა ხელს,

მას ფულის შოვნა მალევე სურდა... ნახეთ, ბუნება როგორი სამართლიანია, — ქალბატონმა ლეიზამ პატარა ტომსიკა მიჩვენა, რომლის ქსოვილი თეთრი გახლდათ, მასზე გადაკრებული მაქსანი კი ლაფვარდისფერი, — მე ეს ტომსიკა მთლიანად ჩავდე ჩემ მიერ შექმნილ, ტანსაცმლის ბუნებრივ საღებავში და ნახეთ, ხელოვნური ქსოვილი ისევე თეთრია, ბუნებრივი კი ლაფვარდისფრად შეიღება და ფერი არასდროს გაუფა. ბუნებრივი კომპონენტებით დამზადებული საღებავი საოცრად მდგრადია.

**— ამ საღებავს ფერს რა ანიჭებს?**

— ხილი, მცენარეები. მაქვს შინდისფერი, ყავისფერი, ლაფვარდისფერი, მწვანე საღებავი და სხვათა შორის, თქვენ თვალწინ მათაც დავუღვე.

**— მეჯერა თქვენი, ეს არაა საჭირო გვესწავლეთ, როგორ უნდა გავარჩიოთ ბუნებრივი ქსოვილი ხელოვნურისგან?**

— ამას წინათ, ქსოვილებზე დაკვირვება ჩავატარე. ბაზრობაზე წავდი და ვიყიდე ჩელი ბავშვის სამოსი — ერთი ძვირად ღირებულ, მეორე — შედარებით იაფფასიანი. შემდეგ, ორივე დაწვი: პირველი დაიფერფლა და მისგან თითქმის არაფერი დარჩა, ხოლო მეორემ საოცარი, არაბუნებრივი ფორმა მიიღო და თან, ნამწვავი რკინასავით მაგარი გახდა — ტრაქტორმა რომ გადაუაროს, არ გატყდება. ნახეთ, როგორი ფორმა მიიღო. მერწმუნეთ, მისთვის ხელი არ მიხლია, დანის პირით ავიღე და ქილაში მოვათავსე. აბა, მითხარით, ჰაერგაუმტარ ქსოვილში ბავშვის კანმა როგორ უნდა ისუნთქოს?

**— ნუთუ იმისათვის, რომ ბუნებრივი ქსოვილი ხელოვნურისგან განვასხვავოთ, ის უნდა დაწვავთ? ისე, ბავშვის ტანსაცმლის დანვა რამ მოგაფიქრათ?**

— რა ვიცი, ცდა ჩავატარე. მაინტერესებდა, რას ვაცემეთ ჩვილ ბავშვებს. პირველ რიგში, ფასი მიგანიშნებთ იმაზე, თუ რამდენად ხარისხიანია ესა თუ ის სამოსი. წინდას რომ 10 ან თუნდაც, 50 თეთრად იყიდი, უნდა იცოდე, ის უხარისხო იქნება. ბუნე-

ბრივი ქსოვილისგან დამზადებულს ასე იაფად არავინ მოგყიდის. ჩვენ ყველაფრის იაფად შექმნა გვიანდა, იმაზე კი არ ვფიქრობთ, რომ ისეთ უხარისხო რეაქციებს ვყიდულობთ, რომელიც მანებელია ჯანმრთელობისთვის და თან, მალევე ფუჭდება.

**— ქალბატონო ლეიზა, ნებისმიერ ვარდისგან ამზადებთ?**

— არა, და თქვენს მკითხველებს მის რეცეპტს გავუშხელ: მის დასამზადებლად საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ სოიისა და პურის ფქვილი.

**— თქვენს სუნამოზეც მითხარით რაიმე.**

— რომ გითხრა, მისი სურნელი კილომეტრებიდან გეცემა-მეთქი, მოგატყუებ. სუნამოებს ასეთი მძაფრი სურნელი ქიმიური დანამატების წყალობით აქვთ. თუ ვინმე საპირისპიროს დამტკიცებას გადაწყვეტს, მან თავის პროდუქციას ყველას თვალწინ გემოც უნდა გაუსინჯოს. საუკუნე რომ გავიდე, მე ნებისმიერ ჩემს პროდუქციას შევჭამ.

**მთელმა კაცობრიობამ უნდა ნახოს, რომ ეს ბუნებრივი ფესვი ქალია**

**— გამოფენაზე თქვენი ნამუშევრების გაყიდვასაც აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ზოგიერთ ნივთში მილიონი დოლარიც რომ გადამიხადონ, არ გავეყიდი.

**— რატომ?**

— მაგალითად, ეს ფესვი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. მთელმა კაცობრიობამ უნდა ნახოს, რომ ეს ბუნებრივი ფესვი ქალია და საბოლოოდ, ერის საკუთრებად უნდა დარჩეს... ჩვენს ეზოში ვაშლის ხე გახმა. ჩემმა დედამთილმა ეს ფესვი ძისშვილს ამოათხრეცინა. ის იყო, უნდა გაეპოთ, რომ მათთან მივედი და წავართვი — მე მჭირდება-მეთქი. სახლში მოვიტანე, გავრეცხე, გავაპრიალე.

**— რისთვის რეცხავდით? ნუთუ, ამ ფესვში ქალის სახე მაშინვე შენიშნებო?**

— არა, უბრალოდ, ვიფიქრე, გამომაღგება-მეთქი. მე ხომ ყველაფერი ბუნებრივი შინ მომაქვს. სხვათა შორის, თავის დროზე ეს გველიც ჩვეულებრივი ხის ფესვი იყო, მაგრამ მას ცვილის დახმარებით ფორმა ოდნავ შეუცვალე, გარედან თევზის კანი შემოვახვიე და ნამდვილ, ცოცხალ ქვენარმავალს დაემსგავსა. სამწუხაროდ, კანი ძალღმა შემოაცალა და შეჭამა.

**— ალბათ, თევზის სუნმა აცდუნა.**

— არა, ვიდრე ფესვს თევზის კანს შემოვახვევდი, ის ვარდის წყალში ჩავდე, რათა სუნი გასვლოდა.

**— და ვარდის წყალმა თევზის სუნი გაანეიტრალა?**

— რა თქმა უნდა!  
— თქვენი ნიჭის გამო ახლობლე-

**ერთ-ერთ კუთხეში ჩამოკიდებულია ლაფა, რომელზეც მიკრულია: გყავზე დაწერილი „მამაო ჩვენო“, ცვილისგან გამოძერწილი ეკლესია, მართ. იქვეა პატარ-პატარა შუშის ბოთლებში ჩასხმული თქვენი დაკვირვების ნიმუშები, ვაჟას ფოტო და სუროს ფოთლები...**



**მე ის მზეზეც დიხანს მელო, მაგრამ მესუნვარე სხივებმაც ვერაფერი დააკლო**



მე უნდა შევქმნა ვარდის თოჯინა, რომელსაც ამ ქულს მოვარგებ

ბი გაკვირვებას არ გამოხატავენ?


— კი და მეუბნებიან კიდევ: ამდენი წელია, რაღაცას აკეთებ და შედეგი მაინც არ ჩანს. გვითხარი, რისთვის წვალბო. რა ვქნა, ეს საქმე შემოიფარგა, ჩემი სულის ნაწილი გახდა. ვიცი, სხვებს არ ესმით ჩემი, მაგრამ მე ხომ მესმის მათი... როცა ხის ტოტებს, ფესვებსა და მცენარეებს ვაგროვებ, ხალხი გაცოცხლებული მიყურებს; ზოგჯერ ჩემზე რაღაცეებსაც ჩურჩულებენ, მაგრამ ამ ყველაფერს ყურადღებას აღარ ვაქცევ.

— თქვენი სახლის ერთ-ერთ კუთხეში ჩამოკიდებულია დაფა, რომელზეც მიკროულია: ტყავზე დანერული „მამაო ჩვენი“, ცვილისგან გამოძერწილი ეკლესია, ზართი იქვეა პატარა-პატარა შუშის ბოთლებში ჩასხმული თქვენი დაკვირვების ნიმუშები, ვაჟას ფოტო და სუროს ფოტოები... შეიძლება, მორწმუნე ადამიანები ამის გამო შემოგედონ.

— რატომ?

— იქ, სადაც ეკლესია და ვეარა, ხატი უნდა ვკიდოს და არა რომელიმე პოეტის, მწერლის, მომღერლის ფოტო ან სხვა რაღაცეები.

— იცით, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ და ძალიანაც მორწმუნე ვახლავარ. ზოგჯერ, როცა ქუჩაში ჩემთვის უცნობი ადამიანების მიმართ სიბოძის ვიჩენ, ყველას იელოვლი ვგონივარ. არადა, მართლმადიდებელი ვარ, ბუნებაზე შეყვარებული და ვფიქრობ, როცა ადამიანი უგუნურებას სჩადის, მას კი არ უნდა ეჩხუბო, არამედ ლაპარაკით, შეგონებით ღვთისკენ მიმავალ გზაზე უნდა დააყენო... რაც შეეხება ვაჟას ფოტოს, ამ შესანიშნავ შემოქმედს ვეტრფი იმიტომ, რომ ის ჭეშმარიტად, ბუნების შვილი იყო. როცა კვებობდა, დაიბარა, — სუროში გამხვდითო. როცა ვფიქრობ, თუ როგორ ეტრფოდა ბუნებას, როგორ ეწურჩულებოდა მცენარეებსა და ხეებს, ტანში ჟრუანტელი მივიღის... გული მიკვდება, როცა ვხედავ, რომ



გადაჭრილ ხეს ქიმიურ საღებავს უსვამენ — არიქა და, ყლორტები არ ამოიყაროსო. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ბუნებასთან თამაში საშიშია! ახლა ერთ საოცარ ამბავს გიამბობთ, რომელიც ამას წინათ თბილისში მოხდა: ვიღაცამ სახლი იყიდა და ცოტა ხანში მისი გაყიდვა განიზრახა — სახლს იმიტომ ყიდა, რომ სამზარეულოში, საძინებელსა და სხვა ოთახებშიც ხეები ამოდიოდა. სახლის ახალი პატრონიც შოკში ჩააგდო ოთახებში ამოსულმა ხეებმა, რომელსაც ვერაფერი მოუხერხა და სახლი მანაც გაყიდა. ბოლოს, ეს შენობა შეიძინა მორწმუნე კაცმა, რომელმაც თქვა: მე ამ ხეებს ვერ მოვჭრი და ვერც ვერავის მივყიდი, ამის უფლებას სინდისი არ მომცემსო. ხომ ხედავთ, რა შეუძლია რწმუნას: ის ადამიანს არ მისცემს უფლებას, საკუთარი კეთილდღეობა ყველაფერზე მაღლა დააყენოს. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ სახლს მიადგა ინვესტორი და მის პატრონს ჰკითხა: ამ სახლს რამდენად მომეყიდო? მან თანხა ვერ დაუსახველა, მოერიდა. საბოლოოდ, სახლი 200.000 დოლარად გაიყიდა... ამ ამბავზე დოკუმენტური ფილმის გადაღებას ვაპირებ.

— ინვესტორი იმ სახლით რატომ დაინტერესდა?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ძველი სახლი დაანგრიეს, ხე ფესვებიანად ამოათხრევიან და 2-სართულიანი სახლი ააშენა...

— ამ პატარა ფლაკონში რა დევს?

— მასში სპირტი ასხია და დევს ფურცელი, რომელზეც ჩემ მიერ შექმნილი მელნიტი ჩემივე მოძრაობის სლოგანი — „უკან, დედაბუნებისაკენ“ აწერია. წლებია, ეს ფურცელი სპირტში დევს და როგორც ხედავთ, ისევ ახალდაწერილივითაა. ჩვენი მოძრაობა ახლახან შეუერთდა სოსო ჯაჭვლიანის მიერ დაარსებულ საზოგადოებას — „შუმერი“ და ჩვენ ადამიანთა შორის სიყვარულის დანერგვას ვცდილობთ. ერთმა ამერიკელმა ქალმა, რომელიც 111 წლის გახლავთ, სულ რამდენიმე სიტყვით ჩამოაყალიბა თავისი ცხოვრების წესი: უნდა შეხაროდეთ ცხოვრებას და ადამიანებს. ამ ქალბატონის გული მოყვასის სიყვარულით იმდენადაა გამთბარი, რომ არც კი იცის, რაა ტკივილი. ხალხო, გიყვარდეთ ბუნება, გაუფრთხილდით მას და ის ამას აუცილებლად დაგიფასებთ!..

ლიპა ქაჩია

ზუპა:

— პირველად ზღვაზე დამოუკიდებლად, 16 წლის ასაკში წავედი. ჩემს მშობლებს ეგონათ, ბებოსთან მივდიოდი, სოფელში და მშვიდად იყვნენ.

— მეგობრებთან ერთად წახვედი?

— არა, საქმეც ისაა, რომ მარტო წავედი და თანაც, ჯიბეში მხოლოდ 10 ლარი მედო (რა თქმა უნდა, გზის ფულის გარდა).

— ბათუმში ვისი ან რის იმედად წახვედი?

— მეგონა, ჩემი ჟუჟუნა თვალებით დასასვენებლად წასულ გოგონებს „შევაბამდი“ და რამდენიმე დღე მათ ხარჯზე ვიცხოვრებდი, მაგრამ ვერ მმართვეს. ბათუმში ჩასულ უფულო ბიჭს ყურადღებას ან ჩემსავით გალლეტიანი გოგონები მაქცევდნენ, ან ისეთი მოხუცები, რომ მათ შემყურეს ბებიაჩემის მიერ დამზადებული ლეღვის ჩირი მახსენდებოდა... დილით ზღვაში ჩავდიოდი, შუადღეს ხეების ჩრდილქვეშ ვიჯექი, საღამოს „გველაობდი“, ღამეს კი პლაჟზე ვათევდი. ვცდილობდი, თანხა გამოემეზოვა და მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ 2 ტარო მოხარშულ სიმინდს გეახლებოდი. მოკლედ, ბათუმში ღამის ტილები დამესია და როცა მივხვდი, ჯიბეში ხურდაც აღარ მიჩხრიალებდა, გადავწყვიტე, ფული რაიმე გზით მაინც მეშოვა, რათა სახლში დავბრუნებულიყავი. უცებ, გონება გამინათდა — ბევრი ვიარე თუ ცოტა, ვიღაცის ყანაში შევქვევრი და სიმინდის ტაროები მოვტეხე. მეორე დღეს ისინი საგულდაგულოდ შევწვი ნაკვერჩხალზე და გაყვიდე. მოკლედ, საღამოს უკვე იმდენი ფული მექონდა, რომ ქალებიც „დავითრიე“ (იცინის).

— ანუ უკვე ფულიანს ბუნებოვით დაგესვენენ?

— აბა, რა!

— ალბათ, არავისთვის გითქვამს, ღამის ტილები რომ დაგესია...

— (იცინის) მე რა, საკუთარი თავის მტერი კი არ ვარ! მოკლედ, ბათუმში ყოფნა გამიტკბა — დილით ბიზნესი, შუადღეს გატოობა გოგონებთან ერთად, მერე ისევ ბიზნესი და გვიან ღამით — ცეკვა ნაქცევამდე, „ნაქცეულს“ კი ზღვის ნაპირი მყარაულობდა. ჩემი სიღუჭიერის ამბავი გოგონების ყურამდე რომ არ მისულიყო, ჯერ მათ ვაცილებდი ბინამდე ან რომელიმე სასტუმროსთან ვჩერდებოდი და მათ ვემშვიდობებოდი, მერე კი მიწვდებოდა სანაპიროსკენ ფეხით ჩანჩალი. ამასობაში, ერთი გოგო ძალიან ჩამივარდა გულში. მისი ბობოლა მშობლები ისედაც ამრეხით მიყურებდ-



ნამწვავი რკინასავით მაგარი გახდა — გრაქტორმა რომ გადაუაროს, არ გატყდება. ნახეთ, როგორი ფორმა მიიღო



# ნაღიჯობა ~ ქაღაჯი, სოსხლად დასიჯობა უშიშრობა და კლავსო ნაშრომი ფული

საკურორტო სეზონი კარგა ხანია, დაიწყო და ხალხი ქალაქიდან გაიკრება. ზოგიერთი, მართალია, სამსახურის გამო ზღვისპირა ქალაქებში ან მთაში წასვლას ვერ ახერხებს, მაგრამ წინასწარ ტკბება შვეულუბაში გასატარებელი დღეებით. ჩემს მეოცნებე რესპონდენტებს ფანტაზიის შესანიშნავი უნარი აღმოაჩნდათ. 20 წლის ზუკა შემთხვევით გავიცანი და საზაფხულო არდადეგებზე მის თავს გადასდენილმა ამბებმა მართლაც რომ ბევრი მახალისა. როცა ზუკას ვემშვიდობებოდი, მითხრა: — ვხვდები, ჩემი ამბები მოგეწონა; ინტერვიუს დროს სიცილს ვერ იკავებდი და თუ ჩემს ძმაცაცაქ ჩანერ, უფრო მეტს იცინებო. მოკლედ, „გზის“ ამ ნომერში ზუკასა და 22 წლის გიორგის ამბებს გთავაზობთ. იმედია, თქვენც გაგახალისებთ.



სიმინდი სულ დალენეს. ბოლოს, დაიღალენ და გადანყვიტეს, ზავი დაედოთ. ჰოდა, ა, როგორც ხედავ, ცოცხალი ვარ ჯერ კიდევ...

— ბათუმიდან შინ რამდენ ხანში დაბრუნდი?

— იქ 2 კვირა გავატარე. სხვათა შორის, ვაჭრობით ნაშრომი ფული სოფელშიც მიმყვა და მეგობრები „ვაგულავე“. ოღონდ, რა თქმა უნდა, მათთვის არ მითქვამს, რას და როგორ ვჩალიჩობდი.

— შენ მითხარი, ჩემი არდადეგებით წინასწარ ვტკბებიო...

— ჰო, ასეა! სამწუხაროდ, ჯერ დასასვენებლად წასვლა ვერ მოვახერხე, მაგრამ ოცნებებში უკვე ქალაქზე ვნადირობ.

— შენი ოცნების შესახებ კიდევ რისი თქმა შეგიძლია?

— ჩემი ოცნება კეთილი ზღაპარივითაა: მთელი წელი ისე ვიშრომე, ლამის წელი მომწყდა. სამაგიეროდ, ამის წყალობით ბევრი ფული დავაგროვე. ბოლოს, მივხვდი, რომ ენერჯის მოსაკრებლად დასვენება მჭირდებოდა და განსატვირთავად ზღვისპირა ქალაქ ბათუმში (იქაურობა ძალიან მიყვარს) მივდივარ. მიკროავტობუსიდან ჩამოვდივარ თუ არა, ფეხებში მეზღანდება ანჯელინა ჯოლი და მეუბნება: ბინას ეძებთ? თუ გნებავთ, ოთახს ძალიან იაფად მოგაქირავენ. სიმართლე გითხრათ, მე სასტუმროს ძვირად ღირებულ ნომერში ვაპირებდი ღამის გათევას, მაგრამ ანჯელინასთვის უარი როგორ უნდა მეთქვა?! ის კი არა, მისი წინადადებით ალფრთოვანებული, ერთ ოთახს დაუფიქრებლად ვქირაობ. ანჯელინა თავს მეველება და ცდილობს, თავი მომანონოს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩემი გახდეს, არამედ იმიტომ, რომ მისი მუდმივი კლიენტი გავხდე ანუ ყოველ სეზონზე ანჯელინას ბინა ვიქირაო. მე ისე ვიქცევი, თითქოს ეს ქალი საერთოდ არ მაინტერესებს. ქალს ეს აგიჟებს და სწორედ ამიტომაც, გულში ჩავუყვარდები... უკვე

## „ჩემმა მშობლებმა ახვდინა ჯოლი სანდლო დაინუნეს...“

ნენ და ხომ წარმოგიდგენია, როგორ შემომხედავდნენ, როცა ერთხელ, მუშაობისას, მათ შეეჩვენე. ბედი არ გინდა? — ვისაც ვემალებოდი, სწორედ მათ წავადექი თავზე. იმ გოგომ ისეთი თვალებით შემომხედა, მივხვდი, ახლოს აღარ უნდა გავკარებოდი. ცოტა რომ გავიარე, ჩემკენ ჩქარი ნაბიჯებით წამოვიდა და როცა მომიახლოვდა, ხურდა გამომინდა. რა თქმა უნდა, არ ავიღე, მან კი ის ცელოფანის პარკში ჩამიგდო, ერთი ტარო სიმინდი აიღო და შორიასლო მდგომ მათხოვარს ჩემს დასახანავად გაუწოდა. გული ისე შემეკუმშა, დანა რომ ჩაგერტყა, წვეთი სისხლი არ წამოვივიდოდა. სხვათა შორის, ის გოგონა დღემდე მახსოვს და მის ჯიბებზე, ბათუმში ხშირად ჩავდივარ, მაგრამ რადგანაც ვერ ვპოულობ, სამაგიეროს სხვებს ვუხდი.

— ეს რას ნიშნავს?

— იმას, რომ გოგონებზე ვნადირობ და ახლაც ერთი სული მაქვს, როდის წავალ დასასვენებლად. ბიჭებო, გამოფხიზლდით, ნადირობის სეზონი დაიწყო! ყველას წარმატებებს გისურვებთ!

— არა მგონია, ნებისმიერი გოგო ადვილი მოსანადირებელი იყოს, თუნდაც, ბევრი ფულის წყალობით...

— ეგრე გეგონოს. ვისზეც ვერ იფიქრებ, სწორედ ის აღმოჩნდება ადვილი „დასაბმელი“. შარშან ერთი გოგო პლაჟზე ისე დადიოდა, გეგონებოდა, ახლოს არავის მიიკარებსო. ბიჭები დავნაძლევდით: ვინც მას „შეაბამს“, იმას მაგარი რესტორანი უჭკისროთო. იმ საღამოს ის გოგო თითქმის ყველამ „შევაბით“.

— ეგ როგორ?

— მეორე დღეს სამს პაემანი დავგინიშნა, ოღონდ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დროს; დანარჩენებს კი მეორე დღეს დაუთქვა „სტრელკა“. ამაზე ბევრი ვიცინებ. პირველად პაემანზე კახა უნდა წასულიყო და იმ გოგონას ყველანი მასთან ერთად „გაეფიით“. ის გამოგვიტყდა, — ბიჭებს ვასულებებ და ბათუმში მათ ხარჯზე ვცხოვრობ: ხან ერთს მივყავარ სასადილოდ, ხან — მეორესო. იმ გოგონასთან ერთად მაგრად ვიქეიფეთ და მერე, სულელი კაცების გულის მოსანადირებლად გზა დავულოცეთ. სხვათა შორის, მასთან დღემდე ვემეგობრობ და თუ გინდა, ინტერვიუს მასთანაც ჩაგანერინებ.

— იმ გოგონას საიმოვნებით გავიცნობ და დაველაპარაკებო... როცა ბათუმში მშობლების დაუკითხავად წახვდები, ბუბიასთან სოფელში ჩასული არ მიგტყიპებს?

— მიმტყიპეს კი არა, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა მე მითაქუნებდა. ბუბიას ცოცხლად დავუტირებვიარ და როცა დაბინახა, თავში წაიშინა ხელები: მგონი, მეც ვკვდები, შვილიშვილმა მომაკითხა და უნდა გავყვეო. ძლივს დააჯერეს, რომ საიქიოდან მის წასაყვანად გამოცხადებული სული არ ვიყავი; მშობლებიც იქ დამხვდნენ. დედას გული წაუვიდა, მამამ კი კალოში ბი სულ წაღმა-უკულმა ყარა და ყანისთვის რომ არ შემეფარებინა თავი, ახლა კალოშივით სახე მექნებოდა. აქედან დედა-ბიძია-მამიდა-ბიცოლები გამომიდაგნენ და ჩემს დევნაში ყანაში





დროა, თბილისში დავბრუნდე. დედაქალაქში მიკროავტობუსით მოვდივარ, გვერდით კი მშვენიერი ანჯელინა მიზის...

— ასეთ ფულიან კაცს ავტომობილი რატომ არ გყავთ?

— ხომ ხედავ, უკვე თქვენობით ფორმაზე გადახვედი იმიტომ, რომ მდიდარს ელაპარაკები, მე კი ისევ შენობით მოგმართავ (იციინის)... მანქანის მართვა არ ვიცი, საჭესთან ჯდომის მეშინია.

— კარგი, უკვე დედაქალაქში ჩამოხვედი. შენ და ანჯელინა სად მიდიხართ?

— სახლში, ის დედ-მამას უნდა გავაცნო და თუ სარძლო მოეწონებათ, ვიქორწინებთ კიდეც.

— ანუ ქორწინებისთვის ნებართვას მშობლებს სთხოვ?

— ჰო, ოცნებებში ასეა. რატომღაც, რომანტიკულ სიტუაციას მოუხდა მშობლებიც და ჩავსვი, რა...

— და ქორწინდებით?

— არა, რა თქმა უნდა, რადგანაც ჩემი მშობლები უარზე არიან. მეჩხუბებიან: გინდა თუ არა, უბინო გოგო გვინდა რძლად, ამას ვერ მივიღებთო! სხვა გზა არ მრჩება, ბოდიშების მოხდით, დაწუნებულ ანჯელინა ჯოლის კვლავ ბათუმში ჩავაბრძანებ, მაგრამ პირობას აქვე, სახალხოდ ვდებ: მას ყოველ წელიწადს ვესტუმრები!

— და მისი შესანიშნავი მეუღლე არ გაბრაზდება?

— არა, რატომ უნდა გაბრაზდეს? მე ხომ მათ ფულს ვუხდი — ბინის ქირას ვგულისხმობ.

— ასეთ რალაცებზე ხშირად ოცნებობ?

— არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც, ვოცნებობ ხოლმე და იმედია, ამის გამო გიჟად არავინ მიმიჩნევს (იციინის).

**ბიორბი:**

— უფ, ამ სიცხეში ჩვეისუთე თბილისში და კიდო ზღვის გახსენება მინდოდა?.. კაი, რახან გამახსენე და მდულარე წყალი გადამასხი ამ ისედაც დამდულარულ თავზე, მკითხე, რაც გინდა და გიპასუხებ.

— შენმა ძმა-კაცმა მითხრა, რომ უამრავი საკურორტო თავგადასავალი, უფრო სწორად, რომანი გქონდა.

— მქონდა რა, მოკვდი? ისევ მაქვს, გენაცვალე და სიმართლე გითხრა, უკვე ქე გამოვიჭირე ერთი-ორი ბალანე და კიდო ვაპირებ.

— კიდეც რამდენის გამოჭერას აპირებ?

— თუ გამიმართლა, ამ რიცხვს ხუთამდე შევავსებ.

— მეტს ვერ გაუშვავდები?

— ჰმ, ცოდვა ვარ, გოგო, ცოდვა. ჩემი ამბავი რომ ვიცი, მერე სახელეები ერთმანეთში ამერევა და გამაუტავენ ეს აფთარივით ქალები.

— დასვენება უკვე მოახერხებ, არა? ბედნიერი კაცი ხარ...

— ჰო, ბედნიერი ვარ, აბა, რა, თბილისის ზღვაზე და კუს ტბაზე რომ გამეიჭერ ქალს, მაგია დიდი ბედნიერება (იციინის). მოკლედ, დასასვენებლად ჯერ არსად წავსულვარ, მაგრამ საკურორტო რომანების მოყვარული კაცი აქაც

გამოჰკრავს ხელს რაცხას. თუმცა, აჭარაში ან სხვა ზღვისპირა ალაგას რომ ჩეიგდებ ქალს ხელში, იმას უფრო სხვანაირი გემო აქვს.

— მაინც, როგორი გემო აქვს?

— უფრო ტკბილია, მარა — ცოტა მარილიანიცაა. ზოგიერთი თაფლივით ტკბილია, მაგრამ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, წინააღიწევა ხოლმე. წლებია ვფიქრობ, მაგრამ ვერაფრით მიეხვედი, თაფლისგან წინააღიწევა როგორ აღმოცენდება?! ჰოდა, როგორც გითხარით, ამ ზაფხულისთვის 2 ბელურა უკვე „შევაბი“, ერთ თვეში კი სანადიროდ ქობულეთში წავალ.

— შენ და შენი ძმაცაიცი უფრო სანადიროდ ერთად რატომ არ დადიხართ?

— ის მჩხავანა კატასავითაა — ქალის დანახვაზე კნავის და კნავის ისე, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებს გული უსკდებათ და სულ სირბილს ირბილით, კვილით აღწევენ თავს ჩვენი კლანჭებიდან. ჰოდა, რა მინდა მაგასთან ერთად? თანაც, გარეგნობით მჯობია და დამჩრდილავს (იციინის).

— თუ გარეგნობა არ გივარგა, გოგონებს რით ხიბლავ?

— ხომ გელაპარაკები ახლა რაცხებს და ხომ მატყობ, რამსიგრძე ენა მაქვს? ჰოდა, ამ ენას კიდეც უფრო ვიგრძქვებ, ზურგზე გადავიფენ ხოლმე და მორჩა, ქალს ჰგონია, მთელი სამყარო უჩოქებს და ჯადოგაკეთებულებით მწებდება — „მწებდებაში“ იმას არ ვგულისხმობ, რომ გოგონების ცოდვას ვიკიდებ ზურგზე. კაცო, სად შემიძლია ერთდროულად მათი და ჩემი მძიმე ერთს ტარება? უბრალოდ, მათთან „ლიითად“ ვფლირტაობ, მაგრამ თუ გოგო თავად გამოიჩინს ინიციატივას, სულელი კი არ ვარ, ეწებდები...

— გოგონების „შებმა“ საკურორტო სეზონის დროს უფრო იოლია?

— აბა, რა. ყველა ისვენებს, საქმე არავის აქვს და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, დრო როგორ მოკლას, როგორ გაერთოს. ჰოდა, ფლირტობაზე უკეთესი გართობა რა უნდა იყოს?!

— შენმა მეგობარმა შემომჩივლა, გოგონებს უფულოდ არავინ უნდათო...

— აუფ... დიდი ხანია, მასე ფიქრობს? ბევრი მომიხიბლია „უკაპიკოდაც“, მაგრამ ბევრის გულის მოსაგებად ასობით ლარიც დამიხარჯავს და ეს არ დამინანებია. მოკლედ, ყველა ერთნაირი არაა. ■











# „...ახლა რომ შემიძღვოს, ვეჭყლდი: დედა, მი დავბრუნდი..“

2009 წლის 20 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის მიხედვითაც, 23 წლის ლ. ფ-ს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ახალგაზრდა კაცს ბრალად ედებოდა, რომ მან კერძო პირისგან 2009 წლის 20 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის მიხედვითაც, 23 წლის ლ. ფ-ს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ახალგაზრდა კაცს ბრალად ედებოდა, რომ მან კერძო პირისგან

ნოსიად შეიძინა ავტომობილი და გარკვეული პერიოდის შემდეგ, ხელშეკრულებით ნაკისრი თანხა ვეღარ გადაიხდა. მსჯავრდადებული, რომელმაც გარეთ ორსული ცოლი დატოვა, მეშვიდე თვეა, ქსნის კოლონიაში იხდის სასჯელს. როდესაც მის მიერ საპატიმროდან გამოგზავნილ წერილს გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ საბრალდებო დასკვნა კიდევ ერთი მიმეფ ვეგარო აღმოჩნდა მისი ისედაც ტრაგიკული ცხოვრების გზაზე...

## შეა ტუხიაშვილი

„ოჯახში სამი დედამიშვილი ვართ: მე, ჩემი უფროსი და და უმცროსი ძმა. ჩემსა და დას შორის ასაკობრივი სხვაობა ერთ წელზე ცოტათი მეტია, ამიტომ მშობლებმა სკოლაში ერთად მიგვიყვანეს. ასე რომ, სკოლის მერხს 5 წლისა მივუჯექი, ჩემი და კი პირველ კლასში 7 წლის ასაკში შევიდა. ტანად ისეთი პატარა ვიყავი, რომ თანაკლასელების მსგავსად, მერხთან ვერ ვჯდებოდი, ამიტომ მასწავლებელი კალთაში ჩამისვამდა და ისე მასწავლიდა წერაკითხვას. ძალიან სასაცილო მოსწავლე ვიყავი. ასაკის გამო გამართულად ვერ ვმეტყველებდი და როგორც ვლაპარაკობდი, სწორედ ისე ვწერდი. მოკლედ, ნებიერა ვიყავი სახლშიც და სკოლაშიც. ძალიან თბილ და მოსიყვარულე ოჯახში ვიზრდებოდი. დედა და მამა ოტია იოსელიანთან, თოჯინების თეატრში მუშაობდნენ და ცდილობდნენ, ჩვენი ცხოვრებაც ლამაზი ზღაპარივით ყოფილიყო. მასსოვს, მშობლებს ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ სახელით არასდროს მიმართავდნენ; ერთმანეთისთვის მხოლოდ ალერსიან და მოსაფერებელ სიტყვებს იმეტებდნენ. დრო რომ აირია და მშობლები, ფაქტობრივად, უმუშევრები დარჩნენ, დედამ თურქეთში სავაჭროდ წასვლა გადაწყვიტა. დიდი ოჯახი გექონდა: ჩემი და-ძმისა და მშობლების გარდა, სახლში ბებია-ბაბუა და ბიძებიც ცხოვრობდნენ. დედა თავისი ნავაჭრით მთელ ოჯახს არჩენდა. სხვებს თუ უჭირდათ და ცივი მჭადიც კი სანატრელი ჰქონდათ, ჩვენ, დედის გამრჯეობით, არაფერი გვენატრებოდა. მე და ჩემი და მესამე კლასში ვიყავით, როდესაც დედა ისევ წავიდა თურქეთში, იქიდან კი აღარ დაბრუნდა. თვე თვეს მისდევდა, წელი — წელს,

დედა კი არ ჩანდა, არც მოდიოდა და არც რაიმეს იტყობინებოდა. მე და ჩემს დას მხოლოდ დროდადრო გვესმოდა, თუ როგორ ეჩხუბებოდა ბებია მამას: წადი იმ თურქეთში და შენი ცოლი მოძებნეო. მამა ჯიუტად უარზე იდგა: ოჯახი რომ უნდოდეს, დაბრუნდებოდაო. დედამ რომ მიგვატოვა, ჩემი უმცროსი ძმა წლისაც არ იყო. დედას არც მისი პირველი ნაბიჯები უნახავს და არც მისი ნათქვამი „დედა“ გაუგონია, ბებიას რომ ეძახდა... მე და ჩემს დას უზომოდ გვენატრებოდა, მაგრამ მასზე არასდროს ვლაპარაკობდით, ერთმანეთსაც კი არ ვუზიარებდით დედის მონატრებას. მოკლედ, ზღაპარივით ცხოვრება ჯოჯოხეთად გვექცა. იცით, ყველაზე მეტად რა მაცუებდა? მიუხედავად იმისა, რომ დედა ასე ცუდად მოგვექცა ყველას, მასზე აუგს არავინ ამბობდა. არ მასსოვს, ბებოს, რომელსაც 3 მცირეწლოვანი ბავშვის აღზრდის მთელი ტვირთი დააწვა, სახლიდან მოულოდნელად გაუჩინარებულ რძალზე რაიმე ცუდი წამოსცდენოდა. ბაბუა მეტად თავისებური კაცი იყო, მაგრამ არც მას უხსენებია უარყოფითად დედაჩემი. უფროსების ასეთი დამოკიდებულება ჩვენს ყოფას კიდევ უფრო ამძიმებდა. ჩვენთვის შესაძლოა, უფრო იოლი ყოფილიყო, თუ გვეცოდინებოდა, რომ ცუდმა დედამ მიგვატოვა... მალე კიდევ ერთი უბედურება დაგვატყდა თავს. მამას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, პრობლემები შეექმნა და გამოკვლევებზე მოსკოვში გაგზავნეს. მან რუსეთში რამდენიმე თვე გაატარა, იქიდან კი ამპუტირებული ფეხით დაბრუნდა... ოჯახის წევრები, ნათესავები თავის მხრივ, ცდილობდნენ, ჩვენთვის მზრუნველობა არ მოეკლოთ. მე და ჩემი და ერთდროულად, თითქმის ყველა წრეზე

დავდიოდით: ვუკრავდით, ვცეკვავდით, სპექტაკლებში ვმონაწილეობდით, მაგრამ სხვებს თუ მშობლები გულშემატკივრობდნენ დარბაზიდან, მე და ჩემი და ღონისძიებებზე მარტო მივდიოდით. ბებიას არ ეცალა, რადგან ჩვენი უმცროსი ძმის აღზრდით იყო დაკავებული, ბაბუას ბალ-ვენახი ჰქონდა მისახედო, მამა კი, ფაქტობრივად, ინვალიდის ეტლს იყო მივაჭყვული. ჰოდა, ჩვენი თანატოლები თუ სცენიდან, მაყურებლებში მსხდომ მშობლებს ექებდნენ თვალებით, ჩვენ მხოლოდ ვოცნებობდით: ნეტავ, ახლა დედიკო გვიყურებდეს-თქო!.. პატარაობიდანვე ვამბობდი: ისეთი კაცი უნდა დავდეგე, რომ ჩემზე ვერაფერს თქვას, უდედოდ გაზრდამ თავისი კვალი დაატყოო. მე და ჩემი და, პატარა ძმასაც გაორმაგებული პასუხისმგებლობით ვზრდიდით. მასსოვს, ერთხელ ჩემი ძმის კლასი ექსკურსიაზე მიდიოდა და მას ჩვენც წავეყვით. თვალს ვადევნებდით, რომ ბავშვს ზედმეტად არ ეცეკლა, რამე არ გაუფუჭებინა, რომ არავის ეთქვა: დედის გარეშე იზრდება





და ამიტომაც, გაუზრდელიაო.

უდულობამ ეჭვიანი გამხადა. სკოლაში მისული თუ დავინახავდი, რომ რამდენიმე ბავშვი ერთად იდგა და რაღაცაზე ლაპარაკობდა, მეგონა, ჩემზე ამბობდნენ: იცით, დედამ მიატოვაო. დედაზე რომ ვერავის ველაპარაკებოდი და დარდს ვერავისთან ვიქარებდი, ლექსების წერა დავინყე. ვწერდი ყველაფერზე, დედის გარდა: სიყვარულზე, სამშობლოზე, ქალზე; ვწერდი ყველგან — კედელზე, მერხზე, სიგარეტის კოლოფზე. ყველა ლექსში სევდა და მონატრება იგრძნობოდა, მონატრება დედისა, რომელიც ერთხელ ვ შვილისგან წავიდა და აღარ დაბრუნდა...

თუმცა — არა, დაბრუნდა, ოღონდ წლების შემდეგ. მოულოდნელად, ჩვენს ცხოვრებაში ისევ გამოჩნდა. მე და ჩემი და მაშინ უკვე მემვიდე კლასში ვსწავლობდით. დედამ სახლში მოსვლა ვერ გაბედა, ნათესავთან მისულა და უთხოვია: ბავშვები მაჩვენეო. ბებიას არც მაშინ შესწინააღმდეგებია მის სურვილს — ჩაგვაცვა, ხელში ფოტოალბომები დაგვაჭერინა, რათა დედას ენახა, როგორები ვიყავით მისი არყოფნის დროს, და იმ სახლში მიგვიყვანა, სადაც დედაჩვენი გველოდებოდა. ჩემმა დამ დედა რომ დაინახა, ისტერია დაემართა და არც კი გაჰკარებია; ჩემი უმცროსი ძმა დედას ისე უყურებდა, როგორც უცხო ადამიანს, მე კი აღმოვაჩინე, რომ მისმა მონატრებამ ისე დამალა, რომ თურმე აღარ მენატრებოდა. და საერთოდაც, ის უკვე აღარ იყო დედაჩვენი. ჩვენ შორის წლების განმავლობაში გაჩენილი ნაპრალი იყო, რომელსაც, რომც მომენდომებინა, ველარ ამოვავსებდი... მიუხედავად ამისა, მე და ჩემი ძმა დედამ ცოტა ხნით, თავისთან წაგვიყვანა. მაშინ პირველად ვიყავი ზოოპარკში, „ვიკატავე“ ატრაქციონებზე, მაგრამ ის მაინც არ იყო დედაჩემი... მასსოვს, ჩემი დაბადების დღე ახლოვდებოდა. მან შემომხედა და მკითხა: საათი გაქვსო? უარის ნიშნად, თავი გადაქნიე. მითხრა: დაბადების დღისთვის ოქროს საათს გიყიდო. ბავშვი ვიყავი, მაგრამ მაინც, ძალიან მეწყინა: რად მინდოდა ოქროს საათი?! მე დედა მინდოდა, დედა კი უკვე აღარ დაბრუნდებოდა!

სკოლის „ბოლო ზარზე“ მე და ჩემს დას არავინ მოგვაკითხა. სკოლის ეზოში უამრავი გაღიმებული ბავშვი და მშობელი შეკრებილიყო. მე და ჩემი და, ერთმანეთის ხათრით, ყელთან მოხვედნით ბურთს ვცლაპავდით, რათა არ ავტირებულყავით. ეს ყველაზე სევდიანი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში...

უკვე სტუდენტი ვიყავი, როდესაც დედას მეორედ შევხვდი. სცადა აეხსნა, რომ მაშინ, თურქეთში წასული, სახლში მევალეების შიშით ვერ ბრუნ-

დებოდა, მაგრამ მისი არაფერი მესმოდა. დედა ისევ ვერ დავიბრუნე...

სამაგიეროდ, ერთ-ერთ კინოსტუდიაში ვიპოვე სამსახური, შემდეგ სიყვარული მენვია, დავეორნინდი, საკუთარი ოჯახი შევექმენი, ოჯახი, სადაც დედაც იქნებოდა და მამაც... მერე კი ჩემი ბედის ბორბალი ისევ უკულმა დატრიალდა: მასსოვს, მოსამართლე სახელსა და გვარს მეკითხებოდა და ვერაფრით გავისხენე; ვფიქრობდი, ნეტავ, მართლა — ვინ ვარ-მეთქი?..

მოსდა ისე, რომ ახლა მე ვარ შორს ჩემი შვილისგან, რომელიც არც კი მინახავს. მიმიღებს კი ნ წლის შემდეგ? მეც უცხო ადამიანით ხომ არ მომექცევა, როგორც ოდესღაც, ჩემთვის დედა გახდა უცხო?

დედა... დედა ძალიან ავად ყოფილა, სიმსივნე აქვს თურმე. არც კი ვიცი, ახლა, როდესაც ამ წერილს ვწერ, ცოცხ-

ალია თუ არა. იქნებ, მაშინ მართლაც, იძულებული იყო, მივეტოვებინეთ? იქნებ, ასე, ჩემსავით, არ შეეძლო შვილებთან მოსვლა?.. ახლა მასხენდება, მიყვებოდა: თურქეთში იძულებით მამუშავებდნენო. მაშინ მისი არ მჯეროდა... ახლა, ახლა რომ შემეძლოს მისვლა... ნეტავ, თუ მივიდოდი? მივიდოდი და ვეტყოდი: „დედა, მე დავბრუნდი!“

**P.S.** დამნაშავე კანონის შესაბამისად უნდა დაისჯოს. მაგრამ ვაი, რომ ხშირად, სასჯელი გაცილებით სასტიკია, ვიდრე ჩადენილი დანაშაული. და კიდევ — საპატიმროში ძალზე დიდხანს რჩება ადამიანი, რომელმაც ეს დანაშაული მოინანია და, რაც მთავარია, საზოგადოებისთვის არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს. არადა, კანონი ადმინისტრაციული წესით დასჯასაც ითვალისწინებს... ■





განვაგრძობთ საუბარს უფლის თორმეტ მოციქულზე, რომელიც „გზის“ წინა ნომრებში დავინწყეთ. მოგვითხრობს არქიმანდრიტი **ჯაპარი (აბუსაძე)**:



ბართლომე

სუფთის თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი ეახლოეთ თომა. მას აღაძინებენ უფლისგან მეტად შექცევი ფაქტით იცნობენ: როდესაც შეკრებით აღძვე არი მაცხოვარი პირველად გამოეცხადა მოციქულებს, თომა მათ შორის არ იმყოფებოდა; შექცე მას მოციქულთაგან ახარის სუფთის არც ერთი, მაგრამ მან არ ირწმუნა მათი ნათქვამი; ერთი კვირის შექცე სუფთის უკეთესად გამოეცხადა მოციქულთაგან და მიმართა თომას: „მოძევი აქ შენი თითი და ნახე ჩემი ხეობები. მოიტა შენი ხეობი და ნახე ჩემს ფერდში სურწმუნო ვიხსოვნი, მოიწმუნე იეჟ“. თომამ, ისე, რომ აღარც გადაუძოწმებია, მიმართა: „სუფთი ჩემი და ტყვეთი ჩემი — ანუ ატიარა, რომ იესო ქრისტე, მაცხოვარი იყო ტყვეთი. სიტყვა „სუფთი“ ნიშნავს ბატონსაც; ეს სიტყვა ძველად, მიმართის ფორმაც გამოიყენებოდა — ასე შეფიქრეს, დიდებულებს და სხვა ბატონებს აღაძინებს მიმართავენ. გაიხსენოთ „სახარებელი“: როდესაც საუკის, შექცეოში, პაულო მოციქულს მაცხოვარი გამოეცხადა და მიმართა: „საულო, საულო, რასა ძიქენი მე“, საულომ პუიოხა: ვინ ხარ შენ, სუფთოო? „სუფთოო“ მან მიმართის ფორმად გამოიყენა. დიდებულებით, სუფთოს მხოლოდ და მხოლოდ ტყვეთის ვაჟობებს.

# მოციქული, რომელიც გარეგნულად ძალზე ჰგავდა მაცხოვარს და სიძე, რომლის ქორწილშიც უფალმა წყალი ღვინოდ აქცია

## მორენა მერკვილაძე

არსებობს გამოთქმა — ურწმუნო თომა. ეს ეკლესიური გამოთქმა არ არის. თომა მოციქული სულაც არ ყოფილა ურწმუნო, მას საკმაოდ მსურვალე სარწმუნოება ჰქონდა, მაგრამ მაშინ ადამიანებისთვის იმდენად დაუჯერებელი და დიდი რამ მოხდა, თანაც, თომას იმდენად სურდა, მოციქულების ნათქვამი მართალი ყოფილიყო, რომ იმ მომენტში მათი სიტყვები ვერ ირწმუნა... თავიდან სხვა მოციქულებმაც არ დაიჯერეს ქრისტეს აღდგომა და თვით იოანე ღვთისმეტყველმაც, უფლის საყვარელმა მოციქულმაც ვერ ირწმუნა ეს ფაქტი მანამ, ვიდრე არ წავიდა და საფლავის კარი ღია არ იხილა, ხოლო პეტრე მოციქულმა მხოლოდ მაშინ დაიჯერა ეს ჭეშმარიტება, როცა მაცხოვრის სუფთარას ხელი მოჰკიდა. შემდეგ, თომას გარდა ყველა მოციქულს ეცხადება მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი. ამდენად, მათ არგუმენტები ჰქონდათ, თომას კი არა, მაგრამ მაინც, მოციქულებთან ერთად იჯდა და ელოდა ქრისტეს. უფალი მასაც ეჩვენა (ასევე ეჩვენება ყველა ადამიანს ღვთის ძალა, თუკი ის უფალს ეძიებს). თომას მცირედი დაეჭვება დასრულდა იმით, რომ მან აღიარა მაცხოვარი ჭეშმარიტ ღმერთად — ასე აშკარად და პირდაპირ აღიარება იმისა, რომ იესო ქრისტე არის ღმერთი, სახარებაში სხვა ადგილას არ გვხვდება. თომას მცირედი დაეჭვება — კეთილი გამოძიებლობა მოხდა ღვთის განგებულებითაც, რათა მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომა ადამიანებისთვის მეტად სანდო და დამაჯერებელი ყოფილიყო. როდესაც მოციქულები ამის შესახებ აუწყებენ, თომა ყურადღებას ამხვილებს შემდეგზე: „თუ არ ვნახავ მის ნაღურსმევს და დაჭრილ გვერდს, არ ვირწმუნებ“, — ამბობს იგი. მეორედ გამოცხადების ჟამს მაცხოვარი თომას ეუბნება: —



თომა

„ნახე, რამეთუ მე ვარ“. ამ გზით უფალმა მეტი სიცხადე შესძინა თავის მკვდრეთით აღდგომას. თომას მიერ მაცხოვრის ღმერთად აღიარების შემდეგ, უფალი მას მიმართავს: „ნეტარ ხარ შენ, თომა, რამეთუ მიხილე და გრწამს, ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვრწმუნენ.“ ამით უფალმა გვითხრა, რომ შემდგომ თაობებში, როდესაც განკაცებული უფალი ადამიანების გვერდით აღარ იქნებოდა, ხალხს ნეტარად არ ჩაეთვალა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებმაც უშუალოდ იხილეს მაცხოვარი და ამის გამო ირწმუნეს იგი; გული არ დასწყვეტოდათ იმაზე, რომ არ ცხოვრობდნენ იმ პერიოდში, როდესაც განკაცებული უფალი დედამიწაზე იმყოფებოდა. მაცხოვარმა გვაუწყა: — ვინც ამ დროში არ ცხოვრობდა და ამ ფაქტის უხილავად ირწმუნებს, უფრო ნეტარი იქნებაო. მოციქულებზე სულწინამდის გარდამოსვლის შემდეგ, ერთხანს თომა სხვების მსგავსად, იერუსალიმსა და მის შემოგარენში ქადაგებდა, შემდეგ კი თავის ნილხვედრ ქვეყანაში — ინდოეთში გაემგზავრა, ღვთის სიტყვის საქადაგებლად (ძველად ინდოეთს უწოდებდნენ სამხრეთ აზიის ყველა ქვეყანას, დღევანდელი ინდოეთის ჩათვლით). მრავალი წარმართი მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე და ამავედროულად, მრავალი დევნა, შეურაცხყოფა, ტანჯვა გადაიტანა, ბოლოს კი მონამებრივად აღესრულა ინდოეთში (ის შუბებით განგმირეს). თომა მოციქული მარჯივად — ტყუპისცალად იწოდება. ერთ-ერთი ვარაუდით, მას მართლაც ჰყავს ტყუპისცალი ძმა, თუმცა, უფრო სარწმუნო მეორე ვარაუდია — წმინდა მამათა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ თომა მოციქული გარეგნულად საოცრად ჰგავდა მაცხოვარს და სწორედ ამის გამო იწოდება ტყუპისცალად. თომა მოციქულის ცხოვრებაში წერია, რომ როდესაც ინდოეთის მეფეს მაცხოვარი



გამოეცხადა, თავიდან მას იგი თომა ეგონა. მოციქულს რომ ტყუპისცალი ჰყოლოდა და ის მაცხოვრის მონაფე ყოფილიყო, ეს ამბავი აუცილებლად გაჟღავნდებოდა და ჩვენამდეც მოაღწევდა.

თორმეტ მოციქულთა შორისაა ფილიპე მოციქულიც. ის პეტრეს და ანდრიას ქალაქიდან, ბეთსაიდან გახლდათ. როდესაც მაცხოვარმა ფილიპე იხილა, მიმართა: „გამომყევი“ და ისიც მაშინვე გაჰყვა. მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ, ფილიპე მოციქული ჯერ გალილეაში ქადაგებდა, შემდეგ საბერძნეთში ჩავიდა, სადაც მრავალი სასწაული მოახდინა და მრავალი წარმართიც მოაქცია. ერთხელ, წმინდა მოციქულს საბერძნეთში მცხოვრები ებრაელები დაედევნენ მოსაკლავად. უფალმა თავისი რჩეული მონა სიკვდილისგან იხსნა — ებრაელები უეცრად დაბრმავდნენ და მოციქულის მოკვლაველარ მოახერხეს.

მაღე ფილიპემ საბერძნეთი დატოვა და ქადაგებით არაბეთი, ეთიოპია და პართა მოიარა, შემდეგ კი თავის დასთან, ქალწულ მარიამთან ერთად მცირე აზიას ეწვია, სადაც იოანე და ბართლომე მოციქულებს შეხვდა. წმინდა მოციქულები საქადაგებლად ფრიგიაში, ქალაქ იერაპოლისში ჩავიდნენ. მათი ქადაგებით ბევრი წარმართი მოექცა. ერთხელ, ფილიპე და ბართლომე მოციქულებმა გველების სახელზე აგებულ ტაძარში უზარმაზარი გველი ლოცვით მოკლეს და გველის ნაკვებისგან მრავალი ადამიანი განკურნეს. მოციქულთა გავლენა დღითი დღე იზრდებოდა, რამაც კერპთმსახური ქურუმების რისხვა გამოიწვია. ქრისტიანული მოძღვრების სწრაფად გავრცელების გამო, მოსახლეობაზე მათი გავლენა საგრძობლად შესუსტდა და შემოსავლის წყაროც შეუმცირდათ. გაბოროტებულმა ქურუმებმა მოციქულებს ქალაქის მმართველთან უჩივლეს. მან ფილიპეს და ბართლომეს ჯვარზე გაკვრა ბრძანა (ფილიპე თავდაყირა გააკრეს). მოციქულები ჯვარზე მიამსჭვალეს თუ არა, მინა შეირყა და მოციქულთა სამსჯავროზე მყოფ ადამიანთა ნაწილი შთანთქა. ცოცხლად დარჩენილ მოქალაქეებს შეეშინდათ და მოციქულთა ჯვრებიდან ჩამოხსნა მოითხოვეს. გარდამოსხნილი ბართლომე კვლავ ცოცხალი იყო, ფილიპე კი ჯვარზე აღესრულა. ბართლომემ და მარიამმა ფილიპეს წმინდა ნეშტი მიწას მიაბარეს, თვითონ კი სომხეთში გაემგზავრნენ, სახარების საქადაგებლად. მარიამი სიცოცხლის ბოლომდე ქადაგებდა ღვთის სიტყვას.

როდესაც უფალმა ფილიპეს მოუწოდა, მოციქული წავიდა და ნათანაელი, იგივე ბართლომე (რაც ებრაულად თომას ძე ნიშნავს) მოციქული მიიყვანა უფალთან. ნათანაელი უფლის მოციქულთა



ფილიპე

შორის იმდენად პატივდებული იყო, რომ მამის სახელით იხსენიებდნენ. ის წიგნიერი კაცი გახლდათ. როდესაც ფილიპე მასთან მივიდა და უთხრა: „ჩვენ ვნახეთ ის, ვისზეც წერდა სჯულში მოსე და აგრეთვე წინასწარმეტყველნი; იესო, იოსების ძე, ნაზარეთიდან“, ბართლომემ მიუგო: „განა ნაზარეთიდან შესაძლებელ არს რაიმე სიკეთე იყოს?“ ანუ მან იცოდა, რომ მესია ბეთლემში, დავითის ქალაქში უნდა შობილიყო. ფილიპე კი ეუბნება: „წამოდი და ნახე“. როდესაც მივიდა და იხილა იესო, ირწმუნა, რომ ის იყო ჭმუშარიტი მესია. ხოლო იხილა რა უფალმა მისკენ მიმავალი ნათანაელი, წარმოთქვა: „აჰა ჭმუშარიტი ისრაელიანი, ვისშიც არ არის მზაკვრობა“. ნათანაელმა ჰკითხა, თუ საიდან იცნობდა? „ვიდრე ფილიპე დაგიძახებდა, ლელვის ქვეშ მყოფი დაგინახე“, — მიუგო მაცხოვარმა ანუ ის იყო მლოცველი: მაღალი სიტყვების დროს ისრაელში სახლში გაჩერება შეუძლებელი იყო. ამიტომაც ეზოში, ხის ქვეშ ლოცულობდნენ ხოლმე. ესეც ბართლომეს წიგნიერებაზე მიანიშნებდა.

როგორც მოგახსენეთ, ფილიპეს მონაშენბრძენი აღსასრულის შემდეგ, ბართლომე ფილიპეს დასთან, მარიამთან ერთად სომხეთში წავიდა. იქ წმინდა მოციქული მეორედ მიამსჭვალეს ჯვარზე და მასზე აღესრულა კიდევც.

უფლის რჩეულ მოციქულთა შორის ერთ-ერთი მაცხოვრის ხორციელი ძმა, იუდა იაკობისაც გახლდათ. იმდროინდელი ჩვეულების თანახმად, ის ასევე იწოდება — ლებოსად, თადეოზად და ბარსაბად. ის მართალი იოსების, ღვთისმშობლის დამწინდველის ერთ-ერთი ვაჟი გახლდათ და ამიტომაც იწოდება უფლის ხორციელ ძმად, ხოლო იუდა იაკო-

ბისად იმის გამო მოიხსენიება, რომ ღვიძლი ძმა იყო იაკობისა. იაკობი — იერუსალიმის ეკლესიის პირველი მწყემსთავარი უფროსი ვაჟი იყო იოსებისა. იუდა მოციქული იაკობისად იწოდება იმიტომაც, რათა ამ ზედწოდებით განესხვავებინათ იუდა ისკარიოტელისაგან. იოსებს 4 ვაჟი ჰყავდა, მაგრამ მხოლოდ იაკობი შეიქმნა ღირსი უფლის ძმად წოდებისა: გადმოცემის თანახმად, ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ მართალმა იოსებმა ვაჟებს შორის მიწების დანაწილება დაიწყო. სურდა, მისი ქონების წილი მარიამისგან შობილ იესოსაც რეგობდა, მაგრამ მძევი წინ აღუდგნენ მამის განზრახვას, მხოლოდ იაკობმა მიიღო მაცხოვარი თავისი კუთვნილი მამულის თანამფლობელად, ანუ თავისი კუთვნილი წილიდან ნახევარი უწილდა. სწორედ ამის გამო იწოდება უფლის ძმად.

შემდგომში იუდამაც მტკიცედ ირწმუნა იესო ქრისტე აღთქმულ მესიად და წრფელი გულით შეუდგა, დაემონაფა მას და აღაპასოდეს განშორებია. იუდა მოციქული იმდენად თავდაბალი იყო, რომ თავს უფლის ძმად წოდების ღირსად არ მიიჩნევდა — თავისივე ეპისტოლეში მხოლოდ იაკობის ძმად იხსენიებს თავს.

მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ იუდა, იგივე თადეოზ მოციქული დაუცხრომლად ქადაგებდა ღვთის სიტყვას იუდეაში, გალილეაში, სამარიასა და იდუმეაში, შემდეგ კი არაბეთი, სირია, სპარსეთი და მესოპოტომია მოიარა. ბოლოს, სომხეთში ჩავიდა. როგორც ეკლესიის ისტორიკოსები ვარაუდობენ, დაახლოებით, 80 წელს იუდა მოციქული ჯვარზე გააკრეს და ისრებით განგმირეს. იუდა მოციქულმა დაგვიტოვა მოკლე, საყოველთაო ეპისტოლე, რომელიც დაახლოებით 67 წელსაა დაწერილი.

მეთორმეტე მოციქული უფლისა იყო სვიმონ კანანელი, მოშურნედ წოდებული. წმინდა მამები ვარაუდობენ, რომ სვიმონი იყო ის სიძე, რომლის ქორწილშიც უფალმა წყალი ღვინოდ აქცია და რომელმაც ყველაფერი მიატოვა და უფალს გაჰყვა. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ის ქალაქ კანაიდან იყო და კანანელიც ამიტომ ეწოდა. თუმცა, არსებობს მეორე მოსაზრება: სვიმონი კანონის მტკიცე დამცველი იყო და მისი ზედწოდება — კანანელი ანუ მოშურნე, ზილოტი (ასე უწოდებენ მოშურნეს ბერძნულად. — ავტ.) აქედან მომდინარეობს.

სვიმონ კანანელმა იქადაგა მესოპოტომიაში, ეგვიპტესა და მავრიტიაში. ის ანდრია პირველწოდებულთან ერთად, საქართველოშიც იმყოფებოდა, ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად. ბოლოს კი ბრიტანეთში ჩავიდა, სადაც მონაშენბრძეად აღესრულა.



# შახვედრები სტალინთან

## ფრაგმენტები ვლადიმირ ჯარკოვის ნიგნიდან „გენერალისიბუსი“

დასაწყისი იხ. „გზა“, №27-28.

ლენინი ძალზე აფასებდა სტალინს, როგორც უნარიან სელმძღვანელსა და თანამოაზრეს, ამასთანავე, მუდამ იჩენდა ყურადღებას მის მიმართ მაშინ, როცა საქმე სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობას, მისთვის სამუშაო ან, გნებავთ, საცხოვრებელი პირობების შექმნას ეხებოდა, რასაც პარტიული ამხანაგებისთვის გაგზავნილი არაერთი დეპეშა და წერილი მოწმობს...  
აი, რამდენიმე მაგალითი.



ამონარიდი სერგო ორჯონიკიძისადმი 1921 წლის 4 ივლისს გაგზავნილი დეპეშიდან: „მიკვირს, რომ სტალინს დასვენების საშუალებას არ აძლევთ. სტალინს აუცილებლად ესაჭიროება, რომ სულ ცოტა, კიდევ 4 ან 6 კვირა დაისვენოს...“ იმავე წლის 17 ივლისი, კვლავ ორჯონიკიძეს: „პირველი — გთხოვთ, შემატყობინოთ, როგორია სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობა და გამაცნოთ ამის შესახებ ექიმების დასკვნა“. ტელეგრამა აბელ ენუქიძეს, 1921 წლის ნოემბერში: „ამხ. ენუქიქი! ნუთუ არ შეიძლება, დაგაქროთ სტალინისთვის გამოყოფილი ბინის გათავისუფლება?..“

1922 წლის 30 ნოემბერს, სწული ლენინი, ექიმების აკრძალვის მიუხედავად, მუშაობას დაუბრუნდა: გამოიძახა მდივანი და თავისი ახალი ნაშრომის — „ეროვნებების ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“ — კარნახს მიჰყო ხელი. ცოტა ხნის შემდეგ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ანერინებდა აგრეთვე, იმ გამოსვლის ტექსტს, რომლითაც მომდევნო წლის გაზაფხულზე პარტიის X ყრილობის დელეგატთა წინაშე უნდა წარმდგარიყო. ყველა ამ ჩანაწერს შემდგომ, „წერილი ყრილობას“ დაურქვა; თუმცა, იმის გამო, რომ ლენინმა ამ ნაშრომში თანამებრძოლთა დახასიათებები წარმოადგინა და აგრეთვე — მოსაზრებები იმის შესახებ, თუ ვის შეეძლო, შეეცვალა იგი, საბოლოოდ, „ანდერძის“ სახელით შემორჩა ისტორიას.

ბელადმა ძალზე სწორად და საფუძვლიანად შეაფასა სტალინი, როგორც პიროვნება, როცა მისი, როგორც პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე შემცვლელის საკითხი დადგა...

1922 წლისთვის, პროლეტარიატის ბელადის უახლოეს თანამებრძოლად, ცვეკს პოლიტიბიუროს 4 წევრი გვევლინებოდა ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და სტალინი. მათ შორის, წინა პლანზე, როგორც ლენინის შესაძლო მემკვიდრე, ტროცკი იდგა. ის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე იყო, მთელი სამოქალაქო ომის მსვლელობისას, სამხედრო საკითხებს განაგებდა, პარტიაში, გამოჩენილი რევოლუციონერის შარავანდედით

იყო მოსილი, „წითელ ნაპოლეონსაც“ კი ეძახდნენ და ჯარშიც უამრავი თანამოაზრე ჰყავდა. მაგრამ ლენინმა კარგად უწყოდა ტროცკის რევოლუციამდელი, მენშევიკურ-ცენტრისტული წარსულის შესახებ და არ ავიწყდებოდა, თუ როგორ სწვლიდა მას, ბოლშევიკებსა და მათ მონინალმდეგებს შორის ლავირება. გარდა ამისა, გულზე არ ეხატებოდა მისი ზედმეტი ამბიციურობა. ტროცკი არ მალავდა ძალაუფლებისკენ დაუოკებელ სწრაფვას და ამიტომაც, ლენინი მას საკუთარ მემკვიდრედ არ დაასახელებდა. საინტერესოა, რომ მათ შორის ახლო, ამხანაგური ურთიერთობა არასდროს დამყარებულა. ამაზე ერთი უტყუარი ფაქტიც მეტყველებს: როცა ლენინი გარდაიცვალა, ტროცკი სოხუმში დასასვენებლად იმყოფებოდა და მიუხედავად იმისა, რომ დაკრძალვამდე 5 დღე რჩებოდა, ბელადისთვის პატივის მისაგებად მოსკოვში არ ჩასულა...

ტროცკის არც სტალინთან ჰქონია მეგობრული დამოკიდებულება, პირიქით — ეს ორი მოღვაწე არაერთხელ შესჯახებია ერთმანეთს და იმის ნაცვლად, რომ მხარდამხარ ემუშავათ, არაერთხელ ნამოუყვებოდათ ერთიმეორის საქმეებში ჩაურევლობის მოთხოვნა. ფარული ომი მათ შორის გაშუქებით მიმდინარეობდა და მხოლოდ ლენინის წყალობით არ გადაზრდილა აშკარა დაპირისპირებაში.

ლენინისთვის ყველაზე ახლობელი ერთხანს, ზინოვიევი იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც მან, კამენევიან ერთად, 1917 წლის ოქტომბერში გამოაშუქურა ბოლშევიკთა გეგმა შეი-

არალებული აჯანყების შესახებ, ბელადი არც ერთს უწინდებურად აღარ ენდობოდა.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ უახლოესი გარემოცვიდან ყველაზე შესაფერისი კანდიდატი მემკვიდრის როლზე — იოსებ სტალინი გახლდათ. ეს იყო კაცი, რომელიც არასდროს ცდილა, საკუთარი თეორიები წამოეყენებინა, ერთგულად მისდევდა ლენინის იდეებს და მაშინაც კი, როცა შეცდომებს უშვებდა, მათი გამოსწორების უნარსაც იჩენდა, ყოველ შემთხვევაში, აღარ იმეორებდა. სტალინიში ლენინი აგრეთვე ხედავდა კაცს, რომელსაც საკუთარი თავისა და პრინციპების დაცვაც შეეძლო და თავს არ დაჩაგვრინებდა ტროცკის, ზინოვიევისა თუ კამენევის, თუკი ისინი ძალაუფლებისთვის ბრძოლისას ზედმეტ შეუპოვრობას გამოიჩენდნენ. ლენინმა კარგად უწყოდა, რომ სტალინი საოცარი ღირსებებით — ბუნებით მინიჭებული ჭკუით, იშვიათი მესხიერებით, რკინისებური ნებისყოფით, ორგანიზატორის ნიჭითა და უშრეტო ენერგიით გამოირჩეოდა. მაგრამ...

1922 წლის 22 დეკემბერს სტალინსა და ლენინის ცოლს, ნადეჟდა კრუსკაიას შორის სერიოზული კონფლიქტი მოხდა. პოლიტიბიუროს დავალებით, სტალინს ბელადის მკურნალობისთვის, ექიმების მიერ დადგენილი რეჟიმის დაცვისთვის თვალყური უნდა ედევნებინა. ერთხელაც მან, საკმაოდ მწვავედ, კრუსკაიას იმის გამო უსაყვედურა, რომ ექიმების აკრძალვის მიუხედავად, ცოლმა ნება დართო, ემუშავა (მდივანს უკარნახებდა ზემოთ ნახსენებ ტექსტს). ქალმა მკვახე პასუხი დაუბრუნა. ამაზე სტალინმა შესახება, რომ ის არა მარტო ბელადის ცოლი იყო, არამედ კომუნისტიც, ამიტომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი პარტიის საკონტროლო კომისიის სამსჯელო შეიძლება გამხდარიყო... ლენინის დის, მარიას თქმით, კრუსკაიამ ძალზე განიცადა სტალინის უხეშობა და ისტერიკაშიც ჩავარდა. მეორე დღეს კი კამენევის მისწერა: „გუშინ სტალინმა თავს უფლება მისცა, ძალზე უხეშად მომპყრობოდა. პარტიაში დიდი ხანია, ვმოღვაწეობ და 30 წლის მანძილზე არც ერთი ამხანაგისგან არ გამიგონია არც ერთი უჭეხი სიტყვა. პარტიისა და ილიჩის ინტერესები ჩემთვის არანაკლებ ძვირფასია, ვიდრე სტალინისთვის... რაზე შეიძლება და რაზე არ შეიძლება ილიჩთან ლაპარაკი, ნებისმიერ ექიმზე უკეთ ვიცი, რადგან ვიცი, რა ალელეებს მას და რა — არა, ყოველ შემთხვევაში — სტალინზე უკეთ. მოგმართავთ თქვენ და გრიგორის (ზინოვიევის), როგორც ილიჩის უახლოეს ამხანაგებს და გთხოვთ, ამარიდოთ ჩემს პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევასა და უღირს აყალმაყალს. ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ საკონტროლო კომისია, რომლითაც სტალინი მემუქრება, ერთსულოვნად მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას, მაგრამ არც ძალა მაქვს და არც დრო, რომ ამ სისულელეზე დაეხიზარევი. მეც ადამიანი ვარ და ნერვებს ვვლარ ვერევი“.

5 მარტს კრუსკაიამ მომხდარის შესახებ ლენინსაც მოუყვა. ლენინმა დაუყოვნებლივ დაანერინა წერილი და გრიფით — „საიდუმლოდ“ — სტალინს გაუგზავნა, ხოლო ასლები — კამენევისა და ზინოვიევის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი იხ. გვ. 13

არ გგონიათ, რომ საქართველოში მართო რუსეთის აგენტები მუშობენ? დღეს ჩვენი ქვეყანა სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურის ბრძოლის პოლიგონადაა გადაქცეული. ამიტომ, კონტრდაზვერვას ძალიან ბევრი სამუშაო აქვს.

**— თქვენ გადაბირების მეთოდებიც გეცოდინებათ...**

— რა თქმა უნდა, ვიცი. ადამიანთა გადაბირებას ადრე მუქართა და შანტაჟით ცდილობდნენ. დღეს ძირითადად, მატერიალური ნახაღისებით აცდუნებენ. დაზვერვა დროთა განმავლობაში მუშაობის მეთოდებს ცვლის. ადრე აგენტურულ ქსელში ძირითადად, ის ადამიანები იყვნენ ჩაბმულნი, რომელთაც საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებოდათ ხელი ან საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა შეეძლოთ. ესენი იყვნენ: მაღალი თანამდებობის პირები, სამხედრო მაღალჩინოსნები, ხელოვნების წარმომადგენლები და თვით უშიშროების თანამშრომლებიც კი. ბოლო დროს აგენტებმა ჟურნალისტებისა და ბიზნესმენების საფარქვეშ მუშაობა დაიწყეს. დაზვერვას მხოლოდ საიდუმლო ინფორმაცია კი არა, არამედ ჩვეულებრივი, ლეგალური ინფორმაციაც სჭირდება, იმისათვის, რომ ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ რეალური სურათი შექმნას (აგენტები საიდუმლო ინფორმაციის მხოლოდ 20%-ს მოიპოვებენ, 80% კი ლეგალური, ყველასათვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია გააქვთ). საამისოდ კი ჟურნალისტები და ბიზნესმენებაც საკმარისია.

**— რუსეთის დაზვერვას თქვენი გადაბირებაც სომ არ უცდია?**

— არა. იმიტომ, რომ იცოდნენ — ამას აზრი არ ექნებოდა.

**— არც დაშანტაჟების შემთხვევაში?**

— არც დაშანტაჟების შემთხვევაში. რუსეთის დაზვერვა ჯერ კარგად არკვევდა, როგორი ნებისყოფის მქონე იყო ადამიანი, რა ინტერესები და მიზნები ჰქონდა და მერე იწყებდა მოქმედებას. მშვენივრად იცოდნენ, რომ მე ვერც ფულით გადამიბირებდნენ, ვერც მაღალი თანამდებობით და ვერც მუქარით ან შანტაჟით შემამინებდნენ.

**— გამოორიცხავთ, რომ უცხო ქვეყნის აგენტები ოპოზიციაშიც იყვნენ?**

— სულაც არა. გამორიცხული არაფერია.

**— დროდადრო, ამა თუ იმ ადამიანზე ვრცელდება ჭორო, რომ ის უცხო ქვეყნის აგენტია. რამდენად შესაძლებელია, რომ რეალურმა ინფორმაციამ ჭოროს სახით გაჟონოს?**

— შეუძლებელია. ეს მკაცრად დაცული საიდუმლოებაა. ზოგჯერ ხელისუფლება მისთვის არასასურველი პიროვნების დისკრედიტაციისთვის, მიზანმიმართულად ავრცელებს ასეთ ჭოროს. გაიხსენეთ, რა ბრალდებებით დახვრიტეს მიხეილ ჯავახიშვილი და პაოლო იაშვილი: მათ სამშობლოს ღალატსა და უცხო ქვეყნის აგენტობაში დასდეს ბრალი!..

# მიზეზი ოზამა და... მისი ბოსტანი

რუსეთმა ამერიკის პირველი ლედის რეზიუმეში საგანგებო ყურადღება მიმუხეობამას თეთრი სახლის ბოსტანზე უფრო გაამახვილა, ვიდრე მის ჩაცმულობაზე, განათლებასა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაზე. მაგალითად, ჟურნალ „ოგონიოკის“ გარეკანზე გამოტანილია ფოტო, სადაც ის ბალში სამუშაოდაა გამოწყობილი, თავად სტატიას კი ამერიკაში მებალეობა-მეპოსტენობის განვითარების ისტორია აქვს დართული.

ბოსტანს რუსეთში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და იქ ბევრს აქვს აგარაკი, სადაც ყვავილები, ხილი, ბოსტნეული მოჰყავს. „აგარაკი ჩვენს კულტურაში ძალზე მიშენელო-

ვანი რამაა, ჩვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია, — ამბობს 52 წლის მუსიკის მასწავლებელი ალა ლაპიდუსი. — მიშელ ოზამამ ჩვენი სიმპათია მხოლოდ იმიტომ კი არ დაიმსახურა, რომ კარიერა გაიკეთა, არამედ იმიტომაც, რომ შრომა შეუძლია“.

მიუხედავად ყველაფრისა, ამერიკის პირველი ლედი რუსეთში საკმაოდ ცივად მიიღეს. მიშელ ოზამას რუსეთში საზოგადოებრივი გამოსვლა არ დაუგეგმავს — ქვეყანაში, სადაც პირველ ლედის დიდნილად, მისი დედობისა და ბოსტნეულის მოყვანის უნარის გამო აფასებენ, ორატორობა ნამდვილად, ზედმეტი იქნებოდა.

The Washington Post



## „თალიბანი“ ბავშვებს ყიდულობს და მათ თვითმკვლელობად აქცევს

„პაკისტანში თალიბების ლიდერი ბაითულა მექსუდი ბავშვებს ყიდულობს და მათ პაკისტანის ხელისუფლების, ავღანეთისა და ამერიკის არმიების წინააღმდეგ ბრძოლის თვითმკვლელებად იყენებს“, — ამერიკის თავდაცვის სამინისტროსა და პაკისტანის ხელისუფლებაში მყოფ წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება „ვაშინგტონ თაიმსი“. წყარომ, რომელსაც პაკისტანის ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობა უჭირავს, გამოცემა ანონიმურობის დაცვის პირობით უამბო, რომ ქვეყანაში, სადაც საშუალო ხელფასი წელიწადში 2.600 დოლარს შეადგენს, ბავშვებს 7-დან 14 ათასამდე დოლარად ყიდულობენ. „მექსუდმა თვითმკვლელთა მიერ განხორციელებული ტერაქტების სანარმოო ციკლად აქცია“, — განაცხადა ახლახან ამერიკის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელმა, რომელმაც ასევე არ ისურვა ვინაობის გამხელა. სხვათა შორის, მექსუდის განადგურების ამასნიანდელი მცდელობა ჩავარდა: უპილოტო თვითმფრინვამ დაბომბა დამკრძალავი პროცესიის მონაწილენი, რომელთა შორისაც, ტერორისტი იმყოფებოდა, მაგრამ მექსუდმა მიმალვა მოახერხა, დაბომბვის ადგილზე კი 50 უდანაშაულო ადამიანის გვამი დარჩა... პაკისტანის ხელისუფლებამ ნებისმიერ ინფორმაციაში, რომელიც მას ცოცხალი ან თუნდაც მკვდარი მექსუდის მიგნებაში დაეხმარება, ჯილდოდ, 615.300 დოლარი დაანესა; აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა კი ამ თანხას 5 მილიონი დაამატა. მექსუდი ახლა სავარაუდოდ, ავღანეთის საზღვრის მახლობლად,

ძნელად მისადგომ რაიონებში იმალება. როგორც გამოცემა აღნიშნავს, ომში ბავშვების გამოყენება ავღანეთისთვის არც ისე უჩვეულო მოვლენაა. ამ ქვეყანაში საბჭოთა ჯარების ყოფნის დროსაც ბევრი არასრულწლოვანი ხდებოდა „მუჯაჰედინი“. „საქმე თავად ბრძოლა როდია, — ამბობს ვინმე შერი, რომელმაც საბჭოთა ჯარებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, პირველად 13 წლისამ აიღო ხელში იარაღი. — უჩვეულო ისაა, რომ ამ პატარა მებრძოლებს თვითმკვლელად აქცევენ. მსგავსი რამ ავღანეთში ძველადაც კი არ ყოფილა გავრცელებული. ამ მოზარდებს ტვინებს „ურეცხავენ“, რათა ის დაიჯერონ, რაც არ არსებობს. ეს ღმერთის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია“.





# როგორ იქცევა მობილური ტელეფონი გზად



„მობილური ტელეფონების სათვალთვალო ტექნოლოგიები იმ პირობებში იქცა, რომელსაც საცდები ირანიდან ავსტრალიამდე მიუწვდება და ძველი კონტინენტიც ხელში აქვს ჩაგდებული“, — წერს La Repubblica.

რეპრესიებმა, რომლებიც ირანის ისლამურ რესპუბლიკაში არჩევენ მოჰყვა, მობილური ტელეფონების გამოყენებით ტექნოლოგიურ თვალთვალთან დაკავშირებული დებულებები გამოაცოცხლა და ზოგი ერთობლივ ფინურ-გერმანულ საწარმო Nokia Siemens-ს აუბედრდა, რადგანაც შარშან, ირანულ ტელესაკომუნიკაციო კომპანიას სწორედ მან დაუფინანსა მონაცემების, რომელიც სატელეფონო საუბრებში „ჩანერგვის“ საშუალებას იძლევა. თუმცა, გამოცემის მტკიცებით, ასეთივე ტექნიკა (ოღონდ — სასამართლო ხელისუფლების თანხმობით) ევროკავშირის ყველა ქვეყნის მთავრობის განკარგულებაშიცაა. ასეთივე მონაცემების გამოიყენება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, ოღონდ, იქ უფლებამოსილებ-

ის გადამეტების გამომრიცხავი დემოკრატიული პროცედურაც მოქმედებს. თუმცა, ასეა თუ ისე, კავშირის ამ ყველაზე გავრცელებული სახეობის ჯამშუურ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, მაინც ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა რჩება.

ფაქტია, დროთა განმავლობაში მობილური ტელეფონები სულ უფრო სრულყოფილი ხდება და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყველა ახალ მოდელს GPS-ჩიპიც აქვს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის მფლობელს თავისუფლებას მართლაც უზღუდავს და თანამგზავრზე მუდმივად შემოსული სიგნალებით ტელეფონის პატრონის ადგილსამყოფლის განსაზღვრაც ადვილად შეიძლება.

დიდ ბრიტანეთში უკვე მოქმედებს FOLWUS-ის სისტემა, რომლის მეშვეობითაც, ნებისმიერ მსურველს სულ რაღაც, 20 ევროდ შეუძლია საიტზე შესვლა და ინტერაქტიული ბარათის მეშვეობით, მისთვის საინტერესო პირის გადაადგილებისთვის თვალის მიდევნება. აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე წლის აგვისტოდან ავსტრალიელ მშობლებს სპეციალურად ამერიკული პოლიციისთვის შემუშავებული MyMobile-Watchdog-მონაცემებით სარგებლობა შეეძლება, რომელიც დაახლოებით, ისევე მუშაობს, როგორც ზემოთ აღნიშნული სისტემა — თვეში 12 თვალრად ბავშვის მშობლები სპეციალურ საიტზე შესვლას, შვილების საკლასო ჟურნალისთვის თვალის გადავლებას, SMS-ის წაკითხვასა და გადაღებული ფოტოების დათვალიერებას შეძლებენ. ისე, თავად ამერიკელებმა ეს სისტემა იმ უფროსების გამოსავლენად შემუშავეს, რომლებიც თავს მოზარდებად ასალებენ.

2010 წლიდან ჯამშუური არსენალი სხვა ახალი იარაღითაც შეივსება და ამის შემდეგ, Ericsson-ის ყველა ტელეფონი (და ალბათ, არა მხოლოდ ისინი) ახალი Rfid-ის

ჩიპით, ანუ მიკროსქემაში მფლობელის ყველა მონაცემის შემტანი ე.წ. „ჭკვიანი ეტიკეტებით“ აღიჭურვება. ამ სახლით ყველაზე მეტად, საკრედიტო ბარათების გამომშვები კომპანიები არიან დაინტერესებულნი, რადგან ახალი მონაცემების დახმარებით, ანგარიშით არასანქცირებული სარგებლობის განსაზღვრა იქნება შესაძლებელი.

იაპონიაში სარეალიზაციოდ უკვე მზადდება ისეთი მობილური ტელეფონი, რომლის მიზანშიც სკოლებში ბავშვებზე GPS-ის დახმარებით დაკვირვებაა. ეპიდემიების შემთხვევაში, მედიკოსებს ეს ინფექციის გამავრცელების გამოვლენაში დაეხმარება, რაც იმის თქმის საფუძველსაც იძლევა, რომ ჯამშუურ სისტემებს მხოლოდ საზოგადოების სასიკეთოდ თუ გამოიყენებენ. თუმცა, პირადი მონაცემების არასანქცირებულ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემებიც უნინდებურად რჩება და იტალიის პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, სწორედ ამაზე აპირებს მსჯელობას პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის გარანტი ფრანჩესკო პიცეტტიც. „უკვე დიდი ხანია, რაც სავაჭრო ქსელებსა და ინტერნეტში ისეთი პროგრამების არსებობაზე ვსაუბრობთ, რომლებიც მობილური ტელეფონის მფლობელის ადგილმდებარეობისთვის მუდმივი თვალყურის დევნების, ტელეფონში დაფიქსირებული მონაცემების დატაცების, თვით საუბრის მოსმენისა და SMS-ის წაკითხვის საშუალებასაც კი იძლევა. ზოგ შემთხვევაში, ასეთი სისტემები „კეთილი ზრახვებით“ გამოიყენება, მაგრამ ხშირად, ყველაფერი პირიქითაა. მსგავსი ჯამშუური სისტემების გამოყენება უკანონოა და შეიძლება, ამან სერიოზულ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამდეც კი მიგვიყვანოს“, — აცხადებს პარლამენტარი. მისი თქმით, ასეთ პროგრამებს მობილური ტელეფონის მტრად გადაქცევა შეუძლია.

## ანგელა მერკელი საბირის სამიზნე გახდა

არჩევნებამდე სულ რაღაც სამი თვით ადრე, გერმანიაში კანცლერ ანგელა მერკელზე pocket book-ის ფორმატის კომიქსების წიგნი გამოვიდა. პოლიტიკური ექსპერტების მტკიცებით, მერკელი საბირის სამიზნე აქამდე მხოლოდ იმიტომ არ გახდა, რომ ის სახელმწიფოს სათავეში მოსული პირველი ქალი იყო. თუმცა, ხელისუფლებაში სამწლიანდინასერიანი ყოფნის შემდეგ, იუმორის მასაც „დაენია“.

კომიქსების წიგნი უკვე იყიდება. მისი ავტორის, ჟურნალისტ მირიამ ჰოლსტინის თქმით, ამ წიგნის შექმნა 2007 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ნიკოლა სარკოზიზე ასეთივე კომიქსების წიგნის გამოსვლამ შთააგონა. კომიქსების უმეტესობა გერმანიის კანცლერის ცხოვრებიდან აღებულ რელიურ ფაქტებს ეფუძნება, მაგრამ ისინი, რა თქმა

უნდა, სახეცვლილი იუმორისტული ფორმითაა წარმოდგენილი. თუმცა, ავტორი არც აშკარა პოლიტიკურ ხუმრობებზე ამბობს უარს. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ბავშვობაში ანგელას სეირნობა არ უყვარდა და შინ ჯდომას ამჯობინებდა, იმაზე მიანიშნებს, რომ კრიზისულ სიტუაციებში კანცლერი საკუთარი შეხედულების გამჟღავნებას არ ჩქარობს. ხოლო ველოსიპედით სეირნობას იმიტომ ერიდებოდა, რომ „მარჯვენასა“ და „მარცხენას“ გამუდმებით ერთმანეთში ურევდა.

წიგნში ისიც საზგასმუელია, რომ არჩევნების წინ ანგელა მერკელი გერმანიაში კვლავაც, ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსად რჩება. ამ მდგომარეობას იმ ეფექტური ევროპული პოლიტიკის წყალობით მიაღწია, სადაც ერთგვარი არბიტრის როლიც არაერთხელ შეასრულა. დაბო-



ლოს, თვით გარემოსთვის ესოდენ საზიანო საავტომობილო მრეწველობის აქტიური მხარდაჭერის მიუხედავადაც, ამომრჩევლები უნინდებურად, დარწმუნებულნი არიან, რომ ანგელა მერკელს „მწვანე გული“ აქვს.

The Independent



# 60 დღე სინაუი ფრინველების დასოცვისთვის



აშშ-ში მძღოლს 60 დღით თავისუფლების აღკვეთა იმის გამო მიუსაჯეს, რომ მან 10 იხვი და ერთი ბატი გაიტანა. 42 წლის ჩარლზ მიქსი ფრინველების დასოცვისთვის გაასამართლეს — სასამართლომ მძღოლს მათ მიმართ გამოჩენილი სისასტიკე დასდო ბრალად და 30 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მიქსი მზა კერძების დამტარებლად მუშაობდა და ერთ-ერთი შეკვეთის შესრულებისას, კოლუმბიის პარკის გავლით, ლაფაიეტისკენ გაემართა, სადაც მანქანების სადგომზე იხვები და ბატები ასფალტზე მიმოფანტულ სიმინდს კენკავდნენ. მძღოლმა მანქანა მათი მიმართულებით წაიყვანა და რამდენიმე ფრინველი გაჭყლიტა... როდესაც მიქსმა სასამართლოს განაჩენი მოისმინა, შეიცხადა და პროტესტი გამოთქვა. სწორედ სასამართლოსადმი უპატივცემულო დამოკიდებულებისთვის, მას კიდევ 30-დღიანი პატიმრობა დაუმატეს. გარდა ამისა, მიქსი 664 დოლარითაც დაჯარიმდა.

# „პეჟო“ სპორტული კუპე

კომპანია „პეჟო“ ოფიციალურად დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოდელის — Peugeot 308 — ბაზაზე შექმნილი სპორტული კუპეს დებიუტი შემოდგომაზე, ფრანკ-ფურტის ავტოსალონზე შედგება. ეს მანქანა სარეალიზაციო ქსელში 2010 წლის დასაწყისიდან გამოჩნდება. ახალ მოდელს Peugeot 308 DCZ ერქმევა და 22 ფორმულის ძარა ექნება. პირველი ფორმების თანახმად, ამ ავტომობილს რთული ფორმის უკანა პანორამული მინა აქვს, რომელიც ძარას წინა ნაწილს გრძელ საბარგულთან აკავშირებს. იგი ძალიან ემსგავსება ამავე სახელწოდების კონცეპტავტოს, რომელიც 2007 წელს ფრანკ-ფურტში უჩვენეს. შარშანწინ წარმოდგენილი სპორტკუპე კარბონისა და ალუმინის დეტალების გამოყენებით იყო აწყობილი, რის შედეგადაც, მისი მასა მხოლოდ 1200 კგ-ს შეადგენდა. კონცეპტავტოს 1,6-ლიტრიანი, 218 ცხ.ძ-მდე სიმძლავრის, ფორსირებული ბენზინის ძრავა ჰქონდა და 100 კმ/სთ-ს 7 წმ-ში ავითარებდა. სერიული მოდელის შესახებ ჯერჯერობით არავითარი ტექნიკური მონაცემი არ არსებობს.



# „პორშე“ რეკორდი

ჰეჩბეკმა — Porsche Turbo — რომელსაც მრბოლელი და „პორშეს“ ტესტ-პილოტი ვალტერ რერლია მართავდა, ნიურბურგრინგის „ჩრდილო მარყუჟის“ გავლაში ახალი რეკორდი დაამყარა. ავტომობილმა ტრასა 7 წუთსა და 56 წამში დაფარა და 3 წამზე მეტით გაუსწრო სედანს — Cadillac CTS-V — რომელიც შარშანდელი მაისიდან ამ ტრასაზე ყველაზე სწრაფ სერიულ 4-კარიან ავტომობილად მიიჩნეოდა. სრულამძრავიანი ჰეჩბეკი — Porsche Panamera Turbo — 4,8-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 500 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბომოტორითაა აღჭურვილი. მწარმოებელთა მონაცემებით, 100 კმ/თ სიჩქარეს მანქანა 4,2 წმ-ში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 303 კმ/თ-ია. სედანი Cadillac CTS-V კი, — 556 ცხ.ძ-იანი, 6,2-ლიტრიანი, V8 მოტორითაა დაკომპლექტებული. აღსანიშნავია, რომ დროის იმავე მონაკვეთში — რაც Porsche Panamera-მ, ნიურბურგრინგის ტრასა ისეთმა სუპერავტომობილმა გაიარეს, როგორებიცაა: Dodge Viper SRT-10 და Chevrolet Corvette (7 წუთი და 59 წამი).



# „იაგუარი“ ახალი თაობის კუპეს შექმნის



კომპანია „იაგუარი“ მოდელის — XJ — ახალი თაობის კუპეს დიზაინზე მუშაობს. ამის შესახებ დიზაინის ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა იან კალუმმა განაცხადა. ცნობილია ისიც, რომ ამ მანქანის შექმნის პროექტს მხარდაჭერა „იაგუარის“ ხელმძღვანელობისგან ჯერჯერობით არ მიუღია. ახალი თაობის კუპე სავარაუდოდ, სედანის ოდნავ შემოკლებულ ბაზაზე აიწყობა, ხოლო მისი ძრავების გამაში დარჩება 5-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 380, 470 და 510 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავები და 275 ცხ.ძ-იანი, 3-ლიტრიანი დიზელის „ექსიანი“. ამასთანავე, კუპესთვის ხელმისაწვდომი იქნება პანორამული მინის სახურავი, სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი კოლოფი, 21-დუიმიანი ბორბლების დისკები და სედანისძარაიანი Jaguar XJ-ისთვის განკუთვნილი სხვა ოპციები. თუ როდის აპირებს კომპანია „იაგუარი“ ახალი კუპეს სერიულად გამოშვებას, ჯერჯერობით უცნობია. აღსანიშნავია, რომ სედანის — XJ — დამოკლებულ ბაზაზე პირველი კუპეები შეზღუდული ტირაჟით, 1975-1978 წლებში გამოდიოდა (მაშინ სულ 10 ათასი ასეთი მანქანა აიწყო).





	1 ზანუალი	2 პატარა აკლდამა		3 ჯგუფ "U-2"-ის სოლისტი	4 ბრაზილიელი ავტომობი- ლელი	5 მასობრივი საპროტეს- ტო კრება							
		6 ცურვის სტილი									7 იტალიური ხალხური ცეკვა		
					8 ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში								
				9 გერმანული ავტომო- ბილი							10 თითი		
11 შინაური ცხოველი													
					12 პარლამენტის თავმჯდომარე	13 ამერიკის შტატი							14 საშინაო ფესვსაცემი
15 გარეული ვირი			16 კომპოზი- ტორი ... გაბუნია							17 ფრინველია დიდი ბუნდი			18 გარეული მტრული
				19 მანქანა	20 დამუხტული ნაწილაკი	21 მგლის ნაშვირი				22 სამშენებლო მასალა			23 თანრივი კარატეში
24 სასწორის თეფში	25 ქვეყანა ევროპაში					26 აუღანეთის პრეზიდენტი							
27 მდინარე აზიაში		28 ქვე- წარმავალი		29 ... პაჩინო		30 ამერიკის შტატი			31 ფულის ერთეული იაპონიაში				
											32 ნაცვალ- სახელი		
			33 სამშობიარ- ოს ექიმი										
					35 ტყელი, მოგონილი ამბავი								
36 ლაკოილი ცხენი				37 ... აფლეკი	38 ღრმა ორმო								
					39 სვანური სიმღერა								
40 მათემატიკო- სი ... მესუა					41 ყვავილეღის ტიპი	42 ხელოვნე- ბის ღარვი							43 მტაცებელი ფრინველი



წინა ნომრის სკანსორის პასუხები

1. ტელეგრაფი; 2. ტორედორი; 3. ტრაქტა; 4. ალი; 5. ვორონინი. 6. რენო; 7. ლექსიკონი; 8. სვე; 9. სუციდი; 10. ესე; 11. სხეფერი; 12. შკოლა; 13. იერიში; 14. პეანა; 15. ლავა; 16. მალაგი; 17. ხიდი; 18. იოაკიმე; 19. ცეცე; 20. ჭა; 21. ცილა; 22. გრიფი; 23. ჩახავა; 24. პლედი; 25. რივა; 26. ნივა; 27. ავაზა; 28. პარასოლი; 29. ლივი; 30. ნიქოზია; 31. მიხაკი; 32. სერი; 33. კიკინი; 34. არვე; 35. პიკაპი; 36. სია; 37. ქიხი; 38. კოზაკი; 39. ელისი;

სურათებზე: პილარი სუონკი; კალ პენი.



# შორისკობი

(16 - 22 ივლისი)

### ფაჩი:

ფლირტი და ახალი ნაცნობობა კარგ განწყობილებას შეგიქმნით. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. დასვენების დღეებში შეეცადეთ, შვილებს ოცნებები აუსრულოთ.

### კაჩი:

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. თავი შეიკავეთ აზარტული თამაშებისგან. უცხო ადამიანებს ადვილად ნუ მიენდობით.

### ღუჭუჭი:

ხანმოკლე მოგზაურობა, მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გასეირნება თქვენს გუნება-განწყობილებაზე დადებითად იმოქმედებს. შესაძლოა, ახალი სამსახურიც იმოვოთ.

### კიჩხი:

თქვენს ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებებია მოსალოდნელი. გაგინდებთ შემოსავლის ახალი წყარო, რაც საზღვარგარეთ დასვენების საშუალებას მოგცემთ.

### ფიფი:

შეეცადეთ, უკვე დაწყებული საქმეები მოაგვაროთ. გამონახეთ დრო მეგობრებთან ერთად დროის სატარებლად. კარგი იქნება, თუ ბუნებაშიც გაისეირნებთ.

### ქაჩი:

კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, საყვარელ ადამიანს ნურაფერს დაუშალავთ. ახალი გეგმების განხორციელება თქვენს ცხოვრებას გაახალსებს.

### სახსი:

სამსახურში კოლეგები დაგეხმარებიან, სახლში — ოჯახის წევრები. ყველა დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანს დაუთმეთ.

### მორი:

შემოქმედებით სფეროში ექსპერიმენტების განხორციელების დროა. სპორტსმენებს წარმატება ელის. კარგი პერიოდია ხანგრძლივი მოგზაურობისთვის.

### ფიფი:

სიფრთხილე გმართებთ უცნობებთან ურთიერთობისას. ფრთხილად იყავით — შესაძლოა, უმნიშვნელო ინციდენტი სერიოზულ პრობლემად გექცეთ. დრო დასვენებისთვისაც გამოახეთ.

### ღუჭუჭი:

თუ პრობლემებს იუმორით შეხედავთ, ცხოვრებას გაიმართლებთ. საქმიანი საბუთების გაფორმებისას ნუ აჩქარდებით. მოერიდეთ ახლობლებთან კონფლიქტს.

### ქაჩი:

მხოლოდ იმ საქმეებს მოჰკიდეთ ხელი, რაც სიამოვნებას განიჭებთ. რთულ და გრძელვადიან პროექტებს ნუ შეეჭიდებით. დაისვენეთ და დილაობით ივარჯიშეთ.

### ფიფი:

საოჯახო საქმეები მოაგვარეთ — წამოიწყეთ რემონტი ან სახლის დიზაინი შეცვალეთ. განსხვავებული შეხედულებების გამო, შესაძლოა, მეგობრებთან კამათიც კი მოგიხდეთ.

## პატარა ბენიოსობენ

ბაზათ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

პატარა ტატოს დედა ეუბნება:

- ტატო, ჭამე ვაშლი!
- შენ ხომ თქვი, ვაშლში რკინა არისო და კბილები მომტყდება.

პატარა მარიამ კილასონიამ გაღვიძებისთანავე ფანჯარაში გაიხედა და იყვირა:

- გაიხედეთ, გარეთ წვნიანი თოვლი (თოვლჭყაპს გულისხმობდა) მოსულა.

პატარა გიორგი ტაბატაძე დედას ეხვეწება:

- დედიკო, ყავა მეც დამალევიწე, რა...
- პატარებისთვის ყავა არ შეიძლება, — პასუხობს დედა.
- აბა, პატარა ჭიქებში რომ ასხამენ?

პირველკლასელებს მასწავლებელმა რვეულებში „ჭა“ გამოუწერა და თან, უთხრა:

- ბავშვებო, ვითომ თქვენი ნაწერები ქორწილში მიდიან, გამოპრანჭეთ და ჰალსტუხიც ლამაზად გაუკეთეთ.

ცოტა ხანში მასწავლებელმა გიორგი გიორგობიანს უსაყვედურა:

- რა არის ეს, რა დაღრეცილი ასობი დაგინერია?
- უკვე დათვრენ და ქორწილიდან შინ მოდიან, — არ დაიბნა გიორგი.

სამწლიწვერის ლერიკო ჭალაგანიძეს ზღაპრების მოსმენა ძალიან მოსწონს, განსაკუთრებით კი „წითელქუდა“ უყვარს. ამას წინათ, როცა დედამისი ამ ზღაპრის მოსაყოლად მოემზადა, ლერიკომ ხეწნა-მუდართით მიმართა: — ჩემი დედიკო თუ ხარ, გეხვეწები, არ ჩააცვა, არ გამოანყო, არ გაუშვა ტყეში ჩემი წითელქუდა... იქ მგელია, მგელიი!

დედა და პატარა ვახტანგ კილასონი ტელევიზორს უყურებენ. ეკრანზე ლამაზი გოგონა გამოჩნდა.

— რა კარგი გოგონაა, ფიზიკურად!

- ამბობს დედა.
- შენ რა იცი, რომ ფიზიკოსია? — ეკითხება ბავშვი.

დილით პატარა იურამ ბებო გააბრაზა.

- სად მიდიხარ?
- ჯანდაბაში, — მიუგო ბებომ.
- ნაშუადღევს ვილაცამ კარზე დააკაკუნა. იურამ უპასუხა: — ბებია თუ გინდათ, შინ არ არის, ჯანდაბაში წავიდა.

3 წლის სოსო ჩაჩანიძე უმცროს ძმას, თორნიკეს რუსულ ენას „ასწავლის“.

- ბაბუას ჰქვია „დედუშკა“, ბებიას — „ბაბუშკა“.
- ბიძიას? — დაინტერესდა თორნიკე.
- ბიძუშკა, — არ დაიბნა სოსო.



# „კოზანოსტრა“ და „პიკასო“ ახალგაზრდებს „ითრევენ“

## ანუ ფესტივალური ბათუმში



თბილისის ცენტრალურ ქუჩებში ახალი აფიშები გამოჩნდა, წარწერით — „მალე, ბათუმში“. როგორც გავარკვეეთ, 18 ივლისიდან ბათუმში მუსიკალური ფესტივალური იწყება. ლონისძიების ორგანიზატორმა, კავშირის — „მხიარულები და საზრიანები ახალგაზრდებისათვის“ პრეზიდენტმა და ძველმა „კავეენშიკმა“, ნიკა მახვილაძემ გვითხრა, რომ ფესტივალში საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ჩასული ახალგაზრდებისაგან შემდგარი 10 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. მათ ნიჭს სიმღერასა და იუმორში ოთარ ტატიშვილი, დათო ბარბაქაძე, ზაალ ნულუკიძე, ყოფილი „კავეენშიკი“ — ბათუმელი თემურ დიასამიძე და რადიო „ფორტუნის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, ზაზა ქაშიბაძე შეაფასებენ. ნიკა მახვილაძე ირწმუნება, რომ ფესტივალური არნახულად მხიარული, საინტერესო და შთამბეჭდავი იქნება.

პიონატში მიიღებს მონაწილეობას.  
 — მათთვის სცენარებს თქვენ ამზადებთ?  
 — არა, თავად წერენ. მე მათ მოგვიანებით ვნახულობ და რაც მომწონს, ვტოვებ.  
 — როგორ ფიქრობთ, ნიჭიერი ბავშვები არიან?  
 — ძალიან ნიჭიერები არიან. განსაკუთრებით, მათი იუმორით ვარ მოხიბლული. ბოროტი ხუმრობები არ აქვთ, „წელს ქვევით“ არ ურტყამენ, ხალასად და ინტელექტუალურად ხუმრობენ.  
 — აქცენტებს ძირითადად, რა თემაზე აკეთებენ?  
 — პოლიტიკაზე, თინეიჯერულ ამბებზე და საყოფაცხოვრებო საკითხებზე.  
 — პოლიტიკას ვერც ამჯერად ავცდით?  
 — ვერა. არ მიყვარს პოლიტიკაზე „კავეენი“, მაგრამ ჩვენ ისეთი ცხოვრება გვაქვს, როცა მაცივარს გამოაღებ, მაშინაც პოლიტიკაზე გინდება ლაპარაკი. სხვათა შორის, პოლიტიკაზე იუმორის კეთება ძალიან ადვილია — ჩვენი ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლები ხშირად ისეთ ფრაზებს ისვრიან, რომ შეიძლება ითქვას, იუმორისტებს პირდაპირ გამზადებულ მასალას აწვდიან. მარტო სალომე ზურაბიშვილის „ძიალოგი“ რად ღირს...  
 — რა არის იმის მიზეზი, რომ ბოლო დროს, ძველი „კავეენიკები“ აღარ აქტიურობთ?  
 — ამის ერთადერთი მიზეზი უფულობაა. ისე, ძველები — „კოზანოსტრასა“ და „პიკასოს“ ბიჭები ვცდილობთ, ეს სფერო გამოვაცოცხლოთ და ამ საქმეში ახალგაზრდებიც „ჩავითრიოთ“.

### ხათუნა ბახტურიძე

— „მხიარულები და საზრიანები ახალგაზრდებისათვის“ პირველად ატარებს გრანდიოზულ ფესტივალს. გვინდა, ქართველ მაყურებელს იმის ანალოგი შევთავაზოთ, რაც იურმალაში უკვე 47 წელია, ტარდება. 21 ივლისს გაიმართება გალაკონცერტი, სადაც სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული 10 გუნდი მუსიკალურ ნომერს წარმოადგენს. მანამდე კი მაყურებელს კლუბური იუმორით და-ვატკობთ. ფესტივალის მონაწილეები,

რეპეტიციის პარალელურად, დისკოთეკებზე გაერთობიან.

— კი, მაგრამ ეს მუსიკალური ფესტივალა თუ „კავეენი“?

— ორივე ერთად. ძალიან საინტერესო სანახაობა იქნება. ჩვენ გავითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ საქართველოში ხალხი კონცერტის საყურებლად კი არა, მის გასაკრედიტებლად დადის და ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ პრეტენზიული ქართველი მაყურებლის მოწონება დავიმსახუროთ. 10-დან 6-7 გუნდს შევარჩევთ, რომელიც სექტემბერში საქართველოს ჩემ-

**იაკონური სენსაცია**

**სუდოკუ**

„გზის“ №28-ში გამომქვეყნებული სუდოკუს პასუხები

4	8	2	3	6	5	7	1	9
9	3	5	7	2	1	6	4	8
7	1	6	9	8	4	3	5	2
6	9	3	8	1	7	4	2	5
5	7	8	6	4	2	9	3	1
2	4	1	5	3	9	8	7	6
3	2	9	4	5	8	1	6	7
1	6	7	2	9	3	5	8	4
8	5	4	1	7	6	2	9	3

4	9	1	3	5	7	6	2	8
2	8	7	6	1	4	3	9	5
5	3	6	8	2	9	7	1	4
9	2	8	4	7	3	5	6	1
1	4	3	5	6	2	8	7	9
7	6	5	9	8	1	4	3	2
3	5	4	2	9	6	1	8	7
8	7	2	1	3	5	9	4	6
6	1	9	7	4	8	2	5	3

5	3	4	8	1	6	9	7	2
6	9	7	2	5	3	8	4	1
1	8	2	9	7	4	5	6	3
4	7	9	5	3	1	6	2	8
8	1	6	4	9	2	3	5	7
2	5	3	6	8	7	1	9	4
7	4	8	1	6	5	2	3	9
9	2	5	3	4	8	7	1	6
3	6	1	7	2	9	4	8	5

\* მარტივი

6			3			1
	3			7		5
			1			9
		2		5		3
		3		8		1
9			4		3	8
8				2		
	5		9			2
	2			6		7

\* \* საშუალო

6				3			1
2				7			4
5						4	
8					9		5
9		1			4		6
	6						7
				4			5
	2					1	
4					8		6

\* \* \* რთული

		2				9		7
3		8				2		9
		7						2
7				2			3	
		3					8	
			1	9				6
	7						4	
9				7			2	8
6				4				7



# ჟოტოკუჩიონები





# საუპეიტიესო სარუჟარი!



სარუჟარი  
რომელიც  
თაობებს  
დარჩება!

**სიასლე!**

ბიბლიის სრული აუდიოვერსია

**51** ლისკაზე

ყითხულოძს ეოგი ხაჩაძაძე

**ბიბლუსი**  
BOOKS

ბიბლია-მხოლოდ ბიბლუსის  
წიგნის მაღაზიებში

**თბილისი** რუსთაველის 40/1  
აღმაშენებლის №121  
იოსებშიძის №49

**ფოთი** ფარნავაზ მეფის №12

**გათუმი** მამედ აბაშიძის №62  
ზ.გამსახურდიას №18

**ქუთაისი** ლ.ნუცუბიძის №1

**ზუბლიდი** რუსთაველის №92

**სამგრადია** სააკაძის №6

**სენაკი** რუსთაველის №241

**ხაშური** რუსთაველის №69

**ღუშეთი** რუსთაველის №11

ბიბლია ინტერნეტ მაღაზიაში [www.elva.ge](http://www.elva.ge)